

ქსუ

ქართველოლოგიის
აქტუალური პრობლემები

Actual Problems of Kartvelology



II

2013

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
Saint Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia

ქართველოლოგიის
აქტუალური პრობლემები

Actual Problems of Kartvelology

APK

II

2013

UDC (უაკ) 908(479.22)
ქ-275

ყოველწლიურ სამეცნიერო ჟურნალში: „**ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები II**“ დაბეჭდილია საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრისა (ხელმძღვანელი მთავარეპისკოპოსი სტეფანე /კალაიჯიშვილი/ და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები და რეცენზირებული სხვა ქართველოლოგიური გამოკვლევები.

სარედაქციო კოლეგია:

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), სვეტა ადამია /სწავლული მდივანი/, გია ალიბეგაშვილი, ამირან არაბული, ნომადი ბართაია, მერაბ ბერიძე, თეიმურაზ გვანცელაძე, ვახტანგ გურული, კარინა ვამლინგი, სერგო ვარდოსანიძე, ნათია იაკობიძე /პასუხისმგებელი მდივანი/, თამარ ლომაძე /ინგლისური ტექსტის რედაქტორი/, გურამ ლორთქიფანიძე, თამარ მესხი, როინ მეტრეველი, მაია მირესაშვილი, საიდ მულიანი, ალექსი ჟორდანიას, მერაბ რობაქიძე, მანანა ტაბიძე /რედაქტორი/, ტარიელ ფუტყარაძე /მთავარი რედაქტორი/, ინგა ლუტიძე, როინ ყავრელიშვილი, ბელა შავხელიშვილი, ლელა შათირიშვილი, რეზო შეროზია, ფევზი ჩელები.

რედაქციის მისამართი:

0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის №53ა, ქართული უნივერსიტეტი /ქართველოლოგიის ცენტრი/, ოთახი №110; ტელ.: 0790 71 78 11

ელ-ფოსტა: kartvelology@sangu.edu.ge

კრებულის ელ-ვერსია იხ.: www.sangu.ge

© ქართული უნივერსიტეტი

ISSN 1987-930X

UDC (უაკ) 908(479.22)

ქ-275

The materials of the scientific conference dedicated to the Georgian state language, organized by the Kartvelology Center and the Center of Spiritual and Intellectual Development of the Youth (the chairman of the Centre, archbishop Stepane (Kalaijishvili) at the St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia and all the other reviewed kartvelological researches are published in the annual scientific journal **Actual Problems of Kartvelology II**.

Editorial Board

Metropolitan Anania (Japaridze), **Sveta Adamia** (scientific secretary), **Gia Alibegashvili**, **Amiran Arabuli**, **Nomadi Bartaia**, **Merab Beridze**, **Pevzi Chelebi**, **Inga Ghutidze**, **Vakhtang Guruli**, **Teimuraz Gvantseladze**, **Natia Iakobidze** (responsible secretary), **Roin Khavrelishvili**, **Tamar Lomadze** (editor of the English text), **Guram Lortkipanidze**, **Tamar Meskhi**, **Roin Metreveli**, **Maia Miresashvili**, **Said Muliani**, **Merab Robakidze**, **Bela Shavkhelishvili**, **Lela Shatirishvili**, **Rezo Sherozia**, **Manana Tabidze** (responsible editor), **Tariel Putkaradze** (editor-in-chief), **Karina Vamling**, **Sergo Vardosanidze**, **Aleksii Zhordania**.

Address of the editorial office:

Ilia Chavchavadze N53a, Tbilisi 0162, St. Andrew the First-Called Georgian University, Kartvelology Centre, Room N110.

Tel. 0790 71 78 11

***E-mail:* kartvelology@sangu.edu.ge**

Website: www.sangu.ge

შინაარსი

მთავარეპისკოპოსი ცაგერისა და ლენტეხისა სტეფანე (კალაიჯიშვილი), კონფერენციისადმი მისალმება.....	9
Archbishop of Tsageri and Lentekhi Stepane(Kalaijishvili), Opening Address to the Conference.....	12
ტარიელ ფუტკარაძე, ქართული ენის ტექნოლოგიზება: პირველი რიგის გადაუდებელი ამოცანები.....	15
Tariel Putkaradze, Technologizing of Georgian Language/the Most Urgent Tasks/.....	23
შუქია აფრიდონიძე, ტოპონიმია და ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.....	25
Shukia Apridonidze, Toponyms and Norms of the Georgian Literary Language.....	35
თეიმურაზ გვანცელაძე, სახელმწიფო ენები საქართველოში (ქართული ენა, აფხაზური ენა): პრობლემები და პესპექტივები.....	36
Теймураз Гванцеладзе, Государственные языки в Грузии: абхазский язык - проблемы и перспективы	42
ეკა დადიანი, მერაბ გვაზავა, რევაზ შეროზია, რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ - ევროპული ქარტია და საქართველო.....	44
Eka Dadiani, Merab Gvazava, Revaz Sherozia, ‘European Charter on Regional and Minority Language’ and Georgia.....	50
ნათია იაკობიძე, სიხარულის კონცეპტი ქართულსა და გერმანულ ენებში.....	51
Natia Iakobidze, Konzept von Freude in der georgischen und deutschen Sprachen.....	60
მანანა კვასხვაძე, ნორმირებული მეტყველება და ქართულენოვანი მასმედის ენა.....	61
Manana Kvashvadze, Standardized Speech and the Language of Georgian-Speaking Media.....	70

მიხეილ ლაბაძე , დიგლოსია თანამედროვე იტალიაში.....	71
Mikheil Labadze , Diglossia in Italia (I paralleli con la diglossia georgiana).....	89
ნანა ლოლაძე , ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები.....	90
Nana Loladze , Problems Connected with Teaching Georgian.....	92
თამარ ლომაძე , თანამედროვე პოლიტიკური ზეპირი ტექსტების ენობრივი თვისებებები.....	93
Tamar Lomadze , Linguistic Peculiarities of Contemporary Political Verbal Texts.....	103
ნათელა მაღლაკელიძე , მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მომზადებისა და გადამზადების საკითხები თანამედროვე ეტაპზე.....	104
Natela Maghlakelidze , Issues on Training and Re-training Teachers of the Georgian Language and Literature at the Modern Stage\.....	106
მარიკა ოძელი , საქართველოს სახელმწიფო ენის ფლობის დონის განსაზღვრა საჯარო მოხელეებისა და საქართველოს მოქალაქეობის მოსურნე პირთათვის.....	108
Marika Odzeli , Determining Level of Knowledge of the State Language of Georgia for Civil Servants and People Seeking Georgian Citizenship	133
ალექსი ჟორდანია , ავსტრიისა და ეგვიპტის დიალექტების ზოგიერთი მონაცემი.....	134
Alexi Jordania , Some Information about Austria and Egyptian Dialects	138
რუსუდან საღინაძე , თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები - პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.....	139
Rusudan Saghinadze , Problems and Solving Ways of the Standards of Contemporary Georgian Literary Language.....	143
მანანა ტაბიძე , სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვა: ევროპული გამოცდილება და საქართველო.....	144

Manana Tabidze, Protecting the Status of State Language: European Experience and Georgia.....	156
ლია ქაროსანიძე, თანამედროვე ქართული ტერმინოლოგია	157
Lia Karosanidze, Modern Georgian Terminology.....	161
ია ჯიქია, ტერმინოგიური პრობლემები განათლების ევროპულენოვანი სტანდარტების ქართულენოვან თარგმანებში.....	164
Ia Jikia, Terminological problems in Georgian translations of European standards of education.....	171
რეცენზია	
აფხაზური ენის ლექსიკონის ხელნაწერის გამოცემის გამო /თეიმურაზ გვანცელაძე, “აფხაზური ენის პირველი ლექსიკონი“,1827წ./.....	172

“საქართველოს ყოველთვის ჰქონდა უდიდესი შინაგანი ძალა, თავისი მოწამეების, განმანათლებლების, პოეტების, მხატვრებისა და თავისი უშიშარი და თავისუფლებისმოყვარე ხალხის სახით. **ერთი მთავარი წყაროთაგანი, საიდანაც ქართველები იღებდნენ თავიანთ სულიერ ძალებს - ესაა უძველესი და მადლიანი ქართული ენა**“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
/ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, თბ., 1997, გვ. 200/

გარდაუვალი წესია:

ერთი თაობა მიდის, მეორე - მოდის... ხალხი კი უკვდავია. უკვდავია მისი ენაც, თუკი მას ხალხმა ზურგი არ შეაქცია; ენა თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი წყალობით ეს თაობები ერთ ხალხად ითქმის: **ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნებს.**

ს.ნ. ხაჭიბავაძე

‘Georgia has always had great inner strength thanks to its martyrs, enlighteners, poets, painters and its courageous and freedom-loving people. **One of the major sources from which Georgians collected their spiritual strength is the ancient and gracious Georgian language.**’

Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II

/Epistles, Speeches, Preachings, Book I, Tbilisi, 1997, p. 200/

There is an inescapable rule:

One generation goes, another comes... but people are immortal. Their language is also immortal if it is not rejected by people; language is passed down from generation to generation and thanks to this, all these generations are regarded as one people: language defines identity of people.

Arnold Chikobava

კონფერენციისადმი მისალმება

1984 წლის 14 აპრილს ქართველი ერი ერთად დადგა და ერთსულოვნად დაიცვა ჩვენი ენის სტატუსი, როგორც სახელმწიფო ენისა და ჩვენ ამ თარიღს ავლნიშნავთ დღეს.

იმდენი პრობლემაა დაგროვილი ენასთან დაკავშირებით, რომ სამწუხაროდ, ამ დღეს ზარ-ზეიმით ვერ ავლნიშნავთ. არის უამრავი საკითხი, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტას და მე ვფიქრობ, რომ ნაწილი ამ საკითხებისა ჩვენს კონფერენციაზე იქნება განხილული, თუმცა სამუშაო კიდევ ბევრია. რაც მთავარია, ეს ყველაფერი უნდა მომზადდეს ისეთ დონეზე, რომ, შემდეგ, სახელმწიფომ აუცილებლად მოახდინოს რეაგირება.

ჩვენ დღეს, თითქოს-და საბრძოლველი არ უნდა გვქონდეს, რადგან ჩვენი ეროვნული სახელმწიფო გაგვაჩნია, რომელიც, წესით, უნდა იცავდეს თავისი სახელმწიფო ენის სტატუსს, სამწუხაროდ, მაინც, უამრავი პრობლემაა გადასაწყვეტი.

მე მინდა რამდენიმე პრობლემის შესახებ ვისაუბრო, არა როგორც მეცნიერმა, არამედ, როგორც ადამიანმა, რომელიც ამ პრობლემებს უშუალოდ აწყდება ცხოვრებაში. იმ პრობლემების შესახებ, რომლებსაც გადაწყვეტასაც ხალხი მოითხოვს და რაც არის, გარკვეულწილად, საზოგადოების დაკვეთა. მე მხოლოდ იმ საკითხებზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას, რაც თვალნათლივ ჩანს და არ სჭირდება დიდი მეცნიერობა, რომ ეს პრობლემები დაინახო.

I. პირველ რიგში სახელმწიფოს პირველი პირები, ოფიციალურ ურთიერთობებში უნდა მეტყველებდნენ ქართულად. დიდი პრობლემაა, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს წარმოადგენს პიროვნება და ოფიციალურ გამოსვლებში არ იყენებს ქართულ ენას, არამედ საუბრობს იმ ჩინოსნის მშობლიურ ენაზე, რომელიც არის აქ ჩამოსული ან თავად არის სხვა ქვეყანაში ჩასული და ვისაც როგორც ესმის, იმ ენაზე ესაუბრება. ძალიან კარგია განათლებულობა, ბევრი ენის ცოდნა ბევრს ნიშნავს, ძალიან კარგია, როდესაც ადამიანს შეუძლია მეტყველებდეს სხვადასხვა ენაზე, მაგრამ სახელმწიფოს ღირსების საკითხია, რომ პირველი პირები მეტყველებდნენ სახელმწიფო ენაზე — ეს არის საზოგადოების ძალიან მკვეთრი მოთხოვნა.

II. აბრები, რეკლამები, სხვადასხვა წარწერები და ა.შ. — მაგალითად მე წამიკითხავს წარწერა აბივშიკი ქართულად, ან ტოკარი. ან კიდევ, გზაზე, როცა ლოკანტა წერია და კიდევ რაღაცეები თურქულ ენაზე. გასაგებია, რომ ეს რეკლამაა, ფულის გასაკეთებლად, მაგრამ ჯერ ქართულად დაწერე, რასაც ნიშნავს ეს სიტყვა და შემდეგ უცხოური სახელიც მიაწერე. რა უდგას ამას წინ? რეკლამა მაინც

იმუშავებს. მთავარი არ არის ფულის შოვნა, არის საკითხები სადაც ფულის შოვნა არ შეიძლება იყოს მთავარი საზრუნავი. ესეც ღირსების საკითხია, რომ ქართველმა ერმა და საქართველოს სახელმწიფომ დაიცვას თავისი სახელმწიფო ენის სტატუსი და დაიცვას ის ყველა დონეზე, იქნება ეს ჩვენს ქალაქებსა თუ სოფლებში, გზებზე თუ დასასვენებელ ადგილებში, პრესასა თუ ტელევიზიაში, ეს პრობლემა ყველგან დგას და აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას. ეს საკითხი რთული გადასაწყვეტი არ არის, მისი გადაწყვეტისთვის მხოლოდ სახელმწიფოს მესვეურთა გულიანი მიდგომაა საჭირო.

III. საჯარო მოხელეთა და ჟურნალისტთა სასაუბრო ენა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. როდესაც ვისმინთ საინფორმაციო თუ, უბრალოდ, რაღაც საკითხებთან დაკავშირებულ გადაცემებს, ჟურნალისტს მეტყველებისას, აუცილებლად უნდა ჰქონდეს გარკვეული სტანდარტი დაცული და მე ვფიქრობ, რომ ჟურნალისტების პროფესიულ სტანდარტში უნდა შედიოდეს სწორად მეტყველება. შეიძლება უბრალო ხალხის მეტყველებაში რაიმე ხარვეზები შეინიშნებოდეს, ეს არ არის საგანგაშო, მაგრამ საჯარო მოხელეები და ჟურნალისტები გამართული ქართულით უნდა საუბრობდნენ. იმისათვის, რომ ჟურნალისტს ან საჯარო მოხელეს მუშაობა შეეძლოს მას, პროფესიულ უნარებთან ერთად, უნდა მოეთხოვებოდეს ქართული ენის შესაბამისი ცოდნა. ჩემი აზრით, უნდა დაწესდეს გარკვეული სტანდარტი და სამსახურში მიღებისას, ტესტირებისას, უნდა ითვალისწინებდნენ ამ მოთხოვნას. ესეც საზოგადოების დაკვეთაა. ძალიან ძნელია იმ ენის მოსმენა, რომელსაც ჩვენ ვისმინთ ყოველდღიურად საინფორმაციო საშუალებებით.

IV. პრობლემა ასევე ქართული ტერმინების ჩანაცვლება უცხოური ტერმინებით. ამის მიმართაც საზოგადოებას აქვს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ ქართულში გვაქვს უცხოურის შესაბამისი ტერმინები ძალიან ხშირად ჩვენ მაინც უცხოურ ტერმინებს ვიყენებთ, თითქოს ამით გვინდა გამოვხატოთ ჩვენი განათლებულობა, მაგრამ პრაქტიკულად ეს გაუნათლებლობის ნიშანი უფროა. წაგვლეკა ტრენინგებმა და თრენერებმა, ან კიდევ კოპაბიტაცია და სენსიტიური და ა.შ. თითქოს არ გვქონდეს სიტყვები სწავლება და მასწავლებელი. ჩვენ გაგვაჩნია სწორი გამოცდილება ასეთ საკითხებში, მაგალითად მთელს მსოფლიოში ამბობენ ბასკეტბოლს, ფუტბოლს, ვოლეიბოლს, ჩვენ კი დავამკვიდრეთ ჩვენს ენაში ტერმინები კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი. ეს ტერმინები დამკვიდრდა იმ დროს, როცა ჩვენ არ გაგვაჩნდა ეროვნული სახელმწიფო, მაგრამ გვყავდა გულანთებული მამულიშვილები, რომლებიც ზრუნავდნენ მშობლიურ ენაზე. დღეს რა დაგვემართა? ჩვენი საკუთარი სახელმწიფო გაგვაჩნია, მაგრამ სრულიად საპირისპიროდ ვმოქმედებთ.

აქ შეიძლება ბევრი საკითხი წამოიჭრას, ბევრი აზრი გაჩნდეს. ეს კონფერენცია ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ხმამაღლა დავაყენებთ ქართული ენის სახელმწიფოებრიობის საკითხს. ჩვენ ყველამ— სახელმწიფომ, ეკლესიამ, მეცნიერებმა, საზოგადოებამ ერთად უნდა ვიმუშაოთ ძალიან ინტენსიურად, რათა მოგვარდეს ყველა ის პრობლემა, რაც ჩვენს წინაშე დგას.

სახელმწიფოსგან, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ მხრივ არის მზაობა. დღეს ბატონი დავით უსუფაშვილი უნდა მობრძანებულყო, მაგრამ დილით მოუწია სასწრაფოდ გამგაზვრება საქართველოს ფარგლებს გარეთ და ამიტომ ველარ მოახერხა მოსვლა, მაგრამ ბატონი ზვიად ძიძიგური არის დღეს მობრძანებული. მისი პოზიცია ძალიან მნიშვნელოვანია, მან გამოთქვა ამ საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობის მზადყოფნა. ახლა ჩვენ უნდა მკაფიოდ და კარგად გამოვხატოთ რა უნდა გაკეთდეს. შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთშეთანხმების შედეგად მოახერხებს ამ საკითხების შეჯამებას, რა თქმა უნდა, მეცნიერები ხართ ამ პროცესში შეუცვლელნი და საექსპერტო მუშაობა იქნება საჭირო. შემდეგ ყოველივე უნდა შეჯამდეს და უკვე საკანონმდებლო ინიციატივების სახით უნდა წარედგინოს პარლამენტს.

ის რაც ჩვენ გვინდა, რომ სახელმწიფო ენა იყოს ქვეყნის ღირსების საზომი ყველასთვის, არა მხოლოდ მეცნიერებისთვის, არა მხოლოდ დაინტერესებული პირებისთვის, არამედ მთელი სახელმწიფოსთვის, მთელი საზოგადოებისთვის, ვფიქრობ აუცილებლად აღსრულდება, რადგან სახელმწიფო ენა არის ეროვნული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი.

დღეს გადაიდგა პირველი ნაბიჯი. შემდეგნაბიჯებს, თქვენი თანადგომითა და დახმარებით მივალწევთ და, იმედია, მრავალი პრობლემა, რაზეც ჩვენ დღეს გული გვტკივა — მოგვარდება.

მთავარებისკოპოსი ცაგერისა და ლენტეხისა სტეფანე
(კალაიჯიშვილი)
საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული
ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური
განვითარების ცენტრის თავმჯდომარე
14.04.2013

Opening Address to the Conference

On April 14, 1984, the Georgian nation consolidated and unanimously defended the status of Georgian as a state language and we celebrate this date today.

There are so many problems concerning the language that unfortunately, we cannot festively celebrate this day today. There are plenty of issues that require immediate solution and I think that part of them will be discussed at our conference, though there is much more to work on. What is most important, everything this should be prepared so that the government has appropriate reaction on it later.

Today it seems as if we do not have anything to fight for any more because we have our own nation state which is responsible for defending the status of its state language. Unfortunately, there are still a lot of problems to be solved.

I would like to talk about some of the problems not as a scientist but as a person who tackles with them in his life. I want to talk about the problem the solution of which is demanded by people. I will draw your attention to the problems that are evident and one does not need science to see them.

I – First of all, government officials should talk Georgian during official meetings. There is a great problem when a person represents Georgia as a state and uses not Georgian in his official speeches but the native language of the official who is a guest in our country. On the other hand, when official representatives of Georgia visit other countries, they use the language intelligible for the people they talk with. Though it is very important to know languages, it is the matter of national dignity for government officials to use state language – this is the sharp demand of the society.

II – Posters, advertisements, inscriptions, etc. – For instance, I have read Russian word '*abivshchiki*' and '*tokari*' written in Georgian. Moreover, there is written '*lokatka*' and something in Turkish in the street. It is clear that this is an advertisement but, first of all, there should be written the translation of the word in Georgian and then there can be provided its foreign equivalent. Why does this represent a problem? The advertisement will still do its job. Making money is not the only important thing to do, there are issues which are far more important than making fortune. This is a matter of dignity for the Georgian nation and state to defend the status of the state language and

to defend it everywhere: in cities or villages, streets or places of relaxation, press or television, this problem is everywhere and it requires immediate eradication. It is not difficult to solve this problem, it only depends on the kind will of state officials.

III – The language of public officials and journalists cannot avoid criticism. When we listen tonews or any other programmes, journalists should definitely follow some standards and I think the standardized speech should be the part of professional ethics of journalists. The speech of ordinary people may have some faults but this is not alarming. As for public servants and journalists, they are obliged to speak literary Georgian. One of the criteria of employing journalists and public figures should be appropriate level of Georgian language together with their professional skills. In my opinion, there should be created a certain standard which will be taken into consideration while employing people. This is the demand of the society as well. It is very difficult to listen to the language applied on the news every day.

IV – Another problems is replacement of Georgian terms by foreign ones. The attitude of society towards this issue is negative. Even though we have equivalent Georgian terms in our language, we still use foreign words in order to emphasize our level of education. In fact, it is more the sign of illiteracy. We are inundated with foreign terms like ‘training’ and ‘trainers’, ‘cohabitation’, ‘sensitive’, etc. As if we do not have Georgian equivalents: *‘stavleba’* and *‘mastavlebeli’*. We have appropriate experience in this direction. For instance, the whole world uses words: ‘basketball’, ‘football’, ‘volleyball’, while we have Georgian equivalents like *‘kalatburti’*, *‘pekhburti’*, *‘prenburti’*. These terms were established when we did not have our nation state, but when we had passionate patriots who took care of our mother tongue. What is the matter with us today? We have our own state, but act completely opposite.

There can arise many issues, a lot of ideas may emerge. This conference is very important as we will raise the question of the Georgina language. All of us – the state, the church, the science, the society should work intensively in order to solve all the problems we face.

As far as I know, the state is ready to collaborate. Davit Usupashvili was supposed to come today but he had to leave Georgia in the

morning and he could not come. ZviadDzidziguri is visiting us today. His position is very important as he has expressed his readiness to cooperate on this issue. We now need to clearly define what should be done. A special commission will be set up, which will summarize these issues together with the state and the church, of course, scientists are irreplaceable in this process and expert work will be required in this direction. After all, everything should be summarized and the legislative initiatives should be presented to the government.

What we need is the state language to be the measure of the dignity of our nation not only for scientists, not only for the people interested, but for the whole state, the whole society. I think it will definitely be so as long as the state language is one of the most important attributes of the nation state.

The first step was taken today. The next step will be achieved thanks to your support and we hope that all the problems we face today will be solved.

Archbishop of Tsageri and LentekhiStepane(Kalaijishvili)
The Chairman of the Centre of Spiritual and Intellectual Development
of Youth at the Patriarchate of Georgia
14.04.2013

ტარიელ ფუტკარაძე

ქართული ენის ტექნოლოგიები: პირველი რიგის გადაუდებელი ამოცანები¹

თქვენო უწმინდესობავ, მეუფენო, ქალბატონებო და ბატონებო, პირველ რიგში, გილოცავთ 14 აპრილს - საქართველოს სახელმწიფო ენის დღეს.

1978 წლის 14 აპრილს, საქართველოს მოსახლეობის ღირსეულმა შვილებმა, ქართველებმაც და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებმაც, დაიცვეს საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსი, შესაბამისად, **14 აპრილი არის საქართველოს სახელმწიფო ენის დაცვის დღე** და არა მხოლოდ ქართველთა დედაენის დღე.

14 აპრილი დღემდე ოფიციალურად კვალიფიცირდება, როგორც ქართველთა დედაენის დღე; ასეთი სახელდება ნაკლებად იძლევა საშუალებას, 14 აპრილი იზეიმონ საქართველოს მოქალაქე ეთნიკურმა სომხებმა, აზერბაიჯანლებმა, რუსებმა, ოსებმა, აფხაზებმა და ა.შ. **დედაენად მიჩნევის შემთხვევაში** ამ დღეს რა უნდა იზეიმონ, მაგალითად, საქართველოს მოქალაქე სომხებმა?

თუკი 14 აპრილი ხელისუფლების მიერ ოფიციალურად გამოცხადდება საქართველოს სახელმწიფო ენის დღედ, დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოქალაქენი ამ დღეს **პატივისცემით აღნიშნავენ** არა მხოლოდ თბილისში, ბათუმში, ზუგდიდსა თუ თელავში, არამედ, ახალქალაქშიც, მარნეულშიც, წალკაშიც... მოვა დრო, ცხინვალშიც, გალშიც, სოხუმშიც და ა.შ.

ვფიქრობ, 14 აპრილის სახელდება მხოლოდ ქართველთა დედაენის დღედ აკნინებს 35 წლის წინანდელი მოვლენის **ზოგადსახელმწიფოებრივ მნიშვნელობას** და ხელს არ უწყობს ჩვენი ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ქართულენოვან სახელმწიფოში.

აქვე აღვნიშნავ:

მრავალი საუკუნეა, **ქართველები დედაენის დღეს ვუწოდებთ ლაზარეს შაბათს**; წელს ლაზარეს შაბათი - ქართული ენის დღე - არის 27 აპრილს.

ბოლო პერიოდში ხელისუფლების მიერ არაადეკვატურად ნაკლები ყურადღება ეთმობა საქართველოს სახელმწიფო ენას:

¹ 2013 წლის 14 აპრილს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (სამების ახალგაზრდული ცენტრი) წაკითხული ტექსტი /მიმართვა ეკლესიისა და ხელისუფლების პირველ პირებს და მოხსენება ქართული ენის ტექნოლოგიების შესახებ/.

დღეა ენა არის ნაციის არსებობის საფუძველი, ხოლო სახელმწიფო ენა ქვეყნის ღირსების საზომია; შესაბამისად, ყველა ნორმალური ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს **სახელმწიფოს მთავარ ენას**, პარალელურად, უცხო ენებსა თუ უმცირესობების ენებს; სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ რეგიონული თუ უცხო ენების შესახებ; მაგალითად, საქართველოს უსაფრთხოების ოფიციალურ კონცეფციაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის სწავლების აუცილებლობა, მაგრამ გააზრებული არ არის საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსის პერსპექტივა; კერძოდ, ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა **დე ფაქტო** არ ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიის მესამედზე, დანარჩენ ტერიტორიაზე კი მისი დაცულობის ხარისხი კრიტიკას ვერ უძლებს; უსაფრთხოების კონცეფციაში არაფერია ნათქვამი ამ მიმართულებით.

ახლა უფრო კონკრეტულად ჩემი დღევანდელი მოხსენების თემის შესახებ:

დღეს ქართული ენა სულ ახალი გამოწვევის წინაშე დგას: თანამედროვე ტექნოლოგიები რადიკალურად შეცვლის მსოფლიოს ენათა მომავალს.

საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს ქართული ენის სრულმასშტაბიან ტექნოლოგიზებაზე ორიენტირებული არც ერთი ინსტიტუტი; შედეგად, ქართველი ერი და საქართველოს სახელმწიფო ყველაზე ნაკლებადაა მომზადებული ამ დიდი გამოწვევისთვის.

თანამედროვე თუ მომავალი ტექნოლოგიური ნახტომების პირობებში ქართული სალიტერატურო ენა კულტურულ ენათა რიგში რომ დარჩეს, საამისოდ აუცილებელია, დროულად განხორციელდეს ჯერ ნაწერი, შემდეგ კი, უახლოეს მომავალში, ზეპირი ტექსტის ავტომატური თარგმანი; ეს შესაძლებელს გახდის, რომ საქართველოს მოქალაქემ თავის სახელმწიფო ენაზე მიიღოს გლობალურ ქსელში არსებული ინფორმაციები. სახელმწიფო ენა ქვეყნის ღირსების საზომია, თანამედროვე სახელმწიფოს ღირსების ერთ-ერთი უმთავრესი საზომია სახელმწიფო ენის ტექნოლოგიზების დონე; გარდა ამისა, მხოლოდ ქართული ენის თანამედროვე ტექნოლოგიების ენად ქცევის შემთხვევაში შეინარჩუნებს ქართველი ერი თავისი კულტურის განმსაზღვრელ უმთავრეს ფენომენს - დედაენას; შესაბამისად, ავტომატური თარგმანის პარალელურად, აუცილებელია მომზადდეს კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს ქართული ენის სრულმასშტაბიან ტექნოლოგიზებას.

თავის დროზე მსოფლიოს მრავალი ენა დაიკარგა იმიტომ, რომ მისმა მფლობელმა ხალხმა დროულად ვერ შექმნა დამწერლობა

თავისი დედაენისათვის; თანამედროვე პირობებში ბევრი მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის ენა და სახელმწიფო ენა გაქრება, თუკი მოცემული ენა დროულად ვერ გახდება ინტერნეტსივრცის, ავტომატური თარგმანების, ულტრათანამედროვე ტექნიკის ზეპირი ბრძანებით მართვის ენა; კერძოდ, ვფიქრობ, აუცილებელია, სახელმწიფოს პროგრამული დაფინანსებით (და არა, მოკლევადიანი საგრანტო წესით) დროულად განხორციელდეს მრავალპროფილიანი გრძელვადიანი პროექტი, რომლის პროდუქცია იქნება კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც:

- ტ. ქართულ ზეპირ მეტყველებას გადააქცევს ნაბეჭდ ტექსტად,
- ჟ. ავტომატურად ამეტყველებს ქართულ ნაბეჭდ ელექტრონულ ტექსტს,
- ლ. გააციფრებს ნაბეჭდ პროდუქციასა და ხელნაწერებს,
- ბ. განახორციელებს სრულყოფილ ავტომატურ ქართულენოვან მართლწერას,
- ნ. განახორციელებს ავტომატურ თარგმანს ქართულიდან სხვა ენებზე და პირიქით...

წარმოდგენილი ამოცანების განსახორციელებლად ასევე პროგრამული დაფინანსებით სასწრაფოდაა შესაქმნელი:

- ქართული ენის დიდი ელექტრონული განმარტებითი ლექსიკონი /სადაც შევა როგორც სალიტერატურო ენის, ასევე, ქართველთა დიალექტების ლექსიკაც/;
- ელექტრონული მრავალდარგოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონი;
- სამწიგნობრო ენის ნორმების ინტერაქტიული ვებპორტალი;
- საკუთარი სახელების ნორმატიული ელექტრონული ლექსიკონი;
- ქართული ენის ტექსტების ეროვნული კორპუსი, სადაც შევა ქართული სალიტერატურო ენის მასალაც და ქართველთა დიალექტური მონაცემებიც /მეგრულ-ლაზური და სვანური იდიომების ჩათვლით² და სხვ.

² ქართული ტექსტების ეროვნული კორპუსი (ქართველური დიალექტური მონაცემებით) ქართულ ენას შეუნარჩუნებს ისტორიულ ეროვნულ (გამაერთიანებლურ) და კულტურულ ფუნქციას. დღეს არის მცდელობა, ქართული ტექსტების კორპუსის პარალელურად დაიგეგმოს /და შეიქმნას/ მეგრული, სვანური და ლაზური ტექსტების დამოუკიდებელი კორპუსებიც. უახლოეს პერიოდში ენობრივი კორპუსი იქცევა ერის /ეთნიკური ჯგუფების/ იდენტობის უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორად, შესაბამისად, ქართული ტექსტების ეროვნული კორპუსის ნაცვლად ოთხი დამოუკიდებელი "ენის" კორპუსის (ქართულის, მეგრულის, ლაზურის, სვანურის) შექმნის მცდელობა მოემსახურება მავანთა ინტერესს,

საქართველოში **ქართული ენა არ არის მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო საგანი**; იგი სხვა საგანთა სწავლების ენაცაა; დავიმოწმებ პროფესორ ნათელა მაღლაკელიძისა და პროფესორ ნანა ლოლაძის კვლევების შედეგებს და მოკლედ ვიტყვი:

არსებული **ეროვნული სასწავლო გეგმა** სერიოზულ ცვლილებებს მოითხოვს. საჭიროა შეიქმნას ქართული სალიტერატურო ენის სწავლების ერთიანი კონცეფცია სწავლების ყველა საფეხურისათვის; ამასთან, **საგანგებო ღონისძიებებია** გასატარებელი მასწავლებელთა მაღალ დონეზე **მომზადებისათვის** და არა მხოლოდ - **გადამზადებისათვის**.

ასევე, აუცილებელია, **შემუშავდეს სახელმწიფოს პრაგმატული მიდგომა ქართველთა ზეპირი საშინაო მეტყველებების გადასარჩენად**, რომელთაც ნამდვილად ემუქრებათ საფრთხე; კერძოდ, განსაკუთრებით დიდი საფრთხის წინაშე არის: სვანური, ტაოური, ლივანური, იმერხეული, რაჭული, ხევსურული, თუშური, მოხეური... ქართველთა ეს კილოები ჩვენს თვალწინ ქრებიან! შესაბამისად, აუცილებლად მიგვაჩნია, სასკოლო საგნად შემოვიღოთ: **“ქართველთა ენობრივი სამყარო“**, რომლის პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება ყველა ქართველური დიალექტის გავრცელების არეალი და მეტყველების ნიმუშები, ხოლო მეორე ნაწილში შევა სპეციალური კითხვარი და ინსტრუქცია, რომ მოცემული ქართველური კილოს მფლობელს საშუალება ჰქონდეს, შეისწავლოს და წარმოაჩინოს მისი კუთხური მეტყველების ლექსიკა.

ენობრივ-ეთნიკურ-კულტურულად დაანაწევროს მრავალსაუკუნოვანი ქართველი ერი. . ასევე, პრობლემურია არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროექტიც: “საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“, რომლის მიხედვითაც დამოუკიდებელ ენებად ითვლება მეგრულ-ლაზური და სვანური; აქ სხვა წინააღმდეგობაცაა: საქართველოს მოსახლეობის “ლინგვისტური პორტრეტი“ ვერ შეიქმნება მხოლოდ ქართველური მასალით.

ვფიქრობ, ლოგიკურია, მეგრულ-სვანური-ლაზური დიალექტური მასალა, სხვა ქართველურ დიალექტურ (ხევსურულ, იმერულ, ტაოურ, ჰერულ, კახურ, მესხურ...) მონაცემებთან ერთად შევიდეს ქართული ენის ერთიან ეროვნული კორპუსში **დიალექტების სტატუსით**; კერძოდ:

სხვა მრავალი ენის მსგავსად, ქართველურ ენობრივ სამყაროშიც ენაკილოების სტატუსი ჩვენ მიერ სოციოლინგვისტური კრიტერიუმებით ფასდება, შესაბამისად, ჩვენი პროექტის მიხედვით **ქართული ტექსტების ეროვნულ კორპუსს** აქვს ქართული სტანდარტული ენისა და ქართველური დიალექტური მასალის განყოფილებები, რომელთა ლექსიკური ფონდები ქართველთა სამწიგნობრო ენის **ერთიან პერსპექტიულ სალექსიკონო ბაზადაა გააზრებული**.

იმედით აღვნიშნავ, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა მომზადებულ დღევანდელ სამეცნიერო კონფერენციაზე **სპეციალისტთა მიერ წარმოდგენილი დასკვნები** აკადემიურ საფუძველს მოუმზადებს ახალ ხელისუფლებას, სისტემურად დაგეგმოს და გადადგას ის აუცილებელი ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფს:

1. თანამედროვე პირობებში ქართული ენის კულტურული ფუნქციის შენარჩუნებას,
2. ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის უფლებების დაცვას, სწავლებასა და კვლევას,
3. ქართველთა სამწიგნობრო ენის მასაზრდოებელი ნაკადულების - ქართველთა დიალექტების - გადარჩენასა და კვლევას.

კონკრეტული ამოცანები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ქართული ელექტრონული ნაბეჭდი ტექსტის ამეტყველება:
 - 1.1. სინტეზატორი ალოფონური ბაზის საფუძველზე;
 - 1.2. სინტეზატორი მარცვლოვანი ბაზის საფუძველზე;
 - 1.3. სინტეზატორი დიფონური ბაზის საფუძველზე და სხვ.
2. ქართული მეტყველების ნაბეჭ ტექსტად ქცევა:
 - 2.1. კარნახით ტექსტის ჩაწერა
 - 2.2. ტექნიკის ხმით მართვა და სხვ.
3. უკვე დაბეჭდილი წიგნების/თუ გაზეთების/ ტექსტებისა და ხელნაწერების ელექტრონულ ნაწერ ტექსტად ქცევა (გაციფრება);
4. ქართული ენის მორფოლოგიურ და სინტაქსურ პროცესორებზე დაფუძნებული მართლმწერის მომზადება;
5. ქართულ-ინგლისური ორენოვანი **Transfer** ტიპის თარგმანის განხორციელება /ნაწერი ტექსტისა/;
 - 5.1. კონკრეტულ ლოგიკურ გრამატიკულ მოდელზე ორიენტირებული ქართული ენის მორფოლოგიური პროცესორის აგება;
 - 5.2. კონკრეტულ გრამატიკულ მოდელზე არაორიენტირებული ქართული ენის მორფოლოგიური პროცესორის აგება;
 - 5.3. ქართული ენის სინტაქსური პროცესორის აგება;
6. ქართულ-ინგლისური ორენოვანი თარგმანის განხორციელება ე.წ. ლოგიკურ-მათემატიკური მეტა-ენის შუამავლობით;
7. ქართული ენის ლექსიკურ მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა:
 - 7.1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ქართული ენის კომბინირებული განმარტებითი ლექსიკონი.../

7.2. ქართულ-ინგლისური და სხვა ორენოვანი ელექტრონული ლექსიკონების მოპოვება /შექმნა/

7.3. უცხოური ტერმინების თარგმნის მუდმივი ცენტრის ამოქმედება


8. ქართული ენის რეპრეზენტაციული (მომცველობითი) და დაბალანსებული (პრესა, ბელეტრისტიკა, საქმიანი დოკუმენტაცია, გვარსახელები, რეესტრის სხვა მონაცემები და სხვ.) ტექსტების კორპუსის შექმნა:

8.1. მორფოლოგიურ და სინტაქსურ პროცესორებზე ორიენტირებული ტექსტების კორპუსი /პროცესორი - საძიებო სისტემა, რომელიც მოძებნის ნებისმიერ მორფოლოგიურ ფორმანტს/კატეგორიას და სინტაქსურ სტრუქტურას/, დაადგენს სიტყვის სინშირეს: უფრო რომელ ლექსიკურ ერთეულებთან (colocation) თუ მეტყველების ნაწილებთან გვხდება (colligation); გააკეთებს რეზიუმირებას;


8.2. ტექსტების მორფოსინტაქსურად ანოტირებული /ან ნახევრად ანოტირებული/კორპუსი: ნახევრად ავტომატური ანალიზატორის მეშვეობით კორპუსის ანოტირება და ანოტატორთა მიერ ხელით ჩასწორება (/შემოწმება რამდენად სწორად არის ანოტირებული ამ ანალიზატორის მიერ)/...

წარმოდგენილი ამოცანები სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:

ქართულ ენის ტექნოლოგიზების ერთი მიმართულება -
ხმისქცევა ტექსტად:



**ქართულ ენის ტექნოლოგიზების მეორე მიმართულება -
ელექტრონული ტექსტის თარგმნა და მეტყველების სინთეზი**



დასკვნის ნაცვლად:

საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულ “ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დოკუმენტში (რომელიც დევს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე³, არ ჩანს, ჩემი აზრით, **ხუთი არსებითი მიმართულება:**

ტ. ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის შენარჩუნებისათვის ზრუნვა;

ღ. ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირების აღდგენის სტრატეგიის შემუშავება და უმცირესობებისათვის საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლებით ინტეგრაციის რეალური პირობების შექმნა;

ლ. ქართული ენის ტექნოლოგიზება; ამ კუთხით საქართველოს განათლების სისტემის დაგეგმვა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით;

³ http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12 (2013 წლის მონაცემებით).

6. საქართველოს სახელმწიფოობრიობის ისტორიისთვის ქართულენოვანი მართლმადიდებლობისა და საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება;

7. სამხრეთ კავკასიაში (ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი) მცხოვრები ავტოქთონი ქართველების ეთნიკური იდენტობისა და ქართველური კულტურული მემკვიდრეობისათვის ზრუნვა.

კაცობრიობის ისტორია ხალხების **გაჩენისა** და **გაქრობის** მიმე ქრონიკაა. ამ ფონზე სასწაულს ჰგავს ქართველი ერის 33-საუკუნოვანი სიცოცხლე, რომელიც, პირველ რიგში, ქართული ენითაა განხორციელებული... უფლის შეწევნით, დიდი კულტურული რევოლუციების ჟამს დროული რეაგირებით ხდებოდა ქართული ენისა და კულტურის ასვლა ახალ სიმაღლეზე - ჩვენს მიერ ნახსენები **სასწაული ქართველების ღირსეული წარმომადგენლების ხელით ხორციელდებოდა; დღესაც** დიდი კულტურული ნახტომი ხორციელდება ენების ტექნოლოგიზებით - მხოლოდ ინტერნეტსივრცის ენად ქცევა გადაარჩენს ქართულ ენას, შესაბამისად, ქართველ ერს.

იმედია, **უახლოეს მომავალში განხორციელდება ქართული ენის ტექნოლოგიზება;** შესაბამისად, კიდევ დიდხანს იქნება ქართული ენა ქართველთა ეროვნული სიცოცხლე და საქართველოს სახელმწიფოს უმთავრესი ღირსება!

Tariel Putkaradze

Technologizing of Georgian Language/the Most Urgent Tasks/

S u m m a r y

Modern technology radically changes the prospects of the world languages:

Numerous languages in the world, the alphabet of which had not been created, have disappeared. Even today a lot of century-old traditional and state literary languages will turn into Papuan languages if the given language is not transformed into the language of modern internet space, automatic translation, international information sources, the computer/or other machines/, technique control/oral voice orders/, etc.

There is no institution oriented on full-scale technologizing of the Georgian language so far in Georgia; consequently, the Georgian nation and the Georgian state is the least prepared for this big challenge.

In order to leave the Georgian literary language among the world's cultural languages in the condition of the contemporary or future technological leaps, it is necessary to put the automatic translation of the written and later oral texts into practice; this will enable Georgian citizens to get the information presented in the global network in their native tongue. State language is the standard for measuring the dignity of the nation, the level of technologizing of the state language is the standard of measurement of any modern state; besides, only turning Georgian into the language of modern technologies will preserve mother tongue- the defining phenomenon of the Georgian national identity; therefore, together with the automatized translation, it is necessary to prepare computer programs which will ensure the full-scale technologizing of the Georgian language; in particular, we can name the following specific tasks:

1. Turning Georgian electronic printed texts into speech:
 - 1.1. Synthesizer based on allophones;
 - 1.2. Synthesizer based on syllables;
 - 1.3. Synthesizer based on diaphones, etc.
2. Turning Georgian speech into printed texts:
 - 2.1. Recording dictated texts;
 - 2.2. Controlling texts with voice, etc.
3. Creating digital versions of already printed books/or newspapers/ and manuscripts;

4. Preparing orthography based on the morphological and syntactical processes of the Georgian language;
 5. Preparing Georgian-English bilingual Transfer-type translation /written texts/;
 - 5.1. Constructing Georgian language morphological processor oriented on concrete logical grammatical models;
 - 5.2. Constructing Georgian language morphological processor which is not oriented on concrete logical grammatical models;
 - 5.3. Constructing Georgian language syntactical processor;
 6. Conducting Georgian-English bilingual translation with the help of the so-called logical-mathematical meta-language;
 7. Creating electronic database of Georgian vocabulary;
 - 7.1. Georgian language explanatory dictionary, Georgian language combined explanatory dictionary...
 - 7.2. Creating Georgian-English and other bilingual electronic dictionaries;
 - 7.3. Enactment of a permanent center which will work on translation of foreign terms;
 8. Creating a corpus of comprehensive and balanced texts (press, fiction, business documents, names, registry and other data);
 - 8.1. Corpus of texts oriented on morphological and syntactical processors/processor – a search engine which will find any morphological formant/category and syntactical structure/, will determine the frequency of words: collocation or colligation; will create summaries;
 - 8.2. Morphologically annotated/partly-annotated/ corpora of texts: correction will be made with the help of semi-automated analyzers (they will check whether this is properly annotated by this analyzer).
- The mankind history is a severe chronicle of **emergence** and **disappearance** of peoples. Regarding the background, the 33-century existence of the Georgian nation, mainly thanks to the Georgian language, is like a miracle. With the help of God, Georgian language and culture managed to climb to new heights thanks to the timely reactions to major cultural revolutions. The abovementioned miracles were carried out by dignified Georgians; a great cultural leap is made today by technologizing languages and turning Georgian into the language of internet that will enable it to survive; consequently, the Georgian language will be the main national dignity of the Georgian nation!

შუქია აფრილონიძე

ტოპონიმია და ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

ტოპონიმები, ანუ გეოგრაფიული სახელები საკუთარ სახელთა უფართოესი წრის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენს. ეს მნიშვნელობა შეპირობებულია, პირველ ყოვლისა, მათი სამისამართო ფუნქციით. ამის გამო გეოგრაფიულ სახელებს, მეტადრე დიდი ობიექტების სახელებს - როგორც ბუნებრივის (ზღვები, ტბები, მთები, მდინარეები...), ისე ხელოვნურისას (ქალაქები და სხვა დასახლებული პუნქტები) და მათი მართლწერის წესების, აგრეთვე სხვა ენებზე ამ სახელთა ტრანსლიტერაციის წესების დამუშავებას სახელმწიფოებრივი ფუნქცია ენიჭება.

ამრიგად, ტოპონიმთა ორთოგრაფია საერთაშორისო სტანდარტიზაციის საკითხთაგანია და საქართველოს ყველა განათლებული მოქალაქე მოვალეა იცნობდეს იმ ქვეყნის გეოგრაფიულ სახელებს, რომელშიც ცხოვრობს, და სწორად იყენებდეს მათ როგორც ზეპირ, ისე (და განსაკუთრებით) წერიტს მეტყველებაში.

ქართული ენის იშვიატმა ორთოგრაფიულმა თვისებამ — ბგერისა (ფონემის) და ასოს (გრაფემის) ზედმიწევნითმა (ასე ვთქვათ, “უნაშო“) შესატყვისობამ, მეორე მხრივ კი — ქართული სალიტერატურო ენის ხანგრძლივმა და მდიდარმა ტრადიციებმა ქართველ ნორმალისატორებს დიდად გაუადვილა მუშაობა, თუმცა არც საკომპენსაციო სირთულე დაჰკლებია მათს მუშაობას. ამ მხრივ მხედველობაში გვაქვს გეოგრაფიულ სახელთა კუმშვა-კვეცის საკითხი, ისევე როგორც რთული სტრუქტურის ტოპონიმთა შემთხვევაში — მათი კომპონენტების შერწყმულად თუ ცალ-ცალკე წერის პრაქტიკა, ხოლო უცხოურ ტოპონიმთა ქართულად გადმოღებისას თავს იჩენს სპეციფიკური თანხმონების ქართული გრაფემებით გადმოცემის, ანუ ტრანსლიტერაციის, რიგ შემთხვევაში კი — თარგმნის საკითხიც.

წინამდებარე წერილის მიზანია იმ სახელმძღვანელო პრინციპების გამოყოფა, რომელთაც ეყრდნობა ტოპონიმთა დაწერილობის ორთოგრაფიული ნორმები როგორც საკუთრივ ქართული (ან საქართველოს) ტოპონიმების, ისე უცხოური ანალოგიური მასალის ქართულად გაფორმებისას.¹

¹ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ჩატარა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასთან (ქსე) არსებულმა სატრანსკრიფციო ჯგუფმა **ივანე გიგინეიშვილის** ხელმძღვანელობით: **კონა გიგინეიშვილი, მიხეილ ჭაბაშვილი, ალექსანდრე კობახიძე**. ამ მუშაობის შედეგად მომზადდა და გამოიცა ხუტი ორთოგრაფიული

I. ტობონიმების კუმშვა-კვეცა

ა. გეოგრაფიულ სახელებს შუალედური ადგილი უჭირავთ სხვა საკუთარ სახელებსა (აღამიანთა, ხალხთა, ცხოველთა და სხვ.) და საზოგადო სახელებს შორის, რაკი ტობონიმებში ხშირად მონაწილეობს გეოგრაფიული ადგილის აღმნიშვნელი საზოგადო სახელები: **ქალაქი, სოფელი, უბანი... მთა, ქედი, წყალი, წყარო... ყანა, ტყე** და ა.შ. ამის გამო გეოგრაფიული სახელები ხშირად ისევე იქცევა, როგორც ზემოაღნიშნული სახელები: ზოგი იკუმშება (შდრ. აპელატივი **უბანი** > *უმანი: **უბნ-ის** > **-უმნის**), ტობონიმი აბასთუმანი (**აბასთუმნის**); ზოგიც იკვეცება: შდრ. აგრეთვე: **ციხე (ციხის)** და **ახალციხე (ახალციხის)** და მისთ. ხოლო ზოგი ისევე არ იცვლება, როგორც ცალკე მდგომი სათანადო საზოგადო სახელი (შდრ.: აპელატივი **ქალაქი** და ტობონიმი **ახალქალაქი**).

არის პირუკუ შემთხვევებიც, როცა რთული შედგენილობის ტობონიმის მეორე კომპონენტი უკვეცელია, მთელი კომპოზიტი კი — კვეცადი (შდრ.: **ჯინა** (მეგრ. = ციხე); ნათ. **ჯინას** (მეგრ. ჯინაშ), მაგრამ: **წალენჯინის**).

კუმშვის ძირითადი წესები ემთხვევა აპელატივებისას: იკუმშება ა ან ე, იშვიათად ო ხმოვნები ნარნარა **ლ, მ, ნ, რ** თანხმოვნების წინ (**ჩარგალი — ჩარგლის, ყვარელი — ყვარლის, ოკამი — ოკმის, ჭერემი — ჭერემის, ქსანი — ქსნის, ხოდაშენი — ხოდაშნის, მტკვარი — მტკვრის, ეწერი — ეწრის, იორი — ივრის...**).

ამავე წესით იკუმშება ზოგი მეზობელი ქვეყნის დედა-ქალაქის სახელწოდებაც: **ერევანი — ერევნ-ის**, აგრეთვე სპარსეთის პროვინცია **ფერეიდანი** (ნათ. **ფერეიდნ-ის**), სადაც ოთხი საუკუნის

ცნობარი, მათ შორის სამია გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონები: **საქართველოსი** (1987, 2009), **საბჭოთა კავშირისა** (1987) და **საზღვარგარეთის ქვეყნებისა** (1989). მათ წინ უსწრებდა ვარლამ თოფურიას და ივანე გიგინეიშვილის ავტორობით 1968 წელს გამოცემული ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელსაც ბოლოში ერთვის საკუთარ სახელთა და მათ შორის გეოგრაფიულ სახელთა 50-გვერდიანი ვრცელი სია (1045-1094).

2001 წ. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ბაზაზე მომზადდა და 2002 წელს გამოიცა **„უურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი“**, რომელშიც მოცემულია გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში შემავალი **სახელმწიფოებისა** და მათი **დედაქალაქების** ჩამონათვალი, აგრეთვე სათანადო ქვეყნებში მოქმედი **ვალუტისა** და ყველაზე გავრცელებული **ენების** შესახებ არსებული ცნობები.

წინათ გადაასახლა შაჰ-აბასმა კახეთიდან ტყვედ წაყვანილი ქართველობა; აქედან — სადაურობის სახელი **ფერეიდნელ(ებ)ი**.

უფრო სტაბილურია კვეცის საკითხი: ა-ზე ფუძეგათავებული ტოპონიმები უგამონაკლისოდ იკვეცება: **მცხეთა — მცხეთის, ავჭალა — ავჭალის** და მისთ. ეს წესი ვრცელდება მსოფლიოს ამავე მოდელის ნებისმიერ ტოპონიმზე, იქნება ის კონტინენტის, ქვეყნის, ქალაქისა თუ სხვა გეოგრაფიული ობიექტის სახელი: **ამერიკა — ამერიკის, ევროპა — ევროპის, კუბა — კუბის, ალაბამა — ალაბამის, არიზონა — არიზონის, ინდიანა — ინდიანის, ჯორჯია — ჯორჯიის, იუტა — იუტის, ბარსელონა — ბარსელონის, ჰავანა — ჰავანის** და ა.შ.²

სამაგიეროდ, უკვეცელია ის ტოპონიმები, რომლებიც ბოლოში ირთავენ დერივაციულ (სიტყვამაწარმოებელ) ა ხმოვანს: **მაკრატელა, პერანგა, ნაქერალა, ნაძვა, უნაგირა, ხიდა, ორბოძალა, რუშავა, ქუდნისლა, შავნაბადა, წყალწითელა, ხარისთვალა, ხევხმელა** და მისთ. შესაბამისად, ამ ტოპონიმთა ნათესაობითის ფორმები გვექნება: **მაკრატელას, ნაქერალას, ნაძვას, პერანგას, უნაგირას, ხიდას, ორბოძალას, რუშავას, ქუდნისლას, შავნაბადას, წყალწითელას, ხარისთვალას, ხევხმელას...**³.

² მაგრამ ამ მყარ წესს ხშირად არ იცავენ ჩვენი ჟურნალისტები თვით საქართველოს ტოპონიმთა ხმარებისას. 1990-იანი წლებში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების გაშუქების დროს ა-ზე ფუძეგათავებულ სოფელთა სახელების ნათესაობითში ხსენებისას თბილისელი ჟურნალისტები ბოლოკიდურ ა-ს, როგორც წესი, არ კვეცდნენ: **კოხორას, გაგიდას, სიდას, ხურჩას, ორსანტიას, ოტობაიას** (მოსახლეობა). ასეთი მიდგომა, საფიქრებელია, ირიბად მეტყველებს მათთვის ამ ტოპონიმთა სრულ უცხოობას.

³ აქ ერთი შენიშვნა უნდა დავუერთოთ **ნაქერალა-ს** ან **წყალწითელა-ს** ტიპის ტოპონიმებზე მსჯელობას: საქმე ისაა, რომ პრინციპულად შეიძლება არსებობდეს **ნაქერალა** ან **წყალწითელა** უკუმშველი, ოღონდ კვეცადი სახითაც (**ნაქერალის, წყალწითელის**), მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთსა და იმავე ეთნოლინგვისტურ რეგიონში უსხვადასხვა ობიექტის სახელებად გვექნება **ნაქერალი-ც** (რომელიც “კუმშვად” ბრუნვებში მოგვცემდა შეკუმშულ ფორმას **ნაქერლის** სახით) და **ნაქერალა-ც**. გადამწყვეტ როლს აქ ასრულებს მოცემულ რეგიონში გაბატონებული ფონეტიკური წესი კუმშვა-კვეცისა, მეზობელი დიალექტის ან ამა თუ იმ ქართველური ენის გავლენის ძალა და ა.შ. (მაგ., ზანურის გავლენის სფეროში მოქცეული ობიექტის სახელი ტოპონიმი უფრო ძნელად ექვემდებარება კუმშვა-კვეცას, ვიდრე ქართული ენის აღმოსავლურ კილოებთან მომიჯნავე რეგიონის ტოპონიმები).

ბ. რაც შეეხება ე ხმოვანზე ფუძეგათავებულ ტოპონიმებს, კვეციის უნარის მხრივ დიფერენცირებულია ქართული ან საქართველოს და უცხოური წარმოშობის ტოპონიმები, კერძოდ, ქართული მასალა აშკარად კვეციის ნიმუშებს გვიჩვენებს, მაშინ როცა არაქართული ტოპონიმები უკვეცელი რჩება. შდრ.: **საბუე — საბუის; საირმე — საირმის**, მაგრამ: **დუშანბე** (ქალაქი) — **დუშანბეს**, **იორდანე** (მდინარე) — **იორდანეს**, **ჩილე** (სახელმწიფო) — **ჩილეს**...

უკვეცელია, მეორე მხრივ, ზანური (მეგრული) წარმოშობის **ლე — ე** აფიქსებით ნაწარმოები ოიკონიმები (ანუ სოფლების სახელები), რომლებიც უპირატესად ამა თუ იმ გვარისგან იწარმოება: **ლე-ფოჩხუ-ე** (გვარიდან *ფოჩხუა*), **ლე-სხულუხ-ე** (გვარიდან *სხულუხია*) და მისთ., ან **ო — ე** აფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები: **ო-ირემ-ე**, **ო-ნაჩქუ-ე** და მისთ.

გ. ფუძისეული **-ი** სუფიქსის მქონე ტოპონიმები, როგორც წესი, მხოლოდ უცხოურია და ფუძისეული **ი-ც** შენარჩუნებულია. მაგ.: **მალღი** (მიც. მალღის, მალღში), **ტაიტღი** (მიც. ტაიტღის, ტაიტღზე), **ჰაიტღი** (მიც. ჰაიტღის, ჰაიტღზე), **ნიუ-ჯერსი** (ნიუ-ჯერსიში), **ჯიბუტღი** (ჯიბუტღიში), **ფიჯღი** (მიც. ფიჯღის) და მისთ. ასეთივე სახელებია: მდ. **მისისიბღი**, მდ. **მისურღი**, ქ. **დეღღი**, ქ. **იასი** და სხვ.

დ. **-ეთ** სუფიქსი აწარმოებს ევროპისა და აზიის, მათ შორის ვოლგისპირეთისა და კავკასიის მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკების სახელთა მწარმოებლად. ესენია:

თათრეთი [და არა: სათათრეთი, ტატარსტანი]

მორღვეთი [და არა: მორღვა]

სომხეთი [და არა: სასომხეთი]

ყალმუხეთი [და არა: კალმიკია]

ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი [და არა: ყარაჩაი-ჩერკესია]

ყაბარდო-ბალყარეთი [და არა: კაბარდინო-ბალყარია]

ყარაყალფახეთი, ყარაყალბაკეთი [და არა: კარაკალბაკია]...

ბოლო ოთხი ერთეული იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ აქ რუსული **კ** ბგერის ადგილას **ყ** თანხმოვანი ჩაისმის, რომლითაც იწყება სიტყვა **ყარა** (თურქ. = შავი).

ამავე წესს ემორჩილება ჯერ კიდევ საბჭოთა ხანიდან გადმოჰყვა აზიის ისლამური რესპუბლიკების გაქართულებული სახელები: **თურქმენეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი**, რომლებიც საკუთარ ენებზე **-სტან** სუფიქსით ფორმდება (ისევე როგორც მეზობელი ქრისტიანული ქვეყნის — **სომხეთის** თვითწოდება — **ჰაიასტან**, ხოლო რუსულად — ევროპული ენების გავლენით — **-ია** კომპლექსზე ფუძეგათავებული, **-ია**-ს სახით: **Армения**).

II. ტოპონიმთა თარგმნა-უთარგმნელობის საკითხი

ცალკეა განსახილველი *ტოპონიმთა თარგმნის* საკითხი. აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს აღსანიშნი ობიექტის რაგვარობა, სახელდობრ ის, თუ რისი სახელია ესა თუ ის ტოპონიმი: ბუნებრივი, ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტისა (მთა, ქედი, ზღვა, ტბა...) თუ დასახლებული პუნქტისა (ქალაქი, დაბა, სოფელი...).

ქვეყნებისა და სახელმწიფოთა სახელები (ე. წ. ქორონიმები), როგორც წესი, არ ითარგმნება — არც მაშინ, როცა *ეგ ზონიმურია* სახელი (ე. ი. როცა ქვეყანას *გარეწოდებით*, ანუ *ეგ ზონიმით* იხსენიებენ), და არც მაშინ, როცა სახელი *ენდონიმურია* (ე. ი. *ენდონიმით*, ანუ *თვითწოდებით* იხსენიება).

მაგრამ ქვეყნების სახელები, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ ენაში მოქმედი სპეციფიკური აფიქსებით იწარმოება, რაც უადვილებს ადგილობრივ მცხოვრებთ საკუთარ სახელში ამოიცნოს სათანადო ქვეყნის სახელწოდება. ამ ფუნქციით ქართულში ყველაზე მეტად იხმარება **-ეთ** სუფიქსი. იგი უპირატესად იხმარება თანამედროვე თუ ისტორიული საქართველოს მხარე-კუთხეების სახელთა ფორმანტად: **აფხაზეთი, სვანეთი, იმერეთი, მესხეთი, ჯავახეთი, შავშეთი, კლარჯეთი, ლაზეთი // ჭანეთი, კახეთი, ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთი, ოსეთი...**; ამათ კი, თავის მხრივ, მხარს უჭერდა ანალოგიური გზით კიდევ უფრო წვრილი დასახლებული ობიექტების — დაბებისა და სოფლების — სახელდების პრაქტიკა. ასეთი ოიკონიმებია: **დუშეთი, თიანეთი, კარაღეთი, ტბეთი, წყნეთი, კიკეთი, ბესლეთი, ცხრუკვეთი** და მრავალი სხვა.

ამრიგად, ხატოვნად რომ ვთქვათ, **-ეთ** სუფიქსმა პატარა *სოფლიდან* ამავე ძირისაგან ნაწარმოები დიდი *მსოფლიოსკენ* გადაინაცვლა! ამ სუფიქსით ქართულმა აწარმოვა თითქმის ყველა ახლო თუ შორეული მეზობელი ქვეყნის სახელები, პირველ ყოვლისა, ცხადია, ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებისა: **ჯიქეთი, ჩერქეზეთი, ბალყარეთი, დიდოეთი, ლეკეთი, ხუნძეთი, ჩაჩნეთი, ინგუშეთი, ხაზარეთი, ყალმუხეთი...** თითქმის მთელი ევროპისა და აზიის ქვეყნები ქართულში სწორედ **-ეთ** სუფიქსით გაფორმებული სახით გადმოიცემა: **რუსეთი, ჩინეთი, მონღოლეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, თათრეთი, მორდვეთი, ბაშკირეთი, ჩუვაშეთი, თურქეთი, სომხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდავეთი, ალბანეთი, სერბეთი, ფინეთი, შვედეთი, ესტონეთი, ესპანეთი, ბასკეთი...** ორ შემთხვევაში **-ეთ** სუფიქსს შეერწყმის თავსართი **სა-ც**: **საფრანგეთი** და **საბერძნეთი**. (მათი ანალოგიით არასწორად იხსენიებენ **სომხეთს**, როგორც **სასომხეთს**).

რაც შეეხება საკუთრივ თარგმნას, პირველ ყოვლისა, ითარგმნება:

ა. “წმინდა გეოგრაფიული“ ობიექტის აღმნიშვნელი რთული სტრუქტურის, ჩვეულებრივ, ორსიტყვიანი ტოპონიმები, რომლებშიც

ხშირად მონაწილეობს თავად აღსანიშნი საზოგადო სახელები: **მთა, ქედი, მყინვარი, ზღვა, ტბა, ყურე, უბე, დაბლობი, მაღლობი, ზეგანი, ხეობა, კუნძული, ნახევარკუნძული** და მისთ.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტოპონიმის სანახევრო თარგმნასთან. მაგ., **კავკასიონის ქედი, ურალის ქედი, ბაიკალის ტბა, კასპიის ზღვა** და მისთ.

მთლიანად ითარგმნება ხოლმე ზღვების სახელები, როდესაც მათში მონაწილეობს ამა თუ იმ ფერის აღმნიშვნელი მსაზღვრელი: **თეთრი ზღვა, შავი ზღვა, ყვითელი ზღვა, მეწამული ზღვა**. ჩვეულებრივ კი, ორშემადგენლიანი გეოგრაფიული სახელებიდან ითარგმნება ერთ-ერთი — საზოგადო სახელი (**მთა, ქედი, ზღვა, ტბა** და მისთ.), ან მსაზღვრელი (**დიდი, მცირე / პატარა, ცენტრალური / შუა** და ა.შ.). მეორე კომპონენტი — საკუთარი სახელი — ხან ნათესაობით ბრუნვაში დგას (**ტიბეტის ზეგანი, ოხოტის ზღვა**), ხანაც იხამებს ზომის, ორიენტაციის ან სხვა თვისების აღმნიშვნელ მსაზღვრელს (**დიდი კავკასიონი, მცირე კავკასიონი; შუა აზია, მცირე აზია** და მისთ.)

ბ. იმ ქვეყნებისა და სახელმწიფოთა სახელები, რომლებიც ამა თუ იმ პოლიტიკური გაერთიანების საფუძველზეა წარმოქმნილი, აუცილებლად ითარგმნება. სანიმუშოდ ვასახელებთ რამდენიმე ძირითად სახელმწიფოს:

ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ — USA); დიდი ბრიტანეთი, ანუ გაერთიანებული სამეფო (Great Britain; United Kingdom); სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა (South African Republic)...

ასეთი იყო ახლო წარსულში **საბჭოთა კავშირიც (Soviet Union < Советский Союз).**

გ. მსაზღვრელები, რომლებიც წესისამებრ ითარგმნება, არცთუ იშვიათად ქვეყნის მხარეთა (ნაწილთა) აღმნიშვნელი სახელებია. ეს მსაზღვრელები ხან თვითონ არიან საზღვრულები, ხან კი თავად განისაზღვრებიან საკუთარი მსაზღვრელებით (შდრ.: **შორეული აღმოსავლეთი** და **ახლო აღმოსავლეთი**); ამგვარი სიტყვები უპირატესად თავად გვევლინებიან მსაზღვრელებად: **დასავლეთი ევროპა, აღმოსავლეთი ევროპა; ჩრდილოეთი ამერიკა, სამხრეთი ამერიკა...** (შდრ. ეს უკანასკნელი წყვილი პოლუსების მსაზღვრელებად: **ჩრდილოეთი პოლუსი, სამხრეთი პოლუსი**).

აქ თავს იჩენს ნორმის დარღვევის შემთხვევები. კერძოდ, არცთუ იშვიათად მავანთა ნაწერებში ამ სახის მსაზღვრელები წარმოდგება ოდენ ფუძის სახით: **დასავლეთ ევროპა, სამხრეთ კავკასია** და მისთ. არც ერთ ენაში, რომელშიც კი გამოყენებულია ეს მსაზღვრელი, მოკვეცილი სახით იგი არსად არ გვხვდება; მეტიც, ყველა ენაში, სადაც კი ზედსართავი იბრუნვის, იგი ეთანხმება თავის საზღვრულს

სხვადასხვა ბრუნვაში, ხოლო გრამატიკული სქესის მქონე ენებში — სქესშიც კი: მაგ.: **Западняя Сибирь, (в) Западной Сибири.**

საფიქრებელია, რომ ამ ფორმების წარმოშობა ქართულში უკავშირდება ისეთ პრეცედენტს, როგორცაა **სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი**, რომელიც თავისთავად გრამატიკულად სწორადაა გაფორმებული — ისევე როგორც ხელობა-წოდების აღმნიშვნელი არსებითი სახელი ნათესაობითსა და მოქმედებითში იკვეცს ხოლმე **ი** ხმოვანს (მსგავსად მიცემით-ვითარებითი ბრუნვებისა: **პროფესორ შანიძის, პროფესორ შანიძით; ექიმ ალადაშვილის, ექიმ ალადაშვილით**).

მაგრამ როცა სასაუბრო მეტყველებაში ამ გრძელი სახელწოდების შემოკლების გზით ირღვევა “ადმინისტრაციული” ხასიათის დეფინიცია და ვიღებთ “წმინდა გეოგრაფიულ” დახასიათებას, შემოკლებულ სინტაგმას თვისებრივად შესაბამისი სინტაქსური მექანიზმი უნდა შეეწყოს (სახელობითში დასმული ატრიბუტული, ანუ შეთანხმებული მსაზღვრელი + საზღვრული: **სამხრეთი ოსეთი**), ამ შემოკლების ოპერაციას კი უმართებულოდ შეეწიროს მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან (სახელობით ბრუნვაში). ამის შედეგად სინტაქსურ ურთიერთობად მივიღეთ არა მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვაში (რასაც ამ ადმინისტრაციული ერთეულის გაფორმება ნებისმიერ ენაში იძლევა), არამედ *მირთვა*, რომელსაც, ჩვეულებრივ, იძლევა ზმნიზედური კონსტრუქცია, ანუ ზმნიზედის შემცველი სინტაგმა. განა სინტაგმები — **სამხრეთი პოლუსი, სამხრეთი ამერიკა** და მისთ. შეხამებანი ზმნიზედური სინტაგმებით შექმნილ მირთვის მაგალითებს გვთავაზობს?

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ ზმნიზედიანი სინტაგმა **აქეთ** (ან **იქით**) ვიხედები, რომელშიც უფორმო სიტყვა (**აქეთ / იქით**) ეხამება ზმნას (ვიხედები). მაგრამ შეიძლება ზმნიზედა გადავაქციოთ მსაზღვრელად, თუ მას არსებით სახელს შევუწყობთ: **აქეთა მხარე, იქითა ნაპირი**. როცა ზმნიზედას ხმოვანი /ა/ დაემატა, ამით იგი ატრიბუტულ მსაზღვრელად იქცა, ვინაიდან მხოლოდ ამ ცვლილების შედეგად დაუკავშირდა იგი სახელს. გავიხსენოთ კარგად ცნობილი მხარე ჩვენი აღმოსავლეთი მთიანეთისა: **პირიქითი ხევსურეთი**. ეს მსაზღვრელი ისე ფართოდაა ცნობილი მთაში, რომ ამჟამად საზღვრულის გარეშეც იხმარება.

სწორედ სახელური მსაზღვრელის ფუნქციის მქონეა ი ხმოვანდართული ქვეყნის ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვები და ამ ხმოვნის გარეშე სახელობით ბრუნვაში იგი არც იხმარება. ეს მსაზღვრელი სიტყვები ამ ფორმით სისტემატურად იხმარება ასტრონომიაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში, არქიტექტურასა და ხელოვნებათმცოდნეობაში (**ჩრდილოეთი / სამხრეთი პოლუსები, მთის ჩრდილოეთი / სამხრეთი კალთა, დასავლეთი ნაპირი**,

ეკლესიის / ტაძრის აღმოსავლეთი / დასავლეთი ფასადები, ქვეყნის სამხრეთი საზღვარი...). სხვაგვარად ის სრულფასოვნად ვერ შეასრულებდა გრამატიკულ-სემანტიკურ ფუნქციებს ატრიბუტული მსაზღვრელისას.

რაც მთავარია, ამგვარ შეხამებებში მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობის პრინციპებია დაცული, რაც ასახულია კიდევ მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე ჩვენს კლასიკოს მეცნიერთა ფუძემდებლურ ნაშრომებში. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ამგვარი სიტყვები **-ეთ** სუფიქსით ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული, რასაც თვალსაჩინოდ მოწმობს ვახუშტი ბატონიშვილის “აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელშიც ქვეყნის მხარეთა აღსანიშნავად იხმარება შემდეგი ტერმინები:

აღმოსავალი, დასავალი, ჩრდილო (ან ბლუარი)...

მხოლოდ ოდნავ მოგვიანებით, როცა 1918 წ. თბილისში დაარსდა უნივერსიტეტი, ხოლო მალევე (1921 წ.) შეიქმნა სამეცნიერო ტერმინოლოგიის კომიტეტი **ივანე ჯავახიშვილის** ხელმძღვანელობით, ქვეყნის ნაწილთა აღმნიშვნელი სახელების მსაზღვრელად გამოყენების წესებიც შემუშავდა. ისტორიასა თუ გეოგრაფიაში შექმნილი ყველა იმდროინდელი სახელმძღვანელო (იქნება ის ივ. ჯავახიშვილის “ქართველი ერის ისტორია“ თუ **დავით დონდუას, ლევან მარუაშვილისა** და სხვათა შრომები გეოგრაფიაში) სწორედ ამ წესებს დაექვემდებარა. ეგვივე წესები თანამიმდევრულადაა გატარებული ქართულ ენციკლოპედიაში, განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონების ყველა გამოცემაში, ჩვენს სასკოლო თუ უმაღლეს სასწავლებელთა სახელმძღვანელოებსა თუ კარტოგრაფიულ წყაროებში (რუკებსა და ატლასებში). პრინციპები მწყობრია და ლოგიკურად დასაბუთებული. ამდენად მათი გადასინჯვის საფუძველი არ არსებობს.

შენიშვნა 1. ფუძის სახით აღნიშნული მსაზღვრელები ერთადერთ შემთხვევაში იქნებოდა თავის ადგილას: თუ მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაგმა მთლიანი ზედსართავის მნიშვნელობას შეიძენს, მაშინ ორივე კომპონენტი შეერთდება და კომპოზიტი ფორმას მიიღებს, მსაზღვრელი ნაწილი კი მხოლოდ და მხოლოდ ფუძის სახით უნდა იქნეს გამოყენებული, ასე: **დასავლეთი ევროპა**, მაგრამ: **დასავლეთევროპული ენები** (ცეკვები, ტანსაცმელი და მისთ.).

დ. ქვეყნის მხარეთა აღმნიშვნელი მსაზღვრელები (**სამხრეთი, დასავლეთი** და მისთ.) შეიძლება მდინარეთა სახელებსაც — ჰიდრონიმებსაც განსაზღვრავდეს. ოღონდ განსხვავებული ჰიდრონიმები ოდნავ განსხვავებული ფორმით შეეწყობა ჰიდრონიმებს. ამგვარი მსაზღვრელების საჭიროება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს, თუკი მდინარეებს ერთი და იგივე სახელი ჰქვიათ

და მსაზღვრელებს მათი წარმომავლობის ჩვენება და კალაპოტების გამიჯვნის ფუნქცია ეკისრებათ. ამ შემთხვევაში ქვეყნის მხარეთა აღმნიშვნელი მსაზღვრელები **ნათესაობითში** დადგება. ევროპულ ენებში, მათ შორის რუსულშიც ხმელეთისა და მდინარის მხარეთა აღსანიშნავად მსაზღვრელები ერთი და იმავე ფორმით იხმარება, ქართულში კი ჰიდრონიმები ემიჯნებიან ტოპონიმებს ნათესაობითის ფორმით.

შენიშვნა 2. საინტერესოა, რომ რუსულში გაუმიჯნავია მიწებისა და მდინარეთა სახელები ქვეყნის მხარეთა აღმნიშვნელების მსაზღვრელებად ხმარების მხრივ. შდრ.: **Западняя Сибирь (დასავლეთი ციმბირი), Восточная Сибирь (აღმოსავლეთი ციმბირი)** და **Западняя Двина (დასავლეთის დვინა), Северная Двина (ჩრდილოეთის დვინა).**

ე. ჰიდრონიმებთან დაკავშირებით წამოიჭრა კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ქართველმა ენათმეცნიერებმა წარმატებით გადაჭრეს. საკითხი ეხება ზოგიერთი ქალაქის დუბლეტურ სახელებს. ისინი გამიჯნულია იმ მდინარეების სახელთა მიხედვით, რომლებზედაც მდებარეობს ესა თუ ის ქალაქი. ამ კონტექსტში ანალოგიური საკითხი იდგა გერმანიის ზოგი ანალოგიური ქალაქის სახელწოდების მიმართაც. გერმანულსა და რუსულში დასახელებულია ჯერ ქალაქი და შემდეგ ის მდინარე, რომლის პირასაც მდებარეობს ეს ქალაქი. თანამიმდევრობა ზუსტად ასეთია: ქალაქის სახელი + წინდებული (-ზე) + მდინარის სახელი. იმაგ., გერმანულში: **Frankfurt an Mein**, შდრ. **Frankfurt an der Oder**; რუსულში: **Куйбышев-на-Волге, Комсомольск-на-Амуре**. მაგრამ, რაკი ქართულში თანდებულოვანი სისტემა გვაქვს, და არა წინდებულოვანი, ეს მოდელი სრულიად გამოუსადეგარი იქნებოდა ქართულისათვის - **“ფრანკფურტი მაინზე”** მოუხერხებელ პასუხს მივიღებდით შესაძლო კითხვებზე: სადა ხარ? სად მიდიხარ? პასუხად უნდა მიგვეღო: **ფრანკფურტში მაინზე** – ორსავე წევრზე სადაობის თანდებულთა (-ში, -ზე) დართვით!

ამ სირთულის მოსახსნელად მოიძებნა ოპტიმალური გზა ასეთი მოდელის გამოყენებით: მდინარის სახელი ნათესაობითში + ქალაქის სახელი + სათანადო თანდებული: **მაინის ფრანკფურტში, ოდერის ფრანკფურტში, ვოლგის კუიბიშევში, ამურის კომსომოლსკში** და ა.შ.

ეს პრინციპი ამჟამად საყოველთაოდაა გაზიარებული და, შესაბამისად, ერთიანად გატარებული სხვადასხვა ავტორიტეტულ საცნობარო წყაროში, მათ შორის: ქართულ ენციკლოპედიაში, ორთოგრაფიულ, განმარტებით თუ ორენოვან ლექსიკონებში,

უმადლესი და საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებსა თუ კარტოგრაფიულ გამოცემებში (რუკებსა და ატლასებში).

3. დასასრულ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბუნებრივი ბარიერების — მთებისა და წყლების — გასწვრივ თუ გადაღმა შექმნილი სივრცობრივი ორიენტირების ამსახველი ობიექტების ქართულად გაფორმების წესი. ვგულისხმობთ, პირველ ყოვლისა, ისეთი დიდ სივრცეთა სახელებს, როგორცაა **ამიერკავკასიის** ტიპის მაკროტოპონიმები. მათთვის მარჯვედ იქნა გამოყენებული რამდენიმე ელემენტი: პრეპოზიციური **იმიერ-**, პოსტპოზიციური **-პირეთი** და სუფიქსი **-ეთ**. მათი მეშვეობით გაქართულდა მთელი რიგი დიდი ტერიტორიების სახელწოდებები, რომლებისთვისაც რუსულში გამოიყენება სპეციფიკური ელემენტები (**При-, По-, За-** თავსართები და **-ье** ბოლოსართი). ასეთი მაკროტონიმებია: **Приднепровье, Приднестровье, Поволжье, Прибалтика, Приуралье...** და ქართულად მათ გადმოსაცემად მარჯვედ მიგნებული ქართულად გაფორმებული სახელები, ერთი მხრით: **ურალისპირეთი, ვოლგისპირეთი, დნეპრისპირეთი, დნესტრის-პირეთი, ბალტიისპირეთი...** მეორე მხრით კი — **იმიერბაიკალეთი** და **იმიერკარპატეთი** და მისთ. (შდრ. **Забайкалье, Закарпатье**). ეს გაქართულებული ტოპონიმები მივიღეთ არსებული **ამიერ-კავკასიისა** და **იმიერკავკასიის** ანალოგიით, რომლებიც, თავის მხრივ, განსხვავდებიან დამრქმევთა პოზიციებით, ამ შემთხვევაში სამხრეთის (საქართველოს) მხრიდან ნაგულისხმები ორიენტაციის გათვალისწინებით. შდრ. ჩრდილოეთის (ევროპული) ორიენტაციიდან ამოსვლით შექმნილი მაკროტოპონიმები: **Transcaucasus** და **Закавказье**).

როგორც ვხედავთ, ტოპონიმთა თარგმნის პრაქტიკა არსებითად ბუნებრივი ობიექტების, მოკლედ რომ ვთქვათ, მთა-ქედებისა და დიდი წყლების მიერ შექმნილი სივრცეების სახელთა ხვედრია. დასახლებული პუნქტების — დიდი თუ მცირე ქალაქების სახელწოდებები პრაქტიკულად უთარგმნელია, თუმცა ეს მათი ეტიმოლოგიზების ხელახალ ცდას ხელს არ უშლის.

Shukia Apridonidze

Toponyms and Norms of the Georgian Literary Language
S u m m a r y

Geographical names, such as the names of natural objects or settlements, are one of the most important issues among the normative problems of the literary language. We can highlight the following issues:

1. Names of sides of the country (west, east, etc.) used as adjectives within toponyms and hydronyms;
2. Spatial orientations according to the natural objects (mountains and waters) and their reflection in terminology and macrotoponymy;
3. Georgian names of countries and elements reflecting settlements within the Georgian territory ('from the village to the world');
4. Georgian terms referring to spatial parameters and their normative usage;
5. Issues concerning the translated and untranslated geographical names in complex toponymy.

თეიმურაზ გვანცელაძე

სახელმწიფო ენები საქართველოში (ქართული ენა, აფხაზური ენა): პრობლემები და პერსპექტივები

საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად, “საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე - აფხაზური“. ეს იურიდიული სტატუსი თავისთავად განაპირობებს იმ აუცილებელ ვალდებულებებს, რაც ქართული სახელმწიფოს წინაშე ავტომატურად წარმოიშობა ამ ორი ენის მიმართ.

მართალია, ქართული და აფხაზური ერთმანეთის მონათესავე ენებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც განსხვავდებიან არა მარტო ფონემატურ-ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური სტრუქტურით, არამედ ფუნქციონირების მასშტაბებით, წერილობითი ტრადიციის ხანგრძლივობით, სამწიგნობრო ფუნქციის შესასრულებლად აუცილებელი კომპონენტებითა და თუნდაც მოსახლეობის დამოკიდებულებით მათ მიმართ.

ქართული ენა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სამწიგნობრო ენაა: მასზე დამწერლობა დოკუმენტირებულია არა უგვიანეს V საუკუნის პირველი ნახევრისა, ხოლო აფხაზურ ენაზე დამწერლობა მხოლოდ 1862 წელს შეიქმნა;

ქართულ სამწიგნობრო ენას, ღვთის ნებით, უპირატესად წილად ხვდა არსებობა და ფუნქციონირება კულტურულად განვითარებული დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში. მეტიც, ქართული ტრადიციის თანახმად, თვით ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა ძვ.წ. III საუკუნეში მეფე ფარნავაზის ბრძნული გადაწყვეტილებით პირდაპირ დაუკავშირდა ენობრივ საკითხს — ერთიან სახელმწიფოს ჰაერით სჭირდებოდა ერის გამაერთიანებელი ისეთი მძლავრი იარაღი, როგორცაა ზოგადეროვნული სახელმწიფო ენა, რის გათვალისწინებითაც გააბატონა ქართული ენა მეფე ფარნავაზმა მთელი ქვეყნის მასშტაბით. აფხაზებს (აფსუებს) კი საკუთარი სახელმწიფო არასოდეს ჰქონიათ და საჭიროების შემთხვევაში წერისათვის იყენებდნენ სხვის სამწიგნობრო ენას: ჯერ ქართულს, შემდგომ თურქულსაც, მოგვიანებით რუსულსაც;

მინიმუმ 1600-წლიანი ისტორიის მქონე ქართულმა სამწიგნობრო ენამ განვითარების ვრცელი გზა გამოიარა. ამ დროის განმავლობაში მან გაიღრმავა/ შეიძინა კულტურულად დაწინაურებული ენის ყველა თვისება: სხვადასხვა შინაარსის სათქმელის გამოხატვის განსხვავებული ხერხები და ატრიბუტები (სტილური ვარიანტები) და საშუალებანი (ძირითადი და დამხმარე ორიგინალური ლექსიკა, ნეოლოგიზმები, სპეციალური ტერმინოლოგია, ნასესხობანი).

აფხაზურ სამწიგნობრო ენას კი არსებობის 150 წლის განმავლობაში დღემდე მუდამ არახელსაყრელ პირობებში უხდება ფუნქციონირება. ცარიზმის დროს მის ფუნქციად განისაზღვრა, ერთი მხრივ, რუსული ენის შესათვისებელი დამხმარე საშუალების როლის შესრულება, მეორე მხრივ კი აფხაზთა კულტურული ცხოვრებიდან ქართული სამწიგნობრო ენის განდევნა და ამ უკანასკნელის ადგილას რუსული ენის დამკვიდრება აფხაზი ხალხის საბოლოო გარუსების მისაღწევად. სამწუხაროდ, ეს ფუნქციები აფხაზურ ენას დღემდე შემორჩა.

სახელმწიფო ენის იურიდიული სტატუსი არც ქართულ და არც აფხაზურ ენებს საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებამდე ოფიციალურად არასოდეს ჰქონიათ, მაგრამ წარსულში, როცა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ან არსებობდა ასევე დამოუკიდებელი ქართული სამეფოები, ქართული ენა მაინც წარმატებით ასრულებდა სახელმწიფო ენის ფუნქციას: იგი იყო ოფიციალური საქმისწარმოების, განათლების, ღვთისმსახურებისა და კულტურის ენა, აგრეთვე კავკასიის მასშტაბით გამოიყენებოდა ეროვნებათშორის ურთიერთობის ენადაც. ბუნებრივია, ასეთი ფართო ფუნქციები განაპირობებდა ქართული ენის მაღალ პრესტიჟსაც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ზოგადკავკასიური მასშტაბით. იგივე მიზეზი განაპირობებდა ქართული ენის ცოდნის მოთხოვნილებას უდამწერლობო დედაენაზე მოლაპარაკე აფხაზთა შორისაც.

სახელმწიფო ენის სტატუსი ქართულ და აფხაზურ ენებს ოფიციალურად მიენიჭა საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ, მაგრამ რეალურად ამ სტატუსიდან გამომდინარე ფუნქციებს ეს ენები მეტ-ნაკლები სხვაობით ასრულებდნენ. კერძოდ:

იმის გამო, რომ ქართული ენა საბჭოთა კავშირის “დამფუძნებელი” ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენას წარმოადგენდა, მას უფრო მეტი უფლებებიც ჰქონდა, ვიდრე აფხაზურს, რომელიც ბევრად ნაკლები სტატუსის მქონე, მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ითვლებოდა. 1921-1930 წლებში, ე.ი. მაშინაც კი, როცა აფხაზეთს სრულიად უსაფუძვლოდ ჰქონდა მინიჭებული ხელშეკრულებითი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი, აფხაზური ენა მოკლებული იყო სახელმწიფო ენის ფუნქციების შესრულების შესაძლებლობას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საბჭოთა რეჟიმის დამყარებისას აფხაზური ენისათვის დამწერლობის შექმნის დღიდან გასული იყო სულ რაღაც 57 წელი:

— აფხაზი მოსახლეობის უმრავლესობა ჯერ კიდევ წერა-კითხვის უცოდინარი იყო და აფხაზურ ენაზე მხოლოდ ამ დროისათვის

- იწყებოდა საყოველთაო სასკოლო განათლება;
- დედაენაზე სწავლება ხდებოდა მხოლოდ დაწყებით კლასებში;
 - დისციპლინათა უმრავლესობაში არ არსებობდა სასკოლო სახელმძღვანელოები;
 - არ იყო დადგენილი აფხაზური სამწიგნობრო ენის ნორმები;
 - არ არსებობდა სპეციალური ტერმინოლოგია;
 - არ არსებობდა თარგმნითი და ნორმატიული ლექსიკონები;
 - ძალზე მცირე იყო უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების რაოდენობა. მათ შორის არ მოღვაწეობდა არცერთი პროფესიონალი ენათმეცნიერი;
 - მასწავლებელთა უმრავლესობას არ ჰქონდა საშუალო განათლებაც კი;
 - მოსახლეობის თვალში აფხაზური ენა არ სარგებლობდა პრესტიჟით და ა.შ.

- ვითარება მცირედ შეიცვალა მომდევნო ეტაპებზე:
- იბეჭდებოდა აფხაზურენოვანი წიგნები, მათ შორის სასკოლო სახელმძღვანელოებიც (გარდა საბუნებისმეტყველო და ტექნიკური დისციპლინების სახელმძღვანელოებისა);
 - გაჩნდნენ მასწავლებლები, მწერლები, ჟურნალისტები, მეცნიერები;
 - 1932 წელს დაარსებულ სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1978 წლიდან ეწოდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მზადდებოდნენ სკოლის მასწავლებლები;

მიუხედავად ამ ცვლილებებისა, ენობრივი პოლიტიკა იგივე დარჩა: აფხაზ მოსწავლეს არ ჰქონდა საშუალება, დედაენაზე მიეღო განათლება სკოლის მე-4 კლასის შემოთ, რაც სწირავდა მას გასარუსებლად.

- დღეს, როცა აფხაზეთი რეალურად ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, მაგრამ მსოფლიოს თვალის ასახვევად მას დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ უწოდებენ, დამოკიდებულება აფხაზური ენისადმი რეგიონში პრაქტიკულად არ შეცვლილა. თუმცა საქმის რეალურ არსში ჩაუხედავ კაცს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ამჟამინდელ აფხაზეთში გადაწყვეტილია აფხაზური ენის იურიდიული სტატუსისა და ფუნქციონირების საკითხები. კერძოდ, აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ 1994 წლის 26 ნოემბრის ე.წ. კონსტიტუციაში რეგიონის სახელმწიფო ენად გამოცხადებულია აფხაზური, ხოლო ამ ენასთან ერთად სახელმწიფო დაწესებულებათა ენად დასახელებულია რუსულიც (მუხლი 6), რაც ფაქტობრივად აფხაზური ენის სტატუსის დამცრობას უდრის შემდეგ მიზეზთა გამო:
- აფხაზურ ენას პრაქტიკულად ვერ ფლობს რეგიონის არამცთუ არააფხაზური მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, არამედ თვით აფხაზი მოსახლეობის დიდი ნაწილიც კი;
 - მანკიერი საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირება ხელს

უწყობს აფხაზური ენის, როგორც დედაენის, მცოდნეთა რაოდენობის განუხრელ კლებას და აფხაზური მოსახლეობის რუსიფიკაციას;

— ე.წ. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები არ/ვერ ახერხებენ აფხაზური ენის გამოყენებას ოფიციალური საქმისწარმოების სფეროში;

— რეგიონის მოსახლეობა აფხაზურ ენას არ მიიჩნევს პრესტიჟულ ენად და ამჯობინებს შვილების აღზრდას რუსულ ენაზე, რათა უზრუნველყონ მომავალი თაობის კარიერა და პირადი კეთილდღეობა;

— რეგიონის მოსახლეობის მიერ აფხაზური ენა არ განიხილება არც ეროვნებათმორის ურთიერთობის, მეცნიერებისა და კულტურის ენად;

— საოკუპაციო რეჟიმი ანგარიშს უწყევს რუსეთის ფედერაციის შიშს იმის გამო, რომ აფხაზეთში აფხაზური ენის ფუნქციონირების სფეროთა გაფართოებამ, შესაძლოა, ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს რუსეთის ფედერაციის სუბიექტთა (რესპუბლიკების) ავტოქტონ მოსახლეობაში და წარმოიქმნას საფრთხე ამ სუბიექტთა სატიტულო ეთნოსების მხრიდან მათი დედაენების უფლებების რეალური გაფართოების მოთხოვნისა და ა.შ.

ერთი შეხედვით, საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის ხელისუფლებასა და რეგიონის ფარგლებს გარეთ (მდინარე ენგურის გამოღმა) არსებულ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას არ ავალდებულებს აფხაზური ენის ფუნქციონირების უზრუნველყოფას, მაგრამ თუ საკითხს გულდასმით გავაანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ როგორც **საქართველოს ხელისუფლება, ისე ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ელემენტარულად ვალდებულია, უზრუნველყოს აფხაზური ენის ფუნქციონირება, იცოდეს ეს ენა და იყენებდეს მას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში,** კერძოდ:

1. მოქმედი კონსტიტუციიდან გამომდინარე, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები მოვალენი არიან გამოაქვეყნონ კანონები, ნორმატიული დოკუმენტები და მათი განმარტებანი ქვეყნის იურიდიულ სივრცეში შემავალი რეგიონის მეორე სახელმწიფო ენაზე, აფხაზურზე, რათა ქართულის არმცოდნე დაინტერესებულ აფხაზ მოქალაქეებს, ან აფხაზური ენის მცოდნე სხვა ეროვნების პირებს ჰქონდეთ კონსტიტუციით გარანტირებული პირობები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებისა;

2. ქვეყნის დედაქალაქში მოქმედი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი (ტელევიზიები, რადიოსადგურები, ბეჭდური და ელექტრონული პრესა, საინფორმაციო სააგენტოები) მოვალენი არიან, ყოველდღიურად მიაწოდონ აფხაზურენოვან მოსახლეობას

ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და სხვა სახის მოვლენების, აგრეთვე სამართლებრივი სიახლეების შესახებ;

3. საქართველოს პარლამენტში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, ქვეყნისა და რეგიონის მთავრობაში, სამინისტროებსა და უწყებებში უნდა მუშაობდნენ მთარგმნელ-თარჯიმნები, რომელთა მოვალეობა იქნება ახალი ნორმატიული დოკუმენტების ოპერატიულად მაღალ დონეზე თარგმნა და გამოქვეყნება აფხაზურ ენაზე;

4. ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს უნდა ჰყავდეს პროფესიონალი ანალიტიკოსები და ექსპერტები, რომლებსაც ეცოდინებათ აფხაზური ეთნოფსიქოლოგია, მუდმივად გააანალიზებენ აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებს სხვადასხვა ასპექტით და შეიმუშავენ რეკომენდაციებს ამ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად;

5. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს აფხაზური ენის მაღალ დონეზე მცოდნე კვალიფიციურ სპეციალისტთა, კერძოდ, ენათმეცნიერთა, მთარგმნელ-თარჯიმანთა, ფოლკლორისტთა, ლიტერატურათმცოდნეთა, ეთნოლოგთა, ისტორიკოსთა, პოლიტოლოგთა, კონფლიქტოლოგთა მომზადება ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში...), სადაც პარალელურად უნდა დაარსდეს ახალი აფხაზოლოგიური სამეცნიერო-სასწავლო სტრუქტურები (ინსტიტუტები, ცენტრები), ან განმტკიცდეს აქამდე არსებული ამგვარი ერთეულები და მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის შეიქმნას სათანადო ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

6. სახელმწიფოს დაკვეთით სისტემატურად უნდა მომზადდნენ აფხაზური ენისა და ლიტერატურის პედაგოგები, რომლებიც დასაქმდებიან არა მარტო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სკოლებში, არამედ იმ სკოლებშიც, რომლებშიც მოსწავლეთა და მშობელთა სურვილით შემოღებული იქნება აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლება. მაგალითად, ამგვარი სურვილი არაერთგზის გამოუთქვამთ თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთისა და ბათუმის ზოგ სკოლაში. აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზთა შორის განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები აფხაზი ბავშვებისათვის დედაენის სწავლების საკითხი და თუ საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით გადადგამს პრაქტიკულ ნაბიჯებს, ეს უდავოდ აღქმული იქნება როგორც კეთილი ნება აფხაზური ენისა და იდენტობის გადასარჩენად;

7. დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს საპატრიარქოს

მხრიდან აფხაზური ენის მცოდნე თუნდაც რამდენიმე სასულიერო პირის მომზადებას, რომლებიც ღვთისმსახურებაში გამოიყენებდნენ ამ ენას, რაც უდავოდ მოწონებით იქნებოდა მიღებული აფხაზური მრევლის მხრიდან;

8. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სხვადასხვა დონისა და მოცულობის აფხაზურ-ქართული და ქართულ-აფხაზური ლექსიკონების, აფხაზურენოვანი სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების, ცნობარებისა და სასაუბროების შედგენა-გამოცემის უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან;

9. უნდა განისაზღვროს აფხაზურ ენაში კომპეტენციის დონეები იმ პირთათვის, ვისაც სურს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურებში საჯარო მოხელეებად მუშაობა, შეიქმნას პირობები მათთვის აფხაზური ენის სწავლების უზრუნველსაყოფად, დადგინდეს ვადები აფხაზური ენის მცოდნე კადრების მოსამზადებლად;

10. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ორენოვანი (ქართლ-აფხაზური) საბავშვო წიგნების გამოცემა, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია აფხაზეთში ქართული ენის პოზიციების გამყარება და ა.შ.

ვფიქრობთ, თუ ეს საკითხები გადაწყდება, უზრუნველყოფილი იქნება აფხაზური ენის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი განუყოფელი რეგიონის მეორე სახელმწიფო ენის, სამართლებრივი უფლებების დაცვა და საქართველო არა მარტო აფხაზი მოსახლეობის, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალშიც უეჭველად წარმოჩნდებოდა ვითარცა სახელმწიფო, რომელიც სისხლხორცეულადაა დაინტერესებული თავის ლეგიტიმურ მოსახლეობასთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენით და აფხაზური ენის, კულტურისა და იდენტობის დაცვა-განვითარებით.

Теймураз Гванцеладзе

Государственные языки в Грузии: абхазский язык - проблемы и перспективы

Резюме

Согласно статье 8 конституции Грузии "Государственным языком Грузии является грузинский, а в Автономной Республике Абхазии - и абхазский". С одного взгляда, юридический статус абхазского языка упорядочен и по т.н. конституции абхазии, принятой 26 ноября 1994 г. оккупационным режимом края, согласно которой государственным языком края считается абхазский, но одновременно официальным языком объявлен и русский язык (статья 6). Фактически же документ, принятый оккупационным режимом, узаконил неравное положение абхазского и русского языков в пользу последнего, так как:

1. Абхазским языком не владеет не только большинство неабхазского населения края, но и и большая часть этнических абхазов, особенно молодежь;
2. Функционирование унаследованной от советской образовательной системы т.н. абхазской школы, в которой детям не дается возможность изучать родной язык после начальной ступени, создает угрозу денационализации абхазских детей и исчезновения абхазского языка;
3. Абхазский язык не может конкурировать с русским языком, который считается престижным и более развитым;
4. Как население, так и режим не рассматривают абхазский язык в качестве средства повседневных сношений, официальной мононациональной или же межнациональной коммуникации, языком культуры и науки...

Имеются проблемы и с функционированием абхазского языка и на остальной территории Грузии:

1. На абхазском языке не переводятся и не публикуются нормативные юридические документы, что лишает абхазоязычных граждан страны знать свои права и обязанности, следить за юридическими новшествами;
2. Средства массовой информации общегосударственного масштаба не могут распространять по-абхазски информации о политических, экономических, религиозных, культурных и спортивных событиях;
3. Ни в одном университете, функционирующем за пределами Абхазии, не готовятся грузиноязычные специалисты, владеющие

абхазским языком: языковеды, литераторы, переводчики, этнологи, историки, политологи, конфликтологи, учителя абхазского языка и литературы и т.д. Исключение составляет Сухумский государственный университет, функционирующий в Тбилиси, где с 2008 г. работает Институт абхазского языка и культуры, а с 2009 г. существует бакалаврская программа по абхазской филологии;

4. Официально не решен вопрос о внедрении факультативного обучения абхазскому языку в грузиноязычных школах страны;

5. Не составлены учебники абхазского языка для грузиноязычных школ и т.д.

Думается, что решение на государственном уровне этих проблем обеспечит реальную защиту конституционных прав второго государственного языка Грузии - абхазского.

ეკა დადიანი, მერაბ გვაზავა, რევაზ შეროზია

რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია და საქართველო

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ევროპაში გამოიკვეთა საერთაშორისო ორგანიზაციების ორი მიზანი:

- ისტორიული/ავტოქთონი, მაგრამ ქვეყნის არაძირითადი მოსახლეობის - უმცირესობის - ენის, როგორც ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის, გადარჩენა-განვითარება;
- ქვეყნის არაძირითადი და არაავტოქთონი მოსახლეობის ენობრივი უფლებების დაცვა.

კერძოდ,

1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭომ სტრასბურგში გამოაქვეყნა “ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ”, რომლის მიზანია ისტორიული (ავტოქთონი) უმცირესობის ენის, როგორც იდენტობის განმსაზღვრელი კულტურული ფენომენის, დაცვა.

1992 წლის 18 დეკემბრის (№47/135) რეზოლუციით გაერომ მიიღო დეკლარაცია: “ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებები”.

გაეროს დეკლარაციის საფუძველზე, 1995 წელს ევროსაბჭომ მიიღო “ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა შესახებ” (სტრასბურგი; 01.11.1995). “ჩარჩო კონვენციის” მიზანია არაძირითადი მოსახლეობის - ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობის - ენობრივი უფლებების განსაზღვრა და დაცვა.

“ჩარჩო კონვენციას” ყველა ქვეყანა მიუერთდა, მაგრამ ვნებათაღელვა გამოიწვია პირველმა დოკუმენტმა - “ენის ქარტიამ”, რამდენადაც ეს უკანასკნელი გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს; კერძოდ:

- მასობრივად ჩამოსახლებული მიგრანტების ენისთვის მოცემულ რეგიონში განათლებისა და საქმისწარმოების ენის სტატუსის მინიჭებით შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირება; არის ალბათობა, მიგრანტ ენობრივ საზოგადოებას გაუჩინდეს ავტოქთონი მოსახლეობის უფლებრივი ინტერესები.

- სახელმწიფო ენის რომელიმე განშტოების უმცირესობის ენად გამოცხადებით გაიზრდება რისკები მოცემული ეთნოსის დეზინტეგრაციისა და სეპარატიზმისა.

აღნიშნული საფრთხეების გამო ევროპის სახელმწიფოთა ნაწილი არ მიუერთდა “ენის ქარტიას”; კერძოდ:

- 2012 წლის მონაცემებით, ევროსაბჭოს წევრი 48 ქვეყნიდან 24 სახელმწიფომ მოახდინა “რეგიონული ან უმცირესობის ენების

შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირება (სომხეთი, გერმანია, ფინეთი, რუმინეთი, ესპანეთი, შვედეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი...).

- **9 სახელმწიფომ მხოლოდ ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს** (აზერბაიჯანი, საფრანგეთი, იტალია, რუსეთი...);

ამათგან, აზერბაიჯანი აცხადებს, რომ რატიფიცირებას არ მოახდენს მანამ, სანამ მისი ტერიტორია ოკუპირებულია.

- **15 სახელმწიფოს თავისი პოზიცია საერთოდ არ ჩამოუყალიბებია** (საქართველო, თურქეთი, საბერძნეთი, ლიტვა, ესტონეთი, ბელგია, ლატვია, პორტუგალია...).

“ენის ქარტია“ მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტია; ის იცავს საფრთხის ქვეშ მყოფი ისტორიული ეთნიკური უმცირესობის ენას. ამასთან, “ენის ქარტიაში“ გათვალისწინებულია სეპარატიზმისა და თავსმოხვეული კონფლიქტების რისკები.

ამ თვალსაზრისით არსებითია შემდეგი პუნქტები:

1. **“ენის ქარტია არ მოიცავს მიგრანტთა ენებს“** (მუხლი I, ა, II) და, შესაბამისად, **“ენის ქარტიის“ მიზანი არ არის უმცირესობის ენობრივი უფლებების განსაზღვრა.**

2. **“ენის ქარტია“ არ მოიცავს სახელმწიფო ენას და მის სახესხვაობებს.**

ამ ქარტიით ნაგულისხმევი **“ენები უნდა მკაფიოდ განსხვავდებოდეს იმ ენის ან ენებისაგან, რომელზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს“.**

ქარტიის დებულებები არ ეხება სახელმწიფო ენის ადგილობრივ სახესხვაობებს, თუმცა ქარტია არ განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს გამოხატვის ესა თუ ის ფორმა ცალკე ენად (32-ე განმარტება).

ტერმინი **რეგიონული ან უმცირესობის ენა** გულისხმობს ერთი კატეგორიის, მაგრამ სამი ვარიანტით გამოვლენილ ენას:

1. **რეგიონული ენა** - სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქტონი მოსახლეობის ენა, თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმრავლესობაა მოცემულ რეგიონში (ქარტიის მე-18 განმარტება);

2. **უმცირესობის ენა** - სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქტონი მოსახლეობის ენა, თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმცირესობაა მოცემულ რეგიონშიც (ქარტიის მე-18 განმარტება);

3. **ტერიტორიის არმქონე ენა** - მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები ისეთი ისტორიული მოსახლეობის ენა, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი (36-ე განმარტება).

“ენათა ქარტიაში“ რეგიონი გეოგრაფიული ცნებაა და არა - ადმინისტრაციული; აქ წარმოდგენილი განმარტებანი არ ითვალისწინებს ტერმინ “რეგიონის“ ადმინისტრაციულ საზღვრებს;

კერძოდ, “რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპულ ქარტიამი“ არ იგულისხმება, რომ რეგიონული ენის გავრცელების არეალი უნდა შეესაბამებოდეს “რეგიონის“, როგორც კონკრეტული ადმინისტრაციული საზღვრების მქონე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის, საზღვრებს.

1999 წლის 27 იანვარს საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე აიღო ვალდებულება, რომ 1 წლის ვადაში რატიფიცირებული იქნებოდა ორი საერთაშორისო დოკუმენტი:

1. “კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა შესახებ“;
2. “ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“.

აღებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ 2000 წლის 21 იანვარს ხელი მოაწერა და 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა პირველი დოკუმენტის რატიფიცირება მოახდინა.

დღემდე ხელმოუწერელია მეორე დოკუმენტი, რომლის რატიფიცირებაც უნდა მომხდარიყო 2000 წელს.

ამ კონტექსტში საინტერესოა საქართველოსთვის რეგიონული ან უმცირესობის ენების ის სიები, რომლებიც 2005-2010 წლებში შესთავაზეს საქართველოს მთავრობას; მაგალითად,

ტომაშ ვიხერკევიჩისა და მისი ქართველი თანაავტორების აზრით, საქართველოში რეგიონული ან უმცირესობის ენების კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს 12 ენას:

სომხურსადა აზერბაიჯანულს; ასევე, “რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ მეორე თავის დებულებები უნდა გავრცელდეს “ტერიტორიის არმქონე ენების“: **რუსულის, ბერძნულის, ებრაულის, ქურთულის/იეზიდურის, უკრაინულის, ჩეჩნურის/ქისტურის, ასირიულის, ავარიულის და ე. წ. “უმწერლობო ენების“: მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მიმართ.** ხაზგასმით აღვნიშნავთ:

საქართველოს ენების ამგვარი ჩამონათვალი არ შეესაბამება “ენის ქარტიის ფუნდამენტურ დებულებებს და ამავე დროს ძალიან სახიფათოა საქართველოსთვის. გაუმართლებელია ისედაც დანაწევრებულ ქვეყანაში გამოიყოს ისეთი ადმინისტრაციული რეგიონები, სადაც უმცირესობის ენად გამოცხადდება მიგრანტების ენებიც და ქართველთა დიალექტებიც; ეს კი ნიშნავს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსის არაკანონიერ შეზღუდვას საქართველოს ბევრ რაიონში...

ტ. ვიხერკევიჩის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ენების ჩამონათვალს მხარს უმაგრებს საერთაშორისო ქსელსა თუ ენციკლოპედიებში გავრცელებული არასწორი ეთნოლინგვისტური კვალიფიკაციები და რუკები; მაგალითად:

მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით (2012 წლის მდგომარეობით), საქართველოში არის შემდეგი ენები (ეთნოსები):

აზერბაიჯანელები - 308 000

ასირიელები (აისორები) - 3 000

აფხაზები - 101 000

ბაცბები - 3 420

ბერძნები - 38 000

ლაზები - 2 000

მეგრელები - 500 000

ოსები - 100 000

რუსები - 372 000

სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულს და რუსულს) - 15 000

სომხები - 448 000

ურუმები - 97 746

ქართველები - 3 901 380

ქართველი ებრაელები - 20 000

ქურთები - 40 000

(http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE)

ამგვარი კვალიფიკაციების მიზანი ერთია:

ქართველი ერის დანაწევრებულად წარმოდგენა; საქართველოს ძირითადი მოსახლეობის - ქართველების - სხვადასხვა ეთნოსების კონგლომერატად წარმოდგენა.

როგორც აღინიშნა, „ენის ქარტია“ არ მოიცავს სახელმწიფო ენის სახესხვაობებს; შესაბამისად, ქართველთა საშინაო მეტყველებები (მეგრული, ლაზური, სვანური, წოვა-თუშური, მესხური, გურული...) ვერ შევა „ენის ქარტიის“ რატიფიცირების დოკუმენტისთვის დართულ ენათა ჩამონათვალში.

თუკი „ენის ქარტიის“ პრინციპების უგულვებელყოფით საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაცია ოფიციალურად აღიწერება ე.წ. სამი/ოთხი ქართველური ენის თეორიის მიხედვით და „ენათა ქარტიის“ რატიფიცირების შემდეგ საქართველოს ენათა ჩამონათვალში დაფიქსირდება 2-3 „უმწიგნობრო ქართველური ენა“, როგორც უმცირესობის ენა, ამით ხელოვნურად წახალისდება ქართველთა ეთნიკური სეპარაცია; ძირფესვიანად შეირყევა ქართველი ერის (ეთნოსის) მრავალსაუკუნოვანი ენობრივ-ეთნიკური და ფსიქიკური მთლიანობა.

რაც შეეხება სომხურის, აზერბაიჯანულის, რუსულისა და სხვა ენების სტატუსს:

სომხეთის, რუსეთისა თუ დასავლეთის გარკვეული ძალები ბოლო პერიოდში განსაკუთრებულად აქტიურობენ, რომ საქართველოში

სომხურ ენას მიენიჭოს რეგიონული ენის სტატუსი; აქცენტირებულია სამცხე-ჯავახეთი.

სომხურისთვის საქართველოში რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას მხარს უჭერს ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილიც; მაგ., 2011 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში **ბ-ნი პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, საქართველომ რეგიონული ენის სტატუსი რომ მიანიჭოს სომხურს, ის ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს.**

უნდა აღინიშნოს, რომ:

საქართველოში დამკვიდრებული ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებები დაცულია სახელმწიფოს კონსტიტუციითა და მიღებული კანონმდებლობის რამდენიმე სხვა სამართლებრივი დოკუმენტით; ასევე: “ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების გაეროს დეკლარაციით”.

ამ მიზნითაა შექმნილი ასევე:

- **ოსლოს რეკომენდაციები** ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით (1998 წელი)

<http://www.diversity.ge/files/files/oslo-geo.pdf>.

- **ლუნდის რეკომენდაციები** საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით (1999 წელი) <http://www.diversity.ge/files/files/lund-geo.pdf>

- ევროსაბჭოს **“ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ”** და სხვ.

ასე რომ, საქართველოშიც ბევრი რამაა გაკეთებული უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვის მიმართულებით.

ვფიქრობთ, **უფრო პრობლემურია საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვისა და ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის სწავლების საკითხი!**

საქართველოს ამჟამინდელი რეალური ენობრივი სიტუაციის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას:

საქართველოში ისტორიული, ავტოქთონი (აბორიგენი) ეთნიკური უმცირესობა არ არსებობს; მით უმეტეს ისეთი, რომელსაც გაქრობის საფრთხე ემუქრება. შესაბამისად, მკაცრად თუ დავიცავთ „ენის ქარტიის“ პრინციპებს, საქართველოს შეუძლია ისე მოახდინოს „ენის ქარტიის“ რატიფიცირება, რომ **საერთოდ არ გააკეთოს რეგიონული ან უმცირესობის ენების ჩამონათვალი**, ან არ ამოქმედოს ქარტიის მესამე ნაწილი (ამის საფუძველს იძლევა “განმარტებითი მოხსენების“ 42-ე და 49-ე პუნქტები).

“ევროპული ქარტიის“ ფუნდამენტურ დებულებებს თუ გავითვალისწინებთ, **საქართველოში დასაცავია საქართველოს სახელმწიფო ენა ეთნიკური უმცირესობებით - სომხებითა და აზერბაიჯანელებით - დასახლებულ რაიონებში**, სადაც ჩვენს

უმცირესობებს სრულფასოვანი ცხოვრების ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

“ქარტია“ არ არის იმპერატიული ხასიათის დოკუმენტი; ის სახელმწიფოს მმართველებს არ ზღუდავს სტანდარტული მოთხოვნებით; არ აიძულებს მათ, განახორციელონ **ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებები**. პირიქით, “ქარტიაში“ მითითებულია: რეგიონული ან უმცირესობის ენების დაცვამ და წახალისებამ **ზიანი არ უნდა მიაყენოს ოფიციალურ (სახელმწიფო) ენებსა** და მათი შესწავლის აუცილებლობას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში კონსტიტუციითაა დაცული **აფხაზური ენა, როგორც სახელმწიფო ენა** აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ქართულთან ერთად).

დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, აფხაზებს სხვა სამშობლო, საქართველოს გარდა, არ გააჩნიათ, შესაბამისად, ჩვენი სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას აფხაზი ხალხის ენა და კულტურა; თუმცა, სანამ აფხაზეთი ოკუპირებულია, შეუძლებელია საქართველოს მიერ გადამჭრელი ზომების მიღება.

დღეს აფხაზურ ენას უფრო დიდი საფრთხე ემუქრება, ვიდრე ოდესმე.

საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნების შემთხვევაში, “ქარტიის“ მეორე ნაწილი შეიძლება ამოქმედდეს დიდი საფრთხის ქვეშ მყოფი **ასირიული და უდიური ენების** მიმართ, რომლებსაც, დღევანდელი ვითარების მიხედვით, სხვაგან არსად აქვს გადარჩენა-განვითარების პერსპექტივა.

რამდენადაც “ქარტია პრეროგატივას ანიჭებს ქვეყნის ხელისუფლებას, დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით თავად განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ ენას მიენიჭება დამოუკიდებელი ენის სტატუსი“, ამდენად, არსებობს რეალური საფუძველი, საქართველომ დაადასტუროს “ენის ქარტია“ ინგლისსა თუ ფინეთში ჩამოყალიბებული პრინციპების მიხედვით.

ჩვენ, როგორც სპეციალისტები, ხელისუფლებას ვთავაზობთ შემდეგ რეკომენდაციას:

“ენის ქარტიის“ რატიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც **კონსტიტუციურ ფარგლებში სრულად აღდგება საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირება და ადეკვატურად გაანალიზდება საქართველოს ეთნიკურ-ენობრივი სიტუაცია**.

Eka Dadiani, Merab Gvazava, Revaz Sherozia

‘European Charter on Regional and Minority Languages’ and Georgia

S u m m a r y

‘European Charter on Regional and Minority Languages’ is a significant international document the aim of which is the protection of ‘European historical regional or minority languages; it encourages the protection and development of the European cultural treasure and traditions’.

Charter does not refer to varieties (dialects) of the state language and the language of the migrants. Therefore, it does not refer neither to the so called ‘Kartvelian languages’ (Megrelian-Laz and Svan), nor to Armenian, Azeri, Russian, Greek, Ukrainian and other languages.

There is no historical, autochthonous ethnic minority in Georgia, especially the endangered one. If we strictly follow the principles of the ‘Language Charter’, Georgia can ratify the ‘Charter’ without listing regional and minority languages.

We regard that the ratification of the ‘Language Charter’ will be possible once the Georgian ethnic-linguistic situation is analyzed and the status of languages in the country is appropriately defined.

ნათია იაკობიძე

**სინარულის კონცეპტი
ქართულსა და გერმანულ ენებში**

ჩემი ენის საზღვრები განსაზღვრავს ჩემი
სამყაროს საზღვრებს (ვიტგენშტაინი, 2003:118)

სხვადასხვა ხალხის მიერ სამყაროს აღქმა და შემეცნება განსხვავებულია. ეს განსხვავება ყველა ენაში თავისებურად აისახება. თითოეული ენა ინდივიდუალური სამყაროა. იგი ადამიანის გონითი კულტურის უმთავრესი ფორმაა.

ყოველ ერს თავისი ენობრივი მსოფლხედვა გააჩნია. თითოეული ადამიანის მსოფლხედვა დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელსაც ფლობს. ეს დიდი გერმანელი მოაზროვნის - ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის გენიალური მიგნებაა. სხვადასხვა ენა სხვადასხვა მსოფლხედვას ნიშნავს (ჰუმბოლდტი, 1996:64). ენა განსაზღვრავს არა მხოლოდ მსოფლმხედვას, არამედ ეთნოსის, ერის ეროვნულ ცნობიერებას. ენის მსოფლხედატი ენისა და ერის შინაგანი ურთიერთობის საფუძველზე აღმოცენდება. “ენობრივი მსოფლხედატი ყალიბდება ბავშვობის ასაკიდან და ისე ბუნებრივად ფუნქციონირებს, რომ მისი არსებობის ... შესახებ კითხვაც არ დაისმის. გაგებინების ერთიანობა მსოფლხედატის ბუნებრიობას ემყარება და თანაც არა მხოლოდ გარეგან ფორმას გაგებინებისა, ვთქვათ, მეტყველებით კომუნიკაციას, არამედ უფრო ღრმა შრეებს და უზრუნველყოფს ერთიანობას ისტორიულ-კულტურულ შემოქმედებაშიც“ (რამიშვილი, 2002: 12).

ჰუმბოლდტი ენის სამ მიზანს გამოყოფს:

1. ის გაგებინების საშუალებაა და მოითხოვს სიცხადესა და განსაზღვრულობას;
2. ის გრძნობას გამოხატავს, გრძნობას იწვევს და მოითხოვს სიძლიერეს, სინაზესა და მოქნილობას;
3. ის წარმოქმნის აზრებს თავისივე შექმნილი ფორმის საშუალებით, რომლითაც ის აზრებს აფორმებს და მოითხოვს, რომ გონის ფორმა, როგორც მისი შემოქმედების ნაკვალევი, სიტყვებში აისახოს (ჰუმბოლდტი, 1996: 76).

ენის შესწავლის მიზანს, გურამ რამიშვილის მიხედვით, წარმოადგენს “შეთვისება ენობრივი ფორმით მოტანილი მსოფლხედვისა“ (რამიშვილი, 2002: 44).

ერების თავისებურება და ისტორია ენაში აისახება, კერძოდ, ენის ლექსიკაში (ჰუმბოლდტი, 1996:67). სიტყვა არ არის გარეენობრივი ფაქტის ან მზა ცნების მხოლოდ ბგერითი ანაბეჭდი. სიტყვა აღნიშნავს არა საგანს თავისთავად, არამედ გონებრივად გადაამუშავებულს.

სხვადასხვა ენა საგნის სხვადასხვაგვარი აღნიშვნა კი არაა მხოლოდ, არამედ საგნის სხვადასხვაგვარი ხედვა.

სამყარო ადამიანს უშუალოდ არ ეძლევა. იგი გაშუალებულია და გამაშუალებელ ფაქტორთა შორის ენას უპირველესი ადგილი უჭირავს. გაენოვნების პროცესი ანუ სამყაროს გარდაქმნა არის “პიროვნებიდან გატანა გრძნობად შთაბეჭდილებათა და მათი გაობიექტურება გასხვისების გზით” (რამიშვილი, 1995:60). ენა გადმოსცემს ადამიანის პოზიციას საგნების მიმართ და ამგვარად თვით საგნებს. შესაძლოა ითქვას, რომ “ენა არის ობიექტურ აზრს მიახლოებული ადამიანი... ენა ინდივიდის მიმართ, მართალია, ობიექტურია, მაგრამ გარე სინამდვილის მიმართ სუბიექტური” (რამიშვილი, 1995:60). იმისათვის, რომ ენაში გავარჩიოთ სუბიექტური და ობიექტური, უნივერსალური და სპეციფიკური, საჭიროა ენათა შედარება.

“ძირითადი სიმძიმე სამყაროს გაენოვნებისა მნიშვნელობებს აწევს. ეს, პირველ რიგში, არის ლექსიკა. სადაც ათეულათასობით მოქმედ ერთეულს (სიტყვებს) სინამდვილის მოვლენები ენაში გადმოაქვს, აქცევს რა მათ ცნობიერების ობიექტებად” (რამიშვილი, 2002:35).

ენის სემანტიკური “დანაწევრების გაგება ძნელია დანახულიყო სხვა ენის არსებობის ფაქტის გათვალისწინების გარეშე” (რამიშვილი, 1995:53).

სხვადასხვა ენისთვის დამახასიათებელია განსხვავებული მნიშვნელობითი დანაწევრება. გ. რამიშვილის მიხედვით, ვინაიდან არცერთ ენაში არ გვეძლევა საგანი მთელი სისრულითა და მრავალწახნაგობით, მხოლოდ ენათა ნაირგვარობის ფაქტის გააზრებით არის შესაძლებელი საგნის განსხვავებულ ასპექტებთან მიახლოება (რამიშვილი, 2002:38; რამიშვილი, 1995:11). იგი მიიჩნევს, რომ “ენობრივი განყოფილება და ენობრივი კოლექტივის ნაირგვარობით კაცობრიობამ თითქოს თავიდან აიცილა რომელიმე ერთი ენით დეტერმინირებული სუბიექტურობა და ამით მოსალოდნელი ცალმხრივობა” (რამიშვილი: 2002:38).

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარება ენის მანქანური დამუშავების შესაძლებლობას იძლევა. ენის ლინგვისტური კორპუსის შექმნა უზრუნველყოფს ლექსიკონების შექმნას და მნიშვნელოვანია აგრეთვე ენის სტატისტიკური კვლევისას. ენის კორპუსის შექმნისას დიდი მნიშვნელობა აქვს მის სემანტიკურ დონეს.

ყოველი ენა თავისი სემანტიკური სტრუქტურით გამოირჩევა. ლექსიკა-სემანტიკის აღწერისთვის საკმარისი არაა მხოლოდ სიტყვათა მნიშვნელობების მთლიანი კომპლექსის აღწერა. ენის კორპუსის შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს ენის თავისებურება.

მსგავსება-განსხვავება ენებს შორის დამოკიდებული არაა გენეტიკურ ნათესაობაზე და იგი ენის ყველაზე მნიშვნელოვან და ზოგად თვისებებშია საძებნი.

ენათა შედარება, გურამ რამიშვილის მიხედვით, შეუძლებელია, თუ მივიჩნევთ, რომ

1. ენათა შორის განსხვავება აბსოლუტურია (აბსოლუტური რელატივიზმი);
2. ყველა ენა ერთსა და იმავეს გამოთქვამს (აბსოლუტური უნივერსალიზმი) (რამიშვილი, 1995: 156).

“ენერგეტიკული შედარებითი ენათმეცნიერება არა მარტო ენების, არამედ ენით ორგანიზებული ერების შედარებას გულისხმობს, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა არა მარტო ხალხებისა და ენების თანაბრობის პრინციპს, არამედ ერთი ხალხის მიერ მეორის ღირებულებათა სისტემის გაცნობას და სათანადოდ დაფასებას, მათი უფლებების ცნობას, ოღონდ არა დეკლარირებულად, არამედ ეთიკური აუცილებლობის ნიშნით“ (რამიშვილი, 2002:170).

ენები ერთმანეთისაგან, უპირველეს ყოვლისა, ემოციების სფეროში განსხვავდება. ემოცია ზოგადადამიანური უნივერსალია, მაგრამ მისი ასახვა ენაში ნაციონალურ-სპეციფიკურია. ამის გამო ენის სემანტიკის ემოტიური კომპონენტი უნდა განიხილებოდეს მის კულტურულ ასპექტებს შორის. ემოციების მეცნიერული ანალიზი შეუძლებელია ეთნოფსიქოლოგიის, ეროვნული ხასიათის თავისებურებების, ეროვნული კულტურის გათვალისწინების გარეშე.

ქართულსა და გერმანულ ენებში ემოციების გამოხატვის ენობრივი მექანიზმის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ემოციების შესახებ თეორიული კვლევების გასამდიდრებლად, ისე სამყაროს ქართულენოვანი და გერმანულენოვანი სურათის წარმოსაჩენად.

“ხალხის კულტურის ძალიან მგრძობიარე მაჩვენებელია ლექსიკა. მნიშვნელობის ცვლილება, ძველი სიტყვების ამოვარდნა, ახალი სიტყვების შექმნა და სესხება - ეს ყველაფერი დამოკიდებულია თვითონ კულტურის ისტორიაზე. ენებს შორის დიდი განსხვავებაა მათი ლექსიკის ბუნების თვალსაზრისით“ (სეპირი, 2005: 42).

მნიშვნელობის შესწავლა ისტორიული თვალსაზრისით გულისხმობს სიტყვათა მნიშვნელობების ცვლის შესწავლას, მის აღწერასა და კლასიფიკაციას. “ლექსიკური მარაგი ყველაზე მეტად განიცდის სოციო-კულტურული ფაქტორების ზემოქმედებას. ლექსიკა პირდაპირ ასახავს სოციალურ ყოფას. უმეტესად სოციალურ-კულტურულ ფაქტორებთანაა დაკავშირებული ენის გამდიდრება და ლექსიკური ერთეულების პასიურ მარაგში გადასვლა ან ენიდან გაქრობა“ (ბახტაძე, 2010 :48).

ჩვენი ინტერესის სფეროს ამჯერად წარმოადგენს სიხარულის ემოციის აღმნიშვნელი სიტყვები ქართულსა და გერმანულ ენებში.

სიხარულს განიხილავენ, როგორც ძირითად საბაზისო ემოციას (იზარდი... 2000: 253). შესაძლოა უნივერსალურად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ყოველ ენაში არსებობს სიხარულის გამომხატველი ლექსიკა, მაგრამ თვით სიხარულის გამომხატვა და შეფასება სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია.

სიხარულის ეტიმოლოგიური ინფორმაცია:

*ხარ (ჩიქობავა, 2008:405);

*ხი (ფენრიხი, 2000:700);

*ხიად (კლიმოვი)

სიხარულის გამომხატველ ლექსიკაში გამოიყოფა სამი ძირი: ხარ, ხიარ, ხალ.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში *სიხარული* შედგენიარადაა განმარტებული: “გრძნობა, რომელსაც იწვევს სასიამოვნო რამ, - სიამოვნების, კმაყოფილების განცდა, მხიარული განწყობილება“ (ქეგლ, 1986: 411), ხოლო მხიარულება განმარტება როგორც “მხიარულად, კარგ გუნებაზე ყოფნა; დროის ტარება, გართობა“ (ქეგლ, 1986:348).

სულხან-საბა ორბელიანი *სიხარულს* შემდეგნაირად განმარტავს: “ესე არს ყოვლის ჭმუნვისაგან თავისუფლება“ (ორბელიანი, 1993:100).

ძირითადი სემანტიკური მიმართულებები:

სიხარულის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში შემდეგი ერთეულები ერთიანდება: *სიხარული, სახარული, სახარულევანი, გამხარებელი, ვასახარი, ვასახარელი, ვასახარებელი, გაუხარებელი, გაუხარელი, გახარება, მიხარება, მიმხარებელი, მისახარებელი, მოხარული, უსიხარულო, სახარებელი, სასიხარულო, სახარება, ხარება, განხარება, გულმხიარული, ჭკუამხიარული, გამამხიარულებელი, გამხიარულება, გამხიარულებული, ვასამხიარულებელი, მხიარული, მხიარულება, სიმხიარული, შემხიარულება, შემხიარულებული, ხალისობა, ხალისიანობა, ხალისი, ხალისიანი, გამახალისებელი, გახალისება, გახალისებული, მოხალისე, მოხალისეობა, სახალისო, სიხალისე, წახალისება, წახალისებული, წამახალისებელი.*

სიხარულის მნიშვნელობა ძველ ქართულში უფრო ფართო იყო. სულიერი სიხარულის გარდა ის აღნიშნავდა ასევე ღმერთს, მხიარულებას. ილ. აბულაძე *სიხარულს* განმარტავს როგორც მხიარულებას, ღმერთს, წვეულებას, განსაცხრომელს (აბულაძე, 1973: 398).

ძველ ქართულში *მხიარულება* და *სიხარული* ერთმანეთის სინონიმებადაც კი გამოიყენებოდა:

“და აწ სულითა ბრწყინვალენი იხარებენ დაუსრულებელსა ნათელსა შინა და მარადის ჩვენთვის მეოხებასა ჰყოფენ განმხიარულებულნი ქრისტეს აღთქმულთა მოღებთა, რამეთუ შრომათა მათთა წილ მიუღებეს სიხარული და მხიარულება“

უოხზნოდ, მოუკლებელი და გამოუთქმელი ცათა შინა“ (მერჩულე, 1987: 525).

შემდგომში მხიარულების მნიშვნელობა შეიცვალა და იგი დაუკავშირდა კოლექტიურ სიხარულს, გართობას, ხოლო სიხარული უფრო ინდივიდის შინაგანი მდგომარეობის გამომხატველი გახდა.

ვეფხისტყაოსანში *სიხარული* და *ლხინი* გვხვდება როგორც სინონიმები:

მიბრძანა: «ჩემთვის ესე დღე ლხინი და სიხარულია.
გარდავიხადოთ ქორწილი, ხამს ვითა დასა, სრულია;
კაცი გავგზავნოთ, მოიღონ ყოვლგნით საჭურჭლე სრულია,
უხვად გავსცემდეთ, ვავსებდეთ, სიძუნწე უმეცრულია“
(რუსთაველი, 1988: 117).

ლხინი სულხან-საბას განმარტებული აქვს როგორც მხიარულად გახარება, სმა-ჭამით და სიმღერით სიხარული. (ორბელიანი, 1991:) ქეგლში *ლხინი* განმარტებულია როგორც “დაკვრა-სიმღერა და ცეკვა-თამაში (ბევრის მონაწილეობით); მხიარულება, დროის ტარება, ქეიფი“ (ქეგლ, 1986: 279).

ხარ ფუძიდან არის ნაწარმოების სიტყვა *ხარება*, რაც აღნიშნავს სასიამოვნო ამბის ცნობებას, მიხარებას, რელიგიურ დღესასწაულსა და მცენარის გაზრდას:

ხარება	Mitteilung einer hohen Botschaft
	Anbau (Pflanzen)
	Maria Verkündigung

ქართულში სიხარულითაა მოტივირებული ისეთი რელიგიური ტერმინები როგორიცაა სახარება და ხარება. სახარება ეწოდება წმინდა წიგნს, რომელიც მოგვითხრობს იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებ. ხარება აღნიშნავს რელიგიურ დღესასწაულს, დღეს, როდესაც გაბრიელ მთავალანგელოზმა მარიამ ღვთისმშობელს ახარა, რომ მისგან იშვებოდა იესო ქრისტე.

სიხარულით აღნიშნავენ არა მხოლოდ გრძნობას, არამედ რაც ან ვინც ამ გრძნობას იწვევს (ქეგლ, 1986: 411).

ხალისი, მხიარული განწყობილების გარდა, აღნიშნავს მონდომებას, რამის გაკეთების სურვილს (ქეგლ, 1986: 574).

სიხარული, მხიარულება ქართულში დაკავშირებულია ჭკუასთან - ჭკუამხიარული, რაც ნიშნავს უჭკუოს, ჩერჩეტს. ასევე გულთან - გულმხიარული, რაც დადებითი კონოტაციის შემცველია და გულღიას, მხიარულს ნიშნავს.

აღსანიშნავია გამოთქმა სიხარულის ცრემლი - “მაშინ აღდგა სიხარულისა ცრემლითა საესეა“ (მერჩულე, 1987: 541).

არსებობს მყარი სიტყვათშეხამება - სიხარულით საცხე, სიხარულით აღივსო, მაგრამ ვერ ვიტყვით მხიარულებით საცხე, მხიარულებით აღივსო:

“და აწ სიხარულითა საცხე ვარ და ძღვნად შევსწირავ ლოცვასა“ (მერჩულე, 1987: 545).

შეთრობის მნიშვნელობით გვხვდება ძველ ქართულში *ღვინით გამხიარულება*: “და პურის ჭამასა შინა, რაჟამს განმხიარულდა გვარამ ღვინითა, მაშინ ეპისკოპოსთა მათ ერთობით თქვეს . . .“ (მერჩულე, 1987: 589).

ქართულში *სევდის უკუყრა* ნიშნავს *გამხიარულებას; სევდა-გაძებული - გამხიარულებულს*.

აღტაცება, სიხარული ძველ ქართულში გამოიხატებოდა ლექსიკური ერთეულით ფრფენა. ფრფენვას სულხან-საბა განმარტავს როგორც “გუნების სიხარულს“ (ორბელიანი, 1993:).

შენს გახარებას! არის მიმართვა, რომელიც გამოიყენება რაიმეს თხოვნისას.

ლხინი ქართულში გულისხმობს კოლექტიურ სიხარულს, რაც დაკავშირებულია საზოგადოებრივ მოვლენასთან, იქნება ეს ქორწილი, დაბადების დღე თუ სხვა. მხიარულება დროს ტარებასთან, გართობასთან ასოცირდება. სულხან-საბა ორბელიანი მხიარულს განმარტავს, როგორც “გონებით გახარებული“ (ორბელიანი, 1991: 552). ხოლო სიხარულით გამოიხატება, ერთი მხრივ, ადამიანის განცდა, ხოლო, მეორე მხრივ, გართობა. ამგვარად შესაძლოა ითქვას, რომ ქართულში სიხარულის გამოხატვა საზოგადოებრივ ასპექტზეა ორიენტირებული.

გერმანულში *სიხარული* გამოიხატება ლექსიკური ერთეულით *Freude*.

ეტიმოლოგიური ინფორმაცია:

Freude feuern და *froh* სიტყვების განზოგადებულ სახელს წარმოადგენს, ძველ გერმანულში *frewida*, *frewida*, საშუალო გერმანულში *vriude*, *vroide*, *vreude* (კლუგე, 2002:316).

ებენჰარდი მიიჩნევს, რომ *froh* ძირი ახლოსაა *Freude*-სთან და მისგან უნდა მომდინარეობდეს როგორც ხმოვანებით (*Klange*), ისე მნიშვნელობით (ებენჰარდი, 1850: 381).

ძირითადი სემანტიკური მიმართულებები:

ღუდენში *Freude* შემდეგნაირადაა განმარტებული: *ამაღლებული განწყობა, მხიარულება და ბედნიერება* (ღუდენი, 1988: 435).

ლექსიკური ერთეულის *Freude* ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში შემდეგი ერთეულები ერთიანდება: *Freude*, *freudig*, *Freudigkeit*, *freudlos*, *freudelos*, *freudeleer*, *Freudlosigkeit*, *erfreulich*, *unerfreulich*, *erfreulichweise*, *freudestrahlend*, *freudetrunken*, *freudevoll*, *freudenvoll*, *freudenreich*, *freudenarm*, *Freudenbotschaft*, *Freudenfest*, *Freudenfeuer*,

Freudenschrei, Freudenruf, Freudengeheil, Freudenmahl, Freudenbecher, Freudenausbruch, Freudengeschrei, Freudenhaus, Freudenmädchen, Freudenmädchenhaus, Freudensprung, Freudentanz, Freudentag, Freudenrausch, Freudentaumel, Freudentränen, Vorfreude, Arbeitsfreude, Gaumenfreude, Lebensfreude, Schadenfreude, Schaffensfreude, Siegesfreude, Sinnenfreude, Mutterfreuden, Vaterfreuden, erzählfreudig, Erzählfreudigkeit, experimentierfreudig, gebefreudig, kontaktfreudig, sangesfreudig, gebefreudigkeit, Kontaktfreudigkeit.

გერმანულში **Freude** (სიხარული) დაკავშირებულია ადამიანის შინაგან სამყაროსთან, მის ხასიათთან, მის სულიერ მდგომარეობასთან.

რიგ სიტყვებში **freudig** წარმოადგენს ძირითად კომპონენტს და აქვს რაღაცის მიმართ სიხარულის ქონის, რაღაცის სასიამოვნოდ კეთების, მზადყოფნის მნიშვნელობა: **erzählfreudig, Erzählfreudigkeit, experimentierfreudig, gebefreudig, kontaktfreudig, sangesfreudig, Gebefreudigkeit, Kontaktfreudigkeit.**

მე-18 საუკუნეში ფრანგულის გავლენით შეიქმნა კალკი **Freudenmädchen (fille de joie)**, რაც აღნიშნავდა მეძავს. **Freudenhaus** არის **Freudenmädchenhaus**-ის შემოკლებული ვარიანტი და *ბორდელს* ნიშნავს. მისგან უნდა განვასხვავოთ **Freudenhaus**, რაც საშუალო გერმანულში (**vroudenhaus**) სიხარულით სავსე სახლს ნიშნავდა, **Trauerhaus**-ის საპირისპიროდ (კლუგე, 2002: 316).

სასიამოვნო გრძნობა გერმანულში გამოიხატება შემდეგი ლექსიკური ერთეულებით: **Ergötzen, Entzücken, Vergnügen, Wohlfallen, Freude, Lust, Wollust, Wonne, Heiterkeit.**

Freude აღნიშნავს სიხარულს, რომელსაც თვით ინდივიდი განიცდის. **Freudigkeit** გამოხატავს მდგომარეობას, როდესაც ადამიანი სიხარულს განიცდის.

სუფთა, მთელი გულით განცდილ შინაგან სიხარულს უწოდებენ **Wonne**-ს. ებენჰარდი აღნიშნავს: “რადგან ჭკვიან ადამიანს არ უნდა ახასიათებდეს სიხარული (**Freude**), რომელიც მორალს, ზნეობას აზიანებს, ამიტომ არსებობს ტერმინი **Wonne** (ნეტარება, სიამე, ტკბობა), რომელიც გამოხატავს ზნეობრივ გრძნობას, რომელსაც ახასიათებს უცოდველობა ... ცხოველებისათვის დამახასიათებელია **Freude** და არა **Wonne**. სულიერ სიხარულს უწოდებენ **Wonne**-ს, **Himmelwonne**-ს“ (ებენჰარდი, 1850: 309).

Entzücken გამოხატავს დიდ სიხარულის, როდესაც ადამიანი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის.

lust მომდინარეობს სიტყვიდან los (frei von Gebundenheit) და გამოხატავს თავისუფლად გამოხატულ სიხარულს (ებენჰარდი, 1850: 310).

Fröhlichkeit უფრო ძლიერ სიხარულს გამოხატავს და ხშირად იმ ადამიანს მიემართება, რომელშიც სიხარულის გრძობა ხშირად იჩენს თავს.

Lustigkeit მათგან იმით განსხვავდება, რომ გამოიხატება იმ მოქმედებებით, რომლებიც სიცილის გამოიწვევია.

გერმანულში მხიარული გადმოიკვება ორი სიტყვით: fröhlich და lustig. ებენჰარდის (ებენჰარდი, 1850: 381) ლექსიკონში ვკითხულობთ: Die Fröhlichen tanzen, singen und scherzen. Die Lustigen treiben Spass, erzählen Schwänke, lecken sich, und werden bisweilen niedrig und ressen Possen.

უფლის აღსანიშნავად გამოიყენებენ სიტყვას fröhlich. lustig უფალთან მიმართებით შეუსაბამოა. ასევე სამეფო ნადიმის დროს ამბობენ, რომ Fröhlichkeit (მხიარულება) მეფობს, მაგრამ არა Lustigkeit (ებენჰარდი, 1850: 381).

Freude და Freudigkeit ადამიანის შინაგან სიხარულს გამოხატავს, ხოლო Fröhlichkeit და Lustigkeit - კი უფრო გარეგანს.

ქართულში სიხარულის გამოხატვა კონცენტრირებულია საზოგადოებრივ ასპექტზე, ხოლო გერმანულში ყურადღება მიემართება ინდივიდის შინაგან განცდას და გამოხატვის ფორმას.

ქართულში სიტყვათა სემანტიკური ველის კვლევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს უნდა იყოს საფუძველი ლინგვისტური თარგმანისა. შედარება სხვა ენასთან მნიშვნელოვანია ორენოვანი ლექსიკონისათვის, ასევე შედარებისას წარმოჩნდება თითოეული ენის თავისებურება.

დამოწმებული ლიტერატურა:

აბულაძე, 1973 - ილია აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ. 1973.

ბახტაძე, 2010 - დალი ბახტაძე. ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძვლები. გერმანული და ქართული ენების სტრუქტურა. გამომცემლობა „მწიგნობარი“. თბილისი. 2010

დუდენი, 1988 - Duden. Deutsches Universal Wörterbuch. Dudenverlag. Mannheim/Wien/Zürich. 1988

ებენჰარდი 1850 - Ebenhard, Maass und J. G. Gruber. Deutsche Synonymik. Leipzig. Verlag von Johann Ambrosios Barth. 1850

- ვიტგენშტაინი, 2003** - Ludwig Wittgenstein. Tractatus Logico Philosophicus. Barnes & Noble Publishing. 2003 <http://books.google.ge/>
- იზარდი., 2000** - Carol E. Izard, Brian P. Ackerman – Motivational, Organizational and Regulatory Functions of Discrete Emotions. Handbook of Emotions. Edited by Michael Lewis and Jeannette M. Haviland-Jones. The Guilford Press. New York. London. 2000. 253-264
- კლუგე, 2002** - Kluge. Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache. Walter de Gruyter. Berlin/New York. 2002
- მერჩულე, 1987** - გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული მწერლობა. თბილისი. გამომცემლობა "ნაკადული". 1987. გვ. 524-638
- ორბელიანი, 1991-1993** - ს.-ს. ორბელიანი. სიტყვის კონა. თბილისი. I 1991. II. 1993
- რუსთაველი, 1988** - შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ქართული მწერლობა. V ტომი ნაკადული. თბილისი. 1988
- რამიშვილი, 1995** - გ. რამიშვილი. ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1995
- რამიშვილი, 2002** - გ. რამიშვილი. დედაენის თეორია. თბ., 2002
- სეპირი, 2005** - ედუარდ სეპირი. კულტურა, ენა და პიროვნება. თბილისი. გამომცემლობა უნივერსალი . 2005
- ფენრიხი. . . 2000** - ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2000.
- ქეგლ, 1986** - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბილისი. 1986
- ხუცესი, 1987** - იაკობ ხუცესი. შუშანიკის წამება. ქართული მწერლობა. თბილისი. გამომცემლობა ნაკადული . 1987. გვ. 224-243
- ჰუმბოლდტი, 1996** - Wilhelm von Humboldt. Werke in fünf Bände. Band 3. Schriften zur Sprachphilosophie. Herausgeben von Andreas Flitner und Klaus Giel. J.G. Cotta'sche Buchhandlung. Stuttgart. 1996 (S. 762).

Natia Iakobidze

**Konzept von *Freude*
in der georgischen und deutschen Sprachen**

Abstrakt

Jede Nation hat ihre eigene Weltansicht, die von der Sprache abhängig ist, die diese Nation spricht. Die Verschiedenheit der Sprachen ist nicht nur die Verschiedenheit von Zeichen, sondern auch die Verschiedenheit der Weltansichten.

Bei der Untersuchung jeder sprachlichen Einheit muss die Kultur und Geschichte der Nation in Betracht gezogen werden.

Sprachen unterscheiden sich voneinander vor allem im Bereich der Emotionen. Die materielle Kultur wird durch Sinnesorganen wahrgenommen, im Gegensatz zu Emotionen, die für das Bewusstsein der Menschen nur mit der Sprache erreichbar sind. Sie haben keine entsprechende Objekte in der materiellen Welt. Die Unterscheidung der Emotionen ist abhängig von deren Verbalisierung.

In jeder Sprache gibt es die sprachliche Einheiten die Freude ausdruücken, was kann als universal bewertet werden, aber die Ausdruck und die Auswertung der Freude ist in jeder Kultur verschieden.

Freude wird in der Georgischen Sprache durch das Lexem *სიხარული* (sikharuli) ausgedrückt, was neben der innerliche Glücklichkeit auch die Fest bedeutete. *ღვინო* (Fest) wird im Wörterbuch von Sulxan-Saba Orbeliani als Freude durch Essen, Trinken und Gesang definiert. Dabei geht es um die Herstellung einer kollektiven Stimmung.

In der deutschen Sprache wird Freude durch folgende Lexemen ausgedrueckt: Freude, Freudigkeit, Fröhlichkeit, Lustigkeit. Freude und Freudigkeit sind mehr innerlich, Fröhlichkeit und Lustigkeit äusserlich. Fröhliche und Lustige werden seine Freude durch Singen, tanzen und Scherzen ausdrücken.

Der Ausdruck von Freude in der georgischen Sprache ist auf die soziale Aspekt der Gesellschaft konzentriert und drücken die kollektive Stimmung im Gegensatz von der Deutschen Sprache, in der *Freude* die innerliche Stimmung von Individuen bedeutet.

მანანა კვასხვაძე

ნორმირებული მეტყველება და ქართულენოვანი მასმედიის ენა

მასმედიის ენის ნორმირებულ მეტყველებასთან მიმართების კვლევა საჭიროებს პუბლიცისტური სტილის მთელი რიგი თავისებურებების გათვალისწინებას. პუბლიცისტური სტილი ერთ-ერთია სალიტერატურო ენის სტილებს შორის. სალიტერატურო ენა თავისთავად გულისხმობს ნორმირებულობასა და დამუშავებულობას. ამდენად, პუბლიცისტური სტილის აუცილებელი მახასიათებელი უნდა იყოს ნორმირებული მეტყველება. ამავე დროს, კომუნიკაციის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ადრესატის სუბიექტურ თვისებებს, ისე იმ მეტალინგვისტურ ფაქტორებს, რომლებიც თან სდევს ამ პროცესს. მასმედიის მიერ მოწოდებული ტექსტი ერთნაირად გასაგები და საინტერესო უნდა იყოს სხვადასხვა განათლების, ტემპერამენტის და სხვა პიროვნული მახასიათებლების მქონე ადრესატისათვის. მასმედია ის სფეროა, რომელშიც ყველაზე უფრო თვალნათელია ყოველი სამეტყველო ნიუანსი. როცა სამეტყველო ქმედებაში მრავალჯერ დაშვებული ენობრივი გადაცდომა სისტემურ ხასიათს იღებს, ენობრივი სისტემის შესაბამის ნორმას დაემუქრება ცვლილებით. აქ აუცილებელია სპეციალისტების ჩარევა და სათანადო ქმედება.

ჟურნალისტიკაც და ენაც სოციალური მოვლენებია. ამიტომ ის სოციალური ცვლილებები, რომლებიც ხდება მსოფლიოსა და ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით აისახება მასმედიის ენაზე. მასობრივი კომუნიკაციის ენა ხდება თაობის ენა. სოციალური ძვრების შესაბამისად ტრანსფორმირებული მეტყველება გამოვლინდება ჟურნალისტურ ტექსტებში. ჟურნალისტური ტექსტების ერთობლიობა წარმოაჩენს განსაზღვრული პერიოდის კულტურას: ჟურნალისტური ტექსტი არა მხოლოდ ახალი იდეების შემქმნელი და გამხმოვანებელია, არამედ კულტურული მენსიერების საცავიც. მასობრივი კომუნიკაციის ტექსტები სხვა ტექსტებისგან იმით განსხვავდება, რომ მათში გამოიყენება, სისტემურ ხასიათს იღებს და მოკლდება, გადამუშავდება და ახლებურად ფორმდება ყველა სხვა სახის ე.წ. პირველადი ტექსტი. შედეგად ვიღებთ ახალ ტექსტს აგებისა და გაფორმების თავისი კანონებით. მედია ნორმის შემქმნელი ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა.

მორფოლოგიის, სინტაქსის, სიტყვათწარმოების, ლექსიკის ურთიერთობა სამეტყველო ქმედების პროცესში (სინტაქსის დომინირებული როლით) აყალიბებს ტექსტის აზრს და საშუალებას იძლევა, გამოიყოს ჟურნალისტური ტექსტის ენობრივი ნიშნები. ჟურნალისტური ტექსტი უნდა იყოს დისკურსი, რთული

საკომუნიკაციო მოვლენა, რომელიც, ტექსტის გარდა, აერთიანებს ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს (ცოდნა სამყაროს შესახებ, შეხედულებები, ადრესატის მოთხოვნა-მოთხოვნილებები და ადრესანტის მიზანი). ჟურნალისტური ტექსტი განიხილება, როგორც მასობრივი საკომუნიკაციო საშუალება, რომელსაც წარმოშობს რეალური სამყარო ავტორ-ჟურნალისტების სურვილებისა და სოციუმის მოთხოვნის საფუძველზე. სოციუმის კულტურა არის ის, რას ფიქრობს საზოგადოება, ხოლო ენა არის ის - როგორ ფიქრობს საზოგადოება. ენა, შესაბამისად, არის დისკურსის არქექტივი, რომელიც აყალიბებს სოციუმის შეხედულებებს და რომელიც ყალიბდება სოციუმში.

ჟურნალისტიკას აინტერესებს მხოლოდ ის, რაც აქტუალურია დღეს, ანუ ის, რაც მნიშვნელოვანია გარკვეული დროისათვის. ჟურნალისტიკის არსი არის აქტუალურის შეფასება და მასობრივ შეგნებაში გადატანა. რა თქმა უნდა, ეს ხდება ენის საშუალებით და მასობრივ შეგნებაში გადადის როგორც სოციალურ-კულტურული, ისე ლინგვისტური მოვლენები.

მედიაში გამოიყოფა ოთხი ხარისხის ენობრივი შეცდომები:

1. ინდივიდუალური, უხეში შეცდომები, რომლებსაც ბევრი არ უშვებს და მკაცრად დაიგმოება რედაქტორების მიერ;
2. რეგულარული - არაიშვიათი, რომლებიც არ მიიჩნევა უხეშ შეცდომებად და მათი შეფასებაც არაერთგვაროვანია: უნებურია და საპატიებელი თუ აუცილებლად გამოსასწორებელი;
3. მასობრივი, რომლებსაც უშვებს ყველა, ამიტომ შეცდომებად აღარც აღიქმება და, შესაბამისად, არც სწორდება რედაქტორების მიერ;
4. დაკანონებული, ანუ მასობრივი შეცდომები, რომლებიც გრამატიკოსების მიერ აღარ მიიჩნევა შეცდომებად და სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებში გვხვდება ან დაშვებულ პარალელურ, ან ერთადერთ სწორ ფორმად. ეს არის შეცდომები მხოლოდ ლექსემის ჩამოყალიბების თვალსაზრისით და, ჩვეულებრივ, არ რედაქტირდება.

ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში არ არის მასმედიაში არსებული ყველა ენობრივი შეცდომისა და ხარვეზის გამოვლენა და აღწერა, მით უფრო, რომ ეს საქმე დიდწილად შესრულებულია და გამოცემულია ჟურნალისტის ორთოგრაფიული ლექსიკონის ორი ნაწილი, არამედ ჩვენი მიზანია იმ ზოგადი სურათის ჩვენება, რომელიც ქართული მედიის ტენდენციებს წარმოაჩენს ნორმებთან მიმართებით, აგრეთვე, ჩავთვალეთ, რომ საჭიროა შეცდომების დაჯგუფება ენობრივ სისტემაში მათი ადგილის მიხედვით. საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს (ენობრივ და სტილისტიკურ ნორმებს) ჩვენ პუბლიცისტური სტილის მახასიათებლებიდან გამომდინარე დავუმატეთ ესთეტიკური ნორმაც, სტილისტიკური შეცდომები დავშალეთ სტრუქტურულ-

სემანტიკურ და მხოლოდ სემანტიკურ ნაწილებად, ამათგან პირველი ენობრივი სისტემის ნაწილად ჩავთვალოთ და ენობრივ შეცდომებში გავაერთიანოთ, მეორე ჯგუფი კი სამეტყველო შეცდომებად გავიტანოთ. ამის საფუძველი ის არის, რომ ენობრივი სტრუქტურის შეცვლა ძალიან დიდ საფრთხედ გვეჩვენება და მხოლოდ სტილის საკითხად მისი კვალიფიცირება საკმარისად არ მიგვაჩნია.

ამგვარად, სამეტყველო ნორმას ჩვენ განვიხილავთ ენობრივ, სტილისტიკურ და ესთეტიკურ ნორმათა ერთობლიობად. მეტყველების ამ სამი ნორმიდან გამომდინარე, შეცდომებიც შესაბამისად კვალიფიცირდება: ნორმატიულ-ენობრივი, ნორმატიულ-სტილისტიკური და ნორმატიულ-ესთეტიკური.

ა) ნორმატიულ-ენობრივი შეცდომები:

- ორთოგრაფიული შეცდომები,
- გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) შეცდომები,
- პუნქტუაციური შეცდომები,
- ლექსიკურ-სემანტიკური შეცდომები,
- ფრაზეოლოგიური (სტრუქტურულ-სემანტიკური).

ბ) ნორმატიულ-სტილისტიკური შეცდომები:

- შიდასტილებრივი შეცდომები,
- სტილთაშორისი შეცდომები.

გ) ნორმატიულ-ესთეტიკური შეცდომები:

- ორთოეპიური შეცდომები,
- ლექსიკური შეცდომები,

მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეულს:

1. ნორმატიულ-ენობრივი შეცდომები:

ა. ორთოგრაფიული:

ბეჭდურ მედიაში ხშირია ასოთა გამოტოვება, ჩანაცვლება, გადასმა, ბგერის დაკარგვა და ა.შ. ბევრი ამათგანი ფონეტიკური პროცესის გამო გაჩენილი დარღვევაა, რომლებიც ვლინდება სასაუბრო მეტყველების არასრულ სტილში ან დიალექტებში. მაგ. დაშვლი, მზგეფსი, თფილი, ბყრობა, კელაბტარი, დაინიჟა, მასსა, პრესსა, შეურაწყოფა, მოზდევს და ა.შ. ზოგჯერ ვამბობთ, რომ ეს არის კორექტურული შეცდომა, ე.წ. **lapsus calami**. ხშირ შემთხვევაში სიტყვის არასწორი დაწერილობა შეიძლება კვალიფიცირდეს სხვადასხვაგვარად, მაგალითად, როგორც მორფოლოგიური ან ორთოგრაფიული შეცდომა, რადგან მორფის არასწორი ხმარება მორფოლოგიის პრობლემაა, იმის მტკიცება კი, შეცდომის ავტორმა იცის თუ არა ამა თუ იმ მორფის დაწერილობა, ძნელი გასარკვევია, მაგ. სიტყვაში - *აკეთებდენ* ნ შემთხვევით არის გამორჩენილი თუ დამწერმა არ იცის მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნების ხმარება, ძნელი სათქმელია, აქ შეცდომა მორფოლოგიურია

იმიტომ, რომ მორფოლოგიურ კატეგორიას უკავშირდება. ამავე დროს, მექანიკური შეცდომის გამო სიტყვა კარგავს ან იცვლის მნიშვნელობას და იცვლება ან ბუნდოვანდება ტექსტის შინაარსი. ამიტომ მორფოლოგიური დარღვევები ორთოგრაფიის შესწავლის ობიექტიცაა და სიმარტივისათვის მორფოლოგიური და ორთოგრაფიული შეცდომები, როგორც წესი, ერთად განიხილება ხოლმე.

ბ. გრამატიკულ (მორფოლოგიური და სინტაქსური) შეცდომებს შორის განსაკუთრებით ხშირია შემდეგი: ზმნებში მე-3 ირიბობიექტური პირის ნიშნის დაკლება: *რა ჭირს? ბახვს, მიპარვია, მიყუდებია, ყავს, ჭვია, ჟონია* და სხვა. -ავ თემისნიშნის ზმნებთან დაკავშირებით მედია ძალიან ხშირად 1-ლი თურმეობითის უთემისნიშნო -ია მაწარმოვლიან ფორმას გვაწვდის. ჩვეულებრივია: *დაურეკია, დაუბარია, დაუხატია, ჯერ არ მომილოცია, უნახია* ფორმების ხმარება. საინტერესო ტენდენცია იკვეთება *ტეხა* ზმნასთან დაკავშირებით: *ჟურნალისტები ცდილობენ დაიცვან ნორმა* და ხშირად სწორადაც ხმარობენ ამ ზმნას, მაგრამ ვულგარულ საუბარში, როგორც წესი, *ტეხავს-გვაქვს*. *ტეხავს - ჟარგონად იქცევა* და უპირისპირდება ნორმით დადგენილ *ტეხს* ფორმას.

თანამედროვე ქართულ მედიაში განსაკუთრებით ხშირია ორთოგრაფიული არაერთგვაროვნება ვ-ს ხმარების თვალსაზრისით ზმნების სხვადასხვა ფორმაში. ჩვეულებრივია *შეხვედრა მოვაწყეთ* (უნდა იყოს *მოვაწყეთ*); *ლურსმნები ჩაარჯეს* და სხვა. როგორც ზეპირ, ისე ბეჭდურ მედიაში ხშირია ავ-თემისნიშნისა და შუალობითი კონტაქტის არასწორი წარმოება: *დაახურინებს, დაარეკინებს, დააბარინებს* და სხვა.

სახელებთან დაკავშირებით გამოსაყოფია ნასესხები ლექსიკის ბრუნების პრობლემები. კერძოდ, ა) ი-ფუძიანი შეთვისებული სიტყვების ბრუნება: სწორია *დენდი-დენდიმ* (და არა *დენდმა*); *ბრენდი - ბრენდიმ* (და არა *ბრენდმა*), ეს ნორმა, როგორც წესი, მედიაში არ ფუნქციონირებს. ბ) ე-ფუძიანი შეთვისებული სიტყვების კვეცა: *პატრიარქისათვის იუბილის მილოცვა; სენაკის თეატრის 130 წლის იუბილის აღნიშვნა; ელისაბედ II-ის ბრილიანტის იუბილის აღნიშვნა... კაფის დიზაინი, კაფის მენიუ, ასევე კუპის, ჟელის* და სხვა.

თითქოს წესად იქცა აბსტრაქტული სახელების კონკრეტულ სახელებად გააზრება და მრავლობითი რიცხვის ფორმების გაჩენა. *პარიზის მშვენიერებები, დაფარული ბედნიერებები, მსოფლიოს სილამაზეები, დაკარგული სიყვარულები...* ან ასეთი ფრაზა: *თავიანთი ახალგაზრდობები გაიხსენეს ...*

სახელებში თითქოს სუსტდება და იშვიათდება კუმშვის პროცესი. *ნატანტარის ლიმონათი ვინდა? "ბერლინისკედელის დანგრევა"* და სხვა.

თითქმის არ მოქმედებს რიცხვში მონაცვლე ზმნების ნორმებით განსაზღვრული წესები. ჩვეულებრივია ასეთი ფორმის სინტაგმები: მივარდება ხალხი, და-ძმა ჩასხდებიან, ხალხი დაჯდა, სტუმრები დასვა, ხალხი დაიხოცნენ და სხვა.

გ) პუნქტუაციური შეცდომები:

როცა სასვენი ნიშნები არასწორად არის დასმული საინფორმაციო ტექსტში, რედაქტორს ევალუება მისი გასწორება, თუმცა ძალიან ხშირად ეს ასე არ ხდება. ცნობილია ბაირონის გამონათქვამი: “მე ვიცი, რა არის მძიმე, მაგრამ არ ვიცი, სად უნდა დავსვა ის.” აქ გასათვალისწინებელია, რომ ზოგ შემთხვევაში სასვენი ნიშნების გარეშე წერა ტექსტის სტილისტიკური მახასიათებელია, ოღონდ ეს შეიძლება ეხებოდეს მხატვრულ ტექსტს. ჟურნალისტებს შორისაც არსებობენ ისეთები, რომლებიც ბაირონის დაავადებით არიან შეპყრობილნი და მიიჩნევენ, რომ მძიმის დასმა კორექტორის საქმეა და არა მათი. არადა, ხშირად სასვენი ნიშნების არასწორი ხმარების გამო წინადადების აზრი გაუგებარი რჩება. მით უფრო, რომ პრესის ენისათვის დამახასიათებელია შერწყმული წინადადებებისა და სხვადასხვა სახის განკერძოების სიუხვე, რაც ნაკარნახევია ეკონომიურობის პრინციპით.

დ) ლექსიკურ-სემანტიკური შეცდომები:

ამ სახის ხარვეზები ჩნდება სიტყვის მნიშვნელობის არაზუსტი ცოდნით ან უყურადღებობით. ამ მოვლენის საფუძველია არასწორი სინონიმია, არასწორი ეტიმოლოგია და პარონიმული წყვილების პრობლემა.

არასწორი სინონიმიის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ: მოწაფე-მოსწავლე: იესო ქრისტეს მოსწავლეები (ჟურნალისტის ორთოგრაფიული ლექსიკონი)...

არასწორი ეტიმოლოგიის ნიმუშად განვიხილავთ შემდეგს:

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩნდება სიტყვა “ეპიცენტრის“ არასწორი გამოყენება პრესაში. ეპიცენტრი არის **ადგილი დედამიწის ზედაპირზე, რომელიც მოთავსებულია რაიმე დამანგრეველი ძალის კერის თავზე (ან მის ქვეშ). მაგ., მიწისძვრის ე.; აფეთქების ე.** ჟურნალისტები ხშირად ამ სიტყვას იყენებენ ფრაზებში: მიტინგის ეპიცენტრი, მოვლენების ეპიცენტრი, გართობის ეპიცენტრი, ფეხბურთის ეპიცენტრი, გადაცემა ეპიცენტრი და სხვა. ეს კი ლექსიკურ-სემანტიკური შეცდომაა.

საინტერესოა სიტყვა **აპრობაციის** ბოლოდროინდელი გამოყენება. ლექსიკონების მონაცემები ასეთია: **აპრობაცია 1. ოფიციალურად გამოხატული მოწონება, დადასტურება შემოწმების შედეგად; 2. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესების გამოკვლევა საუკეთესო თესლის შესარჩევად.**

სიტყვა გვხვდება ფრაზებში: აპრობაციის ტესტები, აპრობაციის შედეგები, მასწავლებელთა აპრობაცია, აპრობირებული ლექსიკონი...

საატესტაციო ტესტების აპრობაცია დაიწყო. აქედან გამომდინარე, მას გასჩენია ახალი მნიშვნელობა “შემოწმება“, თუმცა რამდენად სწორია მისი გამოყენება მასწავლებლებთან დაკავშირებით, ძალიან საინტერესოა.

“დაკანონებულ შეცდომათა“ შორის, რომელთა ხმარება ენის მფლობელთათვის შეცდომად არ აღიქმება, გვაქვს სიტყვა “აბიტურიენტი“. (*abituriens (abiturientis)*) ვინც უნდა წავიდეს, მოსწავლე, რომელიც საშუალო სკოლას ამთავრებს; მეორე მნიშვნელობა, რომელიც ლექსიკონებში დასტურდება, გვიანდელია, თუმცა უკვე დაკანონებული - უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი (უცხო სიტყვათა ლექსიკონი). ეს შემთხვევა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით არის შეცდომა და მნიშვნელობის გაფართოების შედეგია.

პრესაში ძალიან ხშირია პარონიმული წყვილების აღრევა. მაგ. კანონიერი-კანონზომიერი, ლეგალური-რეგულარული, ამბულა-ამპლუა და სხვა. პრესაში გვხვდება: **“იძულებითი განსახლება“**, **“იძულებითი გასახლების“** ნაცვლად. **ჰნ დებორტი— დებორტაციის** ნაცვლად: **რუსეთს არ აქვს ჩვენი საქართველოში დებორტის საფუძველი, წვრილი — წვლილის** ნაცვლად: **დიდი წვრილი მიუძღვის** და სხვა.

ე) ფრაზეოლოგიური (სტრუქტურულ-სემანტიკური) შეცდომები:

აქ განვიხილავთ ფრაზეოლოგიურ კალკებს, რომლებშიც ირღვევა ენის სინტაქსის წესები, მაგ. *შეტევაშია, გაყიდვაშია, მოედანში დატოვა, ჯარიმაში აღმოჩნდა, სახეზეა დიდი დანახარჯები* და სხვა. აქვე უნდა განვიხილოთ ასეთი კალკირებული ფრაზებიც: *მიღება იწარმოებს, აშენება მოხდება* და სხვა. ყურადღება მისაქცევია რიცხვითი სახელების ინგლისურის ანალოგიით წაკითხვა: 2012 - ოცი თორმეტი, 2013 - ოცი ცამეტი და სხვა.

აქვე შემოვა გრამატიკული პლეონაზმის შემთხვევები, რომელთაგან ზოგი ჩვენივე ენობრივ ნიადაგზეა გაჩენილი - *“თითოეული მათთაგანი“*, *“თითოეული ჩვენთაგანი“* და სხვ. არსებობს უცხოურიდან ნასესხები სიტყვების გრამატიკული პლეონაზმის შემთხვევებიც, რომლებიც ისეა ენაში შეთვისებული, რომ შეცდომებად არ კვალიფიცირდება. ასეთებად მიგვაჩნია ინგლისურიდან რუსულში და აქედან ქართულში მოხვედრილი სიტყვები, რომლებსაც ინგლისურის მრავლობითის მაწარმოებელი აქვთ. ეს მცდარი ფორმები დაკანონებულია და გასწორებას არ ექვემდებარება. ეს სიტყვებია:

რელსები: **рельсы: rails**, მხოლობითი - **rail**;

ბუცები: **бутсы: boots**, მხოლობითი - **boot**,

ჯინსები: **джинсы: jeans**, მხოლობითი - **jean**,

კომიქსები: **комиксы: comics**, მხოლობითი - **comic**

ძალიან საინტერესოა აბრევიატურებში გაჩენილი პლენონაზმის შემთხვევები: CD-დისკი, VIP-პერსონა, SMS-შეტყობინება, IT-ტექნოლოგია, GPS - სისტემა.

ნორმატიულ-სტილისტური:

ა. შიდასტილებრივ შეცდომებში ვგულისხმობთ ისეთ დარღვევებს, როგორებიცაა: *17 წლის ახალგაზრდა ბიჭი, მანდილოსანი ქალი, კარგი ავტორიტეტი არ ექნება, ლიდერის პოზიციებს ვიკავებთ საბარათე პროდუქტებით მოსახლეობის მოცვის საქმეში, ხველა დამცველობითი მექანიზმია... ეთერში ზარი შემოვიდა, ზარი შემოვიყვანოთ, ავტოავარიაში დაზარალდა, საშინლად უნდა, საშინლად უყვარს და სხვა.*

სტილისტურ ხარვეზებს შორის განვიხილავთ სხვათა სიტყვის ნაწილაკების არასწორად ხმარებას, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ ზეპირ მედიასა და პრესაში. “-თქო“ ნაწილაკი იხმარება არა მარტო თავისი ფუნქციით, არამედ “-მეთქი “ ნაწილაკის ნაცვლადაც. *“ვიფიქრე, ამის გამო რეკავდა-თქო“, “ უკვე მოგახსენეთ, აღმოჩენა არის-თქო“...*

ბ. სტილთაშორის შეცდომად განვიხილავთ მაგ. “მდაბიური ენის“ ლექსიკის გამოყენებას მედიის ენაში: *“როგორც იძახიან“, “მთავრობას ხალხის არ ეყურება“.* აქვე შემოვა ტერიტორიული (კილოების) და სოციალური დიალექტიზმების (ჟარგონის) არსებობა მედიაში და სხვა. აგრეთვე სამეცნიერო სტილისათვის დამახასიათებელი სიტყვათწარობა: ფეთქებადი, თავსებადი და სხვა.

ნორმატიულ-ესთეტიკური შეცდომები:

ა. ორთოეპია: ორთოეპიური საკითხების მოგვარება ზეპირ მედიას შეეხება. აქ გამოსაყოფია სწორი არტიკულაციისა და მახვილის საკითხი. რბილი ლ-ს წარმოთქმა, ბგერათა ნაზალიზაცია (ნატომ? ნუდი...), ვ-ბგერის არასწორად წარმოთქმა (უაშინგტონი, უაშლი...) და სხვა. აქვე აუცილებლად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ხშირად ზედმეტად სწრაფი, აღზნებული საუბრის დროს იკარგება ტექსტის აზრი, გაუგებარი რჩება სათქმელის მნიშვნელობა, განწყობა უფრო მეტად გადაეცემა მსმენელს, ვიდრე ინფორმაცია და ეს განწყობა იმვითად არის დადებითი.

ბ. ლექსიკურ-ესთეტიკური შეცდომები:

მედიის ენაში გამოიყოფა ლექსიკის **შემფასებლური** და **არაშემფასებლური** ფენები. შემფასებლურობის თვალსაზრისით გამოყოფენ სამ სტილისტურ ჯგუფს: **ა) პოზიციურ-შემფასებლური, ბ) ნეგატიურ-შემფასებლური და გ) მოდალურ-შემფასებლური**(გ.კვარაცხელია). ამ სტილში არცთუ იშვიათია სპეციალურ ტერმინთა ხატოვანი გააზრება: ლექსიკის მეტაფორიზაცია: *“ჯიბის გასქლეება“, “სისხლის წყურვილი“, “წყლის ნაყვა“* და სხვ. ხშირად გვხვდება შეცდომით გამოყენებული ფრაზები: *“აღივავა მიწისაგან პირისა“, “საქმის ყურშია“, “მისი სიცოცხლე*

ბედზე ეკიდა“ და სხვა. აქვე უნდა განვიხილოთ დადებით-შემდგომი ფრაზები პირველ პირში: მე ვბრძანდები, მე ვმოღვაწეობ, მე მივირთვი (შ. აფრიდონიძე) და სხვა.

ნორმების მიხედვით, **-ПЯ** გადმოდის ქართულში “ლა“ მარცვლად. ამ წესის შესაბამისად, ნორმად მიიჩნევა **ფუტლარი, პლაჟი** და სხვა მსგავსი სიტყვების არსებობა ქართულში. *ფუტლარი* (ხშირად იხმარება **ფუტლიარი**) ქართულში შემოსულია რუსულის გზით, რუსულში - გერმანულიდან (**нем. Futteral**). წერენ და ამბობენ: *სათვალის ფუტლიარი, ვიოლინის ფუტლიარი* და სხვა. პლაჟი **XX** ს-ში შევიდა რუსულში ფრანგულიდან **plage**, რომელშიც ასევე ნასესხებია იტალიურიდან (**piaggia**), ამ სიტყვის საწყისი კი არის ლათინური **plaga** (დარტყმა). ცალსახად უნდა ითქვას, რომ უკეთესი იქნება “ფუტლარის“ ნაცვლად “ბუდე“ ან “შალითა“ ვიხმაროთ და “პლაჟის“ ნაცვლად “სანაპირო“ ან “ზღვის ნაპირი“ და არ ვიფიქოთ იმაზე **ПЯ** გადმოვიტანოთ “ლია“ თუ “ლა“ წაკითხვით. აუცილებელია ქართული შესატყვისებისთვის უპირატესობის მინიჭება. აქვე დადგება ბარბარიზმებისა და ნეოლოგიზმების პრობლემა და განსაკუთრებით, ბარბარიზმებით სიტყვათწარმოების შემთხვევები: *დავალაიქე, ვიდებატე, დავუმესიქე* და სხვა.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ დღევანდელი ქართული მედიის ერთ-ერთი მახასიათებელი, სამწუხაროდ, სწორედ არანორმირებული მეტყველებაა. მედიაში აქტიურად გაჩნდა ეროვნული ენის ნორმირებული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული სახეობები: დიალექტიზმები, კოინე, მდაბიური მეტყველება. მეტყველების სრული ფორმის ნაცვლად, რომელიც მედიას უნდა ახასიათებდეს, დამკვიდრდა ნეიტრალური და არასრული სტილი. ძალიან გახშირდა ინგლისური ენის სინტაქსური კონსტრუქციების, უცხოენოვანი ლექსიკისა და ფრაზების გამოყენება, უცხოური არტიკულაციითა და მახვილით მეტყველება, სიტყვათწარმოება ნეოლოგიზმებითა და ბარბარიზმებით. რეგულარული სამეტყველო დარღვევები ენობრივი სისტემის შეცვლას იწვევს. უცხოური ენების გავლენით გაცვდა და გაიცრიცა თანამედროვე ქართულის არა მარტო ლექსიკური ფონდი, არამედ იცვლება ენის მორფო-სინტაქსური და მორფო-სტილისტიკური კატეგორიები და ენა კარგავს თავისთავადობას, ყველა იმ მნიშვნელოვან თვისებას, რომლებითაც მას განსაზღვრული ადგილი უკავია მსოფლიო ენათა შორის. უმნიშვნელოვანესია საკითხთა ფუნდამენტური კვლევა მსოფლიოს ლინგვისტური აზროვნების ფონზე. ვფიქრობ, საჭიროა გონივრული ქმედება, სწორი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, ამაში კი მასმედიამ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს.

დამოწმებული ლიტერატურა:

- არაბული, 2004** - ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
- აფრიდონიძე, 2002** - შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
- კვარაცხელია, 1990** - გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ.1990.
- ჭაბაშვილი, 1989** - უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, თბ.,1989.
- ალექსანდროვა, 2001** - Александрова О.В.
Язык средств массовой информации как часть коллективного протранства общества, 2001
- გოიხმანი, 2008** - О.Гойхман, И.Надейна,
Речевая коммуникация, 2008
- პოჩენცოვი, 2001** - Г.Почепцов, Теория коммуникаций, 2001.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**, გ. ახვლედიანი, ს. ვაჩნაძე, ვ. კუპრაძე... ტ. I-VIII, 1950-1964.
- ყურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი I**, ა. ჩიქობავას სახელობის ენეთმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 2010
- ყურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი II**, ა. ჩიქობავას სახელობის ენეთმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 2011
- ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი**, ა. ჩიქობავას სახელობის ენეთმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 2011
- გაზეთები** “ასავალ-დასავალი“, “საქართველოს რესპუბლიკა“, ტელეგადაცემები...

Manana Kvashvadze

Standardized Speech and the Language of Georgian-Speaking Media

S u m m a r y

The research of the relevance of media language to standardized speech requires taking into consideration numerous characteristics of publicistic style. Media is the sphere where every single speech nuance is most evident. In journalistic texts, the speech that tends to be transformed due to the social changes, is easily revealed. When linguistic deviation becomes systematic in the speech act, the relevant linguistic norms face changes as well.

The article deals with the most frequent mistakes and their classification. Four types of mistakes are revealed: individual, regular, mass and legalized mistakes (which are no longer regarded as mistakes). Classification of the revealed materials are the following: normative-linguistic mistakes, normative-stylistic mistakes, normative-esthetic mistakes.

Normative-linguistic mistakes are orthographic-phonetic, morphological, syntactical, punctuational, structural-semantic mistakes. Normative-stylistic mistakes are inter-stylistic ones, normative-esthetic mistakes are orthographic and lexical-phraseological mistakes. Each mistake is analyzed according to the most frequent violations of norms revealed in the Georgian media. Trends of linguistic norms are also presented in the article.

მიხეილ ლაბაძე

დიგლოსია თანამედროვე იტალიაში (პარალელები ქართულ ენობრივ სამყაროსთან)

იტალიის რესპუბლიკის (La Repubblica Italiana) მოსახლეობის რაოდენობაა 60 231 214 (2009 წლის აღწერის მონაცემებით). მოსახლეობის უდიდეს ნაწილს (90%-ზე მეტს) იტალიელები შეადგენენ. ეროვნულ უმცირესობათაგან აღსანიშნავია ფრიულეები, რეტორომანელები, არბერეშები (ალბანელთა თემი), სლოვენები, ხორვატები, ტიროლელი ავსტრიელები და სხვ. ამ ქვეყნის სახელმწიფო და საერთო-ეროვნული ენაა იტალიური. იტალია იყოფა 20 რეგიონად. თავის მხრივ, რეგიონები დაყოფილია პროვინციებად, პროვინციები - კომუნებად. შესაბამისად, ქვეყნის სახელმწიფო წყობილება განისაზღვრება, როგორც „დეცენტრალიზებული უნიტარიზმი“.

1. იტალიური სალიტერატურო ენა. როგორც ცნობილია, იტალიური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანულ ჯგუფს ეკუთვნის, რომელშიც აწ მკვდარ **დალმაციურთან** ერთად, ქმნის იტალიკურ-რომანულ ქვეჯგუფს. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა რომანულ ენათაგან განსხვავებით, იტალიური ჩამოყალიბდა იმ ტერიტორიაზე, რომელიც ლათინური ენის გავრცელების თავდაპირველ არეალს წარმოადგენდა. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ მან უფრო ნაკლებად განიცადა უცხო ენათა გავლენა და შეინარჩუნა სიახლოვე ფუძეენასთან - ე.წ. „მდაბიურ ლათინურთან“ (*Sermo Vulgaris*).

პირველი წერილობითი ძეგლი, რომლის ენაც შესაძლებელია ჩაითვალოს იტალიურად, გახლავთ მონტეკასინოს მონასტრის (ლაციოს რეგიონი) ქვის ფილების წარწერები (*Placiti Cassinesi*), რომლებიც თარიღდება 960-963 წლებით (მილიორინი 1987, გვ. 12). მიუხედავად ამისა, სალიტერატურო იტალიურის ჩამოყალიბების ხანად სამართლიანად ითვლება XIV-XV საუკუნეები, როცა ხალხურმა მეტყველებამ მხატვრულ ლიტერატურაში საგრძნობლად შეავიწროვა ლათინური ენა. პირველი პოეტი, რომელმაც აქტიურად იწყო წერა ხალხურ ენაზე, გახლდათ ფლორენციელი დანტე ალიგიერი (1265-1321) - ავტორი საყოველთაოდ ცნობილი პოემისა

„ღვთაებრივი კომედია“ (La Divina Commedia); პროზაში კი იტალიური ენის დამამკვიდრებლად ითვლება ასევე ფლორენციელი ჯოვანი ბოკაჩო (1313-1375) - მისი ცნობილი თხზულება „დეკამერონი“ დღემდე სალიტერატურო იტალიურის ბრწყინვალე და მისაბაძ ნიმუშად მიიჩნევა.

მოგვიანებით, დანტეს და ბოკაჩოს (რომლებიც მშობლიურ ფლორენციულ დიალექტზე წერდნენ) მრავალი მიმდევარი და მიმბაძველი გამოუჩნდა. გარდა ამისა, რამდენადაც აღორძინების ეპოქაში ფლორენცია მთელი იტალიური სამყაროს (მაშინ ერთიანი იტალია არ არსებობდა) მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად იქცა, იტალიური ენის სამწერლობო ფორმა სწორედ ფლორენციულ დიალექტს დაეფუძნა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ XIX საუკუნის ბოლომდე, სამწერლობო იტალიური ფლორენციის საზღვრებს გარეთ მხოლოდ წერილობით არსებობდა და მასზე ხელი მიუწვდებოდა მოსახლეობის განათლებულ ფენას, თუმცა იტალიის სხვადასხვა მხარეში ბევრი მწერალი, რომელიც დიალექტებზე წერდა, ფართოდ იყენებდა ნასესხობებს ფლორენციულიდან, რამდენადაც სურდა, რომ საკუთარი ნაწარმოებები დანტეს „ღვთაებრივ კომედიასთან“ ანდა ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონთან“ გაეთანაბრებინა. ასეთ ტენდენციას იტალიელი მკვლევრები „ტოსკანიზაციას“ უწოდებენ (ფლორენციის პროვინცია ტოსკანის რეგიონშია) და მიიჩნევენ, რომ სწორედ ამან, სხვა ყველაფერთან ერთად, დიდად შეუწყო ხელი იტალიური სამყაროს ეროვნულ-ენობრივ გაერთიანებას, რაც იტალიის პოლიტიკური და დიალექტური დაქუცმაცებულობის ფონზე, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო (მილიორინი 1960, გვ. 33).

თანამედროვე იტალიაში იტალიური, როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფო და საერთო-ეროვნული ენაა, რომელიც ყველა რეგიონისათვის უპირატესია. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა რეგიონში, სალიტერატურო იტალიური ენის ზეპირი ფორმა, აქცენტუაციასა და ფონეტიკაში (შედარებით იშვიათად - მორფოლოგიასა და სინტაქსშიც კი) ადგილობრივ დიალექტთა დიდ გავლენას განიცდის. აქედან გამომდინარე, იტალიურ ენათმეცნიერებაში არსებობს ცნება „რეგიონული იტალიური“ (Italiano Regionale), რაც გულისხმობს ერთგვარ შუალედურ ფორმას

„სამწერლობო/ლიტერატურულ იტალიურსა“ (Italiano Literario) და „დიალექტურ იტალიურს“ (Italiano Dialettale) შორის.¹

2. დიალექტური მეტყველება თანამედროვე იტალიაში. სალიტერატურო იტალიურის პარალელურად, იტალიაში არსებობდა და არსებობს მრავალი დიალექტი, რომლებიც მეტნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისგანაც და სალიტერატურო ენისგანაც. მაშინ, როცა მაგალითად, მეზობელ საფრანგეთში, რომელიც ფართობით იტალიაზე დიდია, საერთო-ეროვნული ენის განსხვავებული დიალექტები თითქმის აღარც შემორჩენილა. რომანული ენების მკვლევრები ერთხმად მიიჩნევენ, რომ იტალიის დიალექტური მრავალფეროვნება უპირველეს ყოვლისა, განაპირობა იმან, რომ ქვეყანა XIX საუკუნის ბოლოსდა გაერთიანდა.

რომანისტიკაში იტალიურ დიალექტთა დაჯგუფების რამდენიმე პრინციპი არსებობს, თუმცა ტრადიციულად, მათ ისტორიულ-გეოგრაფიული პრინციპით აჯგუფებენ ხოლმე (მერლო 1937, გვ. 4) - ჩრდილოურ, სამხრეთულ და ცენტრალურ (ტოსკანურ) დიალექტურ ჯგუფებად (იხ. რუკა №1). აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სამი ჯგუფის გავრცელების არეალები ძირითადად გვიან შუა საუკუნეების იტალიის პოლიტიკურ რუკას ემთხვევა, რაც რა თქმა უნდა, სულაც არაა შემთხვევითი.

ცნობილი იტალიელი ენათმეცნიერის - კლემენტე მერლოს - მიხედვით, ჩრდილოურ ჯგუფს შეადგენს ის დიალექტები, რომლებიც გავრცელებულია ლა სპეცია-რიმინის ხაზის ჩრდილოეთით (რუკაზე აღნიშნულია ყვითლად); შესაბამისად, სამხრეთულ ჯგუფში ამავე ხაზის სამხრეთით - ორივე სიცილიის სამეფოს ისტორიულ ტერიტორიაზე გავრცელებული დიალექტები ერთიანდება (რუკაზე აღნიშნულია ვარდისფრად); ტოსკანის საჰერცოგოს ისტორიულ ტერიტორიაზე გავრცელებული დიალექტები კი ცენტრალურ ჯგუფში შედის (რუკაზე აღნიშნულია ბაც მწვანედ). მერლოს კლასიფიკაციითვე, კორსიკის და სარდინიის დიალექტები (რუკაზე აღნიშნულია შესაბამისად ბაც და მუქ ყავისფრად) არც ერთ ჯგუფში არ შედის და დამოუკიდებელ განშტოებებს ქმნის.

მოგვიანებით, რომანისტიკებმა ხსენებული კლასიფიკაცია უფრო დააზუსტეს - კუნძულ კორსიკაზე გავრცელებული ჩიზმონტანური

¹ვრცლად ამის თაობაზე იხ. მე-4 პარაგრაფი.

(ანუ მთასაქეთური) და ოლტრემონტანური (მთასიქითური) დიალექტები ტოსკანურ ჯგუფს მიაკუთვნეს, ასევე - სამხრეთული ჯგუფი სამად - ცენტრალურ-სამხრეთულ, საკუთრივ სამხრეთულ და უკიდურეს სამხრეთულ ჯგუფებად გაჰყვეს (პელეგრინი 1950, გვ. 13).



რუკა №1

იტალიურ დიალექტთა ჯგუფები და ეროვნულ უმცირესობათა (ან მოსაზღვრე) ენები კლემენტე მერლოს 1937 წლის კლასიფიკაციის მიხედვით

(რუკაზე მუქლურჯად აღნიშნულია გერმანული, მუქმწვანედ - რეტორომანული, წითლად - ფრანგული, სტაფილოსფრად -

ოქსიტანური, ჭაობისფრად - სლავური, შინდისფრად - ალბანური ენები)

2005 წელს, იტალიელმა ენათმეცნიერმა მაურიციო დარდანომ წარმოადგინა იტალიურ-რომანული შტოს ენებისა და იტალიური დიალექტების კლასიფიკაციის ახალი სქემა (იხ. დარდანო 2005, გვ. 22); რომლის მიხედვითაც დიალექტები იყოფა ჩრდილოურ, ტოსკანურ, ცენტრალურ-სამხრეთულ და უკიდურეს-სამხრეთულ ჯგუფებად. ამ ჯგუფებში კი, თავის მხრივ, გამოიყოფა ქვეჯგუფები (მაგ., ჩრდილოურში - გალურ-იტალიკური, ვენეტური და ისტრიული, ტოსკანურში - საკუთრივ ტოსკანური და კორსიკული და ა.შ.) მანვე შეადგინა დალექტთა დეტალური რუკაც:



რუკა №2
იტალიის დიალექტები და ეროვნულ უმცირესობათა ენები
მაურიციო დარდანოს მიხედვით

როგორც ვხედავთ, იტალიის ტერიტორიაზე (და მის ფარგლებს გარეთაც - ისტორიულ იტალიურ მიწებზე) გავრცელებულია მრავალი დიალექტი და ამასთან, მათი გავრცელების არეალები ზოგჯერ არც კი ემთხვევა ერთი რეგიონის ან პროვინციის საზღვრებს.

ჩნობილი ვებ-პორტალის, ethnologue.com-ის მესვეურთა ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტი კაცი (დაახლ. 5 700 000-მდე) ნეაპოლურ დიალექტზე მეტყველებს²; მეორე ადგილზეა სიცილიური - 4 700 000³, ხოლო მესამეზე კი ვენეტური - 3 800 000.⁴ და ა.შ. ხსენებულ დიალექტებს, სხვათა შორის, სამწიგნობრო ტრადიციებიც კი გააჩნიათ (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

ზოგი სხვა მონაცემებით კი, ამჟამად იტალიაში დიალექტებზე მეტყველთა რაოდენობა იკლებს - ახალგაზრდა თაობა მათ „რეგიონულ იტალიურს“ ამჯობინებს, რაც მასმედიის (პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი...) დიდ გავლენას მიეწერება. ამიტომ დიალექტი წმინდა სახით აღარ გვხვდება ისეთ რეგიონებშიც კი, როგორცაა სიცილია ან ნეაპოლი, სადაც ოდიტვანვე მეტად საგრძნობი იყო განსხვავებული ადგილობრივი მენტალიტეტი: „სიცილიური მეტყველების წმინდა სახით მოსმენა დღეს შეუძლებელია... სიცილიური და [სალიტერატურო] იტალიურის ელემენტთა პროცენტული შეფარდება სხვაობს ზონათა მიხედვით - მაგ., მესინას მკვიდრთა მეტყველებაში [სალიტერატურო] იტალიურის ელემენტები უფრო მეტია, [შიდა] პროვინციათა მეტყველებაში კი - ნაკლები“ (დესიატოვა, 2008, გვ. 130).

ერთადერთი რეგიონი, სადაც დიალექტი სალიტერატურო იტალიური ენის გავლენას თითქმის არ განიცდის, გახლავთ კ. კორსიკა, რომელიც XVIII ს.-ის ბოლოდან საფრანგეთის შემადგენლობაშია, მანამდე კი გენუის რესპუბლიკის ნაწილი იყო. აღსანიშნავია, რომ იქ გავრცელებული ორივე დიალექტი - ჩიზმონტანური და ოლტრემონტანური, რომლებიც ტოსკანურ ჯგუფში ერთიანდება, უფრო ახლოსაა სალიტერატურო იტალიურთან, ვიდრე მაგალითად - რომაული დიალექტი (Romanesco).⁵ კუნძულზე სალიტერატურო იტალიური (უკეთ რომ

² <http://www.ethnologue.com/language/nap>

³ <http://www.ethnologue.com/language/scn>

⁴ <http://www.ethnologue.com/language/vec> ethnologue.com-ზე ეს დიალექტები სალიტერატურო იტალიურისგან განსხვავებულ და დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულებად მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ თვით იტალიელ ენათმეცნიერთა უმეტესი ნაწილი ამგვარ შეხედულებას არ იზიარებს.

⁵ მიუხედავად ამისა, კორსიკელთა ერთი ნაწილი თავის მეტყველებას იტალიურისგან დამოუკიდებელ ენად მიიჩნევს და აქვს სურვილი,

ვთქვათ - მისი ვარიანტი, რომელიც ადგილობრივ დიალექტთა დიდ გავლენას განიცდიდა) სამწიგნობრო ენის ფუნქციით XIX ს.-ის II ნახევრამდე გამოიყენებოდა, მერე კი მის მაგივრად თანდათან ფრანგული დამკვიდრდა (არიგი 1999, გვ. 23).

სალიტერატურო იტალიურსა და დიალექტებს შორის, როგორც ითქვა, მნიშვნელოვანი სხვაობა დასტურდება, რაც ხშირად საერთოდ გამორიცხავს გაგებინებას. ერთმანეთისაგან დიდად სხვაობს ასევე, არამართო სხვადასხვა ჯგუფის, არამედ ერთსა და იმავე ჯგუფში გაერთიანებული დიალექტებიც; საილუსტრაციოდ, ქვემოთ მოგვყავს აპულიის მკვიდრი პოეტის, ჯუზეპე დე დომინიჩისის (იგივე „კაპიტანი ბლეკის“- 1869-1905) ერთი-ერთი ლექსის კუპლეტი, სალიტერატურო იტალიური ვერსიითურთ:⁶

Ma cce serve ste cose cu bu dicu
Ma a che serve che io vi dica queste cose
se ogne amicu miu tantu u sospira
se ogni mio amico vi sospira
e pe destinu uesciu ogne nemicu
e per vostro destino ogni nemico
furfecare bu pote cu na lira?
vi può forbiciare con una lira?

ქართული ბჭკარედული თარგმანი:⁷

„თუმც რის მაქნისია ესენი, რასაც გეტყვით,
 თუ ყველა ჩემი მეგობარი თქვენით აღფრთოვანებულია,
 და თქვენდა ბედად, [+ ყოველი] მტერიც კი,
 ლირით [ხელში] დითირამბებს გიძღვნით?“

ქ. სალენტოს⁸ დიალექტი, რომელზეც ჯუზეპე დე დომინიჩისის ლირიკული ლექსები აქვს დაწერილი, სალიტერატურო იტალიურისაგან თითქმის ისევე განსხვავდება, როგორც მაგ., მეგრული/ლაზური მეტყველება - სალიტერატურო ქართულისაგან: ფონეტიკური პროცესები იწვევს ფორმათა იმგვარ ცვლილებას, რომ

რომ ის ფრანგულთან ერთად, კუნძულის მეორე ოფიციალური ენა იყოს.

⁶ამოღებულია წიგნიდან "Gesurmini", Le poesie del capitano Black, Congedo Editore, Lecce 1976, გვ.56;

⁷ბჭკარედული თარგმანები შესრულებულია ჩემ მიერ.

⁸მდებარეობს სამხრ.-აღმ. იტალიაში, აპულიის რეგიონში. იმავე სახელწოდების პროვინციის ადმ. ცენტრია. სალენტური დიალექტის (Salentino) გავრცელების არეალი იხ. აქვე, მე-2 რუკაზე.

საგანგებო დაკვირვების გარეშე, გაგებინება თითქმის შეუძლებელია. უნდა ითქვას ისიც, რომ სალენტური უკიდურეს-სამხრეთული ჯგუფის დიალექტია, მაგრამ ამავდროულად, იმავე ჯგუფში შემავალი სიცილიურისგან (მაგ., პალერმული კილოკავისგან) საგრძნობლად განსხვავდება: შდრ., ერთი და იმავე ხალხური სიმღერის სალენტური (1), პალერმული (2) და სალიტერატურო (3) ვერსიები:⁹

1.

**Nc'è cose ca lu Sîndicu de Maje
Ci meju de iddu è bbonu cu lle fazza?
Pr'esempiu cu ssaluta chiazza chiazza,
Pr'esempiu cu sse mpenne le maraje...**

2.

**C'è ccusi ca u Sinniccu dâ Magghie
Cui megghiu d'iddu è bbonu cu facciagghie?
P'esempiu ccu salutta chiazza chiazza,
P'esempiu ccu si mpenne e madagghie...**

3.

*Ci sono cose che il sindaco di Maglie,
chi meglio di lui è capace di farle?
Per esempio, salutar di piazza in piazza,
per esempio, appendersi le medaglie...*

ქართული ბჭარედული თარგმანი:

„ბევრი რამეა, რაც გაბღენძილ ქალაქისთავზე უკეთესად
ვის ძალუძს რომ შეასრულოს?
მაგალითად, მოედანზე [შეკრებილ ხალხთან] მისალმება,
მაგალითად, ჩინ-მედლების დაკიდება...“

სალიტერატუროიტალიური ენისგან კიდევ უფრო მეტად განსხვავდება ჩრდილო იტალიის რეგიონებში გავრცელებული გალურ-იტალიკური დიალექტები - პიემონტური, ლომბარდიული, ლიგურიული და ემილია-რომანიული, რომლებიც ციზალპია-პადანიის მკვიდრი გალური ტომების რომანიზაციის შედეგად წარმოიქმნა, თუმცა ეროვნულ ენებად ვერ ჩამოყალიბდა.

⁹ამოღებულია წიგნიდან L'italiano nelle regioni: testi e documenti, a cura di F. BRUNI, UTET, Torino, 1994, გვ. 699

ადსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთაგან ზოგ დიალექტს უფრო მეტი საერთო აქვს მეზობელ ფრანგულ ენასთან, ვიდრე სალიტერატურო იტალიურთან, მაგრამ ისტორიულ-პოლიტიკური მიზეზების გათვალისწინებით, მაინც იტალიურ მეტყველებად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ არა იშვიათად, გაგებინება მაშორის სულაც გამორიცხულია (ლოპორკარო, 2009, გვ.70). მაგალითად, შდრ. ემილია-რომანიული (ბოლონიური კილოკავი) - სალიტერატურო იტალიური:

Al còrv l'avèva rubè da una fnèstra un pzulén ed furmâi;
Il corvo aveva rubato da una finestra un pezzo di formaggio;
apugè in vatta a un âlber, l'èra drî par magnèrel, quand la vâulp al le vésst;
appollaiato sulla cima di un albero, era pronto a mangiarselo, quando la volpe lo vide;

I'avèva pròpi una gran sghèssa.

era davvero affamata.

„ყვავმა მოიპარა ფანჯრიდან ცოტა ყველი;

ხეზე შემჯდარი, მზად იყო, შეეჭამა ის, როცა მელამ დაინახა;

[მელა] იყო ძალიან მშიერი.“

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იტალიურ ენობრივ სამყაროში გალურ-იტალიკური დიალექტები ე.წ. „ასოცირებულ მეტყველებებს“ წარმოადგენს და პირობითად, შეგვიძლია პარალელი გავავლოთ წოვათუშურ (ბაცბურ) მეტყველებასთან, რომელიც „ქართველური (ქართული) ენის ასოცირებულ დიალექტადაა მისაჩნევი, „ვინაიდან მას ამ ბოლო დროს უამრავი ისეთი თვისება შეეძინა, რომ საკუთრივ ლინგვისტური საზომებით გაჭირდება მისი დამოუკიდებელ ენად ჩათვლა“ (გვანცელაძე, 2001).

ტოსკანური ჯგუფის დიალექტებს რაც შეეხება: სალიტერატურო ენისგან ამჟამად უკვე ისინიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, თუმცადა სამხრეთულ და ჩრდილოურ ჯგუფთა დიალექტებთან შედარებით, ტოსკანურ დიალექტებსა და სალიტ. ენას შორის გაგებინება არსებობს. მაგ., შდრ.:

E allora, come si fa 'n questi casi, s'urla contenti: "Maiala! Spetta'holo!"

E allora, come si fa in questi casi, si urla contente: "Ma che spettacolo è!"

Avé' visto che gl'è piaciuto tant' è stata 'na sorpresa tant' inattesa come meravigliosa.

Avere visto che lei è piaciuto tanto è stata una sorpresa tanto inattesa come meravigliosa.

„მაშინ კი, როგორც ხდება ხოლმე ასეთ დროს, კმაყოფილი წამოიყვირებს: „ვაჰ, რა სანახაობაა!“; როცა ნახავს, რომ მოუწყვეს სიურპრიზი, ენით უთქმელი და საოცარი“

როგორც უკვე აღინიშნა, ტოსკანურ ჯგუფს ეკუთვნის ასევე კ. კორსიკაზე (საფრანგეთი) გავრცელებული ჩიზმონტანური და ოლტრემონტანური დიალექტები, ასევე მათთან ახლო მდგომი გალურული და სასარული (კ. სარდინიის უკიდურეს ჩრდილო სანაპიროზე). ამ ოთხ დიალექტს მ. დარდანო ტოსკანურ ჯგუფში ცალკე კორსიკულ ქვეჯგუფად გამოყოფს. მისივე თქმით, ჩიზმონტანური და ოლტრემონტანური დიალექტები სალიტერატურო ენისაგან (*resp.* ფლორენციული დიალექტისგან) განსხვავებულია, მაგრამ ახლოს დგას სხვა ტოსკანურ დიალექტებთან, მიუხედავად იმისა, რომ კელტიბერიული მეტყველებისა და ფრანგული ენის გავლენა განუცდიათ. ჩვენი აზრით, აქ შეიძლება პარალელის გავლება ქართულის ლივანურ და ტაოურ დიალექტებთან, რომლებიც ამჟამად გავრცელებულია თურქეთში, განსხვავდება სალიტერატურო ქართული ენისაგან, მაგრამ გარკვეულწილად ახლოს დგას აჭარულ დიალექტთან. გალურულსა სასარულს რაც შეეხება: ეს დიალექტები ჩიზმონტანურისა და ოლტრემონტანურის განაყოფია, რომელთაც სახე გარკვეულწილად უცვლიათ სარდინიის სხვა დიალექტებთან (იხ. ქვემოთ) ურთიერთობის შედეგად.

კუნძულ სარდინიაზე გავრცელებულ დიალექტებს - ლოგუდორულს, ნუორულსა და კამპიდანურს, როგორც წესი, ცალკე ჯგუფად გამოყოფენ, როგორც არაინდოევროპულ პალეოსარდინიელთა რომანიზაციის შედეგად წარმოქმნილ მეტყველებებს; ანუ არსებითად, ისინიც - გალურ-იტალიკური დიალექტების მსგავსად - იტალიურის ე.წ. „ასოცირებულ დიალექტებს“ წარმოადგენენ. აღსანიშნავია ისიც, რომ კამპიდანურს კარგად აქვს დაცული სალიტერატურო ლათინურთან საერთო ფორმები. ამჟამად ხსენებულ სამ სარდინიულ დიალექტს იტალიურისგან დამოუკიდებელი სარდინიული ენის ნაწილებად თვლიან (იხ. ქვემოთ)

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რომაული და ნეაპოლური დიალექტები - ორივეს სამხრეთულ ჯგუფში აერთიანებენ (მ. დარდანო, რ. კაპაცოლი), თუმცადა მათ ერთგვარად გარდამავალი ადგილი უჭირავთ ტოსკანურ და უკიდურეს-სამხრეთულ დიალექტებს შორის. რომაული დიალექტი, გასაგები მიზეზების გამო, უფრო და უფრო უახლოვდება სალიტერატურო იტალიურს და დიდ გავლენასაც ახდენს მასზე (თანამედროვე იტალიურ ენაში ნორმად ითვლება რომაული და არა ტოსკანური აქცენტუაცია), ხოლო ნეაპოლური დიალექტი ერთგვარ კოინეს წარმოადგენს სამხრეთი იტალიის მასშტაბით - სხვადასხვა, განსხვავებულ დიალექტებზე მეტყველი სამხრეთელები ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ ნეაპოლურ დიალექტს მიმართავენ ხოლმე. ამის გამო, ნეაპოლურს თანდათანობით ერწყმის (ან მისი გავლენით სახეს იცვლის) ბევრი

ისეთი დიალექტი, რომლის მატარებელთა რიცხვი შედარებით მცირეა (აბრუცოული, მოლიზური, ბაზილიკატური და ა.შ.).

3. მეკუთხევეობისა და „დიალექტთა აღმატების“ შესახებ. იტალიაში დიდი ხნის ისტორია აქვს მეკუთხევეობას - ცალკეულ კუთხეთა კულტურულ-ენობრივ სეპარატიზმს, რაც არაიშვიათად, პოლიტიკური სეპარატიზმის გარკვეული საფუძველია: 1997 წლიდან, ქვეყანაში ოფიციალურად დარეგისტრირებულია პოლიტიკური პარტია „ჩრდილოეთის ლიგა“, რომელიც იტალიის გალურ-იტალიკური რეგიონების დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. მსგავსი პარტიები ლეგალურად ან ნახევრადლეგალურად არსებობს სამხრეთის რეგიონებშიც - სიცილიაში, კალაბრიაში, აპულიაში, ნეაპოლსა და სხვაგანაც, თუმცა ისინი გავლენიან ძალებს არ წარმოადგენენ.

მეკუთხევეობას პირდაპირ უკავშირდება „დიალექტთა აღმატების“ („Valorizzazione dei Dialetti“) საკითხი, რაც დღევანდელ იტალიაში მეტად აქტუალურია. **როგორც წესი, ამა თუ იმ დიალექტის „აღმატება“** (იტალ. Valorizzazione „დაფასება“, „ცენზის მომატება“) **ვიწრო მნიშვნელობით გულისხმობს მის გადასარჩენად აუცილებელი ზომების მიღებას, ფართო მნიშვნელობით კი - მის ფუნქციურ გატოლებას სალიტერატურო იტალიურთან.** აქედან გამომდინარე, ხსენებული საკითხი იტალიელთა მიერ, ბუნებრივია, სხვადასხვაგვარად აღიქმება.

ოფიციალური პოზიციის თანახმად, დიალექტებს იტალიაში არანაირი ოფიციალური სტატუსი არ გააჩნიათ - ყველა რეგიონისათვის უპირატესია სალიტერატურო იტალიური და შესაბამისად, ყველა ინსტანციაში სახელმწიფო (ოფიციალური) ენის ფუნქციას მხოლოდ ის ასრულებს.¹⁰ ამავე დროს, საგანგებო კანონების თანახმად, ავტოქტონური ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (ფრიული-ვენეცია-ჯულია, ვალე დ'აოსტა...) დაშვებულია იტალიურის პარალელურად და თანაბარ დონეზე შესაბამისი სხვა ენობრივი ერთეულის (გერმანულის, ფრანგულის, პროვანსალურის...) გამოყენება სხვადასხვა დონის სასწავლო დაწესებულებებში, მასმედიაში, ნაწილობრივ - საქმისწარმოებაში და ა.შ.

გარდა ამისა, იტალიურ კანონმდებლობაში არსებობს ცნება „ისტორიული ეროვნული უმცირესობა“, რაც ისტორიულად **არარომანული წარმომავლობის** მოსახლეობასა და მათ სამეტყველო ერთეულებს გულისხმობს: მაგ., 1999 წლის 15 დეკემბერს გამოცემული კანონი № 482 და მასთან დაკავშირებული № 345-

¹⁰საინტერესოა ისიც, რომ იტალიას დღემდე არ მოუხდენია რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირება.

დებულება (გამოცემული 2001 წლის 2 მარტს) ისტორიულ ეროვნულ უმცირესობებად აღიარებს სარდინიაზე მცხოვრებ ნუორელებს, ლოგუდორელებსა და კამპიდანელებს, რომლებიც კუნძულის უძველესი, არარომანული წარმომავლობის ავტოქთონური მოსახლეობის შთამომავლები არიან. შესაბამისად, მათი სამეტყველო დიალექტები - ნუორული, ლოგუდორული და კამპიდანური უთანაბრდება ავტოქთონური ეროვნული უმცირესობების ენებს.¹¹

ამავე დროს, “ისტორიულ ეროვნულ უმცირესობად” არ მიიჩნევიან კ. სარდინიის ჩრდ. ნაწილში მცხოვრები გალურელები და სასარელები (ისინი კუნძულზე ჩამოსახლებულ ტოსკანელთა და კორსიკელთა შთამომავლები არიან), არც სიცილიელები, ნეაპოლელები, პიემონტელები, ლიგურიელები, ლომბარდიელები... რამდენადაც ყველანი ისტორიულად იტალიკურ-რომანული სამყაროს წარმომადგენლებად ითვლებიან.¹²

ბუნებრივია, იტალიის ცენტრალური ხელისუფლების ხსენებულ პოზიციას ყველა ვერ იზიარებს - არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეთა ისტორიულ ეროვნულ უმცირესობად აღიარებას ითხოვენ (ამადროულად, ემიჯნებიან და გმობენ პოლიტიკურ სეპარატიზმს), შესაბამისი დიალექტის „აღმატებას“ კი, უპირველეს ყოვლისა, თავიანთ მოთხოვნას უკავშირებენ. ასეთი ორგანიზაციებია, მაგალითად, სიცილიაში „Stupor Mundi“ (<http://www.siciliastupormundi.org>) და „La Lingua Siciliana“ („სიცილიური ენა“) (<http://www.linguasiciliana.org>), რომლებიც ითხოვენ სიცილიელთა აღიარებას ისტორიულ ეროვნულ უმცირესობად და სიცილიური მეტყველების იმგვარადვე აღმატებას, როგორც სარდინიაზე ადგილობრივი დიალექტები. სხვათა შორის, ორგანიზაციის მოთხოვნებს გამოეხმაურა სიცილიის ადმ. ცენტრის - ქალაქ კატანიას შემადგენელი კალტაჯირონეს კომუნას

¹¹ დაწვრილებით იხ. http://www.regione.sardegna.it/documenti/1_73_20120703172407.pdf; აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე სარდინიულ დიალექტზე მწიგნობრობა ადრეული შუა საუკუნეებიდან ვითარდება

¹² სარდინიელთა შემთხვევაში ანგარიში ეწევა იმას, რომ ნუორული, ლოგუდორული და კამპიდანური უშუალოდ ლათინური ენის მონათესავე მეტყველების შემადგენელი ნაწილებია და არა მდაბიური ლათინურის დაშლის საფუძველზე ეწარმოქმნილი ენობრივი ერთეულები. ამასთანავე, ლათინურის ახლომონათესავე ენებიდღეს უკვე გამქრალია; ამიტომაც დაუშვებს იტალიაში გამონაკლისი, თორემ სარდინიელებიც კულტურულად და ისტორიულად იტალიელი ერის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ - იტალიის გაერთიანებაში წამყვანი როლი სწორედ სარდინიის სამეფომ შეასრულა.

(მიკრორაიონის) საკრებულო, რომელმაც სიცილიურს კომუნის ტერიტორიაზე განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა.¹³

სიცილიაშივე არსებობს სიცილიურის შემსწავლელი ფილოლოგიურ-ლინგვისტური ცენტრი (<http://www.csfls.it>). მას რეგიონის მთავრობა აფინანსებს. ცენტრის მესვეურების აზრით, სიცილიური მეტყველება დამოუკიდებელი ენა არ არის, თუმცაღა წარმოადგენს არა მხოლოდ სიცილიის რეგიონისთვის, არამედ მთელი იტალიისთვის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მემკვიდრეობას - ისე, როგორც სხვა დიალექტები, ამიტომ, მისი შესწავლა არ უნდა მოხდეს იტალიურისგან მოწყვეტით. სწორედ ხსენებული ცენტრის წარმოდგენილი უტყუარი ისტორიული არგუმენტების მოშველიებით, სიცილიის რეგიონულმა მთავრობამ გააუქმა კალტაჯირონეს კომუნის გადაწყვეტილება.

მიუხედავად ამისა, იტალიის გარეთ, ხშირად სიცილიური, ნეაპოლური, პიემონტური და სხვა დიალექტები იტალიურისგან დამოუკიდებელ ენებად ითვლება - მაგ., ცნობილი ვებ-გვერდი **ethnologue.com** მათ აღრიცხავს, როგორც უმცირესობათა ენებს. ვიკიპედიის იტალიური ვერსიის გარდა, თითქმის ყველა სხვა ვერსიაშიც ხსენებული მეტყველებები ენებად არის ჩათვლილი. მეტიც - ვიკიპედიას სიცილიური, ლიგურიული, ნეაპოლური, ლომბარდიული, ვენეტური ვერსიებიც აქვს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკის კონტინენტზე მცხოვრებ სიცილიელთა დიდ ნაწილს (XIX-XX სს.-ში გადასახლებულ ემიგრანტთა შთამომავლებს) მშობლიური მეტყველება ენად მიაჩნია. ასევე - ბრაზილიაში, მექსიკასა და კუბაზე გადასახლებული ვენეციელების შთამომავლებიც თვლიან, რომ ვენეტური დიალექტი დამოუკიდებელი ენაა. „ასეთი შეხედულება იმ დროის გადმონაშთია, როცა იტალია პოლიტიკურად დაქუცმაცებული იყო და მისი გაერთიანება ბევრს შეუძლებლად ეჩვენებოდა“ (გეკიო, 1988; გვ. 20).

ამგვარ ფონზე, მოსახლეობის განათლებული ფენა პოლიტიკური დაქუცმაცების დროსაც კიმიჩინედა, რომ მთელს იტალიაში არსებობდა ერთი ენა — იტალიური, რომელიც მდებარეობს ლათინურის მემკვიდრე იყო და რომელსაც მრავალი დიალექტი ჰქონდა. მაგ., ასე თვლიდა ცნობილი ფილოლოგი და საზოგადო მოღვაწე **ლიონარდო ვიგო კალანა** (1799-1879) — 1861 წლის 10 მაისით დათარიღებულ პირად წერილში ის მეგობარს სწერდა: „**ჩვენ ჩვენს სახლში ვართ და უცხოელებს ვუჭერებთ, რომლებიც ამბობენ, ეს ასე არააო. ჩემთვის ერთგვარად მშობლიურია რომი, მილანი ან ფლორენცია... დანტეს მშვენიერი ენაც ჩვენთან ყველგანაა და არც ერთ ცალკე აღებულ პროვინციას არ**

¹³ . <http://www.regione.sicilia.it/presidenza/ull/gazzette/g05-28s/g05-28s-p1.htm>

ეკუთვნის... და მაინც: მე იტალია სიცილიაში ვიპოვე!¹⁴ (ვიგო, 1896, გვ. 225-226; ხაზი ჩემია - მ.ლ.). აქვე დავძენთ იმასაც, რომ სიცილიურის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი სწორედ ვიგომ ჩაუყარა.

4. მწიგნობრობა იტალიურ დიალექტებზე. იტალიაში დიალექტებს აქვთ საკმაოდ მდიდარი სამწიგნობრო ტრადიცია და ზოგჯერ - უფრო ძველი, ვიდრე სალიტერატურო იტალიურს. მაგალითისთვის განვიხილოთ ისეთი დიალექტი, როგორცაა სიცილიური:

პირველი წერილობითი ძეგლი, რომელიც სიცილიურ დიალექტზეა შექმნილი, XIII საუკუნით თარიღდება. მაშინ სიცილია ორივე სიცილის სამეფოს ნაწილი იყო, რომელიც კუნძულის გარდა, მთელ სამხრეთ იტალიასაც მოიცავდა. მეფის კარზე მოღვაწე პოეტების დასი იმთავითვე სიცილიური სკოლის სახელით იყო ცნობილი. დასის წევრთა უმეტესობა სწორედ სიცილიურად ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ - ვულგარული ლათინურის სიცილიურ ვარიანტზე (იტალ. *il volgare siciliano*) წერდა. შემორჩა იმ პერიოდის ორიოდე ლექსი: სტეფანო პრონოტაროს „ჩემი გულის გასახარად“ (*Pir meu cori alligrari*) და აგრეთვე - ჰენრიხ სარდინიელის (წმინდა რომის იმპერატორ ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენის უკანონო ვაჟიშვილი, სარდინიის და კორსიკის გამგებელი) „სათნობა რომ მეპოვა“ (*S'iu trovassi Pietati*). „სიცილიური სკოლის“ პოეტთა ყველა სხვა ლექსის სიცილიური ორიგინალი დაკარგულად ითვლება - ჩვენს დღეებამდე მხოლოდ მათმა გვიანდელმა, ფლორენციულმა თარგმანებმა მოაღწია.

XIV საუკუნით დათარიღებულ სიცილიურ წერილობით ძეგლთაგან კი აღსანიშნავია ბერ ჯოვანი კამპოლოს მიერ ლათინურიდან სიცილიურად ნათარგმნი „დიალოგი წმიდა გრიგოლთან“ (*Lu libru de lu dialogu de Sanctu Gregoriu*), აკურსო კრემონელის „ვალერიუს მაქსიმუსის წიგნი“ (*Lu libru di Valeriu Maximu*), რომელიც ასევე ლათინურიდან თარგმანს წარმოადგენს.

XVI საუკუნიდან, სიცილიური დიალექტი მწერლობაში ფლორენციულმა შეავიწროვა, მაგრამ მწიგნობრობის ტრადიცია არ ჩამკვდარა - სიცილიურად იქმნებოდა უმეტესად პოეზია და პიესები იტალიური ხალხური თეატრისთვის. მოგვიანებითაც, ბევრი მწერალი სიცილიურს იყენებდა ძირითადად პოეზიასა და დრამატურგიაში - მაგ., ნობელის პრემიის ლაურეატს, ნოველისტ ლუიჯი პირანდელოს, სიცილიურად დაწერილი აქვს ლექსები, რომლებიც დღეს უკვე

¹⁴დრ.ილია ჭავჭავაძის ცნობილი გამონათქვამი: „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე!“, აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლიონარდო ვიგო წარმოშობით სიცილიელი იყო და მთელი ცხოვრება სიცილიაზე გაატარა;

ხალხურ სიმღერებადაა ქცეული. მისივე ცნობილ პიესაში „ქვევრი“ (რომლის მიხედვით გადაღებულია იმავე სახელწოდების ქართული ფილმი) სიცილიური დიალექტი გამოყენებულია დიალოგებში.

ამჟამად, დიალექტები გარკვეული მიზნით (ადგილობრივი კოლორიტის წარმოჩენა, რეალობის ზედმიწევნითი ასახვა...) გამოიყენება მხატვრულ ფილმებში, ტელეშოუებში და სხვაგან.

5. „რეგიონული იტალიური“ და სამეტყველო კოდთა აღრევა. როგორც უკვე აღინიშნა, ამჟამინდელ იტალიურ ენათმეცნიერებაში არსებობს ცნება „რეგიონული იტალიური“ („Italiano Regionale“): ის გულისხმობს სალიტერატურო იტალიურის ზეპირმეტყველებით ვარიანტს, რომელიც განიცდის ამა თუ იმ დიალექტის გავლენას უპირატესად ფონეტიკასა და აქცენტუაცია-ორთოვბაში, უმნიშვნელოდ - მორფოლოგიასა და სინტაქსშიც. ასე რომ, „რეგიონული იტალიური“ ერთგვარ შუალედურ ფორმას წარმოადგენს სალიტერატურო (სამწიგნობრო) ენასა და დიალექტს შორის.

„რეგიონული იტალიური“ არ არის აღრეული მეტყველება - ის დაახლოებით ისეთივე ენობრივი ერთეულია, როგორც ქართულ ფოლკლორში დადასტურებული კოინე. ერთგვარი კურიოზული ფაქტია, რომ სალიტერატურო იტალიურის რომაული ვარიანტი XX სა.-ის ბოლომდე რეგიონულ იტალიურად მიიჩნეოდა, დღეს კი აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია მისი გაბატონებისა. რეგიონული იტალიურის მნიშვნელოვანი ვარიანტებია მილანური და ნეაპოლური, რომლებიც შესაბამისად, განიცდიან ჩრდილო იტალიის გალურ-იტალიკური და სამხრეთული დიალექტების დიდ გავლენას. დაძვინთ იმასაც, რომ მილანური ვარიანტი ისმის, მაგ., მარियो ჩეკი გორის ცნობილ ფილმში „ჭირვეულის მორჯულება“ (1983), ხოლო ნეაპოლური — ვიტორიო დე სიკას ასევე ცნობილ ფილმში „ქორწინება იტალიურად“ (1964).

სამეტყველოკოდთააღრევასრაცშეეხება: ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ დღესდღეობით, თითქმის არცერთი დიალექტი არ დასტურდება „წმინდა“ სახით - ყველა რეგიონში ხდება „რეგიონული იტალიურისა“ და შესაბამისი ადგილობრივი დიალექტის აღრევა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში (დაწვრილებით იხ. ლომანელო, 2010), რაც კანონზომიერი პროცესია და ხელოვნური წინააღმდეგობის მიუხედავად (მხედველობაში გვაქვს „დიალექტთა აღსამატებლად“ ჩატარებული ღონისძიებები), მაინც გრძელდება. ამ მხრივ ვიზიარებთ ახალგაზრდა იტალიელი მკვლევრის, ემილია რომანელოს თვალსაზრისს: **„სამეტყველო კოდთა აღრევა შეჩერდება იმ შემთხვევაში, თუკი დიალექტები ოფიციალური ენის ყველა ფუნქციას მოიპოვებენ... ეს კი შეუძლებელია, რადგან აქ უკვე პოლიტიკურ სეპარატიზმში გადავდივართ“** (იხ. რომანელო, 2010, გვ. 20).

6. განსხვავებანი და მსგავსებანი ქართულ და იტალიურ ენობრივ სამყაროთა შორის. როგორც ვხედავთ, იტალიასა და საქართველოში არსებული ვითარებათა შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა ის, რომ ჩვენთან ისტორიის მთელ მანძილზე, დიალექტებზე არ შექმნილა მწიგნობრობა და არც სალიტერატურო-ეროვნული ენა წარმოქმნილა რომელიმე კუთხის დიალექტზე დაყრდნობით — იმთავითვე, ყველა ქართულ თემში მწიგნობრობა იმ ერთიან ენაზე იქმნებოდა, რომელიც ამოსავალია დიალექტთათვის (დაწვრილებით ამ საკითხთა შესახებ იხ. ფუტყარაძე 2005).

იტალიაში კი, ამის საპირისპიროდ, „მდაბიური ლათინურის“ დიალექტებად დაშლის შემდგომ, აღზევდა ფლორენციული დიალექტი, მიუხედავად იმისა, რომ მწიგნობრობა თითქმის ერთდროულად შეიქმნა რამდენიმე მსხვილ დიალექტზე და ფლორენციულმა მათი შევიწროვება მხოლოდ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო.

ამავე დროს, ქართულ და იტალიურ ენობრივ სამყაროთა შორის ის მსგავსებაა, რომ **კუთხური დიალექტების აშკარა განსხვავებულობის ფონზე, მყარია ქართველთა და იტალიელთა ერთიანი ეროვნული თვითაღქმა: ყველაკუთხის ქართველს, ისევე როგორც ყველაკუთხის იტალიელს, თავი მიაჩნია ერთი ერის შვილად, ერთიანი კულტურის მემკვიდრე-შემოქმედად და თვლის, რომ ერთი დედა ენა და სამშობლო აქვს** (იტალიის მაგალითზე იხ. მაგალითად, აქვე ზემოთ ციტირებული, ლიონარდო ვიგო კალანას შეხედულება). ამ მხრივ არსებული მცირერიცხოვანი გამონაკლისები საქართველოშიც და იტალიაშიც არაბუნებრივად მოჩანს (იხ. ფუტყარაძე 2005 და ვეკიო 1988).

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, ზოგიერთ უცხოელ მკვლევარს მაინც მიაჩნია, რომ ერთიანი ქართული ენობრივი სამყარო არც არსებობს და სამეგრელოში, სვანეთსა და ლაზეთში გავრცელებული მეტყველებები ქართულისაგან დამოუკიდებელ ენებს წარმოადგენენ. მაგალითისთვის ავიღოთ ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის — პროფესორ ვინფრიდ ბოედერის (ბოდერის) სტატია „ენა და კილო ქართველოლოგიაში“, რომელიც 2005 წელს გამოქვეყნდა. მასში ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ლინგვისტური კრიტერიუმით მეგრული, ლაზური და სვანური დამოუკიდებელი ენებია და არა დიალექტები; ამასთან, ანგარიშს არ უწევს მეგრელთა, სვანთა და ლაზთა ეროვნულ თვითაღქმას, საქართველოში ისტორიულად არსებული ვითარებების თავისებურებებს და აცხადებს, რომ მაგ., კონსტანტინე გამსახურდია ისევე შეიძლება ჩაითვალოს ქართველ მწერლად, როგორც პოლონური წარმომავლობის ჯოზეფ კონრადი ითვლება ინგლისელ მწერლად (იხ. ბოედერი 2005, გვ. 231, სქოლიო)

აქვე დავძენთ, რომ ეგზომ ყბადაღებული „ლინგვისტური კრიტიკიუმის“ ზუსტი განსაზღვრება (როგორც თავად აღნიშნავს ავტორი ზემოთ ხსენებულ სტატიაშივე, სხვადასხვა ადგილას) არარსებობს, რადგან არც ერთი ენობრივი ერთეულის კლასიფიცირება არ ხდება მხოლოდ ლინგვისტური კრიტიკიუმის (რეგულარული ბგერათშესატყვისობების, გაგებინების არსებობა-არარსებობის და ა.შ.) საფუძველზე — როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, ენათმეცნიერები უსიტყვოდ თანხმდებიან იმაზე, რომ ესა თუ ისმეტყველება ენად თუ დიალექტად მიიჩნევა არა იმდენად ლინგვისტური, არამედ მასთან ერთად (და უფრო მეტადაც კი!) — ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით: მაგ., პიემონტური ანდა ემილია-რომანიული, ვინფრიდ ბოედერის „ლინგვისტური კრიტიკიუმის“ მიხედვით, ისეთივე ენებად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ფრანგული ან კატალანური, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ერთიცა და მეორეც იტალიურის დიალექტებია იმიტომ, რომ მათზე მეტყველნი თავს ისტორიულადაც და ამჟამადაც თვლიდნენ და თვლიან იტალიელებად; პიემონტისა და ემილია-რომანიის კუთხური მეტყველებებიც, შესაბამისად, იტალიურიენობრივი სამყაროს (იტალიური ენის) განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენს. ხოლო კონსტანტინე გამსახურდიას და ჯოზეფ კონრადის გაიგივება იმის ნიშანია, რომ ბ-ნი ბოედერი, სამწუხაროდ, არამარტო ცუდად იცნობს საქართველოს ენობრივ და კულტურულ-ისტორიულ ვითარებას (რაც ქართველოლოგს არ ეპატიება), არამედ ვერ გრძნობს სლავურ და გერმანიკულ კულტურულ-ენობრივ სამყაროთა შორის არსებულ კარდინალურ სხვაობასაც.

იტალიაში არსებული ენობრივი ვითარების ამ მოკლე მიმოხილვითაც, ვგონებთ, ცხადი ხდება, რომ ენობრივ ერთეულთა კლასიფიკაციის ნორმები თვით ევროპაშიც კი სხვადასხვაგვარია.

დამოწმებული ლიტერატურა:

არიგი, 1999: Ghjuvan Maria Arighi, L'usu di u corsu, Bunifazziu, 1999;
ბოედერი, 2005: ვინფრიდ ბოედერი, „ენა და კილო ქართველოლოგიაში“, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2; თბილისი, 2005;

- გვანცელაძე, 2001:** თეიმურაზ გვანცელაძე, „ქართველური ენები თუ ქართველური დიალექტები“ (<http://www.putkaradze.ge/qartvelebi/qartvelebi/links/danarti.htm>);
- დარდანო, 2005:** Maurizio Dardano, Nuovo manualetto di linguistica italiana, Bologna 2005
- დესიატოვა, 2008:** Десятова М.Ю. Сицилийский диалект в современной лингвистической ситуации Италии, (<http://pstgu.ru/download/1223920137.desyatova2.pdf>);
- ვეკიო, 1988:** Sebastiano Vecchio, “Una nazione senza lingua. Il sicilianismo nel primo ottocento; Palermo, 1988;
- ვიგო, 1896:** Vita intima; Lettere inedite di Lionardo Vigo e di alcuni illustri suoi contemporanei, Catania, 1896;
- ლოპორკარო, 2009:** Loporcario Michele, Profilo linguistico dei dialetti italiani, Roma Bari, Laterza, 2009;
- მერლო, 1937:** Clemente Merlo, Lingue e dialetti d'Italia, Milano 1937
- მილიორინი, 1960:** Bruno Migliorini, Storia della lingua italiana, Firenze, Sansoni, 1960
- ბელეგრინი, 1950:** Contributo allo studio della romanizzazione della provincia di Belluno, Padova, Cedam, Casa Ed. Dott. A. Milani, 1950;
- რომანელო, 2010:** Emily Romanello, The Use of Italian And Dialects as a Politeness Strategy, Honors Thesis, Stony Brook University, 2010;
- ფუტკარაძე, 2005:** ტარიელ ფუტკარაძე, ქართველები I, თბილისი, 2005;

Mikheil Labadze

Diglossia in Italia (I paralleli con la diglossia georgiana)

RIASSUNTO

In articolo si tratta dei dialetti d'Italia e della diglossia (o dilalia) italiana, e si fanno i paralleli con la situazione linguistica della Georgia.

La condizione di diglossia consiste nello stato in cui in un dato contesto territoriale e sociale esistono due linguaggi strettamente imparentate, una di elevato prestigio, generalmente usata dal governo e nei testi formali, e una di basso prestigio, solitamente la lingua vernacolare parlata: i parlanti hanno generalmente buona pratica di entrambi gli idiomi, e li usano in funzione della situazione (fenomeno del code-switching) e degli interlocutori, in certi casi in alternanza e in altri casi in commistione. Questa condizione si verifica in Italia tra l'italiano e i dialetti preesistenti in gran parte delle realtà territoriali della penisola.

Forte di una radicata tradizione verbale ma anche letteraria, il dialetto in Italia è servito nel tempo da spunto per la realizzazione di molti lavori teatrali entrati poi stabilmente nel repertorio di uno specifico genere chiamato teatro dialettale. Un valore particolare al dialetto è stato attribuito specialmente in tempi relativamente recenti, da quando si è avuta piena consapevolezza della predominanza della lingua nazionale sulle parlate regionali. Affinché i dialetti non scompaiano diventando lingue morte, si è tentato e si tenta di studiare e recuperare appieno il significato storico e il senso culturale della parlata locale, anche in chiave di un recupero delle radici e dell'identità propri di ogni regione. All'interno di queste dinamiche si assiste recentemente ad un uso del dialetto nelle tifoserie di calcio, specie con l'esposizione di striscioni in dialetto che evidenziano un recupero dei dialetti con finalità di rivendicazione identitaria.

La lingua georgiana comprende circa 30 dialetti, suddivisi in un gruppo centrale e in cinque marginale (alla opinione di professore Tariel Putkaradze), alcuni dei quali (laziano, taoano, imerkheviano...) sono stati fortemente influenzati dal linguaggio dominante della paese in cui risultano parlati. In generale sono più distinti i dialetti delle provinciemarginale.

ნანა ლოლაძე

ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები

გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფმა 2000 წლიდან დღემდე არაერთი ტესტირება ჩაატარა სხვადასხვა დანიშნულებით: IX კლასის მოსწავლეთა გამოცდა (2000—2003 წლებში), ერთიანი ეროვნული გამოცდები (როგორც სავალდებულო გამოცდა ქართული ენისა და ლიტერატურაში, ისე არჩევითი — ლიტერატურაში), მასწავლებელთა სასერტიფიკაციო და მოსწავლეთა საატესტატო გამოცდები, სასკოლო ოლიმპიადა IX—XII კლასელებისათვის, გარდა ამისა, ტესტური დავალებების წინასწარი გამოცდები, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით ტარდება.

გამოცდების შედეგების სტატისტიკური ანალიზი და თვისობრივი კვლევა, მართალია არაპირდაპირ, მაგრამ მაინც იძლევა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესის ერთგვარი მონიტორინგის საშუალებას. გვეხმარება არსებული ხარვეზების გამოვლენაში და გარკვეულ საფუძველს ქმნის იმის გასარკვევად, თუ რა და რატომ არის შესაცვლელი თუ დასახვეწი სწავლების პროცესში.

2005 წლიდან დღემდე აბიტურიენტთა მომზადების დონე საგრძობლად უმჯობესდება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი აზრის ჩამოყალიბებასა და წერილობით მის გადმოცემას სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ახერხებს. პირველ წლებში თხზულებას აბიტურიენტთა 40% საერთოდ არ წერდა. თხზულებათა ნაწილი იმსახურებდა ნულოვან შეფასებას, რადგან არაადეკვატურად იყო გაგებული დავალების პირობა ან ნაწერი ენობრივად იმდენად გაუმართავი იყო, რომ აზრის გამოტანა ჭირდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავდაპირველად მათ სკოლაში ნასწავლი ნაწარმოებების ანალიზი ევალებოდათ, ბოლო ხანს კი არასაპროგრამო ნაწარმოების (ან ნაწარმოების ნაწყვეტის) ანალიზი და არგუმენტირებული ესეს დაწერა მოეთხოვებათ. ამჟამად წერით დავალებებს აბიტურიენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ასრულებს, თუმცა მათი შესრულების ხარისხი საკმაოდ დაბალია, განსაკუთრებით ლექსიკისა და სტილის თვალსაზრისით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები პირდაპირ არ ასახავს სკოლაში არსებულ ვითარებას, რადგან, აბიტურიენტები ხშირ შემთხვევაში რეპეტიტორებთან გავლილი მომზადებით აღწევენ შედეგებს და არა სკოლაში მიღებული ცოდნით. სკოლაში არსებული სიტუაციის კვლევის შედარებით უკეთესი საშუალებაა სასკოლო

ოლიმპიადები, მაგრამ იქაც მხოლოდ გარკვეული ჯგუფი მონაწილეობს და არა ყველა მოსწავლე.

ამდენად, ჩვენი დაკვირვება არ იძლევა სკოლაში არსებული სიტუაციის სრულყოფილ სურათს, თუმცა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ცალკეულ საკითხებზე.

სასკოლო რეფორმის დაწყებიდან საკმარისი დრო გავიდა იმისათვის, რომ მისი შედეგების შეფასება შეეძლოთ. შეინიშნება დადებითი ტენდენციები, თუმცა აშკარაა ის პრობლემებიც, რომლებიც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში იჩენს თავს. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს საკითხები, რომლებიც ქართული ენის სწავლებას შეეხება.

ეროვნული სასწავლო გეგმის შესავალში აღნიშნულია, რომ: „ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის ბირთვის წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. ენობრივი უნარ-ჩვევები უნდა წარმოვიდგინოთ არა როგორც მათი შემთხვევითი ნაკრები, არამედ როგორც ერთი მთლიანი სისტემა. მან ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს, ვინაიდან ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი **სასწავლო საგანი** კი არ არის, არამედ, სხვა საგანთაგან განსხვავებით, **სწავლების ენაა**, ყველა დანარჩენი საგანის შესწავლის საშუალებაა“.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროდ ჩაითვალა ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება, რაც უდავოდ სწორი გადაწყვეტილება იყო.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტის ამ მოთხოვნების სათანადოდ რეალიზაცია ვერ მოხერხდა. სტანდარტი (და საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში) ვერ უზრუნველყოფს ენისა და ლიტერატურის სწავლების ინტეგრირებას, მათი დაკავშირება აშკარად ხელოვნურია, არ ჩანს ერთიანი კონცეპტუალური მიდგომა. ყოველივე ეს პრობლემას უქმნის სახელმძღვანელოების შემდგენლებს. ქართული ენის შესწავლა ხშირ შემთხვევაში ლიტერატურის დანამატადაა ქცეული. ამდენად, ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლება რეალურად არ ხდება.

გარდა ამისა, ქართული ენის სწავლებისას უარი ითქვა ქართული ენის გრამატიკის სისტემურ კურსზე და ენის სწავლების ფუნქციურ მიდგომას მიენიჭა უპირატესობა, თუმცა, ამის რეალიზაცია საკმაოდ რთული ამოცანა აღმოჩნდა. სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამა ეკლექტიკურია, იგი წარმოადგენს ენის სისტემური კურსისა (რომელიც მინიმუმამდეა დაყვანილი) და ფუნქციური გრამატიკის საკითხების მექანიკურ ნაკრებს, არ ითვალისწინებს ქართული ენის ბუნებას, ზოგიერთ შემთხვევაში აშკარად წინააღმდეგობრი-

ვია. ყოველივე ეს მიანიშნებს იმაზე, რომ დოკუმენტი ენათმეცნიერთა განხილვის საგანი არ ყოფილა.

ამდენად, არსებული ეროვნული სასწავლო გეგმა სერიოზულ ცვლილებებს მოითხოვს. საჭიროა შეიქმნას ქართული ენის სწავლების ერთიანი კონცეფცია სწავლების სამივე საფეხურისათვის. ამისათვის აუცილებელია ქართული ენის სწავლების პოლიტიკის შემუშავების პროცესში ენათმეცნიერთა უფრო აქტიური ჩართვა, მათი მჭიდრო თანამშრომლობა პედაგოგიურ საზოგადოებასთან.

საგანგებო ღონისძიებებია გასატარებელი მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველსაყოფად.

Nana Loladze

Problems Connected with Teaching Georgian

S u m m a r y

The team of Georgian language and literature at the National Examination Centre have conducted several tests for different purposes since 2000: examination of pupils of the 9th form (2000-2003), united national examinations (obligatory examinations in Georgian language and literature and an optional exam in literature), teacher certification examinations and graduate record examinations, national educational Olympiad for the 9th and 10th-grade pupils. Besides, preliminary written tests were conducted across the whole country.

Analytic and qualitative research of the results enable us to monitor the teaching process, to identify gaps which will enable us to find out what changes and refinement can develop the existing teaching process.

Quite sufficient time has passed since the school reform in order to evaluate it. Positive trends are evident but there are also problems connected with teaching Georgian language and literature. We should mention particularly the problems associated with teaching Georgian language 'as Georgian is not just one of the subjects, but unlike other subjects, it is the language of teaching other subjects as well' (National Teaching Plan)...

The research has revealed that the existing national teaching plan requires serious changes. It is necessary to create united conception of teaching Georgian language for all three levels of education. More active involvement of linguists and their collaboration with pedagogical society is of great importance for this process. Besides, special measures should be taken to ensure high qualification of teachers.

თამარ ლომაძე

**თანამედროვე პოლიტიკური ზეპირი ტექსტების
ენობრივი თვისებებები
(ქართული პოლიტიკური დისკურსის მაგალითზე)**

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება პოლიტიკური ტექსტების კვლევა. იკვლევენ და აანალიზებენ სხვადასხვა რანგის პოლიტიკურ მოღვაწეთა საჯარო გამოსვლებს. ეს შეიძლება იყოს პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვა, პოლიტიკოსების დებატები, წინასაარჩევნო პროპაგანდა და სხვ.. ამგვარი ტექსტების მთავარი მიზანი, როგორც წესი, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებაა. პოლიტიკაში განმსაზღვრელი როლი ენიჭება სწორედ ვერბალურ კომუნიკაციას. პოლიტიკოსის მიერ წარმოთქმული თითოეული სიტყვა მნიშვნელოვანია.

დღესდღეობით დიდი ინტერესით იკვლევენ პოლიტიკურ ტექსტებს როგორც ლინგვისტური, ისე სოციალურ-ფსიქოლოგიური, სოციოკულტურული თვალსაზრისით. სწორედ ამან განაპირობა ახალი ლინგვისტური მიმართულების - **პოლიტიკური ლინგვისტიკის** (ამ დარგს ლინგვოპოლიტოლოგიადაც მოიხსენიებენ) ჩამოყალიბება. პოლიტიკური ტექსტების კვლევა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ, რა ენობრივი საშუალებებით (და აქ იგულისხმება ენის ყველა დონე) მიიღწევა ზეპირი თუ წერილობითი ტექსტების დამაჯერებლობა, პროპაგანდისტული ძალა, საზოგადოებრივი აზრის მართვა, საკონფლიქტო ან, პირიქით, სამშვიდობო განწყობილებების გააქტიურება და სხვ. რა განზრახვა ამოძრავებთ პოლიტიკოსებს, დარწმუნების რა ხერხებსა თუ მეთოდებს მიმართავენ წინასაარჩევნო და სხვა ტიპის საჯარო გამოსვლებში. ჩვეულებრივ, ამგვარი ტექსტების შინაარსს (და ფორმასაც კი) ზოგჯერ ლინგვისტიკის მიღმა განიხილავენ, და ეს სწორი არ არის, რადგან დაწყებული რიტორიკული მოდელებიდან და დამთავრებული ლექსიკურ-გრამატიკული ფორმებით, ყოველი ტექსტი უპირველეს ყოვლისა ლინგვისტური მოვლენაა,

პოლიტიკური ტექსტების ინტერდისციპლინარული და კომპლექსური კვლევის მიზნით ჩამოყალიბდა შესაბამისი მეთოდოლოგია. წამყვანი მიდგომებია: დისკურსის ანალიზი, კრიტიკული დისკურსის ანალიზი, პოლიტიკური დისკურსის ანალიზი და ა.შ.

- **დისკურსის ანალიზი (DA - Discourse Analysis)**, პრაგმატული ანალიზის მსგავსად, იკვლევს ტექსტს კონტექსტის გათვალისწინებით; ის შეისწავლის კონტექსტს, ტექსტს და მის

ფუნქციას. დისკურსის ანალიზი არის ერთგვარი იდეოლოგიური მიდგომა ტექსტისადმი, რომელიც განმარტავს ტექსტის მიზანს სოციალურ კონტექსტში. (ქათინგი, 2002: 2)

- **კრიტიკული დისკურსის ანალიზი (CDA - Critical discourse analysis)** დისკურსის კვლევის ინტერდისციპლინარული მიდგომაა, რომელიც განსაზღვრავს თუ რა სოციალურ-პოლიტიკური შეტყობინება გადმოიცემა ზეპირ თუ წერილობით ტექსტში, იკვლევს ენისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართებას. კრიტიკული დისკურსის ანალიზის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ტექსტის ბუნდოვანი შენაარსის გამორკვევაა¹.

- **პოლიტიკური დისკურსის ანალიზი PDA (Political discourse analysis)** კი შეისწავლის სხვადასხვა ტიპის პოლიტიკურ ტექსტს.

პოლიტიკურ ტექსტებს აქტიურად იკვლევენ ევროპელი და ამერიკელი მეცნიერები: ვან დეიკი, ნორმან ფერკლაუფი, რუთ ვოდაკი, ბოგრანდი, დრესლერი და სხვ.. ვან დეიკი განმარტავს, რომ პოლიტიკური დისკურსის კრიტიკული ანალიზი ძირითადად აღწერს პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, პოლიტიკური დისკურსის სიჭარბესა და გაბატონებას. ამ საშუალებით ხდება იმ შედეგების კვლევა, რაც მოჰყვება ხოლმე ასეთი რიტორიკით გამოწვეულ სოციალურ და პოლიტიკურ უთანასწორობას. (ვან დეიკი, 1993b).

არსებობს პოლიტიკური დისკურსის ორი გაგება: ფართო გაგებით, პოლიტიკური დისკურსი განიმარტება როგორც პუბლიცისტური ენა. ლანდშეერის ნაშრომებში 'The Political Rhetoric of United Europe' მითითებულია, რომ რამდენადაც პრაქტიკულად ყველა საჯარო გამოსვლას პოლიტიკური დატვირთვა აქვს, იმდენად პოლიტიკური დისკურსის განხილვა შეიძლება პუბლიცისტურ ენად, რომელიც ზოგადად გამოიყენება ურთიერთობის სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში².

ვან დეიკის თანახმად პოლიტიკური დისკურსი განისაზღვრება როგორც პოლიტიკური სფეროთი შემოფარგლული ჟანრი, რომელსაც სპეციფიკური ენობრივი თეზაურუსი, გარკვეული ფუნქციური დანიშნულება და კომუნიკაციური ზემოქმედება გააჩნია. ვან დეიკის კონცეფციაში, პოლიტიკური დისკურსი — ეს

¹ http://en.wikipedia.org/wiki/Critical_discourse_analysis დამოწმების

თარიღი: 22.01.2014

² **De Landtsheer, Christ'l** 1998, "The political rhetoric of a United Europe." In: Feldman, Ofer and Chirst'l de Landtsheer (Eds.), *Politically speaking: a worldwide examination of language used in the public sphere*. New York: Praeger Publishers, p. 35-51. მასალა დამოწმებულია ნ. კირვალიძის მიხედვით.

პოლიტიკოსების დისკურსია და თუ მას მოვაქცევთ პროფესიონალურ ჩარჩოში, იგი შეიძლება ჩაითვალოს დისკურსის ინსტიტუციონალურ ფორმად³. შესაბამისად, პოლიტიკოსების დისკურსად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ის დისკურსები, რომლებიც რეალიზდება ისეთ საინსტიტუციო გარემოში, როგორც არის სამთავრობო სხდომები, საპარლამენტო სესიები, პოლიტიკური პარტიის ყრილობები, წინასაარჩევნო კამპანიები, პოლიტიკური დებატები და სხვ.; ანუ სიტუაციები, სადაც მეტყველი სუბიექტის მიერ აზრის გამოთქმა ხდება პოლიტიკოსის აპლუსში შესაბამის ინსტიტუციონალურ გარემოში (კირვალიძე, 2010).

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკოსები დაინტერესებულნი არიან, ან უნდა იყვნენ იმით, თუ რას ილაპარაკებენ და როგორ მიიტანენ თავიანთ სათქმელს მსმენელთან. ნებისმიერი რეჟიმის შემთხვევაში პოლიტიკოსისთვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციის სწორი ფორმის შერჩევას, რათა ამა თუ იმ საკითხში დაარწმუნოს თავისი შესაძლო ამომრჩეველი.

ამჯერად ჩვენი კვლევის ობიექტია პოლიტიკური ტექსტის ერთ-ერთ უმთავრესი სახე - **საარჩევნო დისკურსი**, რომელიც ხშირად წარმატებული საარჩევნო კამპანიის მთავარი წინაპირობაა. კარგად მომზადებული წინასაარჩევნო დისკურსი “ლინგვისტურ ომში” გამარჯვების გარანტიაა. პოლიტიკოსები არ იშურებენ ძალისხმევას და მიმართავენ ნებისმიერ ხერხს (მათ შორის ვერბალურს) იმისთვის, რომ **საზოგადოებრივი აზროვნების მართვით** მიაღწიონ წარმატებას.

წინასაარჩევნო ტექსტის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ყურადღება გავამახვილოთ ენობრივ მხარეზე, გავარკვიოთ, რა საკვანძო სიტყვები და ტერმინოლოგია გამოიყენება ქართულ პოლიტიკაში.

სტატიაში გავაანალიზეთ 2013 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატის - გიორგი მარგველაშვილის ერთ-ერთი პირველი სატელევიზიო ინტერვიუ პრეზიდენტობის კანდიდატის რანგში რუსთავი 2-ის პოლიტიკურ პროგრამაში “პოზიცია”⁴ და წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ბოლო ეთერი გადაცემაში

³ Van Dijk, Terence A. 1998, "What is political discourse analysis?" In: Blommaert, Jan and Bulcaen, Chris (Eds.), *Political Linguistics*. Amsterdam, p. 124-142. მასალა დამოწმებულია ნ. კირვალიძის მიხედვით.

⁴ რუსთავი 2, გადაცემა “პოზიცია”. 14.05.2013

<http://www.youtube.com/watch?v=LY3X6vhzgAI> დამოწმების თარიღი: 30.01.2014

“არჩევანი”.⁵ ჩვენ გამოვყავით მისი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური ერთეულები და მოვახდინეთ სტილებრივი შეფასება; შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რამდენად დაცულია ქართული ენის ნორმები, რა სიხშირით გამოიყენება უცხოური ტერმინები. ასევე, ყურადღება გავამახვილეთ რიტორიკულ ხერხებზე (და ლინგვისტურ ლაფსუსებზეც კი), რომლებსაც პრეზიდენტობის კანდიდატი მიმართავდა ზემოთხსენებულ გამოსვლებში.

იმის გათვალისწინებით, რომ გიორგი მარგველაშვილი პროფესიით ფილოსოფოსია, წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ფილოსოფიასა და კულტურაში, მისი რიტორიკა განსხვავდება სხვა პოლიტიკოსების სტილისაგან. გ. მარგველაშვილი გამოირჩევა უშუალოდობითა და კომუნიკაციური თავისუფლებით. თუმცა არის მომენტები, როდესაც მსმენელს უჭირს, მიჰყვეს მის ლოგიკას, ზოგჯერ ბუნდოვანია მისი რიტორიკა, იყენებს ხალხისთვის ნაკლებად გასაგებ ან გაუგებარ (ზოგჯერ სრულიად გაუგებარ) ტერმინოლოგიას, ასევე უცხოურ ტერმინებს თარგმანის გარეშე. შევეცდებით გამოვყოთ რამდენიმე ასპექტი.

სხვა პოლიტიკოსების მსგავსად, გიორგი მარგველაშვილიც აქტიურად იყენებს ბოლო დროს საქართველოში ისეთ პოპულარულ პოლიტიკურ ტერმინებს, როგორცაა “მთავარი გამოწვევა”, “გზავნილი”, “კოჰაბიტაცია”. ტერმინი “**კოჰაბიტაცია**” შესაძლოა ჩაითვალოს 2013 წლის ყველაზე ხშირად გამოყენებულ სიტყვად ქართულ პოლიტიკურ და არა მარტო პოლიტიკურ სინამდვილეში. მას იყენებს ყველა მიუხედავად იმისა, იცის თუ არა მისი მნიშვნელობა. კოჰაბიტაციას აქვს ორი ძირითადი მნიშვნელობა: კოლინის ინგლისური განმარტებითი ლექსიკონის პირველი მნიშვნელობით, ის გულისხმობს წყვილის თანაცხოვრებას ქორწინების გარეშე. მეორე განმარტებით, კოჰაბიტაცია ნიშნავს ორი სხვადასხვა პოლიტიკური ძალის თანამშრომლობას კონკრეტული მიზნისთვის კოალიციის შექმნის გარეშე⁶. ბუნებრივია, ეს სიტყვა ქართულ დისკურსში გამოყენებულია მეორე მნიშვნელობით. როგორც გ. მარგველაშვილი, ისე სხვა პოლიტიკოსები ძირითადად ამ ტერმინს თარგმანის გარეშე გამოიყენებენ, რაც, ვფიქრობთ, განპირობებულია იმით, რომ თარგმანი “**თანაცხოვრება**” პოლიტიკურ ტექსტში შეუფერებლად ეჩვენებათ, არადა, ქართულ

⁵ რუსთავი 2, გადაცემა “არჩევანი”. 22.10.2013

http://www.youtube.com/watch?v=Atu_szNmeeU დამოწმების თარიღი: 30.01.2014

⁶ <http://dictionary.reference.com/browse/cohabitation?s=t> დამოწმების თარიღი: 22.01.2014

ენობრივ სივრცეში “თანაცხოვრება“ ნამდვილად შეიძლება დამკვიდრდეს პოლიტიკურ ტერმინად (მსგავსად ისეთი ლექსემებისა, როგორცაა: კავშირი, შეთანხმება, თანხმობა, საუბარი, გარიგება, დათქმა, დავა და სხვ., რომლებიც თანაბარი წარმატებით გამოიყენება საყოფაცხოვრებო და პოლიტიკურ დისკურსებში. “კოჰაბიტაციის დასრულება“ გ. მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთ მთავარ ლოზუნგადაც შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, გადაცემაში “არჩევანი“ პრეზიდენტობის კანდიდატი ამბობს, რომ მისი გუნდის მთავარი ლოზუნგია - “ერთად განვაგრძოთ წინსვლა“ ხოლო “დავასრულოთ კოჰაბიტაცია“ არის ლოზუნგი, რომელიც “ერთად განვაგრძოთ წინსვლას“ ემსახურება“. გიორგი მარგველაშვილი ასევე იყენებს “კოჰაბიტაციისაგან“ ნაწარმოებ სიტყვას, როგორცაა “არაკოჰაბიტირებული“: “თქვენ გგონიათ, რომ ის პარლამენტებია არაკოჰაბიტირებული, რომელთა 100 %-იც არაკოჰაბიტირებულები არიან?“ (რუსთავი 2, გადაცემა “არჩევანი“)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი მარგველაშვილი აქტიურად იყენებს უცხოურ ტერმინებს. კოჰაბიტაციის გარდა, მის რიტორიკაში ხშირია ისეთი სიტყვის გამოყენება, როგორცაა “პრეფერენცია“. მაგალითად: “მე არ მაქვს რაღაც პრეფერენციები რომელიღაც პარტიის მიმართ“. პრეფერენცია ინგლისური სიტყვაა (**preference**) და ნიშნავს უპირატესობის მინიჭებას (**to prefer**) როგორც არსებითი სახელი გულისხმობს “იმას, რასაც უპირატესობას ვანიჭებთ“⁷. ანუ, გ. მარგველაშვილის ფრაზა ქართულად ასე გააქვრდებოდა: მე არავის ვანიჭებ უპირატესობას.

პრეზიდენტობის კანდიდატი საკმაოდ ხშირად იყენებს რიტორიკულ შედარებას:

1. როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატი საუბრობს რუსეთის განწყობაზე საქართველოს მიმართ: “ის რომ რუსეთი ყოველთვის შეეცდება ამა თუ იმ ხერხით საქართველოზე იქონიოს გავლენა, ეს არის ისეთივე ჭეშმარიტება, როგორც ნიუტონის კანონი“ (რუსთავი 2, გადაცემა “პოზიცია“).

2. კიდევ ერთი შედარება გვხვდება გადაცემაში “არჩევანი“ (იგულისხმება გ. მარგველაშვილის წინასაარჩევნო გამოსვლა). ჟურნალისტის კითხვაზე, იყო თუ არა საქართველო პასუხისმგებელი 2008 წლის ომზე, მარგველაშვილი პასუხობს: “როგორც საკუთარი ჯიბიდან ვერ მოიპარავ ფულს იმიტომ, რომ შენი ჯიბეა, ისე საკუთარ ტერიტორიაზე ომს ვერ დაიწყებ“.

3. როდესაც ჟურნალისტმა დასვა კითხვა, თუ რას იტყოდა პირად რეიტინგზე, პასუხად გ.მარგველაშვილმა გამოიყენა ასეთი შედარება:

⁷ <http://www.thefreedictionary.com/preference> დამოწმების თარიღი: 25.01.2014

“რეიტინგი არის წყალი, რომელიც უნდა ჩაასხა ჭიქაში, რომელშიც გააჩნია რამდენი ესხმევა. მაგრამ ფორმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, აქაც გააჩნია ვინ იქნება. არის ჭიქა, რომელიც დაიტევს 1 ლიტრს ან დაიტევს 200 გრამს...” (რუსთავი 2, გადაცემა “პოზიცია”)⁸.

გ. მარგველაშვილი ოპოზიციის რეაქციას მისი საპრეზიდენტო კანდიდატად გამოცხადებასთან დაკავშირებით აფასებს როგორც ლანძღვას და არა კრიტიკას; მას მაგალითად მოჰყავს მარკ ტვენის მოთხრობა “როგორ ვიყრიდი კენჭს გუბერნატორად” (**Running For Governor**) პრეზიდენტობის კანდიდატი საკუთარ თავს ამ მოთხრობის გმირთან აიგივებს. მოკლე შინაარსსაც კი ყვება. მოთხრობაში ავტორი ყვება ამბავს, როდესაც მან გადაწყვიტა გუბერნატორად ეყარა კენჭი და თავი ეგონა სხვა კანდიდატებზე უკეთესი თავისი სუფთა წარსულიდან გამომდინარე. მაგრამ წინასაარჩევნო პეიოდში გაზეთებში კითხულობს უამრავ შეთითხნილ ბრალდებას საკუთარ თავზე: რომ დაწვა საავადმყოფო, მოკლა საკუთარი ბიძა ქონების ხელში ჩაგდების მიზნით და ა. შ. საბოლოოდ, მარკ ტვენის პერსონაჟი უარს ამბობს კენჭისყრაზე (რუსთავი 2, გადაცემა “პოზიცია”). ამ შედარებით, გ. მარგველაშვილი გვეუბნება, რომ მისი წარსული სუფთაა, ის არის ყველაზე უმწიკვლო რეპუტაციის მქონე კანდიდატი, და რომ ყველაფერი ცუდი, რასაც მასზე ამბობენ მხოლოდ გამოგონილი, ოპონენტების მიერ შეთხზული სიცრუეა. მეორე მხრივ, ეს შედარება მსმენელზე იმითაც ახლდენს შთაბეჭდილებას (დადებითს), რომ აქ ჩანს პრეზიდენტობის კანდიდატის ინტერესი ლიტერატურის მიმართ, მისი ინტელექტუალური დონე.

რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობების მოსაგვარებლად, გიორგი მარგველაშვილის აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ყოფილი ხელისუფლებისაგან განსხვავებული მიდგომა, ე.წ. **‘Soft Power Solution’**-ის, ანუ არა ძალადობით, არა ტანკებით, არამედ ქართულ პოლიტიკაში წარმოდგენას მისთვის მისაღები პოლიტიკური ძალის სახით. (რუსთავი 2, გადაცემა “პოზიცია”, ჟურნალ “ლიბერალის” სტატიის ციტირება). ამ შემთხვევაში, ის მომენტი, რომ მარგველაშვილი თავადვე განმარტავს ტერმინის მნიშვნელობას, რომლის ქართული თარგმანი არ მოგვეპოვება.

კიდევ ერთი მაგალითი: “სანამ ნოდარი მოახერხებს და **GDP**-ს 10-ჯერ გაზრდის და სანამ გიორგი მოახერხებს და **ფორინ ინვესტიმენტს**

⁸ აქაც, და ყველგან, ციტირებულ ტექსტებში სტილი დაცულია (თ.ლ.)

⁹ <http://www.readbookonline.net/readOnline/1282/> დამოწმების თარიღი: 25.01.2014

29-ჯერ უფრო გაზრდის, ასეთი ქვეყნისთვის ეს არ უნდა იყოს ისეთი ადგილი, სადაც მე შევალ“ (რისთავი 2, გადაცემა “არჩევანი“). ამ მონაკვეთში კანდიდატმა ასევე გამოიყენა ინგლისური აბრევიატურა და ფრაზა: **GDP (gross domestic product)** ანუ “მთლიანი შიდა პროდუქტი“, აბრევიატურ - **მშპ** და “ფორინ ინვესტმენტ“ - **foreign investment**, რაც ქართულად ითარგმნება, როგორც “უცხოური ინვესტიცია“. ორივე ტერმინი აბსოლუტურად გაუგებარია ინგლისურის არმცოდნე ადამიანებისთვის. ნერთი მხრივ, ამან ხელი შეუშალა გაგებინების პროცესს. მეორე მხრივ, მიუღებელია იმ ტერმინების გამოყენება, რომელთა თარგმანიც მოგვეპოვება ქართულშიც.

გიორგი მარგველაშვილი საარჩევნო კამპანიის სტრატეგიაზე საუბრისას ისევე იყენებს ინგლისურ ტერმინს - ‘Go out to vote’, რომლის მნიშვნელობასაც უხსნის საზოგადოებას. როგორც ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში (‘soft power solution’).

ინგლისურსი ფრაზებისა და ტერმინების გარდა, გ. მარგველაშვილი რუსულ გამონატქვამებსაც მიმართავს. მაგ.: “**Это было давно и не правда**“ (რუსთავი 2, გადაცემა “პოზიცია“).

გიორგი მარგველაშვილის რიტორიკაში გვხვდება **კალკიების მაგალითებიც**: კითხვაზე თუ როგორ აპირებს გამარჯვების მოპოვებას, პრეზიდენტობის კანდიდატი აცხადებს, რომ მან უნდა მოახერხოს კოალიციისა და ბიძინა ივანიშვილის რეიტინგის მის თავზე “**გადმოთარგმნა**“: “ის მხარდაჭერა, რაც აქვთ ბიძინას მიმართ, კოალიციის მიმართ, მე შევეცდები **გადმოვთარგმნო** ჩემს თავზე“ (რუსთავი 2, გადაცემა “პოზიცია“). სიტყვა “თარგმანი“ ქართულში გვხვდება მხოლოდ ერთი მნიშვნელობით: “თარგმნა - ერთი ენიდან მეორეზე გადაღება¹⁰“. ინგლისურში კი ამ სიტყვას აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა. “თარგმნა“ ინგლისურად - “translate“ ნიშნავს როგორც ენიდან მეორეზე გადაღება, გადაკეთებას, ტრანსფორმირებას (ალბათ, აქ კარგი იქნებოდა ტერმინი “მორგება“), ასევე ერთ-ერთი მნიშვნელობით ის გულისხმობს გადატანას¹¹. შესაბამისად, გ. მარგველაშვილმა ეს სიტყვა ორ ადგილას გამოიყენა. სავარაუდოდ, სწორედ ინგლისური ენის გავლენით ანუ ის გულისხმობდა რეიტინგის “თავის თავზე გადატანას“. ასეთი ტიპის განცხადება

¹⁰ <http://ena.ge/explanatory-online> დამოწმების თარიღი: 25.01.2014

¹¹ <http://dictionary.reference.com/browse/translate> დამოწმების თარიღი: 24.01.2014

საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ ჩანს მარგველაშვილის გულწრფელობა. მან არ დაიწყო მტკიცება, რომ ის თავად არის რეიტინგული და პოპულარული პოლიტიკოსი. ის ღიად ამბობს, რომ მის უკან დგას ივანიშვილი და მთელი კოალიცია.

პრეზიდენტობის კანდიდატი იყენებს **მეტაფორას**, როდესაც ის სააკაშვილის ხელისუფლებას კიცხავს რუსეთის ომთან დაკავშირებით: “როცა რაღაცას წააგებ, იმის მაგივრად, რომ **სხვებს ხელები უქნის**, შენ უნდა შენს თავზე აიღო პასუხისმგებლობა და თქვა, როგორც მინიმუმ, რაში იყავი დამნაშავე“ (რუსთავი 2, გადაცემა “პოზიცია“).

გიორგი მარგველაშვილი ხშირად უსვამს ხაზს იმას, რომ გულწრფელია: **“მე ამას ვაცხადებ აბსოლუტური გულწრფელობით, არ მინდა კეკლუცობა, თვალთმაქცობა და პრანჭვა**, რომ მე ნებისმიერ შემთხვევაში შევძლებ ამის გაკეთებას“, რთული იქნება მათთან დებატები. **“გამიჭირდება, მაგრამ ვიბრძობე”** (რუსთავი 2, გადაცემა “პოზიცია“). გვრჩება შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი არ იძლევა არარეალურ დაპირებებს. საინტერესოა ის მომენტი, რომ საუბარში გ. მარგველაშვილი მხოლოდ სახელით “ბიძინა“ მოიხსენიებს იმდროინდელ პრემიერ-მინისტრს, რაც არ არის დამახასიათებელი საჯარო გამოსვლებისთვის. ამით კეთდება მინიშნება იმაზე, რომ გ. მარგველაშვილი არის ივანიშვილის არ მხოლოდ პოლიტიკური პარტნიორი, არამედ მისი მეგობარიც. ამას ორივე პოლიტიკოსი ღიად აცხადებს საჯარო გამოსვლებში. გ. მარგველაშვილი ბ. ივანიშვილის აშკარა ფავორიტია. ფაქტია, რომ თუნდაც ამ მომენტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის გამარჯვებაში. რადგან ხალხმა ის აირჩია, როგორც ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენელი. ამასვე მიგვანიშნებს ბიძინა ივანიშვილის სიტყვები წარმოთქმული სპორტის სასახლეში წინასაარჩევნო გამოსვლის დროს: “გიორგი მარგველაშვილისთვის ნდობის გამოცხადება, იცოდეთ, ჩემთვის ნდობის გამოცხადებას ნიშნავს ¹² “. “სახელებით მოიხსენიებს პრეზიდენტობის კანდიდატი მინისტრებსაც გადაცემაში არჩევანი“. როდესაც ჟურნალისტი ეკითხება თუ რა ელის პრეზიდენტის სასახლეს მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში, ის პასუხობს: “სანამ **ნოდარი** (იგულისხმება ფინანსთა მინისტრი - ნოდარ ხადური) მოახერხებს და GDP-ს 10-ჯერ გაზრდის და სანამ **გიორგი** (გიორგი კვირიკაშვილი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

¹² <http://info9.ge/?l=G&m=1000&id=26635> დამოწმების თარიღი: 25.01.2014

განვითარების მინისტრი) მოახერხებს და ფორინ ინვესტიმენტს 29-ჯერ უფრო გაზრდის, ასეთი ქვეყნისთვის ეს არ უნდა იყოს ისეთი ადგილი, სადაც მე შევალ“ (რუსთავი 2, გადაცემა “არჩევანი“).

მარგველაშვილი ხშირად იყენებს სიტყვას “**ძაან**“: “ძაან მიყვარს მისი ოჯახიც“, “ძაან სასიამოვნოა მასთან ურთიერთობა“, “ეკონომიკისთვის ძაან ცოტაა შვიდი თვე.“ (რუსთავი 2, გადაცემა “არჩევანი“).

რუსთავი 2-ის გადაცემაში “არჩევანი“, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდის მიწურულს გავიდა პირდაპირ ეთერში აშკარაა, რომ გიორგი მარგველაშვილი, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, უკვე თავდაჯერებული და ბევრად უკეთ მომზადებულია. ეს ნათლად აისახა მის რიტორიკაში. გ. მარგველაშვილის ტონი ბევრად უფრო დამაჯერებელია. უფრო მკვეთრია წინასაარჩევნო ლოზუნგები. პრეზიდენტობის კანდიდატი აღნიშნავს, რომ არჩევნების პირველივე ტურს მოიგებს და რომ მეორე ტური არ იქნება. გადაცემაში “არჩევანი“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა და მისმა გუნდმა გამოიყენა დარწმუნების კიდევ ერთი ძალიან საინტერესო ენობრივი ხერხი, რომელსაც შეიძლება **სიტყვებით თამაში** ვუწოდოთ. ყურნალისტის კითხვაზე, თუ როგორ აპირებდა გ. მარგველაშვილი ოპოზიციასთან ურთიერთობას, თუკი პრეზიდენტი გახდებოდა, აუდიტორიამ ერთხმად შეიტანა შესწორება კითხვაში: კავშირი “**თუკი**“ ჩაანაცვლეს სიტყვით “**როცა**.“ მას მოჰყვა კანდიდატის რეპლიკა: “**ესაა ჩვენი ახალი გრამატიკა, ახალი სინტაქსი**.“ საინტერესოა, ეს იყო წინასწარ დაგეგმილი სტრატეგია თუ სპონტანური ქმედება, რომელიც საკმაოდ წარმატებულად აღმოჩნდა (რუსთავი 2, გადაცემა “არჩევანი“).

გიორგი მარგველაშვილმა გუნდის თავდაჯერებულობა და ერთიანობა კიდევ ერთხელ გამოხატა თავის დასკვნით ფრაზაში პირველი პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის გამოყენებით, როდესაც მან მადლობა გადაუხადა პოტენციურ ამომრჩეველს: “დიდი მადლობა იმისთვის, როგორც **ჩვენ** გავიმარჯვებთ“.

ფაქტია, რომ მეცნიერებსა და მედიასთან ერთად, პოლიტიკოსები ასრულებენ მთავარ როლს ენის სიწმინდის დაცვის საქმეში. საჯარო გამოსვლებში ცნობილი პოლიტიკოსის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა მაშინვე აისახება ხოლმე არა მხოლოდ საზოგადოებრივ აზრზე, არამედ მეტყველებაზეც.

დამოწმებული ლიტერატურა:

დეიკი, 1993b - Teun A. van Dijk. Universiteit van What is Political Discourse Analysis? Amsterdam 1993b).

<http://www.discourses.org/OldArticles/What%20is%20Political%20Discourse%20Analysis.pdf> დამოწმების თარიღი: 23.01.2014.

კირვალიძე, 2010 - ნ. კირვალიძე. პოლიტიკური დისკურსი, როგორც ინტერდისციპლინური და ინტერპარადიგმული კვლევის საგანი (ქართულ და ინგლისურ ენებზე). საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტი“, N 1 (36), 2010, გვ. 109-115.)

ჯათინგი, 2002 - Joan Cutting, Pragmatics and Discourse. London and New York. 2002.

Tamar Lomadze

**Linguistic Peculiarities of Contemporary Political Verbal
Texts**

(Based on the Georgian Political Discourse)

S u m m a r y

The topic of our research is one of the main types of political text – an election discourse, which often turns out to be the main explanation of successful election campaigns. Pre-election text analysis enables us to focus our attention on linguistic aspects, to find out the key words and to study what terminology is applied in politics. In the presented article, we have analyzed two television appearances of one of the presidential candidates of the 2013 Presidential Elections - Giorgi Margvelashvili: the interview at the very beginning of the election campaign on the Georgian TV channel Rustavi 2, programme ‘*Positsia*’ (the Position) and one of his last programmes during his campaign again on Rustavi 2, programme – ‘*Archevani*’ (the Choice). We have identified and analyzed the linguistic peculiarities and style characteristic for Giorgi Margvelashvili. Our attempt was to find out whether the literary norms of the Georgian language are followed and how often the foreign terms are used. Besides, we drew particular attention to the linguistic inaccuracy and rhetoric devices that G. Margvelashvili applies in the abovementioned programmes.

It is obvious that, apart from scientists and the media, politicians play an important role in preserving the purity of the language. Every single linguistic mistake made by politicians during their public appearances are immediately reflected on the language of the wide society.

ნათელა მალლაკელიძე

მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მომზადებისა და გადამზადების საკითხები თანამედროვე ეტაპზე

ჩვენს ქვეყანაში განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმამ სკოლაში არსებითად შეცვალა არა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შინაარსი, არამედ მისი ფორმაც. ამ მიზნით შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმა და საგნობივი სტანდარტები, ასევე — მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს პედაგოგთა მომზადებისა და გადამზადების სტრატეგიები.

დაწყებითი სკოლის 6 წლით განსაზღვრამ განაპირობა სკოლისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მომზადება შემდეგი საფეხურებისათვის: ა) **დაწყებითი (I-IV) კლასების მულტიდისციპლინარული საწავლებლის მასწავლებელი**, რომელიც მშობლიურ ენასთან ერთად ბავშვებს მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებასაც ასწავლის; ბ) **დაწყებითი (I-VI) კლასების საგნის მასწავლებელი**; გ) **საბაზო და საშუალო საფეხურების საგნის მასწავლებელი**.

რა ვითარებაა დღეს ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში? 2006 წელს დამტკიცდა მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია (საქართველოს მთავრობის დადგენილება N29, 09 თებერვალი, 2006). მომზადებული დოკუმენტის მიხედვით, მასწავლებლობის უფლების მოპოვება შეეძლოთ განათლების ბაკალავრებსა და განათლების მაგისტრებს სკოლაში ერთწლიანი გამოსაცდელი პერიოდისა (მენტორ-მადიებლობა) და სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ. განათლების ბაკალავრებს მხოლოდ დაწყებით კლასებში სწავლების უფლება ჰქონდათ, ხოლო განათლების მაგისტრებს - დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ამ მოსაზრების უკუგდება მალევე გახდა საჭირო, რადგან მაგისტრატურაში არ სწავლობს იმ რაოდენობით მასწავლებლობის მსურველი, რამდენის საჭიროებაცაა. ამდენად, შემდეგ წლებში ბაკალავრიატ დამთავრებულებსაც მიეცათ მასწავლებლობის უფლება, თუმცა, მათ მენტორ-მადიებლის პროგრამა უნდა გაეგლოთ, ან ერთწლიანი სამუშაო სტაჟი დაეგროვებინათ, რომ შეძლებოდათ სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლა.. ამ კანონში შეტანილ იქნა ცვლილება 2012 წელს, რომლის მიხედვითაც ყველა უმაღლეს დამთავრებულ ბაკალავრს პროფესიაში შესვლის უფლება მიეცა მადიებლობის გავლის გარეშე.

პედაგოგის კვალიფიკაციას არ ანიჭებს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი. რაც შეეხება განათლების ბაკალავრს, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტი უშვებს, ფაქტიურად მხოლოდ დაწყებითი (I-IV) კლასებისთვის სპეციალისტთა მოზადებას გულისხმობს, **საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი არ მზადდება**, არ მზადდება არც ამ საგნის მასწავლებელი I-VI კლასებისათვის.

დღეს მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საგნის მასწავლებლის მომზადების ე.წ. მინორ 60 კრედიტიანი პროგრამა, რომელიც არჩევითია. პედაგოგის პროფესიის არაპრესტიჟულობის გამო (და ალბათ იმის გამოც, რომ სტუდენტებს, როგორც წესი, არ ჰყავთ ე. წ. ტუტორები), ეს პროგრამები ფაქტიურად არ მოქმედებს, ან ისმენენ მათ შემთხვევითი პირები (მომავალი ბიზნეს-ადმინისტრატორები, ფინანსისტები, ტურიზმის მენეჯერები...) ე. წ. თავისუფალი კრედიტების დაგროვების მიზნით. ყოველივე ამის გამო არ არის გამორიცხული, რომ სულ მალე დავდგეთ ამ მიმართულებით მასწავლებელთა დეფიციტის, არაკომპეტენტურობისა და არაპროფესიონალიზმის პრობლემების წინაშე. რაც შეეხება მენტორ-მასწავლებელს, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა ახალბედა მასწავლებლის მომზადება სკოლაში, მისი პროგრამა არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ მოქმედებს. თითქმის მთლიანად უგულვებელყოფილია პედაგოგიური პრაქტიკის როლი მომავალი პედაგოგის მოზადების საქმეში, ან მას ფაქტიური ხასიათი აქვს.

მასწავლებლობის უფლების მინიჭება მოქმედი კანონმდებლობით კვლავაც მხოლოდ სასერტიფიკატო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ხდება. ამგვარი გამოცდა ჩაბარებული აქვს უკვე ათასობით მოქმედ მასწავლებელს; რაც შეეხება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობის მსურველებს, მათთვის, როგორც ვთქვით, 2012 წლიდან სავალდებულო არ გახლავთ შესაბამისი განათლების ქონა ქართულ ფილოლოგიაში. რამდენიმედღიანი ტრენინგის გავლისა და სასერტიფიკატო გამოცდაზე მინიმალური ბარიერის გადალახვის შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობის უფლება ეძლევა ყველას, ანუ ზოგადპროფესიული და საგნობრივი კომპეტენციების განმსაზღვრელი ხდება მხოლოდ სასერტიფიკატო გამოცდა ორ საგანში და არა შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

მოქმედმა ხელისუფლებამ ამ ვითარების გამოსწორების მიზნით უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები, კერძოდ, შემუშავდა პედაგოგთა მომზადებისა და კარიერული ზრდის კონცეფცია, მაგრამ ამ კონცეფციაშიც, სამწუხაროდ, ძირითადი ყურადღება მასწავლებელთა გადამზადებაზე და არა — მომზადებაზე. მასში

აღნიშნულია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში უნდა მიიღონ სტუდენტებმა მასწავლებლის პროფესიული და საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნა და აღიჭურვონ შესაბამისი უნარებით, რისთვისაც აუცილებელია, რომ უმაღლესის პროგრამები შესაბამისობაში იყოს საგანმანათლებლო სტანდარტებთან არა მხოლოდ დეკლარირებულად, არამედ რეალურად. აღსანიშნავია, რომ ამ კონცეფციაშიც მასწავლებლობის მსურველთათვის მხოლოდ 60 კრედიტიანი მოდულია გათვალისწინებული და არა — მიმართულება.

მისასალმებელია, რომ ამ სასწავლო წლიდან სახელმწიფო დააფინანსებს განათლების მიმართულებას უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი უნივერსიტეტები სახელმწიფოს ამ ნაბიჯს ვერ ხვდებიან მომზადებულნი.

NatelaMaghlakelidze

Issues on Training and Re-training Teachers of the Georgian Language and Literature at the Present Stage

S u m m a r y

1. Current educational reforms in our country changed not only the content, but also the form of teaching Georgian language and literature. This is the reason why the national educational plan and subject standards which training and re-training of teachers should be based on were created.

2. Defining first 6 grades as a primary school determined the following stages of training for teachers of the Georgian language and literature:

a) Teachers of multidisciplinary education of primary (I-IV) grades, who will teach mathematics and natural science together with native language.

b) Teachers of primary grades (I-VI);

c) Teachers of primary and secondary level subjects.

3. What is the situation like in Georgia? The conception concerning the training and professional development of teachers was drawn up (resolution N29, February 9, 2006). According to the prepared document, the right of teaching was given to BAs and MAs of Education after one-year probationary period at school and having passed teacher certification exams. BAs were able to teach only primary grades, MAs could teach on primary, basic and secondary levels. This opinion had to be rejected soon as the number of MA students are not sufficient. Therefore, BAs were also allowed to teach, though they had to undergo the probationary period or have one-year working experience in order to take the teacher certification exams. The amendments to this law were made in 2012, according to

which, all BAs were allowed to undertake this profession without probationary period.

4. Qualification of a teacher is not given by any university. As for Bachelor's degree, which is awarded by a few state universities implies preparing only primary grade (I-IV) teachers, while teachers of Georgian language and literature are not prepared neither for basic nor for secondary levels. No teachers are prepared for I-VI grades as well.

5. There are only a few state universities which have minor 60-credit optional programs. Due to the unpopularity of the teacher's profession (and, perhaps, because of the fact that students don't have tutors), these programs either do not work, or they are attended by future business-administrators, financiers, tourism managers, etc. in order to obtain free credits. Therefore, we will soon face lack of teachers, as well as their incompetence and non-professionalism. As for the program of mentor-teachers, who were in charge of preparing new teachers, it does not work at any university. The role of pedagogical practice is almost entirely rejected in the preparation process of future teachers.


6. The right of teaching is given after passing the certification examination according to the new legislation as well. Thousands of teachers have already passed this kind of examination; as for those who want to be teachers of the Georgian language and literature, it is not necessary to have professional education in Georgian philology. After doing some training courses and passing the certification examination, everyone is permitted to teach Georgian. Thus, the general professional and subject competence is defined only by the certification examinations in two subjects and not by the relevant qualification or experience.

7. The government has already taken certain steps to improve the situation. It was prepared the conception of training and career growth, but, unfortunately, this conception is mainly focused on re-training, rather than training of teachers. It is noted that students should get education in accordance with the teacher's professional and subject standards and should be equipped by skills relevant to the educational standards. It is noteworthy that it is only given a 60-credit module in the conception and not the whole direction for those interested in teaching.

It should be noted that the state will finance the direction of education at universities from the following year, but the fact is that our universities are not prepared for this.

მარკა ოძელი
საქართველოს სახელმწიფო ენის ფლობის დონის
განსაზღვრა საჯარო მოხელეებისა და საქართველოს
მოქალაქეობის მოსურნე პირთათვის

ევროპულ სივრცეში თანამედროვე ენების შესწავლის, სწავლებისა და შეფასების უნიფიცირებისათვის ზოგად-ევროპული ენობრივი პოლიტიკა ემყარება ენის ფლობის სპეციალურ სისტემას, რომელიც წლების განმავლობაში მუშავდებოდა და იხვეწებოდა ევროპის საბჭოში. ეს გახლავთ ენის ფლობის ექვს დონიანი სისტემა. იგი ორიენტირებულია შემსწავლელზე და ითვალისწინებს ნებისმიერი ასაკის შემსწავლელის მოთხოვნებსა თუ საჭიროებებს. საგანმანათლებლო ლინგვისტიკაში უცხო ენის ფლობის კომპეტენციის ზრდა გამოხატულია შემდეგი საფეხურებით: **A, B, C**, ხოლო თითოეულ მათგანში ორ-ორი ძირითადი დონე გამოიყოფა **A1-A2, B1-B2, C1-C2**. დონეების შესატყვისი ტერმინოლოგიური განმარტება (ქართული ტერმინები ჩვენ მიერ შეიქმნა ათიოდე წლის წინ და წარმატებით გამოიყენება) ზოგადევროპული სქემის მიხედვით ამგვარად გამოიყურება:



ამ დონეების არსი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

A1– ენის გასაღები	ენის ფლობის ყველაზე დაბალი დონე, რომლის ფარგლებში შემსწავლელს აქვს კითხვის, მოსმენისა და წერის ელემენტარული უნარი. მას ასევე შეუძლია ძალიან მარტივ საუბარში მონაწილეობა.
A2– ენის საფუძველი	ეს არის ენის ფლობის დონე, როდესაც შემსწავლელს შეუძლია საუბარში უფრო აქტიური მონაწილეობა, თუმცა იგი კვლავ მწირად ფლობს გამოხატვის ფორმებს და სჭირდება თანამოსაუბრის დახმარება. ამ დონეზე შემსწავლელს უფიქრდება მონოლოგის წარმართვისა და ყოველდღიურ ყოფით თემებზე საუბრის უნარი.

<p>B1–ენის ფლობის ზღვრული დონე</p>	<p>ეს დონე ხასიათდება ორი განსხვავებული ნიშნით. სახელდობრ, შემსწავლელს შეუძლია: დიალოგის წარმართვა მთელ რიგ განსხვავებულ სიტუაციებში; ყოველდღიური ცხოვრებისეული ამოცანების დაძლევა, რამდენადაც მას უვითარდება სხვადასხვა მოცულობის ინფორმაციის გაცვლის უნარი. ზღვრული დონე უმეტესად უცხო ქვეყანაში მოკლე დროით ჩამსვლელებისთვისაა გათვალისწინებული.</p>
<p>B2 –ენის ფლობის ზღვრული განვითარებული დონე</p>	<p>ამ დონეზე შემსწავლელს თავისუფლად შეუძლია: კომუნიკაციის დამყარება; ბუნებრივი, ძალდაუტანებელი საუბრის წარმართვა; დაწვრილებით გაგება ყველაფერი იმისა, რასაც სალიტერატურო ენით ეუბნებიან, თუნდაც ხმაური უშლიდეს ხელს. ენის ცოდნის ამ საფეხურზე, შემსწავლელს შეუძლია გაუგებრობის გამომწვევი მეცდომების გასწორება, მას უვითარდება არგუმენტირებული დისკუსიისა და საქმიანი საუბრის წარმართვის ჩვევები.</p>
<p>C1 – ენისფლობის პროფესიონალური დონე</p>	<p>ამ დონეზე შემსწავლელი ფლობს ენობრივ საშუალებათა ფართო სპექტრს და შეუძლია თავისუფალი, შეუფერხებელი მეტყველება.</p>
<p>C2 –ენისფლობისსრულყოფილი დონე</p>	<p>ეს დონე წარმოაჩენს სიზუსტისა და ენობრივ საშუალებათა დაუბრკოლებლად გამოყენების ძალიან მაღალ ხარისხს, თუმცა იგი მაინც არ უტოლდება მშობლიურ ენაზე მოსაუბრის ენის ფლობის სრულყოფილი დონის კომპეტენციას.</p>

ენის ფლობის დონეების აღწერილობა განსაზღვრულია კომუნიკაციურ ამოცანათა შესრულებისათვის საჭირო ენობრივი კატეგორიების, ფუნქციების, გრამატიკისა და ლექსიკის ანალიზის გათვალისწინებით. ენობრივი უნარ-ჩვევები მოიცავს რეცეფციასა (მოსმენა, კითხვა) და პროდუქციას (ლაპარაკი, წერა). ზოგადევრობული მოთხოვნების საფუძველზე ჩვენ შევიმუშავეთ ქართულის, როგორც უცხო ენის, ფლობის დონეების აღწერილობა. ეს იყო საპილოტო ვერსია, რომელიც წლების მანძილზე აქტიურად გამოიყენებოდა და მუშაობის პროცესში გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად განიცდიდა სახეცვლილებებს. ეს აღწერილობა გადიოდა აპრობაციას ტრენინგებზე, სამინარებსა თუ სამუშაო შეხვედრებზე. ყოველივე ამის შემდეგ საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს ქართული ენის სამმართველოში გადამუშავდა, დაიხვეწა და ჩამოყალიბდა ქართული ენობრივი განათლების სისტემისათვის ყველაზე მისაღები ვარიანტი, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ.

ქართულის, როგორც უცხო ენის, ფლობის დონეების აღწერილობა (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა)

ენის ფლობის A1 დონე

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია ქართულ ენაზე მეტყველებიდან საერთაშორისო სიტყვების (მაგ., ოფისი, ინტერნეტი...) გაგება.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ნაცნობი სიტყვები, მარტივი ფრაზები, რიცხვები და სახელები გარკვევით და ნელა წარმოთქმულ მარტივ ტექსტში.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს გარკვევით ნათქვამი მარტივი, ყოველდღიური მეტყველებისას ხშირად გამოსაყენებელი ლექსიკური ერთეულები და შესიტყვებები (მაგ., დიახ, არა, გამარჯობა, ნახვამდის, ბოდიში, გმადლობთ...).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ნელა, გარკვევით და შიგადაშიგ პაუზებით წარმოთქმული მარტივი ტექსტი.

შემსწავლელს შეუძლია პიროვნების წარდგენისა თუ გაცნობის დროს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება, როგორცაა პიროვნების ვინაობა, ასაკი, ეროვნება.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ზოგიერთი სიტყვა და გამოთქმა სხვების ნელი და მკაფიო საუბრიდან, რომელიც მას, მის ოჯახს ან სამსახურს ეხება.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს რას ამბობს მასზე ან მის ოჯახზე ენის მატარებელი, თუ იგი ნელა, გარკვევით და მარტივი წინადადებებით ესაუბრება მას.

შემსწავლელს შეუძლია იმ მარტივი შეკითხვების გაგება, რომლებსაც პირადად მას უსვამენ.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს რა ღირს ნივთი, თუ გამყიდველი ცდილობს, რომ გარკვევით და ნელა უბასუხოს.

შემსწავლელს შეუძლია ყოველდღიურ სიტუაციებში (მაგ., მაღაზიაში, სადგურზე, აეროპორტში...) რიცხვების, დროის, ფასების გაგება.

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია ტექსტში ცალკეული სიტყვების გაგება.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს ბლანკი თუ ინტერნეტში განთავსებული სარეგისტრაციო კითხვარი, რომელიც

ითხოვს მნიშვნელოვან ინფორმაციას მის შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, ოჯახური მდგომარეობა...).

შემსწავლელს შეუძლია აბრებზე დაწერილი მიმანიშნებელი ინფორმაციის წაკითხვა და გაგება (მაგ., სადგური, პარკი, შესასვლელი, გასასვლელი, შესვენება, ღიაა, დაკეტილია...).

შემსწავლელს შეუძლია წაკითხოს აფიშებზე, პოსტერებსა და აბრებზე დაწერილი ზოგი ინფორმაცია და გაიგოს მათი ზოგადი შინაარსი.

შემსწავლელს შეუძლია მოკლე, მარტივი შეტყობინებების (მაგ., შეხვედრის დროის) გაგება.

შემსწავლელს შეუძლია წაკითხოს მარტივი მოსაწვევი ბარათი და გაიგოს, თუ რისთვის, სად, როდის და რომელ საათზე იწვევენ.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი ტექსტის მთავარი არსის გაგება, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას დართული აქვს ილუსტრაციები.

შემსწავლელს შეუძლია მისთვის საჭირო ღონისძიების შესახებ ძირითადი ინფორმაციის მოძიება (პროგრამებში, პოსტერებზე, ინტერნეტში...) და გაგება (მაგ., რა ღირს ბილეთი, სად და როდის ტარდება ღონისძიება...).

ლაპარაკი

შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით მისაღმება, დამშვიდობება, თანხმობის, უარყოფის, თხოვნის, მოზოდინებისა თუ მადლიერების გამოხატვა (გამარჯობა, ნახვამდის, დიახ, არა, ბოდიში, გთხოვთ, გმადლობთ...).

შემსწავლელს შეუძლია მარტივი შეკითხვების დასმა (მაგ., რა არის, ვინ არის ეს /ის?).

შემსწავლელს შეუძლია საუბრისას დაასახელოს მარტივი ციფრები.

შემსწავლელს შეუძლია თავის წარდგენა, სხვისთვის შეკითხვის დასმა ვინაობასა (მაგ., შეუძლია ჰკითხოს თანამოსაუბრეს, თუ ვინ არის და რა ჰქვია მას...) და ასაკთან დაკავშირებით.

შემსწავლელს შეუძლია ინფორმაციის გაცემა თავისი დაბადების თარიღისა თუ ადგილის შესახებ და სხვისთვის კითხვის დასმა ამის თაობაზე.

შემსწავლელს შეუძლია მარტივად საუბარი თავისი ოჯახის შესახებ (მაგ., ვინ არიან მისი ოჯახის წევრები...).

შემსწავლელს შეუძლია თქვას, რა ფერისაა მისი ტანსაცმელი, ესა თუ ის ნივთი, ასევე იკითხოს, თუ რომელი საგანი რა ფერისაა.

შემსწავლელს შეუძლია ადამიანის გარეგნობის მარტივად აღწერა.

შემსწავლელს შეუძლია ახლობელი ადამიანების ან საკუთარი საცხოვრებელი ადგილის, ასევე საკუთარი საქმიანობის შესახებ მარტივად საუბარი.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი ენით აუხსნას სხვას ნაცნობი ობიექტის ადგილმდებარეობა, მასთან მისასვლელი გზა და საშუალება.

შემსწავლელს შეუძლია დროისა და თარიღის (რიცხვი, დღე, თვე, წელი, სეზონი...) დასახელება და შეკითხვის დასმა ამასთან დაკავშირებით.

შემსწავლელს შეუძლია შეიძინოს ან შეუკვეთოს სასურველი საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, იყიდოს ბილეთი.

შემსწავლელს შეუძლია პასუხის გაცემა მარტივ შეკითხვებზე მარტივი სიტყვებით, გამოთქმებითა და წინადადებებით.

შემსწავლელს შეუძლია დიალოგში მონაწილეობა, თუ მოსაუბრე ელაპარაკება ნელა და გარკვევით, ამასთანავე საჭიროებისამებრ უმეორებს ნათქვამს და ეხმარება აზრის გადმოცემაში.

წერა

შემსწავლელს შეუძლია საკუთარი მონაცემების (სახელი, გვარი, ასაკი, ეროვნება, მისამართი...) ჩაწერა ბლანკში, სასტუმროს სარეგისტრაციო ფურცელში და ასევე ამ მონაცემების შემცველი ინფორმაციის შევსება ინტერნეტგვერდებზე.

შემსწავლელს შეუძლია ფოტოებზე/ნახატებზე დანახული საგნის აღმნიშვნელი ძალიან მარტივი სიტყვების ჩაწერა (მაგ., ადამიანები, ცხოველები, ნივთები...).

შემსწავლელს შეუძლია ლექსიკონის, სახელმძღვანელოს, სავარჯიშო რვეულის დახმარებით რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი მარტივი წინადადების დაწერა.

შემსწავლელს შეუძლია მარტივად დაწეროს/უპასუხო სხვის შეკითხვებს/თავად დაუსვას სხვას შეკითხვები ვინაობის, პროფესიის, საქმიანობისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია აღწეროს, თუ როგორ არის მოწყობილი მისი ოთახი. მას ასევე შეუძლია მარტივი სიტყვებით აღწეროს საყოფაცხოვრებო ნივთები (მაგ., მანქანის ფერი, ზომა...).

შემსწავლელს შეუძლია ძალიან მარტივი, მოკლე წინადადებებით დაწეროს იმ ადამიანებსა და საგნებზე, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება (მაგ., სამსახური, ოჯახი, ჰობი, ნაცნობები, დღის რეჟიმი...).

შემსწავლელს შეუძლია ძალიან მოკლე ტექსტის დაწერა მარტივი, ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირებული წინადადებებით (მისალოცი ბარათები, არაოფიციალური ელექტრონული წერილები...).

შემსწავლელს შეუძლია პირადი მიზნებისათვის გეგმებისა და ვადების შესახებ მარტივი ჩანაწერების გაკეთება.

შემსწავლელს შეუძლია მეგობრებს მისწეროს მოკლე, მარტივი შეტყობინება, რომელიც შეიცავს შეკითხვას ან ინფორმაციას.

ენის ფლობის A2 დონე

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია ნელა და ძალიან გარკვევით ნათქვამ ტექსტში ხშირად ხმარებული სიტყვების, ცალკეული ფრაზებისა და მოკლე წინადადებების გაგება (მაგ., გამყიდველისა და მყიდველის დიალოგი...).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ტექსტი, რომელიც მისთვის ნაცნობ თემებს (ოჯახი, სწავლა, სამუშაო, თავისუფალი დრო...) ეხება.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ნელა და გარკვევით წარმოთქმული ტექსტის ძირითადი არსი, თუ ტექსტი საყოფაცხოვრებო საკითხებს ეხება.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე, მარტივი შეტყობინებებისა და ამბების დედააზრი, თუ ტექსტი დინჯად და გარკვევით არის ნათქვამი და მისთვის ნაცნობ თემებს ეხება.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს საუბარი, რომელიც ეხება რაიმე ნივთის ფერს, ზომას, წონას, მოცულობას.

შემსწავლელს შეუძლია მიხვდეს, როგორ მივიდეს დანიშნულ ადგილამდე, როცა მას გზას ასწავლიან.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე ტექსტის ძირითადი ინფორმაცია იმ თემების შესახებ, რომლებიც მას აინტერესებს.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ძირითადი ინფორმაცია სპორტული ანგარიშის, რეკლამის, ამინდის პროგნოზის შესახებ, თუ საუბრობენ ნელა და გარკვევით.

შემსწავლელს შეუძლია მიხვდეს, თუ რას ეხება შემთხვევით გაგონილი საუბარი მაღაზიაში/ ტრანსპორტში.

შემსწავლელს შეუძლია მიხვდეს მოსაუბრეების განწყობას (როგორ ხასიათზე არიან; როგორ გრძნობენ თავს: კარგად, ცუდად, მხნედ...).

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე, მარტივი ტექსტისა თუ შეტყობინების ძირითადი არსი.

შემსწავლელს შეუძლია ცალკეული ფრაზებისა და ხშირად ხმარებული სიტყვების გაგება, თუ ტექსტი მისთვის საინტერესო თემას ეხება.

შემსწავლელს შეუძლია ადვილად მისახვედრი ინფორმაციის მოძიება განრიგში, ცხრილში, მენიუში, რეკლამაში, განცხადებაში...

შემსწავლელს შეუძლია პირადი წერილების გაგება.

შემსწავლელს შეუძლია წიგნის სარჩევში/საძიებელში, ცნობარში ან ინტერნეტში მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება და მისი ძირითადი არსის გაგება.

შემსწავლელს შეუძლია ჟურნალ-გაზეთებსა და ინტერნეტში მისთვის ნაცნობ თემებზე აგებული მარტივი სტატიების დედააზრის გაგება.

შემსწავლელს შეუძლია წარწერების, აბრებისა და მინიშნებების (ღირეჭტივები, ინსტრუქციები, გაფრთხილებები) გაგება (მაგ., ქუჩაში, პარკში, რესტორანში, რკინიგზის სადგურში, აეროპორტში, მეტროში, კინოთეატრში...).

შემსწავლელს შეუძლია ამა თუ იმ ღონისძიების შესახებ ძირითადი ინფორმაციის გაგება (მოწვევა გამოფენის გახსნაზე, კინოთეატრის აფიშები, კონცერტების/ფესტივალების პროგრამა და განრიგი და ა.შ.).

შემსწავლელს შეუძლია ყოველდღიური მოხმარების საგნების ინსტრუქციების ძირითადი მითითებების გაგება, თუ ისინი შეიცავს ცალკეულ მოკლე წინადადებებსა და ილუსტრაციებს (მაგ., უსაფრთხოების ინსტრუქციები მატარებელში, თვითმფრინავში...).

შემსწავლელს შეუძლია არაოფიციალური წერილის გაგება, თუ ის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ინფორმაციას შეიცავს.

შემსწავლელს შეუძლია მისთვის საინტერესო ან საყოფაცხოვრებო თემებზე თხრობითი ხასიათის მცირე ზომის, მარტივი მხატვრული ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგება, თუ ტექსტს მკაფიო და ლოგიკური სტრუქტურა აქვს.

შემსწავლელს შეუძლია ჟურნალ-გაზეთებსა თუ ინტერნეტში მოიპოვოს მისთვის საინტერესო მარტივი ინფორმაცია და გაიგოს მისი მთავარი აზრი.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი ინტერვიუს წაკითხვისას მიხვდეს მის არსს და გაერკვეს, თუ როგორ ახასიათებენ ადამიანები ერთმანეთს, მიხვდეს, ვის რა თვისება აქვს.

ლაპარაკი

შემსწავლელს შეუძლია საკუთარ თავზე მოკლე ინფორმაციის (ვინაობა, მისამართი, ტელეფონის ნომერი, საიდან არის და სად მუშაობს...) გაცემა.

შემსწავლელს შეუძლია გადმოსცეს საკუთარი ოჯახის შესახებ ძირითადი ინფორმაცია (მაგ., ვინ არიან მისი ოჯახის წევრები, რა ასაკისა და პროფესიის არიან ისინი და ა. შ.).

შემსწავლელს შეუძლია თქვას, რა არის მისი ჰობი (მაგ., სიმღერა, ცეკვა, ხატვა, ცურვა, ფეხბურთი...).

შემსწავლელს შეუძლია თქვას და მარტივად დაასაბუთოს რა უყვარს/მოსწონს ან არ უყვარს/არ მოსწონს; ასევე გადმოსცეს, თუ სად (სოფელში, ქალაქში, ზღვაზე, მთაში...) ურჩევნია ყოფნა.

შემსწავლელს შეუძლია წინასწარი მომზადების გარეშე წარადგინოს მისთვის ნაცნობი საგანი/ობიექტი (მაგ., ქვეყანა, მუსიკალური ჯგუფი, გუნდი).

შემსწავლელს შეუძლია თავაზიანი ფორმების გამოყენებით მიმართოს სხვას და დაუსვას არცთუ რთული შეკითხვა.

შემსწავლელს შეუძლია მიპატიჟებაზე დათანხმება/უარის თქმა. მას ასევე შეუძლია მოზოდიშება, მოზოდიშებაზე სტანდარტული პასუხი და თავაზიანი თხოვნა გაუგებარი სიტყვის/წინადადების გამეორების თაობაზე.

შემსწავლელს შეუძლია ყოველდღიურ პრაქტიკულ საკითხებზე მარტივად მსჯელობა, როდესაც უშუალოდ მას მიმართავენ და მკაფიოდ და დინჯად საუბრობენ.

შემსწავლელს შეუძლია მოკლედ და მარტივად ილაპარაკოს რაიმე მოვლენის, ფაქტის (მაგ., წვეულების, ექსკურსიის, გაკვეთილის...) შესახებ და გამოხატოს მასთან დაკავშირებული ემოციები.

შემსწავლელს შეუძლია აღწეროს ამა თუ იმ ობიექტის ადგილმდებარეობა, მისასვლელი გზა, სატრანსპორტო საშუალება, მგზავრობის ხანგრძლივობა, მანძილი და ა. შ.

შემსწავლელს შეუძლია მოკლე ამბის მოყოლა მოვლენების თანამიმდევრობის დაცვით.

შემსწავლელს შეუძლია სხვებს მოუთხროს თავისი საქმიანობის შესახებ და უპასუხოს ამ თვალსაზრისით მისთვის დასმულ შეკითხვებს. მას თავადაც შეუძლია სხვას ჰკითხოს ინფორმაცია საქმიანობასთან დაკავშირებით.

შემსწავლელს შეუძლია მოკლედ ილაპარაკოს თავისი გეგმებისა (რას აპირებს კვირის ბოლოს/არდადეგებზე...) და იმის შესახებ, თუ როგორ აღნიშნავენ დღესასწაულებს მის ქვეყანაში.

შემსწავლელს შეუძლია მოითხოვოს მომსახურება (მალაზიაში, ბანკში...), მიიღოს და გასცეს მარტივი ინფორმაცია (ყიდვა-გაყიდვის, მგზავრობის... შესახებ).

შემსწავლელს შეუძლია მოკლე სატელეფონო საუბრის წარმართვა (მაგ., მეზვედრის ადგილის დანიშვნა...).

შემსწავლელს შეუძლია ითხოვოს დახმარება (მაგ., მარშრუტის ჩვენება გეგმაზე ან რუკაზე...) და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს, როცა მას სთხოვენ დახმარებას.

შემსწავლელს შეუძლია ჩაერთოს ნაცნობი თემტიკის განხილვის პროცესში (შესაძლოა, ინტერვიუს ფორმით), თუ დროდადრო განუმარტავენ გარკვეულ სიტყვებს/გამოთქმებს/ფრაზებს... ან ენმარებიან თავისი სათქმელის ფორმულირებაში.

შემსწავლელს შეუძლია სტანდარტული ფრაზებით ჩაერთოს ოფიციალურ მსჯელობაში, თუ საუბარი მის პროფესიულ საქმიანობას ეხება და მოსაუბრეები მეტყველებენ მკაფიოდ და ნელა. მას ასევე შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა ამა თუ იმ საკითხზე, როდესაც უშუალოდ მას მიმართავენ და საჭიროებისამებრ იმეორებენ საკვანძო მომენტებს.

შემსწავლელს შეუძლია სხვადასხვა საკითხზე სტანდარტული რეპლიკებით შეკამათება და თავისი პოზიციის წარმოჩენა.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით გადმოსცეს საკუთარი ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობა, გამოხატოს ემოციები.

წერა

შემსწავლელს შეუძლია თავისი ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობის შესახებ მოკლე მარტივი ჩანაწერების გაკეთება/ბლანკის შევსება განათლების, ინტერესების, სპეციალური ცოდნის/უნარების შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია თავისთვის ჩამოწეროს სამეცადინო გეგმა კვირის დღეებისა და თარიღების მითითებით. მას ასევე შეუძლია მარტივად ჩაიწეროს გეგმაში, როდის რა ისწავლა და კიდევ რა აქვს სასწავლი.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით დაწეროს საკუთარი საქმიანობის (მაგ., სამსახურის, სპორტისა და თავისუფალი დროის...) შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია ახლობელს მისწეროს მარტივი ხასიათის მოსაწვევი ბარათი და წერილობით უპასუხოს ასეთ მოწვევას/გამოხატოს მადლიერება. მას ასევე შეუძლია მარტივი სიტყვებით გამოხატოს მოწვევაზე თანხმობა და ის, რომ არ/ვერ ახერხებს შეხვედრაზე წასვლას/ავგიანდება/ავად არის/სხვა საქმით არის დაკავებული.

შემსწავლელს შეუძლია ნაცნობებსა და მეგობრებს საჭირო მარტივი ინფორმაცია მიაწოდოს, რჩევა მისცეს ელექტრონული ფოსტით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით (მაგ., ამა თუ იმ ტექნიკის ფასი სხვადასხვა მაღაზიაში, რომელი სპორტული კლუბი, საცურაო აუზი ჯობს).

შემსწავლელს შეუძლია მოკლე წინადადებებით დაწეროს, თუ რა უყვარს/მოსწონს... არ უყვარს/არ მოსწონს ყველაზე მეტად.

შემსწავლელს შეუძლია მოკლე, მარტივი წინადადებებით მისთვის ნაცნობი საგნების, ადგილების, ასევე მოგზაურობის მიზნის აღწერა.

შემსწავლელს შეუძლია მარტივი, ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული წინადადებებით აღწეროს რაიმე მოვლენა, როდის და რა ვითარებაში მოხდა იგი.

შემსწავლელს შეუძლია ისეთი მარტივი ფრაზებისა და წინადადებების დაწერა, სადაც გამოყენებულია მარტივი კავშირები “და”, “მაგრამ”, “იმიტომ, რომ”.

შემსწავლელს შეუძლია ნაცნობი თემების შესახებ მარტივი ტექსტების შედგენა, საკუთარი აზრის წერილობით ჩამოყალიბება, მარტივი ისტორიის მოყოლა (მაგ., ლამაზად გატარებული არდადეგების ან მომავალი ცხოვრების შესახებ).

შემსწავლელს შეუძლია მარტივი განცხადების დაწერა, მისთვის საინტერესო განცხადებაზე რეაგირება, პირადი/ზოგადი ხასიათის/ყოველდღიურობასთან დაკავშირებული მოკლე ინფორმაციის განთავსება ვებგვერდსა თუ სოციალურ ქსელში.

ენის ფლობის B1 დონე

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს საუბარი, როდესაც ელაპარაკებიან ნელა და გარკვევით ყოველდღიურობაზე, თუმცა ზოგ შემთხვევაში მან შეიძლება სთხოვოს მოსაუბრეს, რომ გაუმეოროს ან განუმარტოს ესა თუ ის სიტყვა, ფრაზა, წინადადება.

შემსწავლელს შეუძლია სტანდარტული მეტყველების მთავარი აზრის გაგება.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ისეთი დისკუსიის ძირითადი შინაარსი, რომელიც ეხება ყოველდღიურ ცხოვრებას ან/და მისთვის ნაცნობ თემებს იმ შემთხვევაში, თუ ეს დისკუსია არ მიმდინარეობს სწრაფად და არასალიტერატურო ენით.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ტელე- და რადიოგადაცემების მთავარი არსი, თუ ისინი ეხება მისთვის ნაცნობ თემებს.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მარტივი პრეზენტაციებისა და მოხსენებების შინაარსი, თუ ისინი მისთვის ნაცნობ თემებს ეხება.

შემსწავლელს შეუძლია იმდენად გაიგოს მოკლე ისტორიების შინაარსი, რომ წინასწარ მიხვდეს მათ სავარაუდო განვითარებას.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მარტივი ტექნიკური ინსტრუქციები (მაგ., როგორ გამოიყენება ესა თუ ის ხელსაწყო).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მისთვის საინტერესო სატელევიზიო გადაცემების (ინტერვიუები, ახალი ამბები, ბუნების დაცვა, ცხოველთა სამყარო, სპორტული მიმოხილვა, კინოვარსკვლავები, რეკლამები...) დედააზრი და მნიშვნელოვანი დეტალები, თუ ტექსტი გადმოიცემა სალიტერატურო ენით, ნელა და გარკვევით.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მარტივი ინფორმაციის დეტალები (მაგ., როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრში...).

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ქართულენოვანი ორი პიროვნების გარკვევით და მკაფიოდ მიმდინარე საუბარი, თუ იგი დაძაბავს გონებას.

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და სრულყოფილად გაიგოს ისეთი მარტივი ტექსტი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ მასალას მისთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები (მაგ., ბუნების დაცვა, კულტურული ქრონიკა, მშენებლობა...).

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ინტერვიუები ცნობილ პიროვნებებთან, თუ თემა ნაწილობრივ ნაცნობია მისთვის.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადებების შინაარსი და ძირითადი ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ არ ხვდება აბრევიატურები.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს პირადი წერილები, რომლებიც ეხება სხვადასხვა ურთიერთობას, გრძნობებსა და სურვილებს.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს საკვების შეფუთვაზე დაწერილი ინფორმაცია (საკვების შემადგენლობა, მომზადების წესი...).

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს სხვადასხვა სახის მოკლე ინსტრუქცია (მაგ., ელექტროხელსაწყოების, ტელეფონის, ბანკომატის...).

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს უსაფრთხოების წესები, რომლებიც განთავსებულია საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ელექტრომომწყობილობებზე.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს წამლების ინსტრუქცია და გაიგოს მისთვის საჭირო ძირითადი მითითებები.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს მოკლე ტექსტები მისთვის ნაცნობ თემებზე, რომლებშიც გამოთქმულია სხვადასხვა ხასიათის მოსაზრებები (მაგ., კრიტიკულ მოხსენებაში, ინტერნეტფორუმში, „ფეისბუქში“).

შემსწავლელს შეუძლია კონკრეტული დავალების შესრულების მიზნით ვრცელ ტექსტებში თვალის გადავლებით იპოვოს საჭირო ინფორმაცია/შეკრიბოს ინფორმაცია ტექსტის სხვადასხვა ნაწილიდან/სხვადასხვა ტექსტიდან.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს განსახილველი საკითხების მთავარი არსი, თუმცა ყოველთვის ვერ ხვდება დეტალებს.

ლაპარაკი

შემსწავლელს შეუძლია მოუმზადებლად მიიღოს მონაწილეობა საუბარში, რომელიც ეხება ნაცნობ თემებს.

შემსწავლელს შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი და ჩაერთოს ისეთ საუბარში, რომელიც ყოველდღიურობას, საყოფაცხოვრებო თემებსა და მისი პირადი ინტერესის სფეროს ეხება (მაგ., მიმდინარე პროცესები, საყიდლების ღირებულება, გაიაფება, გაძვირება, ფასდაკლება, ნივთების მოხმარების წესები, საყვარელი მუსიკალური ჯგუფები/მსახიობები / ფილმები/ წიგნები...).

შემსწავლელს შეუძლია არა მარტო მოჰყვეს რამე ამბავს, ფილმისა თუ წიგნის შინაარსს, არამედ მასთან დაკავშირებით გადმოსცეს საკუთარი მოსაზრებები. მას ასევე შეუძლია ისაუბროს რაიმე მოვლენის, შთაბეჭდილების, დამოკიდებულების (დაინტერესების...) ან განცდის (გაკვირვება, სიხარული, სევდა...) შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია თანამოსაუბრეს მისცეს რჩევა (მაგ., ტანსაცმლის/ტექნიკის... ყიდვისას/შერჩევისას...).

შემსწავლელს შეუძლია ახლობლებთან მარტივი სატელეფონო საუბრის წარმართვა. მას ასევე შეუძლია მათთან საერთო ინტერესების შესახებ საუბარი.

შემსწავლელს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობა და საკუთარი აზრის, შთაბეჭდილებებისა თუ განცდების მოკლედ გადმოცემა. მას ასევე შეუძლია თითქმის სპონტანურად დაუსვას მოსაუბრეს შეკითხვები.

შემსწავლელს შეუძლია რამდენიმე წინადადებით გადმოსცეს, თუ რა დამოკიდებულება აქვს თავის ახლობლებთან და დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრებები.

შემსწავლელს შეუძლია არგუმენტირებულად გადმოსცეს, ახსნას და დაასაბუთოს საკუთარი გეგმები, აზრები, ვარაუდები, შთაბეჭდილებები.

შემსწავლელს შეუძლია გამოთქვას მოსაზრებები და წინადადებები სამუშაო შეხვედრის (მაგ., პროექტზე მუშაობისას, სემინარზე...) მსვლელობისას. მას ასევე შეუძლია მოკლე და მარტივი პრეზენტაციის წარმართვა (მაგ., სტუმრებისათვის ახალი პროგრამის წარდგენა...) და საკუთარი მოსაზრების დასაბუთებულად წარმოჩენა იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულად მოიქცნენ მისი ოპონენტები.

შემსწავლელს შეუძლია ნაცნობ თემებზე წინასწარ მომზადებული მოხსენებისა თუ პრეზენტაციის იმდენად კარგად წარმართვა, რომ მისი აზრის გაგება თავისუფლად შეესაძლებელი; თუმცა, თუ შემსწავლელის საჯარო გამოსვლა წინასწარ არაა მომზადებული,

ზოგჯერ რამდენადმე გაუგებარია მისი ნათქვამის არსი/აზრის სიზუსტე.

შემსწავლელს შეუძლია სხვისი ნათქვამის გაგება, მაგრამ თუ მოსაუბრე ლაპარაკობს სწრაფად და ხანგრძლივად, სჭირდება, რომ გაამეორებინოს ან ხელახლა აახსნევნოს ნათქვამი. მას შეუძლია მოსაუბრეთა თვალსაზრისებზე კომენტარების გაკეთება.

შემსწავლელს შეუძლია ეტიკეტის გათვალისწინებით გამოთქვას თავისი თვალსაზრისი, რწმენა, გამოხატოს თანხმობა, არ დაეთანხმოს მოსაუბრეს... მას ასევე შეუძლია გამოთქვას პრეტენზია (მაგ., მაღაზიაში რაიმე ნივთის წუნის აღმოჩენის შემთხვევაში...).

შემსწავლელს შეუძლია თანამიმდევრულად მნიშვნელოვანი ნიუანსების გათვალისწინებით გადმოსცეს ისეთი მოვლენა თუ ფაქტი (მაგ., დაჯილდოების ცერემონია, საგზაო შემთხვევა...), რომელსაც თვითონ შეესწრო.

შემსწავლელს შეუძლია სხვას მისცეს დეტალური მითითებები და რჩევები (მაგ., საჭმლის მომზადება, შინაური ცხოველის მოვლა, თავისუფალი დროის შინაარსიანად და სასიამოვნოდ გატარება ამა თუ იმ ქვეყანაში...).

შემსწავლელს შეუძლია მოკლე ინტერვიუს ჩამორთმევა, თუ კითხვები წინასწარ აქვს მომზადებული; მას ასევე შეუძლია დამატებითი შეკითხვების დასმა ხანგრძლივი დაფიქრების გარეშე. შემსწავლელს აქვს უნარი ინტერვიუს მიმდინარეობისას აიღოს ინიციატივა (მაგ., ახალი თემის დაწყება), თუმცა დამოკიდებულია ინტერვიუებზე.

შემსწავლელი საკმაოდ კარგად იყენებს სტანდარტულ კონსტრუქციებს საუბარში, რომელიც ეხება მის პროფესიულ საქმიანობას. მას ასევე შეუძლია მრავალფეროვანი მარტივი ენობრივი საშუალებებით სხვადასხვა სიტუაციის დაძლევა.

შემსწავლელს შეუძლია კონკრეტული, მაგრამ ზოგჯერ არაზუსტი, ინფორმაციის გაცემა (მაგ., ექიმისთვის ავადმყოფობის სიმპტომების აღწერა...).

შემსწავლელი ნაცნობ სიტუაციებში აზრს აყალიბებს საკმაოდ ზუსტად, თუმცა ემჩნევა მშობლიური ენის გავლენა. იგი ზოგჯერ უშვებს შეცდომებს, მაგრამ მისი საუბრის ზოგადი აზრი სავსებით ნათელია.

წერა

შემსწავლელს შეუძლია მოსმენის დროს ჩაინიშნოს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

შემსწავლელს შეუძლია წერილობითი ფორმით აზრის თანამიმდევრულად ჩამოყალიბება მისთვის საინტერესო ან ნაცნობ თემებზე (მაგ., საინტერესო ადგილების, პროფესიული გამოცდილებისა და საქმიანი შეხვედრის... შესახებ).

შემსწავლელს შეუძლია ფორმითა და შინაარსით სტანდარტული, ძალიან მოკლე, ინფორმაციული ხასიათის მოხსენებების წერა ყოველდღიურობასა და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით. მას ამავდროულად შეუძლია შეკრებილი ფაქტობრივი ინფორმაციის შეჯამება და საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება იმ შემთხვევაშიც კი, თუ თემა არაყოველღიურ საკითხებს ეხება.

შემსწავლელს შეუძლია დაწეროს მნიშვნელოვანი მოვლენის ან პირადი განცდის თაობაზე (მაგ., საინტერესო მოგზაურობის ან საინფორმაციო ხასიათის ახალი ამბების... შესახებ) და საჭიროების შემთხვევაში მარტივი ენობრივი საშუალებებით შეძლოს ამბის/მოვლენის/გამოცდილების გაბმული ტექსტის სახით ფორმულირება.

შემსწავლელს შეუძლია პირადი წერილის დაწერა და მასში საკუთარი გრძნობებისა და გამოცდილების გადმოცემა, მოვლენების აღწერა.

შემსწავლელს შეუძლია წერილობითი რეაგირება მისთვის საინტერესო განცხადებაზე (მაგ., სასწავლო კურსები, არდადეგები, სასტუმროს დაჯავშნა...).

შემსწავლელს შეუძლია გარკვევით აღწეროს მოვლენები ან საგნები, რომლებიც აინტერესებს (მაგ., უნივერსიტეტის დამთავრება, მუშაობის დაწყება, თანამედროვე მოდა, სპორტის რომელიმე სახეობა, თავისი ან სხვისი საცხოვრებელი სახლი...), წარმოაჩინოს მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები და დაასაბუთოს საკუთარი აზრი მარტივი ენობრივი საშუალებებით.

შემსწავლელს შეუძლია მისთვის ნაცნობი ან საინტერესო საკითხების დაწვრილებითი აღწერა მარტივი ენით, თავისთვის საჭირო ინფორმაციის წერილობითი მოთხოვნა და ასევე ამ მიზნით კითხვარის შედგენა / შეკითხვების მომზადება.

შემსწავლელს შეუძლია ბიოგრაფიის დაწერა.

ენის ფლობის B2 დონე

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია სალიტერატურო ნორმების ფარგლებში ისეთი სასაუბრო მეტყველების (ცოცხალი თუ ჩანაწერი) გაგება ნაცნობ ან უცნობ თემებზე, რომლებსაც იგი ეხება პირად, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროებში ურთიერთობისას. მხოლოდ ძლიერ ფონურ ხმაურს ან არასწორად

აგებულ დისკურსს ან/და რთულ იდიომატურ გამოთქმათა გამოყენებას შეუძლია იქონიოს გავლენა ნათქვამის გაგებაზე.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ძირითადად ყველაფერი აქტუალურ თემებზე სალიტერატურო ენით გადმოცემული სატელევიზიო რეპორტაჟებიდან, პირდაპირი ჩართვებიდან თუ ტოქშოუებიდან.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ხანგრძლივი საუბარი მისთვის ნაწილობრივ ნაცნობ თემებზე. მას ასევე შეუძლია გაიგოს ყველა რეპორტაჟი და ახალი ამბავი მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ნორმალური სისწრაფით წარმოთქმული განცხადება, რომელიც ეხება აბსტრაქტულ თემებს.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ის მოხსენებები, რომლებიც ეხება თანამედროვე პრობლემებს და რომელთა ავტორებიც გამოთქვამენ განსაკუთრებულ აზრს ან დგანან განსხვავებულ პოზიციასზე.

შემსწავლელს შეუძლია შინაარსობრივად და ენობრივად რთული მოხსენების დედააზრის გაგება, თუკი ამ გამოსვლის თემატიკა მისთვის გარკვეულწილად ცნობილია და საუბრის თემის მეტ-ნაკლებ/მთლიან შეცვლაზე მიუთითებენ შესაბამისი მინიშნებებით.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ფილმების პერსონაჟების საუბარი, თუ ისინი სალიტერატურო ენით მეტყველებენ.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს, როდესაც დაწვრილებით უყვებიან მისთვის საინტერესო საგნების (მაგ., კომპიუტერის, მობილური ტელეფონის, ავტომობილის...) ტექნიკური მახასიათებლებისა თუ ფუნქციების შესახებ.

შემსწავლელს შეუძლია მიხვდეს მოსაუბრის ტონსა (საყვედურისა თუ მადლიერების...) და განწყობას (კარგი, ამაღლებული, ცუდი...).

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია იმ სტატიებისა და მოხსენებების გაგება, რომლებიც ეხება თანამედროვე პრობლემებს და რომელთა ავტორებიც გამოთქვამენ განსაკუთრებულ აზრს ან დგანან განსხვავებულ პოზიციასზე.

შემსწავლელს შეუძლია ისეთი სტატიებისა და შეტყობინებების გაგება, რომლებიც ეხება აქტუალურ პრობლემებს და რომლებშიც ავტორები გამოხატავენ განსხვავებულ პოზიციას ან თვალსაზრისს.

შემსწავლელს შეუძლია თვალი გადაავლოს დიდი მოცულობის რთულ ტექსტს და გამოყოს მნიშვნელოვანი დეტალები.

შემსწავლელს შეუძლია კომპლექსური და გრძელი ტექსტების სწრაფად გადაკითხვა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები, სხვადასხვა ტიპის ტექსტები და გაიზიაროს/არ გაიზიაროს ავტორის პოზიცია.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და დეტალურად გაიგოს სხვადასხვა ხასიათისა და ტიპის ვრცელი ტექსტი (მაგ. სახელმძღვანელო, რომანი...), საჭიროებისამებრ, გამოიყენოს ლექსიკონი.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს სპეციალური სტატიები, რომლებიც სცილდება მისი საქმიანობის სფეროს, იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ლექსიკონის გამოყენების საშუალება ამა თუ იმ ტერმინის/კონკრეტული პოლისემიური სიტყვის რომელიმე მნიშვნელობის დასაზუსტებლად.

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს ინტერნეტში, გაზეთში განთავსებული არცთუ ძალიან რთული ტექსტები (მაგ., კომპიუტერული თამაშების, ტექნიკის შესახებ...).

შემსწავლელს შეუძლია იხელმძღვანელოს წერილობითი ინსტრუქციებით (მაგ. კოსმეტიკის, თამაშის, ფოტო- თუ ვიდეოაპარატის, ელექტროხელსაწყო...).

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს გრძელი, კომპლექსური ინსტრუქციები მისთვის გარკვეულწილად ნაცნობი თემატიკის ირგვლივ.

ლაპარაკი

შემსწავლელს შეუძლია გარკვევით, ბუნებრივად და დაუბრკოლებლად ლაპარაკი და საუბარში აქტიური მონაწილეობა ხმაურის მიუხედავად. მას შეუფერხებლად შეუძლია საუბარი როგორც საკუთარი, ისე შესასწავლი ენის მატარებელთან.

შემსწავლელმა შესაძლოა წინადადების აგებისას დაუშვას უმნიშვნელო ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრა თვითონვე შეუძლია. იგი არ უშვებს ისეთ შეცდომებს, რომლებიც ამახინჯებს გამონათქვამის აზრს. ზოგადად, მისი მეტყველება ხასიათდება გრამატიკული სიზუსტის მაღალი დონით.

შემსწავლელს შეუძლია თანამიმდევრულად და დაწვრილებით გადმოსცეს ესა თუ ის ამბავი ან პირადი განცდები.

შემსწავლელს შეუძლია დეტალურად გადმოსცეს საკუთარი პროფესიული გამოცდილება; მას ასევე შეუძლია რთულ დიალოგში მონაწილეობა, ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიღება თუ გაცემა პროფესიული საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებით.

შემსწავლელს შეუძლია გარკვევით, დაწვრილებით, თანამიმდევრულად აღწეროს მომხდარი ამბავი და წინ წამოწიოს მთავარი დეტალები.

შემსწავლელს შეუძლია ხანგრძლივად, ნათლად და დეტალურად ისაუბროს მისთვის ნაცნობ ან საინტერესო თემებზე, დაწვრილებით აღწეროს ნიუანსები და შეადაროს მონაცემები ერთმანეთს.

შემსწავლელს შეუძლია ისაუბროს შთაბეჭდილებებზე, იდეებზე, გრძნობებზე, გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები.

შემსწავლელს შეუძლია პრობლემის კრიტიკულად აღწერა და პრობლემური სიტუაციიდან გამოსვლის დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩამოთვლა.

შემსწავლელს შეუძლია საუბრის დაწყება, აზრის გამოთქმა, საუბრის პროცესში შეკითხვების დასმა და საუბრის დასრულება. მას ასევე შეუძლია თავისუფლად წარმართოს ინტერვიუ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გადაუხვევს წინასწარ დასახულ გეგმას.

შემსწავლელს შეუძლია დისკუსიის დროს არგუმენტების, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, დასაბუთება და დამტკიცება; ალტერნატიული შეხედულებების შეფასება; მას ასევე შეუძლია რეაგირების მოხდენა სხვათა არგუმენტებზე.

შემსწავლელს შეუძლია მოხსენების წარდგენისას უპასუხოს ამ მოხსენების შესახებ დასმულ შეკითხვებს; ამასთანავე ისე თავისუფლად ისაუბროს, რომ მსმენელს არ შეექმნას დაბრკოლება მისი ნათქვამის გაგებაში.

შემსწავლელს შეუძლია თავი წარმატებით გაართვას ისეთ შემთხვევებს (დაჯარიმება, სასამართლოსთან ურთიერთობა, საგზაო შემთხვევები...), რომლებიც მისგან მოითხოვს სპონტანურ ენობრივ რეაგირებას.

შემსწავლელს შეუძლია საკუთარი მოსაზრებების ზუსტად და დაბეჭითებით გადმოცემა; ასევე სხვის კომპლექსურ არგუმენტებზე რეაგირება.

წერა

შემსწავლელს შეუძლია მისთვის საინტერესო, აქტუალურ თემებზე ტექსტის (მაგ., ბუნებისა და ცხოველთა დაცვა, მსოფლიოს ახალი ამბები...) დაწერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის წამოწევით.

შემსწავლელს შეუძლია საკუთარი პროფესიული გამოცდილების წერილობით გადმოცემა.

შემსწავლელს შეუძლია დაწეროს წერილები და გამოხატოს მათში სხვადასხვა ემოცია, ხაზი გაუსვას პირად ინტერესებს, კომენტარები გააკეთოს იმ ადამიანის თვალსაზრისთან დაკავშირებით, რომელთანაც აქვს მიმოწერა.

შემსწავლელს შეუძლია ისეთი ტექსტის დაწერა, რომელშიც დეტალურად იქნება წარმოჩენილი მისი გამოცდილება, სხვადასხვა მოსაზრება და გრძნობა.

შემსწავლელს შეუძლია კარგად ჩამოყალიბებული, დეტალური ტექსტის დაწერა წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე.

შემსწავლელს შეუძლია ფილმის, წიგნის, ან სპექტაკლის შინაარსის დაწერა.

შემსწავლელს შეუძლია რაიმე ისტორიის (მაგ., მოგზაურობის ისტორია, კრიმინალური ან ფანტასტიკური ამბავი...) ვრცლად, ნათლად და ზუსტად ჩამოყალიბება.

შემსწავლელს შეუძლია არაერთი საინტერესო თემის შესახებ დეტალური ტექსტების დაწერა, სხვადასხვა პოზიციის ასახვა და ერთმანეთთან შედარება, საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვა.

შემსწავლელს შეუძლია პრობლემის არსის გადმოცემა, სისტემურად წარმოჩენა, მნიშვნელოვანი საკითხების წინ წამოწევა და წერილობითი დისკუსიის გამართვა.

შემსწავლელს შეუძლია წერილობით ტექსტებში დამოკიდებულებაზე, მიზეზებსა და შედეგებზე ვარაუდების გამოთქმა.

შემსწავლელს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ინფორმაციისა და არგუმენტების შეფასება და მათი სინთეზით ტექსტის დაწერა.

შემსწავლელს შეუძლია ისეთი მოხსენების/ესეის დაწერა, რომელშიც მტკიცებულებები წარმოჩენილია სისტემურად, ხაზგასმულია ძირითადი მომენტები და ისეთი დეტალები, რომლებიც მხარს უჭერს მოხსენებაში წარმოდგენილ თვალსაზრისს.

ენის ფლობის C1 დონე

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია კონკრეტული ინფორმაციის მიღება საზოგადოებრივ ადგილებში (სადგურზე, სტადიონზე, თვითმფრინავში...) მიწოდებული განცხადებებიდან ხმაურისა და ცუდი სმენადობის მიუხედავად.

შემსწავლელს შეუძლია ტელე- და რადიო გადაცემების/პროგრამებისა თუ ფილმების თითქმის თავისუფლად გაგება ენის არასტანდარტული გამოყენების პირობებშიც კი, ზუსტად ერკვევა მოსაუბრეთა ურთიერთდამოკიდებულებაში.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს რთული ტექნიკური ინფორმაცია.

შემსწავლელს თავისუფლად შეუძლია ლექციების, განხილვებისა და დისკუსიების გაგება.

შემსწავლელს დაუბრკოლებლად შეუძლია ყური მიადევნოს რთულ დიალოგებს, რომლებიც მიჰყავს მესამე მხარეს ჯგუფური განხილვის/დისკუსიის დროს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თემა აბსტრაქტულია, თემატიკა კი მისთვის უცნობია.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს იდიომატური თუ სასაუბრო გამოთქმების უმეტესობა, ამჩნევს სტილის შეცვლას.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს რთული და დიდი მოცულობის მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტები და მათი სტილური თავისებურებები.

შემსწავლელს შეუძლია ზედმიწევნით გაიგოს მოთხრობა აბსტრაქტულ და რთულ სპეციფიკურ თემებზე, რომლებიც მისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებს სცილდება, თუმცა ზოგჯერ სჭირდება დააზუსტოს ცალკეული დეტალები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ აქცენტი მისთვის უცნობია.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ვრცელი მოხსენება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული ლოგიკური სტრუქტურა და აზრობრივი კავშირი, იღებებს შორის ურთიერთმიმართება მხოლოდ იგულისხმება, მაგრამ არაა ნათლად გამოხატული.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს სხვადასხვა სახისა და შინაარსის ზეპირი ტექსტები, მათ შორის ისეთიც, რომელიც არასალიტერატურო ენითაა წარმოთქმული ან შეიცავს უცხო ტერმინოლოგიას; შემსწავლელი აღიქვამს ტექსტის წვრილმან დეტალებს, მათ შორის მოსაუბრეთა ურთიერთდამოკიდებულებასაც.

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია დაწვრილებით გაიგოს დიდი რთული ტექსტები/ვრცელი ინსტრუქციები იმის მიუხედავად, მიეკუთვნება თუ არა ისინი მისი ინტერესების/პროფესიული საქმიანობის სფეროს, თუკი შემსწავლელს ექნება რთული მონაკვეთების გადაკითხვის საშუალება.

შემსწავლელს შეუძლია ნებისმიერი ნაწერის გაგება, თუკი ზოგჯერ ექნება ლექსიკონის გამოყენების საშუალება.

შემსწავლელს შეუძლია პრაქტიკულად ყველა სტილის წერითი მეტყველების გაგება და ინტერპრეტაცია. მისთვის შეიძლება უცნობი იყოს ნაკლებად ხმარებული ან არქაული ფორმები და გამოთქმები, მაგრამ ეს ფაქტობრივად არ უშლის მას ხელს მთლიანი ტექსტის გაგებაში.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს რთული და დიდი მოცულობის მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, განარჩევს სტილს; ესმის სტატიებისა და ტექნიკური ინსტრუქციების სპეციფიკური ენა იმ

შემთხვევაშიც კი, როდესაც ტექსტი სცილდება მისი პროფესიული საქმიანობის სფეროს.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ვრცელი, რთული ტექსტები სოციალურ, პროფესიულ და სამეცნიერო საკითხებზე; შეუძლია მიხვდეს ურთიერთდამოკიდებულებებისა და თვალსაზრისების როგორც ფარულ, ისე აშკარა ნიუანსებს. შესაძლოა რთული ტექსტის ზოგიერთი დეტალი მისთვის გასაგები გახდეს მხოლოდ განმეორებითი წაკითხვის შემდეგ, განსაკუთრებულ შემთხვევებში იყენებს ლექსიკონს.

ლაპარაკი

შემსწავლელს შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა თავისუფლად, მოუმზადებლად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. იგი ფლობს დიდ ლექსიკურ რეპერტუარს, რომელიც აძლევს საშუალებას დავიწყებული სიტყვა ხატოვნად ახსნას ან მისი განმარტებით/სინონიმით ჩაანაცვლოს. იშვიათად მიმართავს სირთულეების დაძლევის სტრატეგიებს, მხოლოდ საუბრის რთულ თემას შეუძლია შეუშალოს ხელი მეტყველების მწყობრად წარმართვაში.

შემსწავლელს შეუძლია ილაპარაკოს პრაქტიკულად ძალდაუტანებლად, თავისუფლად და სპონტანურად. მისი მეტყველების სწორი, ბუნებრივი დინება შეიძლება შეფერხდეს მხოლოდ რთული, ნაკლებად ნაცნობი სასაუბრო თემის შემთხვევაში.

შემსწავლელს შეუძლია მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებებით მანიპულირება, ემოციების, ალუზიების, იუმორის მოქნილად და ეფექტურად გამოყენება.

შემსწავლელს შეუძლია რაიმე თვალსაზრისის განსჯა და მისი განვითარება მეორეხარისხოვანი დებულების მეშვეობით, მიზეზების გარკვევით და შესაფერისი მაგალითების მოყვანით.

შემსწავლელს შეუძლია მოკლე, მკაფიოდ სტრუქტურირებული მოხსენებების გაკეთება რთულ თემაზე, ზოგიერთი მტკიცებულების განვითარება საკუთარი თვალსაზრისის შესახებ საკმაოდ გავრცობილი დამატებითი მსჯელობით, დასაბუთებებით, სათანადო მაგალითებით. მას შეუძლია თავი გაართვას ისეთ სიტუაციას, როდესაც აწყვეტინებენ საუბარს და ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე უმაღვე, სხარტად უპასუხოს მოსაუბრეს.

შემსწავლელს შეუძლია ინტერვიუში თავისუფლად მონაწილეობა როგორც ინტერვიუერის, ისე რესპონდენტის როლში; თემის თავისუფლად, სხვისი დახმარების გარეშე წამოჭრა და განვითარება

ისე, რომ საუბრის შეწყვეტინების შემთხვევაშიც კი არ დაკარგოს საუბრის ძარღვი.

შემსწავლელს შეუძლია მკაფიოდ, დაწვრილებით აღწეროს რაიმე და რთულ თემებზე გააკეთოს მოხსენება, ჩამოაყალიბოს მტკიცებულებათა სისტემა, ჩაუღრმავდეს ქვეთემებს, განავრცოს ცალკეული დებულება და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები.

შემსწავლელს შეუძლია დისკუსიის არსენალიდან შესაფერისი გამოთქმის ამორჩევა და მისი გამოყენება საუბრის დასაწყისშივე, რათა მიიღოს სიტყვის თქმის უფლება და შეინარჩუნოს მოსაუბრის პოზიცია ან მარჯვედ დაუკავშიროს თავისი რეპლიკა მოსაუბრის რეპლიკას თემის განხილვის გაგრძელების მიზნით.

შემსწავლელს შეუძლია მეტყველების ნათლად, პაუზების გარეშე აგება და მისი სწორად ორგანიზება. მას ასევე შეუძლია მეტყველებისას წამოჭრილი დაბრკოლების გადასალახავად ფორმულირების შეუფერხებლად შეცვლა. იგი მუდმივად იცავს გრამატიკული სისწორის მაღალ დონეს; იშვიათად უშვებს შეცდომებს, ხოლო პრაქტიკულად შეუმჩნეველი შეცდომის დაშვების შემთხვევაში სწრაფადვე ასწორებს მას.

შემსწავლელს შეუძლია შეტყობინების თავისუფლად, შეუფერხებლად, ძალდატანების გარეშე გადმოცემა, შინაარსის სიღრმის სიზუსტის დაცვისათვის მახვილისა და ინტონაციის გამოყენება.

წერა

შემსწავლელს შეუძლია მკაფიოდ და ზუსტად გამოხატოს საკუთარი აზრი პირად წერილებში, თავისუფლად გამოიყენოს ენობრივი მასალა ხუმრობისთვის, ემოციებისა და მინიშნებების გადმოსაცემად.

შემსწავლელს შეუძლია კარგად სტრუქტურირებული, ორგანიზებული, ლამაზად ფორმულირებული ტექსტის დაწერა ნაირგვარი ენობრივი საშუალებისა თუ ადრესატისთვის შესაფერისი სტილის გამოყენებით.

შემსწავლელს შეუძლია წარმოადგინოს გასაგები, ლოგიკურად აგებული, ვრცელი არაოფიციალური მსჯელობა/გამოგონილი ტექსტი.

შემსწავლელს შეუძლია რთულ თემებზე/პრობლემებზე ნათელი, კარგად სტრუქტურირებული ახსნა-განმარტების დაწერა და მასში მთავარი საკითხების გამოყოფა. იგი იშველიებს საკმაოდ ვრცელ

დამატებით მტკიცებულებებს, მაგალითებსა და არგუმენტებს ამ თუ იმ თვალსაზრისის ნათელსაყოფად.

შემსწავლელს შეუძლია დაწეროს დიდი მოცულობის სხვადასხვა სახის ტექსტი (წერილი, ესეი, მოხსენება...), რომელშიც მისი აზრები ზუსტად, ნათლად და დეტალურად იქნება გადმოცემული, ხოლო ენობრივი საშუალებები მოქნილად და ეფექტურად გამოყენებული.

შემსწავლელს შეუძლია თვალსაზრისის, აზრის, ალბათობის ხარისხის, ეჭვის, ვარაუდის... გამოხატვა.

შემსწავლელს შეუძლია ტექსტის ელემენტების დალაგება, მისი აბზაცებად დაყოფა და პუნქტუაციის წესების დაცვა, თუმცა შესაძლოა დაუშვას ორთოგრაფიული შეცდომები.

ენის ფლობის C2 დონე

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია ენის მატარებლისთვის ბუნებრივი სისწრაფით წარმოთქმული ნებისმიერი მეტყველების (ცოცხლისა თუ აუდიოჩანაწერის) გაგება.

შემსწავლელს შეუძლია ისეთი ლექციების, მოხსენებებისა და სხვა გამოსვლების გაგება, რომლებიც ეძღვნება სპეციალურ პრობლემებს და ხასიათდება უცნობი თემებისა თუ ტერმინოლოგიის მრავალფეროვნებით.

შემსწავლელს შეუძლია თავისუფლად გაიგოს ყველა ტიპის, კომპოზიციური/ენობრივი თვალსაზრისით რთული (ინსტრუქციები, სპეციალური სტატიები, მხატვრული ნაწარმოებები...) ან აბსტრაქტული ხასიათის ტექსტები.

შემსწავლელს შეუძლია ნებისმიერი შეტყობინების ყველა წვრილმანის გაგება ყოველგვარი სირთულის გარეშე.

შემსწავლელს შეუძლია თავისუფლად გაიგოს რთულ და პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობა თუ მიმდინარე პრობლემებზე მითითება, შეუძლია მოსაუბრის განწყობის აღქმა მისი საუბრის სტილიდან გამომდინარე.

შემსწავლელს, თუ საშუალება აქვს, რომ შეეგუოს მოსაუბრის აქცენტს ან დიალექტს, შეუძლია უცხო ენის ნებისმიერი მატარებლის გაგება მაშინაც კი, როდესაც საუბრი ეხება აბსტრაქტულ, რთულ თემებს და სცილდება მისი საქმიანობის ფარგლებს.

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს არაფორმალური საუბარი მაშინაც კი, როცა მასში ხშირადაა გამოყენებული სასაუბრო

მეტყველებისთვის დამახასიათებელი გამოთქმები თუ დიალექტიზმები.

შემსწავლელს შეუძლია ხუმრობის, სასაუბრო რემარკებისა და კულტურული ალუზიების გაგება.

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს, გაიგოს და კრიტიკულად შეაფასოს ნებისმიერი სახის მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტი (სტრუქტურული თვალსაზრისით რთული, აბსტრაქტულ თემებზე, სასაუბრო ენით დაწერილი...).

შემსწავლელს შეუძლია ფართო სპექტრის მქონე ვრცელი რთული ტექსტების გაგება, მათი სტილური ნიუანსების შეფასება; შეუძლია ტექსტის როგორც ფართული, ასევე ექსპლიციტურად გამოხატული მნიშვნელობის მიხვედრა.

შემსწავლელს შეუძლია დაბრკოლების გარეშე წაიკითხოს და გაიგოს ნებისმიერი ტექსტი (მათ შორის - აბსტრაქტულიც), რომელშიც არის რთული იდიომატური გამოთქმები და გრამატიკული კონსტრუქციები.

ლაბარაკი

შემსწავლელს შეუძლია მშვიდად და სწორად წარმართოს საუბარი, არანაირი ენობრივი ბარიერი არ გააჩნია პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ურთიერთობისას.

შემსწავლელს შეუძლია არაფორმალურ საუბარში ხანგრძლივად მონაწილეობა და სრულიად თავისუფლად, მრავალფეროვანი ენობრივი საშუალების გამოყენებით აბსტრაქტულ თემებსა თუ კულტურის საკითხებზე მსჯელობა.

შემსწავლელს შეუძლია რთული თემის დაბეჭითით, ნათლად მიწოდება ისეთი საზოგადოებისთვის, რომლისთვისაც ეს თემა უცხოა და თხრობის ისეთნაირად აგება, საკითხის იმგვარად გამარტივება, როგორსაც აუდიტორია მოითხოვს. მას შეუძლია შეკითხვებზე პასუხის გაცემა იმ შემთხვევაშიც კი, თუკი აუდიტორია მისადმი არაკეთილგანწყობილია.

შემსწავლელს შეუძლია რთული საკითხების ოფიციალური განხილვისას მკაფიო და სარწმუნო არგუმენტების ფორმულირებით კარგად წარმოაჩინოს თავისი აზრი და მის სისწორეში დაარწმუნოს აუდიტორია.

შემსწავლელს შეუძლია გამართული, კარგად სტრუქტურირებული ტექსტის წარმოთქმა, რომელშიც ეფექტურად

და ლოგიკურად წარმოჩენილი აქცენტებით დაეხმარება ადრესატს მნიშვნელოვანი მომენტების შემჩნევასა და დამახსოვრებაში.

შემსწავლელს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში (ენობრივი თუ სიტუაციური სირთულის შექმნისას), ნათქვამის მსმენელთაგან შეუმჩნევლად იმგვარი ფორმულირება ან შეცვლა, რომ მოსაუბრემ ვერც კი იგრძნოს ეს.

შემსწავლელს შეუძლია ძალიან კარგად წარმართოს დიალოგი და სრულიად თავისუფლად ააწყოს საუბარი ენის მატარებელთან როგორც რესპონდენტის, ისე ინტერვიუერის როლში.

შემსწავლელი კარგად ფლობს იდიომატურ და სასაუბრო გამოთქმებს, იცის მათი კონოტაციური მნიშვნელობები, ზუსტად იყენებს სიტყვის მნიშვნელობის ელფერსა და გამოთქმათა სახეცვლილებების ნაირგვარ საშუალებას.

შემსწავლელი მუდმივად ინარჩუნებს ენის გრამატიკის ფლობის მაღალ დონეს მაშინაც კი, როცა რთული მეტყველების დროს ყურადღება ეფანტება გარკვეული მიზეზის გამო (მაგ., მომდევნო წინადადებების დაგეგმვისას, სხვების რეაქციის მონიტორინგისას...).

წერა

შემსწავლელს შეუძლია თავისუფლად, გასაგებად და საინტერესოდ აღწეროს თავისი გამოცდილება და სხვადასხვა ისტორია.

შემსწავლელს შეუძლია რთული ტექსტების ნათლად, ბუნებრივად წერა ტექსტისთვის შესაბამისი სტილითა და გამართული ლოგიკური სტრუქტურით, რომელიც ეხმარება მკითხველს მთავარი დებულების აღქმაში.

შემსწავლელს შეუძლია რთული მოხსენებების, სტატიების, ესეების თავისუფლად და გასაგებად წერა, ლიტერატურული ნაწარმოებების ან შემოთავაზებების არგუმენტირებული ან კრიტიკული შეფასება. მის მიერ შედგენილი ტექსტების ლოგიკური სტრუქტურა ეხმარება მკითხველს რთული მომენტების გაგებაში.

შემსწავლელს შეუძლია სხვადასხვა წყაროში არსებული ინფორმაციისა თუ არგუმენტების განზოგადება და მათ საფუძველზე გაბმული ტექსტის შექმნა.

შემსწავლელს შეუძლია ყველა ტიპის ტექსტის დაწერა (მათ შორის - დამარწმუნებელი ტექსტის), იგი მოქნილად იყენებს მრავალფეროვან ენობრივ საშუალებებს და კონტექსტს უსადაგებს სიტყვის მნიშვნელობის ელფერს.

შემსწავლელს შეუძლია შეკრული, აზრობრივად გამართული ტექსტის შექმნა მაორგანიზებელი სტრუქტურის მთელი არსენალისა და ენობრივი საშუალებების გამოყენებით. იგი არ უშვებს ორთოგრაფიულ შეცდომებს.

შემსწავლელისთვის არ არსებობს ლექსიკონის გამოყენების აუცილებლობა, გარდა უცნობი სფეროს ტერმინოლოგიის ხმარების შემთხვევებისა.

საკითხის დასმის წესით გვინდა განვაცხადოთ შემდეგი: დროის საჭიროებამ მოიტანა, რომ განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ენის ფლობის დონე საჯარო მოხელეებისა და საქართველოს მოქალაქეობის მოსურნე პირთათვის. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენ მიერ შედგენილია ქართულის, როგორც უცხო ენის, ფლობის დონეთა აღწერილობა და მას შეუძლია ზუსტად დაადგინოს საქართველოს მოქალაქეობის მსურველის ქართული ენის ფლობის დონე. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ უნდა შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც მსჯელობის შედეგად განსაზღვრავს, კონკრეტულად რომელ დონეს უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მოქალაქეობის მსურველი. რაც შეეხება საჯარო მოხელეს, ამ საკითხთან დაკავშირებითაც საჭიროა დაფიქრება, რამდენად შეესაბამება ჩვენ მიერ შედგენილი აღწერილობა საჯარო მოხელის ენის ფლობის დონის განსაზღვრას. შეიძლება ამ ტიპის აღწერილობა მომზადდეს ქართულის, როგორც მშობლიური ენისათვის და მის საფუძველზე განისაზღვროს საჯარო მოხელისათვის წასაყენებელი მოთხოვნები.

Marika Odzeli

**Determining Level of Knowledge of the State Language of Georgia
for Civil Servants and People Seeking Georgian Citizenship**

Summary

For the unification of teaching, learning and assessment of contemporary languages within the European space, common European language policy is based on specific system of language knowledge, which has been developed and refined for years in the Council of Europe. This is a six-level system of language that is learner-oriented and meets the requirements and needs of learners of any age.

Reference Level Description for languages is defined in accordance with the analysis of linguistic categories, functions, grammar and vocabulary. Linguistic skills comprise reception (listening, reading) and production (speaking, writing). According to the common European requirements, we have worked out the Reference Level Description for the Georgian as a foreign language.

This was a pilot version which has been efficiently used and has undergone several changes for years. This RLD was discussed on trainings, seminars and workshops. It was eventually refined and established as the most appropriate version at the Georgian Language Division, Ministry of Education and Science of Georgia. This very version is presented in the article.

We would like to state the following: requirements of contemporary life conditioned the need to determine the level of knowledge of the state language for the civil servants and people seeking Georgian citizenship. As we have mentioned above, we have worked out the Reference Level Description for the Georgian as a foreign language which will enable us to determine the level of the language knowledge of people seeking Georgian citizenship.

Besides, we regard that a competent committee should be founded which will determine the level of knowledge of the people seeking Georgian citizenship. As far as civil servants are concerned, we need to think whether the description created by us is appropriate to determine the level of knowledge of civil servants. This kind of description can be prepared for Georgian as a native language and on its basis, the level of knowledge of civil servants can be defined.

ალექსი უორდანი

ავსტრიისა და ეგვიპტის დიალექტების ზოგიერთი მონაცემი

ავსტრიის დიალექტის კილოკავებია: ვინერიშ (ვენისა), ტიროლისა, ქერნთნისა, შთოიერმარკისა. ეგვიპტის არაბული დიალექტის კილოკავებია: კაიროსი, შარკია, საიდი, ფარაფრა, ჰარგა. ავსტრიელებისთვის კონინა ვინერიშ, ეგვიპტელებისათვის - კაიროს კილოკავი.

ვინერიშ (ვენის) კილოკავის მონაცემები.

1. **სალიტერატურო გერმანული სიტყვების შემოკლება:** a (სალიტ. *einer* არტიკლი), aa (სალიტ. *auch*, „აგრეთვე“), off (სალიტ. *Affe*, „მაიმუნი“), *aussi* (სალიტ. *hinaus*, „გარეთ“), *Aug* (სალიტ. *Auge*, „თვალი“), *ma* (სალიტ. *mich*, „მე“), *gnä* (სალიტ. *gnädig*, „მოწყალე“), *Suna* (სალიტ. *Sonne*, „მზე“), *sch i* (სალიტ. *scheint*, „ანათებს“), *scho* (სალიტ. *Schon* „უკვე“), *Jänner* (სალიტ. *Januar* „იანვარი“), *Feber* (სალიტ. *Februar* „თებერვალი“).
2. **-1 სუფიქსის დართვა:** *Hoserl* (შარვალი), *Würstl* (ძეხვი, სულელი), *Fischberl* (ახალგაზრდა ქალი).
3. **დიფტონგის გრძელ ხმოვნად გადაქცევა:** *Baan* (სალიტ. *Bein*, „ფეხი“), *Gschraa* (სალიტ. *Geschrei* „წამოყვირება“).
4. **პეციფიკური „ავსტრიიზმების ხმარება:** *Erdäpfel* (სალიტ. *Kartoffeln* „კარტოფილი“), *Obers* (სალიტ. *Sahne*, „არაყანი“), *Paradeis* (სალიტ. *Tomaten* „პომიდორი“), *Fetzn* (სალიტ. *Scheuertuch* „ჩვარი“), *alte Frau*, „მოხუცი ქალი“, *hässlichesKleid* („ულამაზო სამოსი“), *Gass* (სალიტ. *Ziege* „თხა“), *gschapft* (სალიტ. *verrückt* „გაგიჟებული“), *Klavier* (სალიტ. *Prothese* „კბილის პროტეზი“), *Marie* (სალიტ. *Geld* „ფული“), *Busserl* (სალიტ. *Kuss*, „კოცნა“), *Zwetschke* (სალიტ. *Pflaume* „ქლიავი“), *purn* (სალიტ. *Laufen* „სირბილი“), *kudern* (სალიტ. *Mädchenlachen* „გოგონების სიცილი“), *pudern* (სალიტ. *Ficken* „ინტიმის დამყარება“), *schmasen* (სალიტ. *Redden* „საუბარი“).
5. **ნასესხობანი:** *acheln* „ჭამა“ (ებრაულიდან *achol* „ჭამა“), *alakawalla* „მაღალი დონე“ (იტალიურიდან *alacavello*, „ცხენზე ამხედრებული“), *barabern* („მიძიე შრომა“ ჩეხურიდან *poroba* „მსახურად ყოფნა“). ამ ნასესხობათა სალიტ. შესატყვისია: *essen*, *vornehm*, *schwerarbeiten*.

საინტერესო „ავსტრიიზმებს“ იძლევა ცნობილი ავსტრიელი მწერალი რ. მუზილი მოთხრობაში „გრიჯა“ („ნაცრისფერა“). Wittib (სალიტ. Witwe „ქვრივი ქალი“), wos („რა“), han (სალიტ. Habe „მაქვს“), bissl (სალიტ. Weilchen „ცოტა“), guat (სალიტ. Gut „კარგი“).

კაიროს კილოკავის მონაცემები

კაიროს კილოკავი მეტად ახლოა სტანდარტულ არაბულთან, თუმცა ზოგიერთი დფორმაციები შეინიშნება:

1. სტანდარტულ არაბულში ბრუნვათა სისტემა მოშლილია, კაიროს კილოკავში კი ინნოვაციური ნათესაობითის ბრუნვაა: **ilmirayabta' -il-mara** (სარკე ქალისა). ჯქ **bta'**ნათ. ბრუნვის ფორმანტის როლს ასრულებს.

2. კაიროს კილოკავში ეგვიპტიზმებია: **innaharda** (სალიტ. **alyawma** „დღეს“), **guwwa** (სალიტ. **Juwwatan** „შიგნით“), **imbaarih** (სალიტ. **Amsi** „გუშინ“), **dilwati** (სალიტ. **Alaana** „ახლა“), **'awi** (სალიტ. **Jiddan** „ძალიან“), **kida (hakaaza** „ამგვარად“), **'awaam** (სალიტ. **bisur'ati** „სწრაფად“), **dughri** (სალიტ. **ilal-amaama** „პირდაპირ“), **'umri** (სალიტ. **aabadan** „არასდროს“).

3. ზოგიერთ სიტყვაში სალიტ. ენის **q** არ იცვლება მეორეული ჰამზით: **qariiban** „მოკლედ“, **qaziir** „ბინძური“, **qanaat** „არხი“, **il-qaahira** „კაირო“, **qasiida** „პოემა“.

ხშირად კაიროელ არაბ რესპონდენტებს მეცნიერული ანალიზის ჩასატარებლად ათარგმნიანებენ გამზადებულ ფრაზებს, რაც მიზანშეწონილი არ არის. კორექტული იქნებოდა ხალხური ანდაზების გამოყენება, როგორც კოდირებული მასალისა. მაგ. ანდაზაა:

illi 'aleek i'milu, wilbaa'i 'ala llaah „რაც შენი გასაკეთებელია, გააკეთე ის, ხოლო დანარჩენი ალაჰს მიანდე“. **illi** (სალიტ. **allaazi**), **'aleek** (სალიტ. **'alayka**), **i'milu** (სალიტ. **i'milu-hu**), **wilbaa'c** (სალიტ. **waalbaaqi**), **'alallaah** (სალიტ. **'ala-l-laahi**).

ავსტრიელები სწავლობენ თავის დიალექტს, ყველა მის კილოკავს (სულ 8 ოლქისა ანუ ლანდისა), გამოცემენ ფოლკლორულ მასალას, ლექსიკონებს. ამავე დროს, საშუალო სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებში გამოიყენება **Hochdeutsch** (სალიტერატურო გერმანული ენა). გაზეთებში („**Wienerzeitung**“, „**Osterreich**“, **Standardzeitung**“) ტექსტები სალიტერატურო ენაზე ქვეყნდება (ზემოთ დასახელებული ზოგიერთი დიალექტიზმის ზომიერი გამოყენებით) ავსტრიის მთავრობა ცდილობს, სკოლაში განსაკუთრებით ცნობილი გერმანული მწერლების თხზულებების სწავლებას დიდი დრო დაუთმოს. ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიაში გაშლილია ფართო მუშაობა ლიტერატურული მასალის

გასაანალიზებლად. XIX საუკუნის ავსტრიელი კლასიკოსი მწერლის, ფრ. გრილპარცერის შემსწავლელი საზოგადოებაც არსებობს, რომელის აგროვებს ამ მოღვაწის, კარგი დრამატურგისა და პროზაული ნაწარმოებების ავტორის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ყველა საბუთს. ავსტრიელები დიდ ყურადღებას ანიჭებენ გერმანული ენის კარგ ცოდნას, აღსანიშნავია ისიც, რომ სწავლა მუსიკის უნივერსიტეტში და ბიო-ქიმიის ინსტიტუტშიც მხოლოდ სახელმწიფო ენაზე, გერმანულ სალიტ. ენაზე მიმდინარეობს, აკრძალულია ინგლისური ან ფრანგული ენის გამოყენება სასწავლო პროცესში (თუმცა ინგლისური ენა საფუძვლიანად ისწავლება). ეს ხელს უწყობს მშობლიური ენის განვითარებას და ავსტრიელთა პატრიოტულ აღზრდას.

ეგვიპტელი არაბები დაწყებითი სკოლიდანვე დიდ ყურადღებას უთმობენ არაბული სალიტერატურო ენის დამკვიდრებას. ეგვიპტელებისთვის მათი დიალექტი (ზემოთ აღნიშნული ყველა კილოკავის ჩათვლით) ერთადერთ სასაუბრო ენას წარმოადგენს; ოჯაშიც, ბაზარშიც, სტუმრობისას, ლექციების შესვენების დროსაც იყენებენ დიალექტს. დიალექტი კინოსა და თეატრშიც თითქმის ერთადერთი ეგვიპტეში. ამავე დროს, სკოლაშიც და უმაღლესშიც ეგვიპტელი არაბები მხოლოდ სახელმწიფო ენას იყენებენ. მათი სახელმძღვანელოები სალიტერატურო ენის ყველა ნორმას მისდევს. ტელევიზიის ზოგიერთი არხი ძველ, კლასიკურ სალიტერატურო არაბულს იყენებს, თუმცა ძირითადად თანამედროვე სალიტერატურო არაბულის ტყვეობაშია.

დასაფასებელია ავსტრიელებისა და ეგვიპტელი არაბების ზრუნვა თავის სალიტერატურო ენებზე. ამავე დროს მნიშვნელოვანია მათ მიერ დიალექტური ტექსტების, ფოლკლორული მასალის აღნუსხვაც. ჩვენი აზრით, საქართველოში უნდა განხორციელდეს სწავლების გაუმჯობესება, განსაკუთრებით ქართულ ენასა და ჩვენს ლიტერატურაშიც. **დაუშვებელია** პირველი კლასიდან უცხო ენის სწავლება, რაც ხელს არ შეუწყობს ნორმალური ფსიქიკის განვითარებას. ინგლისური ენის შესწავლა უნდა დაიწყოს იმ პერიოდის შემდეგ, როდესაც ბავშვი ჩაწვდება მშობლიური, ქართული ენის ძირითად მასალას. აუცილებელია საშუალო სკოლაში ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების უფრო დიდი მოცულობით სწავლება. ყურადღება უნდა გამახვილდეს სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკის უფრო მომცველ, სრულ დაუფლებას. ყველაფერი ეს ხელს უწყობს ქართველი პატრიოტების აღზრდას.

საინტერესოა, რომ ავსტრიელებსაც და არაბებსაც მშვენივრად ესმით, რომ სალიტერატურო, მშობლიური ენის დაცვა ხელს უწყობს მათ კონსოლიდაციას, სახელმწიფოებრივ განვითარებას. XIX-XX საუკუნეებში ინგლისელი ოკუპანტები ცდილობდნენ ეგვიპტური

დიალექტი ენად გადაექციათ, მაგრამ მოწინავე არაბი მოღვაწეები (ტაჰა ჰუსაინის წინამძღოლობით) ამას წინ აღუდგნენ. არაბთა, მათ შორის ეგვიპტელთა ერთიანობას ხელს უწყობს მათი რელიგიური ერთიანობაც: აღსანიშნავია, რომ დიალექტს ხშირად რელიგიური სექტანტები მიმართავენ თავიანთ ნაწერებში, ხოლო ოფიციალური რელიგიის წარმომადგენლები ყოველთვის კარგ არაბულზე, ფუსჰა - ზე, საუბრობენ, წერენ და რადიოგადაცემებსაც იყენებენ ამ მიზნით. ავსტრიაში ისეთი ადამიანები შემხვედრია, რომლებიც ზეპირად იცნობენ ავსტრიელი მუზილისა, გრილპარცერის და ცვაიგის ნაწარმოებებს, პატივს მიაგებენ დღესაც დიდ ავსტრიელ ფსიქოლოგ-ფსიქიატრს ზიგმუნდ ფროიდს.

ქართველებიც უფრო დიდი მონდომებით უნდა ეცნობოდნენ, სწავლობდნენ შუშანიკის წამებასაც, ი. ჭავჭავაძის, კ. გამსახურდიას და სხვა ბუმბერაზთა თხზულებებს. უპრიანი იქნება ქართული წიგნის ბაზარზეც მოხდეს გარკვეული რეფორმა: ქართული მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს არა აქვს საშუალება ძვირადღირებული წიგნების შეძენისა, ამიტომ უნდა მივბაძოთ უცხოეთს კარგ რამეში: იქ ერთი და იგივე ავტორის ნაწარმოების ორი ვარიანტი გამოიცემა, ერთი - მდიდრული, საუკეთესოდ გაფორმებული და გამოცემული, მაღალი ფასისა; მეორე - იაფფასიანი გამოცემა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი ქართველი მოქალაქისთვის.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Abdel-Massih E. A Comprehensive Study of Egyptian Arabic, Michigan-Ann Arbor, 1979.
2. Margoliouth D. The Origins of Arabic Poetry, London.
3. Rabin Ch. the Beginnings of Classical Arabic: Studia Islamica, 4, 1955.
4. Wehle W. Sprechen Sie Wienerisch, Wien-Heidelberg, 1980.
5. Teuschl W. Wiener Dialekt Lexikon, Salzburg, 2007.

Alexi Jordania

Some Information about Austrian and Egyptian Dialects

S u m m a r y

The article refers to the Austrian and Egyptian dialects. The main characteristics of the Austrian (Viennese) dialect are: shortening of words in literary language, deformation of diphthongs, special 'Austriisms'. Unique case emerged from Cairo dialect, q is not replaced by hamza neither specific 'Egyptisms'.

Austrian society and the government tries to develop their literary language. There is the society which is studying a classic writer - Fr. Grillparzer in Austria. The language of universities across the whole Austria is the state language – German (and not English).

The government and the population of Egypt pay great attention to the literary language. Literary level of the published books are high.

It is very important to pay more attention to teaching Georgian literature at schools as well as at universities. It is not allowed to teach English from the first year at school that is confirmed by both local and international specialists. Better level of teaching Georgian literature and history of Georgia will contribute to the process of strengthening patriotism.

რუსულდან სალიტერატურო

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები – პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

სალიტერატურო ენა საერთოეროვნული ენაა. ის უნდა იყოს დახვეწილი, სრულყოფილი, ნორმირების ზუსტ პრინციპებზე დამყარებული სისტემა. მიუხედავად კონსერვატიულობისა, მას მუდმივი განახლება სჭირდება, რაც შეპირობებულია ენის ცვალებადობის პრინციპით. ხშირად არის ისე, რომ ენა იცვლება, ვითარდება, სალიტერატურო ენა კი ჩამორჩება ამ პროცესს. სწორედ ეს ხდება საზოგადოებისათვის ერთ-ერთი მიზეზი ნორმირებული, სტანდარტული ენის გაუცხოებისა ისეთ მიზეზებთან ერთად, როგორცაა ქვეყანაში ენის სახელმწიფო კანონისა და მაკონტროლებელი ორგანოების არარსებობა, სალიტერატურო ენის კანონების (ნორმების) უცოდინრობა, უცხოენოვანი მოძალეობა და მრავალი სხვა.

ქართული სალიტერატურო ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა. თუ გადავხედავთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, დავრწმუნდებით, როგორ იბრძოდა ქართველი, რომ ენა მამულისა და რწმენისათვის არ დაემორჩინა. იყო პერიოდები, როცა პოლიტიკურად, კუთხე-კუთხე დანაწილებულ ქვეყანას ქართული ენა აერთიანებდა (შდრ. გ. მერჩულე: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების...“); ერთ-ერთი მძიმე ხანა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში იყო მე-19 საუკუნე, როცა აკრძალული იყო საქმისწარმოება ქართულად, დედაენაზე სწავლება და სხვა. „რადგან არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა. თუ რომელსამე მოხელის ხელს ამ შემთხვევაში აზრი რამ ამოქმედებდა, ეგ ის აზრი იყო, რომ სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია იქ, სადაც ყველანი ერთსა და იმავე სახელმწიფო ენაზედ არ ლაპარაკობენ“, – წერდა ილია.

თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, ქართული სალიტერატურო ენისადმი დამოკიდებულება (სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ დონეზე) არაერთგვაროვანია და არ შეესაბამება სახელმწიფოებრივი მოწყობის სტანდარტებს.

სახელმწიფოებრივ დონეზე დიდი ხანია ქვეყანაში არ არსებობს არც სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია და არც რაიმე ოფიციალური მაკონტროლებელი ორგანო. ამ თვალსაზრისით შეიძლება გავიხსენოთ მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის, განსაკუთრებით ევროპულ სახელმწიფოთა (მაგალითად, საფრანგეთის, ინგლისის...) დამოკიდებულება სახელმწიფო ენისადმი.

„ევროპელებს კანონად მიღებული აქვთ, რომ, თუ ენა არ იცის, კაცს ფეხსაც არ შეადგმევენებენ იმ ხალხში, საცა მოხელეობას ჰნდომობს. მთავრობა, რასაკვირველია, მიაქცევს ყურადღებას ამ დიდ ნაკლს და ეცდება იგი ნაკლი თავიდან მოაშოროს მმართველობას და ყოველს მოხელეს მოსთხოვს იმ ხალხის ენის ცოდნას, რომელთ შორის სამსახურს ჰნდომობს“, – წერდა ილია ჭერ კიდევ მე-19 საუკუნის ევროპაში არსებული სანიმუშო წესის შესახებ:

რაც შეეხება თანამედროვე ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას სახელმწიფო ენისადმი, აქაც ჩნდება ბევრი პრობლემა, კერძოდ: ა) როგორია ეროვნული ცნობიერება და საზოგადოებრივი აზროვნება, შეგნება იმისა, რომ ენა ჩვენი ეროვნულობის ნიშანია და მას დაცვა, გაფრთხილება სჭირდება; ბ) როგორ იცის საზოგადოებამ სალიტერატურო ენის კანონები, ნორმები; გ) არის თუ არა სტანდარტული ენის ნორმები მტკიცედ ჩამოყალიბებული, ობიექტურ პრინციპებზე დამყარებული და სხვა.

ამათგან მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, რამდენად მყარია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, როგორია მიმართება ცოცხალ მეტყველებასა და ენა-იდელს შორის.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები დიდი ხნის დადგენილია. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენ გვაქვს ერთი საუკუნის ნორმები, რომლებიც ემყარება წინა საუკუნის 20-30-იან წლებში ქართველ ენათმეცნიერთა თავდადებული შრომისა და ძიების შედეგად შემუშავებულ ნორმირების პრინციპებს. ენის შინაგანვითარების კანონიდან გამომდინარე, დრომ ბევრი რამ შეცვალა ქართულში. ფორმათა ძიებისა და დამკვიდრების პროცესში ენის სისტემის სხვადასხვა რგოლში, დიდი ხანია, გაჩნდა ახალი მოვლენები. სიახლეები აისახა ცოცხალ მეტყველებაშიც.

გარდა იმისა, რომ თანამედროვე ეტაპზე აშკარად გამოიკვეთა წინააღმდეგობა სალიტერატურო ენასა და ცოცხალ მეტყველებას შორის, პრობლემურია ზოგი რამ თვით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებშიც. კერძოდ:

1) ზოგჯერ ნორმირებისას გატარებული არ არის ერთი პრინციპი. ასეა, მაგალითად, თანდებულ- და ზმნიზედადართულ ფორმათა შემთხვევაში: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, ერთი მხრივ, მართებულად არის მიჩნეული ფორმები **ს-ს** გარეშე: **ჩემკენ, ჩემ წინაშე, ჩემ წინ, ჩემ მიერ...**

მეორე მხრივ კი, გამართლებულია სანიანი ფორმები: **ჩემს იქით, ჩემს შემდეგ...** სასაუბრო ენამ კარგად გამოხატა მისწრაფება უნიფიკაციისაკენ, სისტემურობისაკენ, რის შედეგადაც ცოცხალ მეტყველებაში გაჩნდა (გავრცელდა კიდევ) ფორმები: **ჩემსკენ, ჩემს წინაშე, ჩემს წინ, ჩემს მიერ** (თან. ქართ. სალიტ. ენის ნორმები, 1986, 123);

2) ზოგჯერ ნორმებში დაშვებულია პარალელიზმი. მაგალითად, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით თანაბარუფლებიანი, კანონიერი ფორმებია: **ვკითხე || ვჭკითხე, ვგავარ || ვჭგავარ, ვძულვარ || ვსძულვარ, მოვწონვარ || მოვსწონვარ, მივჩერებივარ || მივსჩერებივარ, შევცილებივარ || შევსცილებივარ, მოვთხოვე || მოვსთხოვე, მოვტაცე || მოვსტაცე...** (იქვე, 201). პარალელიზმი, ვარიანტები ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ვიდრე გამოკვეთილი არ არის ნორმა, აუცილებელიც არის, მაგრამ ქართულში უკვე გამარტივებულია ეს ფორმები. წერითსა თუ ზეპირ მეტყველებაში დამკვიდრებულია უსანო **ვკითხე, ვგავარ, მოვთხოვე...** ზმნები. ეს უნდა აისახოს სალიტერატურო ენის ნორმებშიც;

3) ენაში, საერთოდ, ძლიერ მოქმედი პრინციპია ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპი, რაც, ჩვენი აზრით, არ არის სათანადოდ გამოკვეთილი დღეს არსებულ ნორმათა დადგენის პრინციპებში. მაგალითად, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების პრინციპთაგან ერთ-ერთი ეხება მოცილე ანუ პარალელურ ფორმებს. მოცემულია ოთხი წესი (კანონი). მეოთხე (**დ**) წესის მიხედვით, თანაბარ პირობებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელ ფორმას. მიგვაჩნია, რომ აქ შეიძლება დაემატოს ახალი პუნქტი (**ე**), რომელიც ჩამოყალიბდება ასე: **„...გამართლებულია ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპით“** (რ. სალინაძე, 2007, 82).

ამ პრინციპის უგულვებელყოფაც ქმნის ზოგჯერ პრობლემას. ამის ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი მაგალითია **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმანთა I თურმეობითში **-ია** დაბოლოების გაჩენა: **დამინატავს – დამინატია, დამიბამს – დამიბია...** უნიფიკაციის პრინციპით ცოცხალ მეტყველებაში უკვე მომხდარია ფორმათა გაერთმინებელიანება, საბოლოო ჯამში კი – ფორმათა სემანტიკური დიფერენციაცია. რამდენიმე ზმნა (ვგულისხმობთ **კლავს – აკლებს** ტიპის ზმნებს – შ. აფრიდონიძე) ვერ არღვევს სისტემას. მათთანაც სწორედ ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპის მოშველიებით შეიძლება დავუშვათ გამონაკლისი: I თურმეობითში **კლავს – აკლებს** ტიპის ზმნებს შეუნარჩუნდეს **-ავ, -ამ** დაბოლოებები.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში არსებული წინააღმდეგობრივი ვითარება მაჩვენებელია იმისა, რომ ზოგჯერ ნორმა ჩამორჩება ენის განვითარებას. ცოცხალი მეტყველების ფაქტები, ახალი ენობრივი მოვლენები უთუოდ უნდა აისახოს სალიტერატურო ენის ნორმებშიც.

პრობლემათა მოგვარების მრავალი გზა არსებობს, მაგრამ მათ შორის მთავარია ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა

დამდგენი სახელმწიფო კომისიის შექმნა და ახალი ნორმების შემუშავება. ენის კანონთა დადგენისას უნდა გამოირიცხოს სუბიექტურობა, ცალმხრივი მიდგომა ენობრივი საკითხებისადმი. აუცილებელია ენობრივი სიახლეების დანახვა არა მხოლოდ დედაქალაქიდან, არამედ სრულიად საქართველოს მასშტაბით, რეგიონებიდანაც. ამგვარი კვლევის აუცილებლობას გრძნობდა აკაკი შანიძე, რომელიც წერდა 1967 წელს: „ამ ჩვიდმეტიოდე წლის წინათ ორ ქართული ენის სპეციალისტს, რომელთაც ევალეზობდათ ზრუნვა ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისათვის, მეგობრულად ვსთხოვდი: მოდი, ერთი კარგი საქმე ვქნათ: გავარიდოთ თავი თბილისს და სადმე მყუდრო ადგილას წავიდეთ საგანგებო მიზნით – ენის ნორმების დასამუშავებლად. სამი კაცი სამიოდე თვის განმავლობაში ძირითად სადავო საკითხებს კარგად დავამუშავებთ-მეთქი. ეს დაიბეჭდება პროექტის სახით, რომელიც შემდეგ საჯარო განხილვის საგანი გახდება და სათანადო შესწორებათა შემდგომ დამტკიცდება კიდევ ზემდგომი ორგანოს მიერ. ამით ფართო მასებს მიეცემა სახელმძღვანელო წიგნი-მეთქი. გაეხარდება ხალხს, ხელისუფლებას, ქართველ მწერლებს და ქართული ენის მეგობრებს-მეთქი. რატომღაც ეს ვერ მოხერხდა...“

თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა იმ დღიდან, რაც დიდმა ქართველმა მეცნიერმა თავისი გულისწყვეტა გაანდო მკითხველს. ეს სიტყვები დღეს ანდერძივით ჟღერს და მემკვიდრეებს მის ასრულებას ავალდებულებს.

მაშასადამე, სახელმწიფო ენის კანონის მიღება, სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის შექმნა, კომისიის საქმიანობაში სათანადო გამოცდილების მქონე სპეციალისტთა ჩართვა, საქართველოს კუთხეებში არსებული საერთოენობრივი სიტუაციის გათვალისწინებით ენობრივი სიახლეების, ცვლილებების აღნუსხვა შესაძლებელს გახდის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით არსებული პრობლემების მოგვარებას, რაც, თავის მხრივ, განამტკიცებს საზოგადოების დამოკიდებულებას სახელმწიფო ენისადმი.

დამოწმებული ლიტერატურა:

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I კრებ., თბ., 1986.

რ. სალინაძე, 2007 – რ. სალინაძე, ნორმირების ერთი პრინციპისათვის: კრებ. ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბ., 2007.

აკ შანიძე, 1979 - აკ შანიძე, სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხები, თბ., 1979.

Rusudan Saghinadze

**Standards of Contemporary Georgian Literary Language -
Problems and Ways of their Solution**

S u m m a r y

Standards of contemporary Georgian literary language have already been fixed. But something has changed in Georgian Language. Many phenomena have appeared in the process of form researching and strengthening.

The opposition is very clear between colloquial and literary language. In addition to this, there are some problems even in Georgian literary language. In particular: a) sometimes the same principle is not applied while setting standards. For example, on the one hand, the following forms are considered to be false without 's': **'chemken', 'chem tsinashe', 'chem tsin', 'chem mier'...** On the other hand, the forms with 's' is believed to be true: **'chems iqet', 'chems shemdeg'...** b) Sometimes the norms implies the parallelism: **'vkitkhe||vhkitkhe', 'vdzulvar||vsdzulvar', 'movtkhove||movstkhove', 'movtatse||movstatse'...** There are verbs without 's' in written and colloquial speech: **'vkitkhe', 'vdgavar', 'movtkhove'.**; In general the principle of forms semantic difference is very strong, that is not very highlighted in the principles of making standards.

There are many ways to solve the problems but it should be better to create the state committee that establishes the new standards of Georgian literary language.

მანანა ტაბიძე

სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვა: ევროპული გამოცდილება და საქართველო

ლინგვისტიკების გარდა სახელმწიფო ენის დეფინიცია და ფუნქციონირების საკითხები ყველაზე მეტად პოლიტოლოგებსა და იურისტებს აინტერესებს. ამ ფაქტს ის ახსნა აქვს, რომ ამ სინტაგმის („სახელმწიფო ენა“) ერთი კომპონენტი პოლიტიკურ-სამართლებრივ სფეროს განეკუთვნება. შესაბამისად, ტერმინი „სახელმწიფო ენა“ რამდენიმე დისციპლინის ინტერესის საგანს წარმოადგენს და ვერც ერთი ამ დარგიდან ოდენ საკუთარი განმარტებით ვერ შემოიფარგლება. ამიტომაც არის, რომ, ჩვეულებრივ, სახელმწიფო ენის განმარტების ნაცვლად მის ფუნქციებს ჩამოთვლიან ხოლმე და ამით შემოსაზღვრავენ ცნებას, კერძოდ, მიუთითებენ, რომ სახელმწიფო ენა:

- მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში ასრულებს ინტეგრაციულ ფუნქციას პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში;
- გამოდის მოცემული სახელმწიფოს სიმბოლოს როლში.
- არის სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ტექსტების, კანონების, განკარგულებების, სწავლების, მასობრივი ინფორმაციის და სხვათა ენა.
- სახელმწიფო ენაზე მიმდინარეობსადმინისტრაციულ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მოქალაქეთა მთლიანი მეტასოციუმისა, რომელსაც აერთიანებს სახელმწიფო და რის შედეგადაც ენა ხდება ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება სახელმწიფო ინტეგრაციისათვის.
- სახელმწიფო ენის კონცეფციის ფორმირება დამოკიდებულია ეროვნულ-ენობრივი პოლიტიკის პრინციპებზე, ხოლო სახელმწიფო ენის (ან რამდენიმე სახელმწიფო ენის) კანონის მიღება არის ამგვარი პოლიტიკის ნაწილი.

ფუნქციათა მოცულობა, რომელთაც სახელმწიფო ენა ასრულებს და მისი გამოყენების სფეროები სხვადასხვა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ამ განსხვავებას განაპირობებს ტრადიციული სოციალურ-კომუნიკაციური სისტემა (რომელიც მოცემულ სოციუმშია ჩამოყალიბებული) და ენობრივი პოლიტიკის ამოცანები.

- სახელმწიფო ენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია მრავალრიცხოვან სახელმწიფოში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენად ყოფნაა.

დასახელებულ ფუნქციათა გაფართოებაც შეიძლება და დაეწირობაც. ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებულად საინტერესო სწორედ სახელმწიფო ენის შეფასებისა და განსაზღვრის არაერთგვაროვნებაა. ყველა სახელმწიფო თავისი ისტორიული გამოცდილების, ტერიტორიული მოწყობის, თანამედროვე ორიენტაციის ან სამომავლო გეგმების შესაბამისად განიხილავს სახელმწიფო ენის საკითხს. მაგალითად, რუსეთს ერთადერთი სახელმწიფო ენა აქვს, თუმცა მის მიერ სხვადასხვა დროს კოლონიზებული ხალხებისა და ქვეყნების ენები ოფიციალური სტატუსის მტარებლად აქვს გამოცხადებული, რაც რუსეთისათვის ამ შემოერთებულ ხალხებთან საურთიერთო ფორმატში თავსდება. ამგვარი ენების რიცხვი რუსეთში 26-ია.

მაშასადამე, ორი ძირითადი საკითხი იჩენს თავს სახელმწიფო ენასთან დაკავშირებით:

1. რა არის სახელმწიფო ენის არჩევის, საკონსტიტუციო დეკლარირების პირობა

და

2. რა ხარისხში შეუძლია ამ არჩეულ ენას თავისი ფუნქციების შესრულება, აქ თავს იჩენს ორი მომენტი: ა) სახელმწიფო ენის სრულფასოვან ფუნქციონირებას შეიძლება ხელი შეუშალოს თავად ენის მოუშზადებლობამ ამ ფუნქციის შესრულებისათვის, და ბ) ხელის შემშლელი შეიძლება იყოს ექსტრალინგვისტური ფაქტორები.

თანამედროვე მსოფლიოში 193 სახელმწიფოა, აქედან ნახევარს ერთადერთი სახელმწიფო ენა აქვს, მეორე ნახევარს კი არ უხერხდება მხოლოდ ერთი სახელმწიფო ენის დაკანონება. თუმცა ეს ნაწილიც ცდილობს ორიენტირებული იყოს ერთ სახელმწიფო ენაზე, სხვებს კი ესა თუ ის სტატუსი შეურჩიოს (თუკი სხვა გამოსავალი არ არის). ასეთ დროს მთავარ არგუმენტად ასახელებენ საზოგადოების კონსოლიდაციის აუცილებლობას; ერთი სახელმწიფო ენისა და ორი ან მეტი სხვა სტატუსის მქონე ენათა ფუნქციონირება ხელს შეუშლის ადამიანთა დაახლოებას, რასაც საერთო ენაზე ლაპარაკი ესაჭიროება; ხოლო სხვადასხვა სტატუსით ენების შემოსაზღვრა ამ კონსოლიდაციის გზაზე დაბრკოლებად შეიძლება იქცეს.

ამერიკელი სოციოლინგვისტი ჰ.კლოსი (აშშ) გამოყოფს ენის მიმართ სახელმწიფო დამოკიდებულების ექვს საფეხურს:

- 1) ერთადერთი ოფიციალური ენა (მაგ., ფრანგული საფრანგეთში);
- 2) ერთობლივი ოფიციალური ენა (მაგ., ინგლისური და ფრანგული კამერუნში);
- 3) რეგიონული ოფიციალური ენა შტატის ან რეგიონისა ფედერალურ სახელმწიფოში;
- 4). წახალისებადი ენა, რომელსაც არა აქვს ოფიციალური სტატუსი, მაგრამ რომელსაც სახელმწიფო დაწესებულებები იყენებენ (მაგ., პიჯინი კამერუნში);

- 5) მოთმენილი ენა (მაგ., იმიგრანტების ენა);
 6) შეკავებული ენა (ენა, რომლის განვითარება არაა წახალისებული და მხარდაჭერილი).

სპეციალისტებს ენის სტატუსის განსაზღვრისას ევალუბათ (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენის სტატუსის განსაზღვრა არ არის მხოლოდ ლინგვისტების საქმე), რაც შეიძლება შორს განჭვრიტონ უკვე არსებული ენობრივი ვითარების შეცვლის პერსპექტივები. რადგან საზოგადოების კონსოლიდაციისათვის ნამდვილად ხელისშემშლელია სტატუსობრივი რყევები; იქმნება ენობრივი ანარქიის განვითარების საფრთხე.

როგორც განმარტავენ: „ენობრივი ანარქია ენობრივი საზოგადოების მდგომარეობაა პოლიეთნიკურსა და მრავალენოვან საზოგადოებაში, როდესაც პრაქტიკულად აღარ ხდება ენობრივი ურთიერთობების ცენტრალიზებული რეგულირება ამ სახელმწიფოს ფარგლებში. იგი წარმოიშობა საზოგადოებასა და სახელმწიფოში ინტეგრაციული ტენდენციების დასუსტების პირობებში, ახლავს მაჟორიტარული ენის პრესტიჟის დაქვეითება და ენობრივი ნორმის წაშლა, ეთნიკური და ენობრივი კონფლიქტების გამწვავება ენის მტარებელთა შორის, რომელთაც სხვადასხვა სოციალური სტატუსი აქვთ, და რასაც მოსდევს საზოგადოების ენობრივი დეზინტეგრაცია“.¹

მაშასადამე, სახელმწიფო ენის ფუნქციონირება საჭიროა არა მარტო თავად სატიტულო ეთნოსის, არამედ მთელი სამოქალაქო კონტინენტისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ენობრივი ანარქია, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოების დეზინტეგრაცია მოსდევს, რის ფონზეც, ფაქტობრივ, გარდაუვალია კონფლიქტური სიტუაციების განვითარება.

დღეს მსოფლიოში თითქმის აღარ არსებობს ისეთი სახელმწიფოები, სადაც არაავტოქთონი ეთნოსები არ ცხოვრობენ; არსებობს უზარმაზარი პრაქტიკა იმისა, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს სახელმწიფოთა შიგნით ეროვნებათაშორისი ურთიერთობები. უნდა ითქვას, რომ ჩვენი სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურებისა, და განსაკუთრებით განათლების სამინისტროს გამოცემებში ცუდადაა შერჩეული უცხოეთის ქვეყნების მაგალითები საქართველოს ენობრივ სიტუაციასთან ანალოგიისათვის; კერძოდ, არც შვეიცარია, არც ბასკეთი (ესპანეთის წიაღში), არც კვებეკი კანადაში ან ყირგიზეთი და ტაჯიკეთი არ გამოდგება საქართველოს ეთნო-ენობრივი სიტუაციის ანალოგად. ყველა ეს შემთხვევა თავის ისტორიულ თუ გეოპოლიტიკურ კონტექსტებში უნდა

¹Словарьсоциолнгвистических терминов, Российская академия наук
 Институт языкознания, Российская академиялингвистических наук, Москва
 – 2006

განიხილებოდეს და მათი სახელმწიფო მოწყობაც ამგვარად უნდა იქნეს გაგებული. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სადღაც რომელიღაც პროექტმა კარგად იმუშავა, არ არის საკმარისი ამ პროექტის საქართველოში შემოსატანად და დასანერგავად.²

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეთნიკური განსხვავების ნიადაგზე შესაძლო დაძაბულობის რისკის შესამცირებლად ერთ-ერთი ქმედითი ბერკეტი განათლების სისტემასაც უპყრია, სისტემას, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა აწევს და რომელსაც განსაკუთრებული პროფესიონალიზმი მოეთხოვება.

პოსტსაბჭოთა სივრცეში, დამოუკიდებელ რესპუბლიკებსა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მყოფ „დამოუკიდებელ რესპუბლიკებს“ მემკვიდრეობად ერგო მრავალენოვანი საზოგადოებების სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. საბჭოთა კავშირი, რომელიც რუსეთის კომუნისტური იმპერიის ფარგლებში ერთიან პოლიტიკურ, სამხედრო-სასაზღვრო, ეკონომიკურ და კულტურულ კურსს ატარებდა, რუსული ენის გამაშუალებელი (ბევრგან კი პრიორიტეტული) როლის მეშვეობითა და კომუნისტური იდეოლოგიით მჭიდროდ ადუღაბებდა რუსული ენის მომხმარებელ ხალხებს, რომლებიც თავად რესპუბლიკებს შიგნითაც ავტოქტონ, სატიტულო ეთნოსებთან ურთიერთობაში რუსულს იყენებდნენ; შესაბამისად, ეს მოსახლეობა სამოქალაქო სივრცეში რუსული ენით ინტეგრირდებოდა, ხოლო კერძო ურთიერთობებში თავის დედაენას მოიხმარდა. ამის შედეგია ის, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში, როდესაც რუსულმა ენამ სტატუსი შეიცვალა, ზოგან კი უცხო ენის სტატუსამდე „დაიწია“, არასატიტულო ეროვნებათა ენების ამარა დარჩენილი მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციას ის სახელმწიფო ენები „გადაეღობა“, რომელთა შესწავლაზეც (ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო) რესპუბლიკის მოქალაქეებს, მაგრამ არა სახელმწიფო ენის წარმომადგენლებს, არასოდეს შეუწუხებიათ თავი. ამ მიზეზით შეიქმნა ამგვარ რესპუბლიკებში „ენობრივი დილემა“, რომლის დაძლევაც მხოლოდ გონივრული დაგეგმვით შეიძლება.

ამ საკითხებით, ბუნებრივია, დაინტერესდნენ ერთი მხრივ, საგანმანათლებლო სტრუქტურები, და უპირველეს ყოვლისა, განათლების სამინისტროს სპეციალური ინსტიტუტები, და მეორე მხრივ, პოლიტიკური და სოციალური სამსახურები, რომელთათვისაც სამოქალაქო ინტეგრაციისა და ადამიანების უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ეს ორი მიმართულება ერთსა და იმავე მიზანს ისახავს, მაგრამ ზოგჯერ, ამ მიზნის მიღწევის გზად სრულიად სხვადასხვა პროგრამის

² იხ., ენობრივი პოლიტიკა და განათლება მრავალენოვან საზოგადოებაში, თბილისი, საქართველო 2, 2006,

განხორციელებას ვარაუდობს; სამოქმედო სტრატეგიის მცდარმა არჩევანმა კი, შესაძლოა, სიკეთის ნაცვლად უარყოფითი შედეგი მოიტანოს.

მივყვეთ ამ საკითხს თანამიმდევრულად:

1. მსოფლიოს ყველა დაწინაურებულ ქვეყანაში სახელმწიფო ენის ცოდნა თვით დროებითი მიგრანტისთვისაც კი დამხვდურ გარემოში ინტეგრაციის ერთადერთი გზაა. ნებისმიერი სამუშაო ადგილი, რომელიც მეტ-ნაკლებად კომუნიკაციასაც გულისხმობს, მხოლოდ სახელმწიფო ენის მცოდნემ შეიძლება დაიკავოს, ეს ვალდებულებაა და ნებაყოფლობითი არჩევანიც. ასეთ შემთხვევაში მოსული მოსახლეობის (ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს მოსვლის დროს, რადგან რაც უფრო დიდი ხნის „მოსულია“ მოქალაქე, მით უფრო ძნელდება იმ მიზეზების გამართლება, რომელთა გამოც არ ისწავლა მან „მიმღები“ ქვეყნის ენა (სახელმწიფო ენა): მიმღები საზოგადოება მტკივნეულად რეაგირებს საკუთარი სახელმწიფოსა და მისი ენის უპატივცემულობაზე; და რაც უფრო ხანგრძლივია მიგრანტის მოსულობის სტაჟი, მით უფრო გაუგებარია, რატომ არ გადადგა დაახლოებისაკენ ნაბიჯი მოსულმა? განა მისი მიზანი რაღაც სხვა იყო და არა ინტეგრაცია? ამგვარი ლოგიკის ფონზე მიგრანტთა ენისათვის რაიმე სტატუსის მინიჭება, მისი ერთენოვნებისაკენ საგანგებოდ წახალისება თუ ნომინალური ბილინგვიზმის სტიმულირება მას „მიმღებ“ სოციუმთან კი არ დაახლოებს, არამედ დააშორებს. ამიტომაცაა, რომ არავის მოსდის აზრად, საფრანგეთში არაბული ენისათვის სტატუსის მიცემა, ან გერმანიაში თურქული ენის სახელმწიფო ან რეგიონულ ენამდე ამალღება და ა.შ.

2. სახელმწიფო ენის შესწავლის უზრუნველყოფა სახელმწიფო სკოლებში უნდა მოხდეს. საზოგადოების ყველა წევრს უნდა ჰქონდეს სამოქალაქო უფლებებიც და სამოქალაქო ვალდებულებებიც. ის ადამიანები, რომლებიც თავის ბედს კონკრეტულ სახელმწიფოებს უკავშირებენ, ცხადია, უნდა გულშემატკივრობდნენ ამ სახელმწიფოს მთლიანობას, უსაფრთხოებას (მათ სამხედრო ვალდებულებებიც აქვთ), მშვიდობას, კულტურულ და ეკონომიკურ წინსვლას. ამ გზაზე, ერთი შეხედვით, სრულიად გაუგებარი ჩანს, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სურვილი ჩაკეტილ, ენობრივად და ეთნიკურად უცხო ერთობად დარჩეს იმ ქვეყანაში, რომლის წევრიც არის და რომლის მკვიდრადაც სურს თავს აღიქვამდეს. რა არის ის მიზეზი თუ მიზანი, რომელიც ამ საზოგადოებას ინტეგრაციის ამ უპირველეს და აუცილებელ პირობაზე უარს ათქმევინებს? რატომ არ მოხდა მაგ., საქართველოში სახელმწიფო ენით იმ სივრცეების დაფარვა, სადაც ადრე რუსული მუშაობდა მაინტეგრირებელ ენად (როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნისტური რეჟიმის გავლენით)? 1990 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ამ დამოუკიდებლობას საქართველოს მაშინდელი ტერიტორიების

მთელმა მოსახლეობამ რეფერენდუმით დაუჭირა მხარი; ამ მომენტიდან დღეს 22 წელიწადია გასული. ამ პერიოდში ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ქართული ენის, სახელმწიფო ენის, ათვისება ვერ მოახერხა არა მარტო „ძველმა“ თაობამ, არამედ ამ წლებში დაბადებულმა და წამოზრდილმა თაობებმაც. ჯერჯერობით არ უშველა ამ საქმეს არც უამრავმა გრანტმა და „თავთავებისა“ და „ჯეჯილების“ გამოცემამ და არც პედაგოგთა გადამზადება-გადმომზადების ძვირადღირებულმა პროგრამებმა. იქნებ საკითხის გადაჭრას წაშველებოდა არაქართველების კომპაქტურად დასახლების რეგიონებში კარგად აღჭურვილი და მომზადებული ქართული სკოლების გახსნა (ჯერჯერობით, სომხური ან აზერბაიჯანული სკოლის გვერდით), სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ენა, როგორც საგანი სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე იქნებოდა წარმოდგენილი? მშობელს უნდა ჰქონდეს საშუალება აირჩიოს სკოლა თავისი შვილისათვის, იქნებ მას სურს შვილი ქართულ სკოლაში შეიყვანოს და სრულფასოვან მოქალაქედ მოამზადოს (მით უფრო, თუ მისი დედაენა ქართულ სკოლაში მსურველთა მიხედვით დაკომპლექტებულ კლასებში სრულყოფილად ისწავლება, როგორც ეს მოწინავე ევროპული ქვეყნების გამოცდილებითაც არის შემოწმებული)? რატომ ვერ ისწავლის ქართულ სკოლაში სომეხი ან აზერბაიჯანელი ბავშვი, თუკი ქართველი ან სომეხი ბავშვი წარმატებით ისწავლობდა რუსულ სკოლაში არცთუ შორეულ წარსულში, ან თუკი დღესაც, ბავშვი ემიგრაციაში წასული ოჯახიდან ახერხებს ნებისმიერი უცხოური ქვეყნის სკოლაში სწავლას და მას არავინ უხსნის სკოლას დედაენაზე? ხომ არ არის სახელმწიფო ენის შესწავლის საკითხი ხელოვნურად გართულებული, რათა საჭირო შეიქნას მრავალრიცხოვანი სტრუქტურების, შპს-ების, არასამთავროებისა და სხვა ორგანიზაციების შექმნა, თანხების გადასროლა-გადმოსროლა და ისედაც დაძაბული საზოგადოებრივი ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვა მოსახლეობისათვის იმის ჩაგონებით, რომ მას ინტეგრაციის არამოსურნე ეთნიკური ჯგუფების მხრიდან კიდევ ერთი (ან ერთზე მეტი) ეთნიკური, თუ ენობრივი კონფლიქტი ემუქრება.

3. ამ ბოლო დროს გააქტიურებულია აზრი (და ამ აზრის მომფიქრებელი ჯგუფი), რომ საზოგადოებრივი მშვიდობიანობა ყველა ენობრივი კოლექტივისათვის გარკვეული სტატუსის მინიჭებითა და ამ სტატუსის საფუძველზე დედაენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფით მიიღწევა; წარმოვიდგინოთ ამგვარი განათლების პრაქტიკულად განხორციელების სრული სურათი: საქართველოში სომხურ საშუალო სკოლაში სომხურ ენაზე სომხეთის ისტორიასა და კულტურაზე აღზრდილი ადამიანი როგორი ტიპის მოქალაქედ იზრდება? ოდენ სომხური განათლება (თუნდაც აქამდე აუთვისებელი სალაპარაკო ქართულის შესწავლა მოხერხდეს),

ცხადია, განათლების გამოყენების შესაძლებლობას მოითხოვს. რას ვთავაზობთ ამ მოსახლეობას — ერთ კუთხეში ჩაიკეტოს და პატარა სომხეთი ააშენოს, თუ დანარჩენი საქართველო მოვარგოთ ამ სომხურ დასახლებას? ვინ გეგმავს და მართავს ამ ადამიანთა ცოდნის, კომპეტენციის, კულტურის, ფსიქოლოგიის, მეთოდოლოგიის, სასწავლო-შემოქმედებითი აქტიურობის, საქმიანობის სფეროებს? თბილისში სპეციალური სომხურენოვანი მართვის ოფისები გაიხსნება, თუ პირდაპირ სომხეთის პრეზიდენტის აპარატი ჩაებმება ამ საქმეში? ეს სრულიად არარეალური, აბსურდული პროექტი, რომელიც რუსეთის მიერ დატოვებული რეჟიმით ისედაც შეუჩერებლად მუშაობს, ახლა, სტატუსობრივი გაფორმების შემთხვევაში, სრულიად გამოვა საქართველოს გავლენის სფეროდან? მოიტანს კი რაიმე სამოქალაქო სიკეთეს ერთი ქვეყნის მოქალაქეთა ამგვარი გათიშვა? განა სხვა წინაპირობები ჰქონდა აფხაზეთისა თუ სამაჩაბლოს სამხედრო კონფლიქტებს?

4. საგანმანათლებლო სისტემა თავის ჰუმანურ და ინტერნაციონალურ განწყობას იმით გამოხატავს, რომ დეკლარირების დონეზე ერთი მხრივ პროექტებს ამუშავებს არაქართველების კომპაქტურად დასახლების რეგიონებში ამ ხალხის მშობლიური ენის სტატუსობრივად გასაძლიერებლად, და მეორე მხრივ კი არაქართველების კომპაქტური დასახლების ადგილებზე არაქართულ სკოლებს აფინანსებს და ქართულს „მეორე“ ენად ასწავლის, ე.წ. ბილინგვური და მულტილინგვური სწავლების თაობაზე ძვირადღირებულ „კვლევებს“ აწარმოებს და „ექსპერიმენტებს“ ატარებს. ევროპის ერთ-ერთი განსაკუთრებულად ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყნისათვის ჯერაც ევროპელებისათვის საკამათო პროექტების ექსპერიმენტული შესწავლა ადამიანისათვის ცხოველთა ორგანოების ან სხეულის ნაწილების გადაწერვის „საპილოტე ცდებს“ წააგავს.

რამდენადაც ლინგვისტიკას აინტერესებს ენის სწავლების საკითხები, პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე შეკითხვას, რომელიც ენის შესწავლის პრობლემატიკასთან დაკავშირებით დაისმის პედაგოგიაში, ფსიქოლოგიაში და ლინგვისტიკაში: ა) რამდენი ენის სწავლება შეიძლება ერთდროულად სკოლაში (მაგ., ჯავახეთის სომხურ სკოლებში ოფიციალურად ისწავლება სომხური, რუსული, ინგლისური, ქართული; ამ ენების შეტანა სასწავლო პროგრამებში მიმდინარეობს დაწყებითი კლასებიდან მეხუთე კლასამდე. თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლა კვირაში ხუთი დღე მუშაობს, ხოლო გაკვეთილების ხანგრძლივობა და დღიური რაოდენობა მკაფიოდაა განსაზღვრული, გამოდის, რომ კვირაში ოთხი ენა სხვა შესასწავლ დისციპლინებთან ერთად ისეთ დატვირთვას წარმოადგენს, რომ მოსწავლეთა 90%-ს პრაქტიკულად მისი დაძლევა არ შეუძლია, ხოლო გლობალიზაციის ეპოქაში საერთაშორისო ენების სწავლების გარეშე

მოსწავლეთა დატოვება დისკრიმინაციის ტოლფასია; ბ) პედაგოგიკაში ძალიან ძველი, და დღესაც გადაუჭრელი პრობლემაა უცხო ენათა შესწავლის ასაკობრივი დონეების შერჩევის საკითხიც (რა ასაკიდან შეიძლება ასწავლო მეორე ენა, მესამე ენა და სხვ.); გ) ლინგვისტიკას აქვს თავისი დამოკიდებულება სტრუქტურითა და ბუნებით განსხვავებულ ენათა შესწავლის სირთულეებთან დაკავშირებით (შეპირისპირებული სწავლება, ე.წ. მუხჯური მეთოდი, ენები რანჟირების მიხედვით (პირველი ენა, მეორე ენა, მესამე ენა თუ „უცხო ენა“), ენის გაკვეთილები გაკვეთილების რიგში (I-II გაკვეთილი, ბოლო გაკვეთილი და სხვ.);

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ უცხოელი ექსპერტები საქართველოს ენობრივი სიტუაციის აღწერისას ძირითადად სწორად ხედავენ პრობლემებს და ამ პრობლემათა გამომწვევ მიზეზებს; კერძოდ, ისინი აღიარებენ, რომ საქართველოში არაქართულენოვანი მოსახლეობის არსებობა განაპირობა არა ქართველთა მხრიდან დისკრიმინაციულმა პოლიტიკამ, არამედ კომუნისტური რეჟიმის რუსიფიკაციულმა პოლიტიკამ, რომლის შედეგადაც რუსული ჩადგა საქართველოს სახელმწიფოს ქართველ და არაქართველ მოსახლეობას შორის, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსული ენის სახელმწიფოს სისტემიდან გასვლის შემდეგ ეს მოსახლეობები, ფაქტობრივ, შუამავალი საკომუნიკაციო ენის გარეშე დარჩნენ. შვეიცარიის საერთაშორისო ორგანიზაციის

“*CIMERA*“-ს მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 13 %-ისათვის ქართული, საქართველოს სახელმწიფო ენა, არ არის პირველი ენა. ორი უმთავრესი ეთნოლინგვისტური ჯგუფია სომხები, რომლებიც უმეტესად სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობენ (დაახლოებით 6%), და აზერბაიჯანელები — ქვემო ქართლში (6,5%).“ კ.ბრახმანი მიუთითებს იმ ნაკლოვანებებზე, რაც ამჟამად საქართველოში არაქართველების კომპაქტურად დასახლების რეგიონებში ოდენ სომხური, აზერბაიჯანული და რუსული სკოლების მოქმედებას უკავშირდება, კერძოდ, რომ ამგვარი საგანმანათლებლო პოლიტიკა აძლიერებს ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით არსებულ დაყოფას, რაც ამკარად არ უწყობს ხელს მოქალაქეობის საერთო განცდისა და ერთიანი კუთვნილების გრძობის ჩამოყალიბებას ქვეყანაში, სადაც შეინიშნება ხანგრძლივი დაძაბულობა და ტერიტორიული უთანხმოებები ქართველ უმრავლესობასა და დედაქალაქის ფარგლებს გარეთ კომპაქტურად მცხოვრებ უმცირესობათა ეთნოლინგვისტურ ჯგუფებს შორის. მეორე - უმცირესობათა ჯგუფების ბავშვები სკოლას ისეთი ენობრივი უნარ-ჩვევებით ამთავრებენ, რომლებიც განსხვავდება იმ ბავშვების უნარ-ჩვევებისაგან, რომელთათვისაც ქართული - მშობლიური ენაა, რაც, სამწუხაროდ, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათ მიერ უმაღლესი განათლების მიღების, მათი სამომავლო დასაქმების, პოლიტიკურ

ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობებზე, აგრეთვე ქართულ საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენა საგნის სახით დაწყებითი სკოლის პირველი კლასიდან ისწავლება, იმ ახალგაზრდების უმეტესობას, რომლებიც სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ სკოლებს თბილისის ფარგლებს გარეთ ამთავრებენ, სავალდებულო სასკოლო სწავლების დასრულების შემდეგ ქართულად უბრალო საუბრის წარმართვაც კი არ შეუძლია, რომ აღარაფერი ვთქვათ წერის უნარზე, რაც მას სახელმწიფო ენის გამოყენებით მუშაობის საშუალებას მისცემდა.“ (კ. ბრახმანი, 13).

არაქართულენოვანი მოსახლეობის კომპაქტური განსახლების რეგიონებში ენობრივი სიტუაცია ზოგადად ასე შეიძლება დანახათ: სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ სომხურად (სამცხე-ჯავახეთის სომხურ სოფლებში) და აზერბაიჯანულად (ქვემო ქართლში), საქმის წარმოება მხოლოდ სომხურად და აზერბაიჯანულად (ზოგჯერ რუსულად), წარწერები, კულტურის სფერო, საზოგადოებრივი საქმიანობა — მხოლოდ სომხურად და აზერბაიჯანულად, ადგილობრივი საკომუნიკაციო არხები — მხოლოდ სომხურად და აზერბაიჯანულად. ცხადია, კულტმსახურებაც ამ მოსახლეობის ნაციონალურ ენებზეა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არაქართველთა ნაციონალური განვითარების საკითხი ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც მათ ისტორიულ სამშობლოებში (სხვა ამბავია, ითხოვს კი ამას რომელიმე საერთაშორისო დოკუმენტი რომელიმე ქვეყნისაგან? რაც შეეხება ამ ადამიანთა სამოქალაქო უფლებებს, ამ უფლებათა დაცვა მოითხოვს ქართულ სახელმწიფოში მათი ინტეგრირების უზრუნველყოფას, ეს კი ამ რეგიონებში ქართული სკოლების გახსნით შეიძლება მოხერხდეს. ქართული სკოლა შეიძლება იყოს დაწყებითი ნაციონალური სკოლის მომდევნო ეტაპი, ან დროებით, ალტერნატიული სასწავლებელი ნაციონალური სკოლის პარალელურად. შერეული სწავლება მხოლოდ დამატებითი და საცდელი ღონისძიება შეიძლება იყოს და არა ყოვლისმომცველი ღონისძიება. კ.ბრახმანისავე სტატიაში ნათქვამია: „მაგრამ არ იქნებოდა შორსმჭვრეტელოური, გვევარაუდა, რომ სახელმწიფო ენის კარგად ცოდნის ნაკლებობა მხოლოდ მეთოდოლოგიური და ტექნიკური ფაქტორების შედეგია. არსებულ პოლიტიკურ კონტექსტში, როდესაც ხდება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და უმცირესობათა ეთნოლინგვისტურ ჯგუფებს შორის ურთიერთობათა გადასინჯვა და ხელახლა განსაზღვრა, ენობრივი პოლიტიკა და განათლება ფართო დისკუსიების საგნად იქცა და ეროვნულ უმცირესობათა „ისტორიული“ ადგილის, პოლიტიკური ინტეგრაციის ან ავტონომიისა და კულტურული ასიმილაციის შესახებ მწვავე პოლიტიკური დებატების ცენტრში

მოექცა. მმართველობაში ბოლო დროს განხორციელებულმა რეფორმებმა, რომლებიც საჯარო მოხელეებისაგან ქართულ ენაზე კარგად წერისა და საუბრის ცოდნას მოითხოვს, აგრეთვე 2005 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართულად, უმცირესობათა სკოლების მოსწავლეებისათვის სპეციალური ზომების გაუთვალისწინებლად ჩატარების შემოღებამ კიდევ უფრო გაამწვავა დაძაბულობა. მართალია, ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს, ზრდასრულ მოქალაქეებსაც და ბავშვებსაც შესთავაზოს ქართული ენის შესწავლის უფრო ქმედითი შესაძლებლობები, მაგრამ ეს ინიციატივები ზოგადად არ არის საკმარისი, გარდა ამისა, ისინი სულ ახლახან დაიწყო და, შესაბამისად, ვერ მოიტანდა საგრძნობ შედეგებს.“

საქართველოში ხშირად ისმის შევიცარიის ენობრივი მოწყობის მაგალითიც. ეს მაგალითი, რომელიც სრულიად ორიგინალურია არა მარტო ევროპის არამედ მთელი მსოფლიოს თვალსაზრისით, სხვებისა არ იყოს არც საქართველოსთვის გამოდგება პარალელის გასავლებად. მართლაც, ეს მშვენიერი და წარმატებული ქვეყანა სასურველი ობიექტია მისაბაძად ეკონომიკის დემოკრატიის, ჰუმანიზმის, კულტურის თვალსაზრისით, მაგრამ ჯერჯერობით ვერანაირად ვერ ვბაძვთ ამ სფეროებში, რაც შეეხება ენობრივ სიტუაციას ეს სიტუაცია უაღრესად სპეციფიკურია და ჩვენსას არა ჰგავს. რა ხდება ენობრივად შევიცარიაში? დავეყრდნობთ სიტუაციის საუკეთესო მცოდნეს ნ. ნიეგერს - საქართველოში შევიცარიის საელჩოს წარმომადგენელს), რომელიც ბრძანებს: „1848 წელს კონფედერაციის შექმნის მომენტიდან შევიცარიამ საკუთარი თავი განსაზღვრა, როგორც მრავალენოვანი სახელმწიფო, რომელიც ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებული სიდიდის ოთხი ენობრივი საზოგადოებისგან შედგება. მოსახლეობის დაახლოებით 74 პროცენტისგან შემდგარი დომინანტი ენობრივი ჯგუფი ლაპარაკობს შევიცარიულ გერმანულს - ქვედაგერმანული ენის დიალექტების ნარევეს. ფრანგულად მოსახლეობის დაახლოებით 20 პროცენტი ლაპარაკობს, იტალიურად - 5 პროცენტი, ხოლო რომანულად 5 1 პროცენტზე ნაკლები. ამგვარმა ენობრივმა მრავალფეროვნებამ, რასაც დაემატა შევიცარიის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი თანასწორობა ყველა ენას შორის, სიმბოლური დახმარება გაუწია შევიცარიული ეროვნული ინდივიდუალობის ჩამოყალიბებას. ჩემი აზრით, ეს სიმბოლურობა იმდენად უპირობოდ აღიქმება, რომ სულ ბოლო ხანებამდე ენის საკითხი, პრაქტიკულად, არ წამოიჭრებოდა შევიცარიაში გამართულ ეროვნულ პოლიტიკურ დებატებში. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ენა კონფლიქტის პოტენციურ წყაროდ კი არ განიხილება, არამედ ჩვენი სახელმწიფოებრიობის განუყოფელ ნაწილად. ეს საკითხი არასოდესყოფილა ყურადღების ცენტრში და

ტრადიციულად მიიჩნევა, რომ მას არა აქვს რეალური პოლიტიკური მნიშვნელობა.³

რაოდენ მშვენიერიც არ უნდა იყოს ის იდილია, რომელზედაც შვეიცარიის კეთილდღეობაა დაფუძნებული, ჩვენთვის, სადაც არაქართულენოვანი კომპაქტური დასახლებები ძირითადად რუსეთის ცარიზმისა და კომუნისტური რეჟიმების „ზრუნვით“ წარმოიქმნა, მრავალენოვნება საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობა-განვითარების საფუძველი არასოდეს ყოფილა; ცხადია, მრავალენოვნების კონსტიტუციურ განსაზღვრაზე ლაპარაკიც კი, რასაც პერიოდულად რუსეთი წინ წამოწევდა ხოლმე, სერიოზული კონფლიქტების რისკს შეიცავს. მით უფრო, რომ თვით შვეიცარიაშიც არ არის სავსებით გამორიცხული ამა თუ იმ ტიპის ენობრივი კონფლიქტი. მოვიხმობთ ისევ ბ-ნი ნიეგერის სტატიას: „მიუხედავად შვეიცარიაში სხვადასხვა ენის მშვიდობიანი თანაარსებობისა, რაც ესოდენ საამაყოა ჩვენთვის, **მაინც არსებობს კონფლიქტების წარმოქმნის შესაძლებლობა გერმანული ენის უეჭველი კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური დომინანტობისა, და იმის გამო, სისტემას არ შესწევს უნარი, თავიდან აიცილოს იტალიურის მარგინალიზაცია.** ფაქტია აგრეთვე, რომ რომანტულს (რომელზეც შვეიცარიის მოსახლეობის ერთ პროცენტზე ნაკლები ლაპარაკობს) გაქრობის საფრთხე ემუქრება. შვეიცარიაში ეროვნული ენების სტატუსი იურიდიული თვალსაზრისით: შვეიცარიაში არსებული ოთხივე თვითმყოფადი ენის სტატუსი გახლავთ *ეროვნული ენები*. მაგრამ მათგან მხოლოდ გერმანული, ფრანგული და იტალიურია აღიარებული *ოფიციალურ* ენებად. რომანტულად მოლაპარაკე ადამიანების სიმცირის გამო ამ ენას ოფიციალური სტატუსი მხოლოდ იმ თემში აქვს, რომელიც მას იყენებს. ფედერალური კონსტიტუცია იძლევა ეროვნული ენების დაცვის გარანტიებს ოთხი ძირითადი პრინციპის საფუძველზე. ეს პრინციპებია:

- *ტერიტორიული გავრცელების პრინციპი*, რომელიც ენობრივ თემებს უფლებას აძლევს ოფიციალურ ენად გამოიყენონ საკუთარი ენა საჯარო მართვა-გამგეობაში, მართლმსაჯულების აღსრულებასა და განათლებაში თავიანთ ტერიტორიებზე. სინამდვილეში ეს ნიშნავს, რომ ფრანგულად მოლაპარაკე მოქალაქეებს შეუძლიათ ფრანგულის გამოყენება ადგილობრივ ანუ კანტონის მმართველობის ორგანოებთან ურთიერთობაში მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, სადაც ფრანგულია ოფიციალური ენა. ამ მოქალაქეებს მშობლიური ენის

³ნიკულინიეგერი,

მრავალფეროვნებისმართვამრავალენოვანსაზოგადოებებში: შვეიცარია — მრავალენოვანისაზოგადოება (53).

გამოყენება მმართველობის ფედერალურ ორგანოებთან ურთიერთობაშიც შეუძლიათ. ამგვარი ტერიტორიული დაყოფა ყოველთვის არ ემთხვევა 23 კანტონის (რომელთაგან სამი ორენოვანია, ხოლო ერთი სამენოვანი) ზუსტ საზღვრებს. ფაქტობრივად, არსებობს ოთხი ენობრივი ზონა: ერთი გერმანულენოვანი, ერთი ფრანგულენოვანი, ერთი იტალიურენოვანი და ერთიც - რომანულენოვანი. **“რა პრობლემები იჩენს თავს შვეიცარიაში მრავალენოვნების სიტუაციაში?”**

ა) **ხარკები:** ითარგმნება ყველა დოკუმენტი ოთხ ენაზე, მაუწყებლობებიც ოთხ ენაზეა;

ბ) აშკარაა **გერმანულენოვანი ნაწილის დომინანტობა** და ამ ფონზე ფრანგულ და იტალიურენოვანი მოქალაქეების პოლიტიკური ზეგავლენის **მარგინალიზაციის ტენდენცია**. ეს ფაქტი ნიშნავს, რომ საჭიროა მნიშვნელოვანი ძალისხმევა - ფინანსურ, სიმბოლურ და პოლიტიკურ დონეებზე - თუკი გვინდა თავიდან ავიცილოთ სხვადასხვა ენობრივ რეგიონებს შორის გადაულახავი უფსკრულის წარმოქმნა და თანხმობაზე დამყარებული იმ მოდელის შენარჩუნება, რომელმაც შვეიცარიას სტაბილურობის სამოთხის სახელი დაუძკვიდრა.“

გ) პოლიტიკურ ძალთა წონასწორობა შვეიცარიაში და მიღებული გადაწყვეტილებები ასახავს მოსახლეობის გერმანულენოვანი ნაწილის დემოგრაფიულ დომინანტობას; ამის გამო ხელისუფლება მუდმივად ცდილობს შესაძლო დაპირისპირებათა განეიტრალებას და იმგვარი ფინანსური თუ სოციალური ღონისძიებების გატარებას, რაც მოსახლეობაში კონფლიქტების არიდებას უზრუნველყოფს.

დ) შვეიცარიას სისტემატიურად უზღდება ასიათასობით მიგრანტისათვის ოთხი ენიდან თუნდაც ერთის შესწავლის ხელშეწყობა.

ისევ ნ. ნიეგერის სიტყვებს მოვიხმობთ: „მიუხედავად აშკარა ნაკლოვანებებისა, ეროვნულ ენებთან დაკავშირებული კონსენსუსის შვეიცარიული სისტემა - შვეიცარიის ოთხი ენობრივი ჯგუფის მშვიდობიანი თანაარსებობა დაახლოებით 160 წლის განმავლობაში — უდავო წარმატებაზე მეტყველებს. ზემოხსენებულს მინდა დავუმატო, რომ, აღნიშნული ოთხი ჯგუფიდან არც ერთს არასოდეს არ აღუქვამს ენობრივი მრავალფეროვნება მუქარად.“

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ **160 წლიანი ექსპერიმენტის** (და თან, როგორც უკვე დავინახეთ, არცთუ ისე სრულყოფილის) გადმოღება მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების მქონე ქვეყანაში, არასერიოზული საქციელი იქნება. ათასწლეულების მანძილზე ჩვენ ქართული სახელმწიფო ენით გამობრძმედილი ერთიანობის იდეალით გვივლია, „ნუ დავაგდებთ ჩვენს ძველ გზას“.

Manana Tabidze

**Protection of the State Language Status:
European Experience and Georgia**

S u m m a r y

While determining the status of the language, specialists are responsible for making long-term predictions about the prospects of possible changes of the already existent linguistic situation. As long as the fluctuation of status has negative effect on the consolidation of society, there emerges the threat of linguistic anarchy. '**Linguistic anarchy** is the condition of linguistic society in poly-ethnic and multilingual society when centralized regulation of linguistic relations does not take place within the borders of this state.'

Foreign experts who work on describing linguistic situation of Georgian identify, mainly find the causes of the problems adequately; in particular, they admit that the existence of non-Georgian population in Georgia is determined not by Georgian discrimination policy, but Russificational policy of the Soviet regime, as the result of which Russia placed itself between Georgian and non-Georgian population of the Georgian state, and after the destruction of the Soviet Union and the removal of Russian from the state system, these populations have actually remained without the mediator language of communication.

ლია ქაროსანიძე

თანამედროვე ქართული ტერმინოლოგია

ქართული ტერმინოლოგიის თანამედროვე მძიმე ვითარების შესახებ ქართულ სამეცნიერო წრეებში ბევრი საუბრობს, მაგრამ სირთულე სირთულედ რჩება. წელს, ივნისში, ქართული ტერმინოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილმა საგანგებო კონფერენციამ ნათლად გამოკვეთა უმძიმესი მდგომარეობა თითქმის ყველა დარგში (ტერმინ., 2013). დღეს საქართველოში

1. არ არსებობს სკოლაში შესასწავლ საგანთა ტერმინების ნორმატიული ლექსიკონები (შედეგი: ყველა ავტორი სურვილისამებრ იყენებს ტერმინოლოგიას);

2. არ გამოცემულა ტექნიკური ტერმინოლოგია 1977 წლის შემდეგ (შედეგი: მთელი რიგი დარგები ქართული ტერმინების გარეშე);

3. არ არსებობს დარგობრივ ტერმინთა (ეკონომიკის, იურიდიულ, საბანკო და სხვ.) ახალი, რედაქტირებული, შევსებული ლექსიკონები.¹

ამას თავისი მიზეზებიც აქვს, რა თქმა უნდა. უპირველესი და უმთავრესი მიზეზი კი, ჩვენი აზრით, ქართული ტერმინოლოგიური სკოლის მიერ დასახული გზის სრულიად დაუსაბუთებელი უარყოფა და „ახლის“ უშედეგო ძიებაა. დღეს, სამწუხაროდ, ბევრს სჭირდება შეხსენება იმისა, რომ ტერმინთშემოქმედება საზოგადო საქმეა და არა - კერძო.

90-იანი წლებიდან ტერმინოლოგიური პოლიტიკის სახელმწიფოპარტის მოსპობა ბევრისთვის სარფიანი გამოდგა. იბეჭდება ცალკეული პირებისა თუ ჯგუფების მიერ შექმნილი უამრავი ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რომელთა აღნუსხვაც კი ჭირს. ტერმინოლოგიური ლექსიკონების ამგვარი მომრავლება მისმა შემოსავლის წყაროდ ქცევამ განაპირობა: ნებისმიერი მთარგმნელი, ფილოლოგი თუ სხვა პროფესიის ადამიანი მზადაა შექმნას ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგია, თანაც ისე, რომ არც დაინტერესდეს, მსგავსი არსებობს თუ არა. ლექსიკონის შექმნის უფლება, რა თქმა უნდა, ყველას აქვს, მხოლოდ რეცენზირებისა და სახელმწიფო მაკოორდინირებელი ორგანიზაციის საგანგებო ნებართვის გარეშე იგი არ უნდა იბეჭდებოდეს. ეს არის ტერმინოლოგიის მოწესრიგების ერთადერთი გზა.

ბოლო დროს რამდენჯერმე შევეხეთ ქართული ტერმინოლოგიის საკითხებს. ბათუმში გამართულ ქართული ლექსიკოგრაფიის

¹ ამისი აუცილებლობის მტკიცება, ვფიქრობთ უხერხულია, თუმცა, სამწუხაროდ, დღეს ესეც საჭიროა საქართველოში.

საერთაშორისო კონფერენციაზე განვიხილეთ მე-20 საუკუნის ქართული ტერმინოლოგიის ხასიათი. ჩვენი აზრით, ფილიპე მახარაძის ბრძანება-პოზიციამ განაპირობა საერთაშორისო სიტყვების მოძალება საბჭოთა ეპოქაში, უარყოფა და დაგმობა ტექნიკური ჯგუფის მიერ აღებული კურსისა, რომელიც მიზნად ისახავდა ტერმინთშემოქმედებაში ქართული ძირებისა და მაწარმოებლების გამოყენებას (ქაროსანიძე, 2013 :64-66)

მიუხედავად საბჭოთა ეპოქის სტანდარტული მოთხოვნებისა, ამ პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბებული ქართული ტერმინოლოგიური სკოლა თავისთავად ეფუძნებოდა მანამდე არსებულ ქართულ ტერმინოლოგიურ კვლევებსა თუ მეთოდებს. ვუკოლ ბერიძისა და როგნედა ღამბაშიძის მიერ შექმნილი დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონები მრავალი ახალი ლექსიკონის შექმნის საფუძველია დღემდე. უმთავრესი, რაც ქართულ ტერმინოლოგიურ სკოლას ახასიათებდა - ეს იყო ერთობლივი მუშაობის პრინციპი. ლექსიკონს არ ქმნიდა ერთი ადამიანი ან თუნდაც ერთი ჯგუფი. ენათმეცნიერების ინსტიტუტი იყო ის ცენტრი, სადაც მიმდინარეობდა ყველად დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონების რედაქცია, რომელიც ემყარებოდა მრავალი სამეცნიერო კამათის შედეგებს. ცენტრის მიერ მართული ტერმინოლოგიური მუშაობა თავისთავად გამორიცხავდა ქაოსსა და სიჭრელეს ტერმინოლოგიაში. იმ მრავალ ოქმსა თუ ჩანაწერში, რომლებიც ენათმეცნიერების ინსტიტუტშია დაცული, მემონახულია არაჩვეულებრივი მასალა, რომლის ელექტრონული ბაზები, სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს.

რა განსაზღვრავს, ზოგადად, ლექსიკონის აკადემიურობას, რით გამოირჩევა იგი სხვა ლექსიკონისგან, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი თუ ტერმინოლოგიური ლექსიკონების სარედაქციო საბჭოს სხდომათა ოქმებს წავიკითხავთ. მაგალითად, ოქმი N43: 1959 წელი, თებერვალი. სხდომას ესწრებიან: გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, ალექსანდრე კობახიძე, ლია კაიშაური, თავმჯდომარე - ქეთევან ლომთათიძე, მდივანი - ნუნუ საყვარელიძე.

„დღის წესრიგშია: **ც** ასოზე საკომისიოდ წარმოდგენილ სიტყვათა თარგმანების განხილვა; **1. самоотвод** თვითაცლილება. გიორგი ახვლედიანის აზრით, თვით აქ არ გამოდგება. უნდა იყოს „თავის აცილება“. არნოლდ ჩიქობავას შესაძლებლად მიაჩნია დარჩეს „თვითაცლილება“, რადგან თვით უკვე დამკვიდრებულია მრავალ სიტყვაში: თვითგანვითარება, თვითმმართველობა და სხვ. **2.** აზრი გამოთქვეს სიტყვაზე **свѣрток**: გიორგი ახვლედიანს არ მოსწონს „შეკრულა“. ქეთევან ლომთათიძემ „ხვეულაც“ დავამატოთო. არნოლდ

ჩიქობავას უფრო მოხერხებულად მიაჩნია თარგმანი „შეკვრა“, „შეკრული რამ“. დადგინდა: **свѣрток** „შეკვრა“, „შეკრული რამ“. ცხადია, ასე იძებნებოდა თითოეული სიტყვის ქართული შესატყვისი. სწორედ ამ აკადემიურ მუშაობას უნდა ვუმაღლოდეთ იმას, რომ წინა საუკუნიდან მემკვიდრეობით გვერგო საფუძველჩაყრილი, განვითარებული თარგმნითი თუ ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფია.

სამეცნიერო ენის განვითარება უშუალოდ იყო და არის დამოკიდებული სამეცნიერო წრეზე. ჩვენს სტატიებსა თუ მოხსენებებში არაერთხელ აღვვინიშნავს, რომ, თუ სამეცნიერო წრეები ზრუნავენ ქართულ ენაზე, ქმნიან ტერმინებს, რომლებიც ქართული ენის ცოცხალ ლექსიკას თუ ძველ ქართულ მწერლობაში არსებულ მასალას ეყრდნობა, ენა სწორად ვითარდება. მრავალი ტერმინი დროთა განმავლობაში სალიტერატურო ენის ბუნებრივი ნაწილი ხდება (მელიქიშვილი, 2011 :15; ქაროსანიძე, 2011 :67-168).

90-იანი წლებიდან დაწყებულმა პროცესებმა უმართავი გახადა ქართული ტერმინთშემოქმედება, კიდევ უფრო კი - საპროექტო დაფინანსებაზე გადასვლამ. ტერმინთშემოქმედება შეუძლებელია იყოს დამოკიდებული პროექტებზე. ამ წლების განმავლობაში ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის მიერ წარდგენილი არცერთი პროექტი არ დაფინანსებულა. შეუძლებელია დაასაბუთო ტექნიკური ტერმინოლოგიის პროექტის დაუფინანსებლობა. ერთ-ერთი „უცხოელი“ რეცენზენტის აზრი ასეთია: „ამ დარგის (იგულისხმება ტექნიკური ლ.ქ.) ტერმინოლოგია საერთაშორისოდ არის შედუღაბებული და ეროვნულ ენაზე შესატყვისების დაძებნა საქმის გაბუნდოვანება უფროა“. წარმოუდგენლად მიგვაჩნია, ეს ეთქვა რომელიმე უცხოელს, რადგან ტერმინების გაეროვნულობის წინააღმდეგი ფრანგი, გერმანელი თუ სხვა ეროვნების მეცნიერი, ჩვენი აზრით, ნაკლებადაა სავარაუდო. ასეთ მსჯელობას დღეს საქართველოში უფრო მოისმენ. უნდა ითქვას, ტერმინთა გაქართულება პურიზმად მიაჩნია ბევრ ქართველ მეცნიერს. ტერმინოლოგიისადმი პურისტული მიდგომა ბევრს აღიზიანებს, მეტიც აშინებს, საქართველოში, თუმცა ჯერ არავის უკვლევია საგანგებოდ, ქართული ტერმინთშემოქმედების რომელი მიმართულება იყო ქართული ენისთვის წარმატებული, რომელი - არა. X-XII საუკუნეების ქართული ტერმინთშემოქმედება პურიზმად არავის მოუნათლავს, მაგრამ, ცხადია, ამ დროის ქართველ მთარგმნელთა პრინციპები სრულად ემთხვევა ე.წ. პურისტულ მიდგომას (ქაროსანიძე, 2013 :12-22)

ტერმინოლოგიური სიჭრელე, უცხო ტერმინების განუკითხავი მოჭარბება საფრთხეს უქმნის ქართული ენის მომავალს. მომდევნო ეპოქის ენაზე წინა თაობაა პასუხისმგებელი. ჩვენ ჯერ კიდევ ილია

მართლის სულჩადგმული ქართულით ვსაუბრობთ და რა იქნება ჩვენ შემდგომ - ამას დღეს ჩვენ უნდა ვსაზღვრავდეთ. დღევანდელი ქართული სამეცნიერო ენა უცხო სიტყვათა სიჭარბითა და აზრსმოკლებული კალკებით არ ჩამოუვარდება პრესის ქართულს. ჩვენ თვალწინ იქმნება გაურკვეველი ქართული, რომელსაც პირობითად „საერთაშორისო ქართული“ შეიძლება ვუწოდოთ: ბორდი, ბრენდი, კომუნიკაცია, კონტაქტი, კრეატიული, კოგნიტური და სხვა მრავალი არაქართული სიტყვა კი არ ამდიდრებს, როგორც ეს ზოგს ჰგონია, არამედ საფრთხეს უქმნის ქართული ენას, თანდათან მოძველებულ, მივიწყებულ ლექსიკად გვიქცევს დროის ავბედითობას გადარჩენილ ძირძველ ქართულ სიტყვათმარაგს. თითქოს მეუმჩნევლად, მაგრამ ეს რღვევა თანდათან მატულობს: „დაფიქსირება“ ხმარებიდან დევნის თითქმის სამ თუ მეტ ქართულ სიტყვას: „დავაფიქსირე, რომ მიყურებდა“, ანუ “შევნიშნე, რომ მიყურებდა“, „დავაფიქსირე ჩემი აზრი“, ესე იგი „გამოვხატე ან გამოვთქვი ჩემი აზრი“, „უცებ დავაფიქსირე, რომ ფული არ მქონდა“, ესე იგი “უცებ აღმოვაჩინე, რომ ფული არ მქონდა“. ჩვენ თვალწინ ღარიბდება, უცხო და არაბუნებრივი ხდება ქართული ენა. ამას ბევრი ამჩნევს, ბევრი საუბრობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა თავისებურად და მარტო ცდილობს სირთულის მოგვარებას.

გაერთიანებისა და ქართული საზოგადოების ერთობლივი მუშაობის გარეშე ტერმინოლოგიური საკითხები მუდამ მოუგვარებელი დარჩება, ამ ქაოსის სავალალო შედეგებს კი მომავალ თაობებს ვუტოვებთ, სამწუხაროდ. ზოგს არ მიაჩნია გამართლებულად წარსულისაკენ ყურება. ჩვენი აზრით კი, ვინც წარსულის გაუთვალისწინებლად ცდილობს წინსვლას, მარცხსაც უნდა ელოდოს. ის, რაც გააკეთეს ძველმა ქართველმა მთარგმნელებმა, ილია ჭავჭავაძემ, ივანე ჯავახიშვილმა - ეს არის ქართული ტერმინოლოგიის განვითარების ერთადერთი სწორი გზა.

დამოწმებული ლიტერატურა:

მელიქიშვილი, 2011 - დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტერმინოლოგიის ისტორიიდან;

ტერმინოლოგია, 2013 - კონფერენციის - ტერმინოლოგია - ქართული ენის ხვალისდელი დღე - მასალები;

ქაროსანიძე, 2011 - ქართული ტერმინოლოგიის სირთულენი (ისტორია და თანამედროვეობა), ლექსიკოლოგიის II საერთაშორისო კონფერენციის მასალები; იხ. ასევე: ქართველოლოგია, VI, 22-31;

ქაროსანიძე, 2013 - ქართული ტერმინოლოგიის საკითხები, ქართული მეტყველების კულტურის საკითხები, ტ. XIII.

Lia Karosanidze

Modern Georgian Terminology

S u m m a r y

It is a well-known fact that norms of any literary language are determined by a live language but, apart from that, the literary language is directly linked to the development of the scientific language and its direction, in general. If the scientific circles take care of the language, create terminology based on the current vocabulary of the Georgian language or the materials of ancient Georgian literature, the language develops properly. Most terms gradually become natural parts of the literary language. Consequences of the 11th and 12th-century linguistic policy of translators are the words like these: *goni* (mind), *goniereba* (consciousness), *arsis* (essence), *metsniereba* (science), *vitareba* (condition), *gantsda* (feeling), *khedva* (look), etc. Georgian philosophical, grammatical, mathematical terms were created during this period. Unfortunately, the process of development of the scientific language created by old Georgian translators stopped in the following century, followed by incursion of Eastern (Turkish-Persian) vocabulary during the 13-17th centuries. The process of creating Georgian terms led by Ilia Chavchavadze in the 19th century continued in the 20th century as well. Russian-Georgian dictionary of technical terms, which was published in 1920, is extremely interesting for the history of Georgian terminology.

In order to solve the issues concerning terminology, Georgian government established the state scientific council headed by Ivane Javakhishvili in 1921. In 1925 this council was converted into 'the central scientific terminological committee'. Since 1936 terminological work was associated with the Institute of Language, History and Material Culture of the Georgian Academy of Science, there was founded the department of scientific terminology, which became a part of the Institute of Linguistics in 1941.

The department of scientific terminology of the Institute of Linguistics led the process of creating Georgian terms and developing Georgian scientific language for 60 years. Coordination of terminological work at the Institute of Linguistics was conditioned by the fact that the participation of linguists in the process of working on dictionaries of all directions was obligatory and the specialists from

various organizations were invited for some period (1-2-3 years) depending on what field was investigated. There were the following directions in the department of scientific terminology:

1. Creating terminological dictionaries of various fields;
2. Investigating old Georgian terms;
3. Studying terms reserved in Georgian dialects based on the materials of dialectological dictionaries or obtained during the scientific missions.

More than 80 terminological dictionaries were prepared under the supervision of Vukol Beridze and Rogneda Ghambashidze. The most important thing was management in the process of creating terminology: only the dictionaries classified by the Institute of Linguistics were supposed to be obligatory, i.e. normative. This regulation of publishing terminological dictionaries was approved by the relevant government decree.

Due to the absence of the regulation, the Institute of Linguistics lost the function of controlling the terminological policy and this was followed by inappropriate usage and creation of terminology. The process of creating terminology was chaotic in the 90-ies. Current situation can truly be called alarming. Terms are created by everyone: by translators, professors, teachers, engineers, bank clerks, lawyers, journalists, TV-presenters and many others who are not even interested whether this or that term already exists in their field. Everyone has the right of creating terms, but each of us should take into consideration one thing that Ilia Chavchavadze reminded his contemporaries: language is a social phenomenon.

Every generation is responsible for the language of the next generation. We still speak the language rescued by Ilia Chavchavadze and we have to consider right now what will happen after us. Unfortunately, Georgian society is not united in connection with this issue. We can mainly hear people criticizing journalists and the young, while the abundance of foreign words in the modern scientific language is not less than in the language of press. We can witness the creation of vague Georgian that can be called 'international Georgian': board, brand, contact, communication, creative, cohabitation, cognitive and plenty more foreign words are not translated and they pose threat to the ancient vocabulary of our language, which has survived Turkish-

Persian-Russian linguistic assaults. For example, word '*dapiksireba*' (დაფიქსირება) formed from the foreign root 'fix' replaced three Georgian words: '*shevnishne*' (noticed), '*gamovkhate*' (stated my opinion) and '*aghmovachine*' (realized).

We can witness Georgian language becoming poor, strange and unnatural for us. Many people notice and speak about this problem but, unfortunately, everybody tries to solve it on their own. Creating terminology is a public rather than private issue. Modern Georgian scientific society is not united across one problem and individuals cannot save the language on their own. Some people are against sharing the experience of the past. We regard that those who try to go forward without considering the past, should definitely expect failure. There is no use creating something new and unusual while ignoring the work of schools responsible for creating Georgian terminology. Innovation based on the rich historical heritage is the path of contemporary terminology today. And the proper creation of Georgian terminology is the future of Georgian language.

ია ჯიქია**ტერმინოლოგიური პრობლემები განათლების
ევროპულენოვანი სტანდარტების
ქართულენოვან თარგმანებში**

ენობრივ ფონდში მიმდინარე მუდმივი ცვლილებები ერთგვარ შიშს იწვევს საზოგადოებაში, ლინგვისტიკაში, მეტადრე პურისტებში. ამ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა და დღესაც არსებობს. ანგლო-ირლანდიელი მწერალი ჯონათან სვიფტი წერდა: “მე ვერ ვხედავ ენის მუდმივად ცვლილების საჭიროებას” (ჯ.სვიფტი 1712:16). იგი ენაში განხორციელებულ ცვლილებას “ლინგვისტურ კორუფციას” უკავშირებდა და სოციალურ “დაცემად” მოიაზრებდა. ევროპულ ლინგვისტურ ტრადიციაში ენას ადარებდნენ ბიოლოგიურ სხეულს, რომელიც იბადება, მწიფდება, ეცემა და კვდება. განსხვავებული აზრი აქვს ანთროპოლოგ ჰარიეტ ჯონზეფ ოტენჰეიმერს, რომელიც ამბობს: სანამ ენას ადამიანები იყენებენ, ის განიცდის გარკვეულ ცვლილებებს“ (ჯ.ოტენჰეიმერი 2009: 276).

სოციალურ პროგრესს, ტექნოლოგიურ რევოლუციას, გლობალიზაციას მოაქვს ახალი საგანი, მოვლენა, სახელწოდებები, შესაბამისად, ქრება მათი აღმნიშვნელი ძველი ლექსიკა ან იგი იცვლის მნიშვნელობას. ლექსიკასთან შედარებით ენის გრამატიკული წყობა მდგრადია, თუმცა ისიც ვითარდება და იცვლება. ამის დასტურია ქართული მეტყველება, მედია, მწერლობა, თარგმანები. ვენის ცვლებადობის ამ ტიპს ხშირად ენობრივ ექსტრემიზმს უწოდებენ და იგი სპეციალისტთა დიდ ყურადღებას იმსახურებს.

ქართული ენა მუდამ არასასურველ გეოპოლიტიკურ გარემოში იყო მდებარეობის, პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციების, სრულიად ქვეყნის ბედისწერის გამო. ქართული ენა არასდროს ყოფილა დაზღვეული უცხო ენათა გავლენისაგან. საბჭოთა სივრცეში საგანმანათლებლო სისტემის დაგეგმვა და ტერმინოლოგიის შექმნა რუსეთში ხდებოდა. საქართველო, როგორც საბჭოთა სივრცის ნაწილი, იზიარებდა ყველა დადგენილ ნორმასა თუ სტანდარტს. მთელი საბჭოთა სივრცისათვის გასაგები იყო საგანმანათლებლო ტერმინები: ჩათვლა, სესიები, ჩათვლის წიგნაკი, ასპირანტურა, დოცენტი, აკადემიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და ა.შ.; რუსეთის მონოიდეოლოგია, რომელიც ახლდა სწავლების პროცესს, დასრულდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსულმა დაკარგა პოპულარულობა, მაგრამ რუსულის გავლენა მაინც იგრძნობა. 90-იანი წლებისთვის საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან შემოჰქონდა სასკოლო სახელმძღვანელოები.

თარგმანში ბევრი იყო გრამატიკული და სტილისტიკური შეცდომები და უზუსტობები, ქართულისათვის არაბუნებრივი კონსტრუქციები, მიუღებელი კალკები, ქაოსური ტერმინთშემოქმედება...

პოსტსაბჭოთა პერიოდში საბჭოთური ტერმინოლოგიური ინერციის პარალელურად ევროტერმინების გაუაზრებელმა შემოღინებამ საქართველოს განათლების სფეროში ტერმინოლოგიური ქაოსი გამოიწვია.

1997 წელს საქართველო მჭიდრო კავშირს ამყარებს საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემასთან და ერთვება ბოლონიის პროცესში. ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმოწერას წინ უსწრებდა ისეთი დოკუმენტების მიღება, როგორცაა: უნივერსიტეტების დიდი ქარტია (1988), ლისაბონის კონვენცია (1997) და სორბონის დეკლარაცია (1998). ცხადია, ამ ფაქტმა გამოიწვია სახელმძღვანელო დოკუმენტის თარგმნის აუცილებლობა. ეს დოკუმენტები შემოდიოდა სხვადასხვა ენობრივი სამყაროდან ინგლისური, გერმანული, ფრანგული დედნების სახით, რასაც მოსდევდა ინტენსიური მუშაობა განათლების სამინისტროს შესაბამის კომისიებში. როგორც ვხედავთ, თითქმის ორი ათეული წელია ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემა ექვემდებარება ევროგაერთიანების მიერ შემუშავებულ ე.წ. ბოლონიის პროცესს. თვით ტერმინი პროცესი მიუთითებს, რომ ტერმინთშემოქმედება ამ სისტემაში კვლავ მიმდინარეობს. მოგვეძალა ნასესხები ტერმინები და **ამ დაჩქარებულ სესხებათა შუამს ქართული ტერმინთშემოქმედება ჩამორჩა დროის მოთხოვნებს.**

ბერძნულ-ლათინურ ძირზე აგებული ნასესხები ტერმინები.
ბერძნულ-ლათინურ ძირზეა აგებული: სილაბუსი, კურიკულუმი, კვალიფიკაცია, ფრაგმენტაცია, მობილიზაცია, საპილოტე ჯგუფი, სტიმულირება, მონიტორინგი, აკადემიური წოდება /საპატიო დოქტორი, ემერიტუსი/, ინტერდისციპლინური ჯგუფი, პრეზენტირების უნარი, ნოვაციური სწავლება, კაზუსი, ტესტი, ბონუსი, და ა. შ. თუ დავუკვირდებით შემოსულ სიტყვათა რაოდენობას, შევამჩმევთ, რომ მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია.

ტერმინოლოგიური დუბლეტები.

დუბლეტების წარმოქმნა სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ხდება და არის მეცნიერების განვითარების ბუნებრივი შედეგი. ხშირად, ავტორი ქმნის ახალ ტერმინს, მიუხედავად იმისა, რომ ენაში არსებობს იმავე აზრის გამომხატველი ცნება. ზოგი ინდივიდუალური ტერმინი რჩება ავტორის ნაშრომში, ზოგი კი აღწევს სხვა სპეციალისტების მეტყველებაში და საზოგადოდ მიღებულ ტერმინთან ერთად იწყებს ფუნქციონირებას. ზოგიერთი ასეთი ტერმინი ფართოდ ვრცელდება და ტერმინოლოგიური სისტემის

მთავარი ნაწილი ხდება. წარმოვადგენთ ტერმინოლოგიურ დუბლეტებს:

ვიზუალური მასალა და თვალსაჩინო მასალა, პრეზენტაცია და წარდგენა, ფინალური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა, საბოლოო გამოცდა და ფინალი, ეკვივალენტობა და შესაბამისობა, რატიფიკაცია და ხელმოწერა, ადეკვატური ინფორმაცია და შესაბამისი ინფორმაცია, რელევანტური და შესაბამისი, აკუმულაცია და დაგროვება, დეფინიცია და განსაზღვრა; დეფინიციები, დესკრიპტორი და მახასიათებლები, ასევე აღმწერი; ინდიკატორი და მაჩვენებელი, კოოპერაცია და თანამშრომლობა, რეზულტატი და შედეგი და ა. შ.

მეცნიერების გარკვეული დარგები და მიმართულებები ითვალისწინებს ტერმინთა მოწესრიგების და სტანდარტიზაციის მიზნით დუბლეტების აღმოფხვრას ან მინიმუმამდე დაყვანას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ მოვლენამ იმდენად ფესვი გაიდგა, რომ მასთან ბრძოლა საკმაოდ რთულია (სტანდარტიზებულ ტერმინთა სისტემაშიც კი გვხვდება ტერმინთაგორმაცება), შესაბამისად, პრობლემის მოგვარება სახელმწიფო დონეზე უნდა დაიგეგმოს.

სიჭრელე ტერმინის თარგმნაში.

უმაღლესი განათლების თანამედროვე პრაქტიკა ურთიერთგამომრიცხავი და არათანმიმდევრულია. თუ საბჭოთა პერიოდში ნორმატიული დოკუმენტები განმტკიცებული, გააზრებული იყო თეორიულად და აპრობირებული იყო პრაქტიკაში, მიღებული იყო ნორმად, დღეს ეს თანმიმდევრობა ირღვევა:

ქართულენოვან სივრცეში ყოველგვარი სამეცნიერო ანალიზისა და აპრობაციის გარეშე მკვიდრდება ბოლონიის პროცესის დოკუმენტებში გამოყენებული ტერმინები ან მათი კალკები.

1. განათლების სფეროში ყველაზე ხშირად გამოიყენება ტერმინი ვალიდატიონ თარგმანის რამდენიმე ვარიანტი: დადასტურება, აკრედიტაცია, ცნობა/აღიარება, ატესტაცია, შეფასება.

მაგ.,

ა) „**მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის**” სტრატეგიაშიწერია:

“არაფორმალურ (non-formal) და არაოფიციალური (informal) განათლების აღიარებას/ვალიდაცია”

ბ) **დოკუმენტში „წინმსწრები განათლების აღიარება”** მიუთითებს არაფორმალური განათლების ატესტაცია (შეესაბამება ინგლისურენოვან ტერმინს “validation”) წარმოადგენს ცენტრალურ რგოლს

გ) **განათლების სტანდარტულ კლასიფიკაციაში**წერია წინამდებარე დოკუმენტში ვალიდაციის ნაცვლად გამოვიყენებთ

ტერმინს: ატესტაცია. (ვფიქრობთ, ამ მაგალითებში ისინი სინონიმებად მოიაზრება).

2. benchmarks:

ა)სამიზნე მაჩვენებელი ბ) დარგობრივი მაჩვენებელი გ) შედარებისათვის სწორი ორიენტირის შერჩევის პროცესი; დ)

benchmark **statements**-დიდი ბრიტანეთის ორიენტირები/სტანდარტები.

3. **background** – 1. ბექგრაუნდი 2. წინაპირობა 3. ფონი

4. **feedback**- 1. უკუგება 2. უკუკავშირი

5. დომეინი და დომენი

სინონიმია და პოლისემია

დოკუმენტების თარგმნისას შეინიშნება ტერმინოლოგიური სინონიმია და პოლისემია. რამდენადაც ტერმინის ბუნება არაორაზროვნებას, სიზუსტესა და კონკრეტულობას მოითხოვს, სინონიმია/პოლისემანტიკა ტერმინის ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ. სწორედ ამიტომაცაა გაუმართლებელი თანამედროვე დოკუმენტებში ერთსა და იმავე ტესტშიერთმანეთის გვერდით ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორიცაა:

1.საბაზისო და ძირითადი; კვლევითი,გამჭოლი, მენეჯერული, დისკურსული, გლობალური კომპეტენციები და სხვ.;

2. მულტილინგუალიზმის პარალელურად გამოიყენება პლურილინგუალიზმი

მაგ., სამუშაო შეხვედრის ფარგლებში განიხილება მულტიკულტურალიზმისა და მულტილინგუალიზმთან დაკავშირებული საკითხები. მაგ., სკოლის კულტურალიზმები, იდენტობა, პლურილინგუალიზმი და სხვ.

თვალი მივადევნოთ სხვა ენებს: **feedback** –უკუკავშირი:

რუსული: **обратная связь**,

ესპანური: **regeneración**,

გერმ.: **Rückgespräch** - დაახლოებით „უკან ლაპარაკს“ ნიშნავს.

ამკარაა, ტერმინ „უკუკავშირში“ **რუსული სიტყვის მოდელია გამოყენებული.**

3. მოცილე ფორმებად გამხდარა მოწმობის აღმნიშვნელი საერთაშორისო სიტყვა სერტიფიკატი და სერტიფიკატი. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი ნორმად მიიჩნევს „სერტიფიკატს“, საერთაშორისო ენის ცენტრი კი გასცემს „სერტიფიკატს“, ასევე ატარებს „თრეინინგს“.

4. 2005 წ. თარგმნილ დოკუმენტში საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში გამოიყენება, როგორც ექვივალენტობა და ეკვივალენტობა.

5. ასევე ისწავლება საგანი „ლოგისტიკა“, ხშირად მეტყველებაში ამბობენ „ლოჯისტიკა“.

იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნებში მეცნიერებისა და ტექნიკის დონე ერთნაირია, მთარგმნელმა უნდა იპოვოს უცხო ტერმინის ექვივალენტი, ან უნდა შექმნას ახალი ტერმინი. მართალია, დღეს ძალიან მოდურად ჟღერს სიტყვა **know-how** – *ნოუ ჰაუ*, რაც ნიშნავს „იცოდე, როგორ გააკეთო რამე სწორად“ (**the knowledge and skill to be able to do something correctly**) ან ცოდნის საიდუმლოს ფლობდე. ვფიქრობთ, არ არის იმის აუცილებლობა, რომ დამკვიდრდეს უცხო ტერმინი *ნოუ ჰაუ*, მის ნაცვლად შეიძლება *წარმოების, შექმნის საიდუმლო*.

ფრანგული სიტყვების თარგმანის თავისებურება

Savoir– დეკლარაციული ცოდნა

savoir-entre-ეგზისტენციალური კომპეტენციები გერმ.**savoir-entre** (ყოფნა)

savoir apprendre-სწავლის უნარი

savoir-faire-უნარები და ნოუ-ჰაუ

savoir-ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ცოდნას.

ინგ. **Savoir faire is knowledge of what to do and say and an ability to excel in social situations.**

რუს. **умение; сметливость; сноровка; ловкость; секреты мастерства (transland); знание дела (transland).**

ვფიქრობთ, უფრო მისაღები ვარიანტია „საქმის ცოდნა“

enclave-ანკლავი

ამჟამად ვხედავთ ენობრივ ექსპანსიას როგორც რუსულიდან, ისე ევროპული ენებიდან შემოსულ ტექსტებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟესპანურიდან, გერმანულიდან, ფრანგულიდან ნასესხობანი ცოტაა და მათი გამოყენების სფერო შედარებით შეზღუდულია. ჩანს, რომ რუსულ ენაში დანერგილი ტერმინების ფორმები უცხოური ენების კალკს წარმოადგენს, მაგრამ ცხადია ისიც, ქართული ტერმინის შესაქმნელად უშუალოდ რუსული (ან რუსულად ადაპტირებული) სიტყვის მოდელია გამოყენებული და არა ინგლისურის, გერმანული ან თუ ფრანგულია. რუსულის, როგორც შუალედური ენის დიქტატის, ზეგავლენა გაცილებით დიდია მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულ პოლიტიკურ კურსსა და იდეოლოგიას მივსდევდით ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე. ეს პროცესი ალბათ გაგრძელდება, რადგანაც ლექსიკის შემოსვლის კუთხით ზღვრის დადება არ შეიძლება. იქმნება ახალი საგნები, ცნებები, ტერმინები, ძველი სიტყვა კი შეიძლება გაქრეს ან მისი მნიშვნელობა დავიწროვდეს. მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავ

გამოწვევების წინაშე დგას, რუსეთთან ურთიერთობა დათბობას იწყებს. კვლავ იცვლება აზროვნება. მთავარია მაინც ერთი: **ანგლიზაცია, რუსიფიკაცია სასურველი არაა ჩვენი ქართული ენისა და კულტურისათვის.** როცა საქმე გვაქვს ახალ ნასესხობასთან უმჯობესია პირდაპირი გამსესხებელი“ ენიდან ავიდეთ სწორი ფორმა და არა რუსულიდან ან რომელიმე შუამავალი ენიდან. მთლიანობაში კი მაინც საკუთარი ენის წიაღში უნდა მოიძებნოს შესატყვისი. ქართულ ენაზე უნდა ვიაზროვნოთ და ვიმეტყველოთ. ყოველ ენას აქვს თავისი გზა და გამონახვის საშუალება. თითოეული ტერმინი, როგორცაა: “creativity”, “implementation”, “cohesion”, “descriptor”, – (ეუთოს ტერმინები), ითარგმნება, შესაბამისად, ასე: კრეატიულობა, იმპლემენტაცია, კოჰეზია, დესკრიპტორი, რანჟირება, ევრისტიკული უნარები. თუნდაც ამ ბოლო პერიოდში დამკვიდრებული ე.წ. კოჰაბიტაცია. ამ სიტყვების ნაცვლად კი ჩვენ გვაქვს ისეთი სიტყვები, როგორცაა: შემოქმედითობა, განხორციელება, გაგება, აღმწერი, თანაარსებობა, რომელიც გასაგებია ყველა ქართველისათვის, მთარგმნელისა და მკითხველისათვის.

კონცეპტუალურ და ტერმინოლოგიურ სისტემაში მთავარი ადგილი უკავია იმ ტერმინებსა და ცნებებს, რომლებსაც ახასიათებთ მეთოდოლოგიური პრინციპები. განათლების ახალი კულტურის ფორმირებაში, კულტურის მთლიან ცვლილებაში მთავარი გიდის როლს ასრულებს ლექსიკონი, რომელიც არის ზუსტი, გასაგები, თანმიმდევრული, ნორმატიული, სტილისტიკურად ნეიტრალური. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მულტილინგვურ განათლებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია საქართველოში მოქმედი პედაგოგებისთვის ხშირად გაუგებარია. ამას მოწმობს თვით მულტილინგვურ განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის წინათქმა. **წარმოდგენილი თარგმნით-განმარტებითი ლექსიკონი ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც ახლავს ამ ახალ პროცესს.** საჭიროა უფრო ზუსტი აღწერა იმ მიზნებისა და კონცეფციებისა, რასაც უმაღლესი განათლების სისტემა ემსახურება. ამავე დროს მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფციის პროექტის კრიტიკული ანალიზი. უნდა ითქვას, რომ დოკუმენტებში ხშირ შემთხვევაში მოტანილია სრულიად უფუნქციო მასალა. ხშირია აზრობრივი ტავტოლოგიები, გაუგებარია შინაარსი. (იქნებ “ვერგასაგებობა” არის კიდევ მიზანი?).

დღეს, როდესაც გლობალიზაცია მძაფრი საზოგადოებრივი პროცესია, მეტი ძალისხმევა გვმართებს, რათა შევინარჩუნოთ მრავალსაუკუნოვანი ქართული ენა, რომელმაც არაერთ კრიზისს გაუძლო. **დამოუკიდებლობა და თავისუფლება არ უნდა აგვერიოს**

ენის მიმართ უპასიხვებლო დამოკიდებულებაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გვექონდეს საგანგებო კანონები და ინსტიტუტები, რომლებიც ამ საქმეს მოემსახურებიან.

ქართული სალიტერატურო ენა განსაკუთრებულ მოვლას, ყურადღებას საჭიროებს, ენობრივ-კულტურული ფასეულობებისა და ენობრივი უფლებების დაცვა ჩვენთვის პრიორიტეტული უნდა იყოს, რადგან „ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით. რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!“ (გრ. ორბელიანი).

დამოწმებული ლიტერატურა:

ჯ. სვიფტი 1712- A Proposal for Correcting and Ascertaining the English Tongue: In a Letter to the Most Honourable Robert, Earl of Oxford and Mortimer, Lord high treasurer of great Britain, Jonathan Swift 1712;

ელექტორული ვერსია

<http://ebooks.adelaide.edu.au/s/swift/jonathan/s97p/> (დამოწმებულია 2014 წლის 21 იანვარს);

ჰარიეტ ჯოზეფ ოტენჰეიმერი (Harriet Joseph Ottenheimer, *The Anthropology of Language: An Introduction to Linguistic Anthropology*, 2nd ed. Wadsworth, 2009) ;

ელექტორული ვერსია <http://books.google.ge> (დამოწმებულია 2014 წლის 21 იანვარს)

მულტილინგუურ განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინთა თარგმნით-განმარტებითი ლექსიკონი

http://www.ganatleba.ge/upload/text/geo/1253100210_MULTILING_VURI,%20Geo.pdf საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „საქართველოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ სტრატეგია http://www.aeag.org.ge/data/file/231/07_H-UULLL.pdf (PDF) RPL –წინმსწრები (აღრე მიღებული განათლების აღიარება) (დამოწმებულია 2014 წლის 21 იანვარს) (PDF)

განათლების კლასიკური კლასიფიკაცია ICED -1997

http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/I_SCED-1997.pdf (PDF) (დამოწმებულია 2014 წლის 21 იანვარს)

Ia Jikia

Terminological Problems in Georgian Translations of the European Standards of Education

S u m m a r y

After completing the Russian mono-ideology Georgia has taken pro-*Western course*. Now the Georgian education system is closely related to the **European Higher Education Area (EHEA)**-the Bologna process. **Georgia joined Bologna Process in 2005 at Bergen Summit**. The Bologna declaration was preceded by such documents as: Magna Chartum Universitatum (1998); Lisbon Convention (1997); Sorbona Declaration (1998). This has led to the need of translating the main documents of the *Bologna Process* from different languages: English, German, French, etc. *For this purpose the compilation of English-Georgian Multilingual Dictionary of Higher Education was initiated and* is now in progress.

Our research interests have focused on the translation of the Bologna Process documents.

With the spread of globalization and the Bologna process the problem of harmonization of terminology is up-to-date. We research the concepts, terminology, newly formed lexical units, terminological doublets, variants, full synonyms, language etiquette, orthographic variants and other problems of the language. Instead, the term is paraphrased, or hasty, tentative "translations" of the unknown terms are employed. It is important to analyze contemporary linguistic situation and determine which term has been established and standardized, which standards are approved by the state commission. This research will assist the unification of the norms through which the rich traditions of studying and functioning of the Georgian literary language will be continued.

რეცენზია:

**აფხაზური ენის ლექსიკონის
ხელნაწერის გამოცემის გამო
/თეიმურაზ გვანცელაძე, “აფხაზური ენის პირველი
ლექსიკონი“, 1827წ./**

ქართულ-აფხაზურმა ურთიერთობებმა არაერთი საუკუნე და განსაცდელი გამოიარა; იყო ნათესაობა და ძმობა, კეთილმეზობლობა, ურთიერთსიყვარული და ერთგულება და მტრობაც... - მტრობა ისეთი ხარისხით, როგორც მხოლოდ უახლოეს ადამიანებს შორის შეიძლება ჩამოვარდეს, როგორც გამორჩეული სიახლოვით დაბადებული პრეტენზიის, ერთმანეთისადმი უდიდესი მომთხოვნელობის, ძმობაში დაეჭვების, გულისმომკვლელი იმედგაცრუების საფუძველზე წარმოშობილი დამანგრეველი, მოურჩენელი ტკივილი, რომელიც რაც უფრო მეტხანს გრძელდება, მით უფრო იტვირთება მონატრებითა და სიბრაზის შემცველი სევდით. ეს ურთიერთობათა ის საფეხურია, როდესაც ეს უკიდურესად წაკიდებული მხარეები ერთხელაც, ერთ-ერთის გასაჭირის შემთხვევაში, მაინც საჭირისუფლო რიგში ჩადგებიან, და უფრო შორეულ მტერ-მოყვარეს, უბრად მაგრამ, **ერთად** ეგებებიან.

სამეცნიერო გამოცემასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, ასეთი სენტემენტალური და ზოგადი სენტენციები უადგილოა, მაგრამ წინამდებარე გამომხატურების ავტორებს ამ წინათქმით იმ თავისებურების ახსნა სურთ, რომელიც ქართველი და აფხაზი მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლებს ერთმანეთისა და საერთო ისტორიის, კულტურის, ენის კვლევისაკენ უბიძგებს დღესაც, როდესაც საერთო მომავლის საკითხმა უიმედობის ელფერი დაიკრა. ალბათ, სწორედ ამგვარ შრომასა აქვს მაცოცხლებელი ძალა.

ამ შემთხვევაში ჩვენ ერთ გამოცემას შევხებით. საქმე ეხება **ვლადიმერ რომანოვის “აბაზურ ლექსიკონს“** («Абазинской словарь»); ესაა რუსულ-აფხაზური ლექსიკონი, რომლის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, აფხაზური დიალექტური ფორმები აღადგინა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო პროფესორმა თეიმურაზ გვანცელაძემ (აფხაზური ენის პირველი ლექსიკონი. ვლადიმერ რომანოვი, აბაზური ლექსიკონი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი, თბილისი, 2013, 205 გვ.).

პროფესორ თ. გვანცელაძისათვის აფხაზური ენისადმი მიძღვნილ ურიცხვ და უაღრესად მაღალხარისხოვან ნაშრომთა შორის ეს წიგნი მხოლოდ ერთ-ერთია, მაგრამ სწორედ მის გამო გვინდა რამდენიმე სიტყვის თქმა:

ჩვენს პრაგმატულ ეპოქაში მეცნიერის დეალოზი ნაკლებად ფასდება; მეტიც, ზოგს ჰგონია, რომ მხოლოდ დიდი ანაზღაურებისათვის შეიძლება გაიწიოს დიდი შრომა... ამ ფონზე ვინმესთვის ალბათ უცნაურად გამოიყურება პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძის მუხლჩაუხრელი შრომა აფხაზური ენის ისეთი ხელნაწერების, მივიწყებული ბეჭდური მასალების დადგენის, ფორმათა აღდგენის, ელექტრონულ ვერსიად აწყობის, კვლევისა და გამოცემის მიმართულებით, რომელთა გამოცემას მსხვილი ასოებით იმ აფხაზი, რუსი, ქართველი მოღვაწეების გვარები აწერია, რომელთაც ოდესღაც შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი ამ ტექსტების ბედ-იღბალში, მაგრამ რომელთაც უკვე ნაკლებად (ან საერთოდ აღარ) იხსენებდა თანამედროვეობა, ხოლო ამ ყოველივეს მომძიებელი, აღმდგენელი, გამცოცხლებელი, თანამედროვეობისათვის მიმძღვნელი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემომტანი წიგნის სათაურში მოკრძალებით, ქვემოთ, წვრილი შრიფტით არის მოხსენიებული (“ლექსიკონის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, აფხაზური დიალექტური ფორმები აღადგინა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო პროფესორმა თეიმურაზ გვანცელაძემ”);

ფართო მკითხველისთვის, ალბათ, სრულიად წარმოუდგენელია (თუმცა, ცხადია, სპეციალისტებს კარგად ესმით), რა ტიტანური შრომა ესაჭიროება, ისეთ სპეციფიკურ ანბანზე გაწყობილ ხელნაწერში ყველა ასოს ამოკითხვას, როგორც რუსულ ალფაბეტზე დაყრდნობილი აფხაზური გახლავთ, რას ნიშნავს დიალექტური ფორმების გაჩხრეკა“ და აღდგენა (როცა დღეს თავად აფხაზურში ეს ფორმები მეტწილად დაკარგულია), რაოდენ რთულია კვლევა დღევანდელ აფხაზეთში სასურველი მივლინებების გარეშე, და კიდევ ერთი, როგორ უნდა გიყვარდეს ის ენა და ხალხი, რომლის წარსულსაც ქართულ არქივებში დაეძებ, ასეთი რუდუნებით სწავლობ და თანამედროვე აფხაზ ხალხს უძღვნი.

წინამდებარე ლექსიკონი თბილისში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რარიტეტთა საცავში დაცული ხელნაწერიდანაა (V-9781 S-50) აღდგენილი. რომელსაც სათაურად აწერია «Словарь Абазинской»¹. სულ ლექსიკონი შეიცავს

¹ ამ ხელნაწერის პირველი მოკლე აღწერილობა 1964 წელს გამოაქვეყნა ამავე ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ციალა ჩიკვაშვილმა. აღწერილობაში აღნიშნულია შემდეგი:

„Словарь Абазинской, собранный на месте, флота лейтенантом Владимиром Романовым. (Примеч. – „Язык Абазинской имеет сходство с Черкесским, однако почитается за особенный диалект“). XIX [საუკუნე — თ.გ.].38 ფ. 25X20. ქალაქი აკინძული

1952 სალექსიკონო ერთეულს. როგორც პროფ. თ. გვანცელაძე მიუთითებს, ხელნაწერი სხვადასხვა დროს ინახებოდა სევასტოპოლში, პეტერბურგსა და მოსკოვში, ბოლოს იგი თბილისში² მოხვდა.

ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკაში (ამჟამინდელ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში) მოხვედრამდე ხელნაწერს ფლობდნენ **სევასტოპოლის ოფიცერთა ბიბლიოთეკა** და პროფ. **ივანე სარქიზოვ-სერაზინი**. ამ ლექსიკონთან გარკვეული შეხება ჰქონია პირველი რანგის კაპიტან **კონსტანტინე სტეცენკოსაც**.

თეიმურაზ გვანცელაძის უშუალოდ ლინგვისტურ შრომას თან ერთვის მის მიერვე ისტორიკოსის გულმოდგინებით ჩატარებული კვლევა-ძიება თავად ამ ლექსიკონის შედგენის თარიღის, შემდგენელის ვინაობის, ხელნაწერის თავგადასავლის დადგენის მიმართულებით, რაც ლექსიკონის ამჟამინდელ გამოცემას კვლევით ნაწილში დაერთვის და ამდიდრებს ამ კვლევას ინფორმაციული და სამეცნიერო თვალსაზრისით; კერძოდ, პროფ. თეიმურაზ გვანცელაძემ მოიძია სათანადო მასალები, რომელთა მეშვეობითაც ეჭვგარეშე დგინდება, რომ საანალიზო ლექსიკონის ავტორი რუსეთის სამხედრო ფლოტის ლეიტენანტი **ვლადიმერ რომანოვი**, რომელსაც მკვლევრის დასკვნით, აფხაზური მასალა შეუკრებია ადგილზე, აფხაზეთში, ის **ვლადიმერ პეტრეს ძე რომანოვია** (1796 წლის 12 ივლისი — 1864 წლის 11 ოქტომბერი), რომელმაც რუსეთის საიმპერიო ფლოტის კონტრ-ადმირალის ჩინამდე იმსახურა და რომელიც 1828-29 წლებში შავი ზღვის ფლოტში მსახურობდა ჯერ ლეიტენანტის, ხოლო შემდეგ კაპიტან-ლეიტენანტის ჩინით. გამოკვლევის ავტორის სამართლიანი დასკვნით, სწორედ შავი ზღვის ფლოტში ლეიტენანტობის წლებში უნდა შეედგინა წინამდებარე ლექსიკონი ვლადიმერ რომანოვს, რომელიც მკვლევრის ცნობით, მწერლობდა კიდევ, და ვ. რომანოვი «...в 1827 году на шлюпе "Диана" крейсировал у Абхазских берегов, причем описал заливы Сухумский и Редут-Кале»...«В.П. Романов в 1827 г., во время крейсерства у Черкесских и Абхазских берегов, сделал описание залива Сухум-Кале и составил карту, которая тогда же была отпечатана; описание рейдов Сухум-Кале и Редут-Кале помещено было в "Записках Ученого Комитета Морского Штаба Его Императорского Величества" за 1829 г. (ч. III), а собранный им

წიგნად. ქალაქდაცვაკრული მუყაოს ყდა ტყავის ყუთით. შემოსულია პროფ. ი. მ. სარქიზოვ-სერაზინისაგან.

² იხ.: კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების კატალოგი. შეადგინა და დასაბუჟდად მოამზადა ც. ჩიკვაშვილმა. თბილისი, 1964, გვ. 52-53.

словарь абхазского и других черкесских наречий был послан начальством Романова в Императорскую Академию Наук»³.

თავადსოხუმ-ყალესა და რედუტ-ყალეს ყურეების აღწერილობები ყაბარდოელ მკვლევარს დოც. ალბეკ აბაზოვს შეუსწავლია და გამოუცია, მაგრამ, როგორც ჩანს, ლექსიკონის ბედზე მას ინფორმაცია არ ჰქონდა.⁴

მკვლევრის ინფორმაციით, ლექსიკონის მეორე ხელნაწერიც უნდა არსებულებოდა, რომელიც ვ. რომანოვის უფროსობას სევასტოპოლიდან სანქტ-პეტერბურგში, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიისათვის გადაუგზავნია“ (თ. გვანცელაძე). ქართველი მეცნიერი წარმოადგენს იმ პირთა ბიოგრაფიულ მონაცემებს, ვის ხელშიც გაიარა წინამდებარე ლექსიკონმა, და არა მხოლოდ გვიამბობს მათ შესახებ, არამედ ამ მონაცემების ანალიზით ათარიღებს ხელნაწერის ადგილმონაცვლეობებს, ამ ხელნაწერისადმი მის მფლობელთა (სევასტოპოლის ოფიცერთა ბიბლიოთეკა, მოსკოვის პირადი არქივები, პროფ. სარქიზოვ-სერაზინის პირადი კოლექცია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის (რარიტეტსაცავის თანამშრომლები: ნათელა ერისთავი, ციალა ჩიკვაშვილი, ფ. კვაჭაძე, მხატვარი უჩა ჯაფარიძე) მიზნობრივ დამოკიდებულებებს (დაარქივება, კოლექციონერობა, აღწერა, შესწავლა).

როგორც მკითხველი თავადაც დარწმუნდა, ჩვენ წინაშეა ფუნდამენტური გამოკვლევა ისტორიული, ტექსტოლოგიური და ლინგვისტური ხასიათისა, რომლის ავტორი სწორედ საუკეთესო ქართული სამეცნიერო ტრადიციისა და თანამედროვე აკადემიზმის

³ თ. გვანცელაძის თარგმანითა და კომენტარით: ...1827 წელს იგი შლიუპ დიანა“-ზე კრეისირებდა აფხაზეთის ნაპირებთან, რა დროსაც აღწერა სოხუმისა და რედუტ-ყალეს ყურეები“. რედუტ-ყალე მაშინ ახლანდელი ხობის რაიონის სოფელ ყულევს ერქვა“. ვ. რომანოვმა 1827 წელს, ჩერქეზეთისა და აფხაზეთის ნაპირებთან კრეისირებისას აღწერა სოხუმ-ყალესა და რედუტ-ყალეს ყურეები და შეადგინა რუკა, რომელიც მაშინვე დაიბეჭდა; სოხუმ-ყალესა და რედუტ-ყალეს რეიდების აღწერა გამოქვეყნდა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საზღვაო შტაბის სამეცნიერო კომიტეტის ჩანაწერებში“ 1829 წელს (ნაწ. III), ხოლო მის მიერ შედგენილი აფხაზური და სხვა ჩერქეზულ მეტყველებათა ლექსიკონი მისმა უფროსობამ გადაგზავნა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში .

⁴ თ. გვანცელაძე: იხ.: Архивы и общество. Научно-просветительский журнал. <http://archivesjournal.ru/>. А.Ч. Абазов. Кавказ в исследованиях декабристов: В.П. Романов на черноморском побережье Кавказа. 28.06.2011).

ერთიან მაგალითს იძლევა, როდესაც მასალას ყოველმხრივი დათვალიერების, სხვადასხვა ასპექტით გააზრებისა და მყარი დასკვნების შემოთავაზებით გააწვდის.

პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე ცნობილი ენათმეცნიერი-კავკასიოლოგი გახლავთ და ამიტომაც რომანოვის ლექსიკონის მისეული გამოკვლევის უმთავრესი ნაწილი სწორედ ლინგვისტურია; ესაა რამდენიმე სამეცნიერო პრობლემასთან დაკავშირებული და დამაჯერებლად წარმართული გამოკვლევის შემცველი ნაწილი, რომელიც პარაგრაფირებულია შემდეგნაირად:

1. აფხაზური ენის სახელდების საკითხისათვის;
2. აფხაზური ენის ფონემატურ თავისებურებათა ასახვა ლექსიკონში;
3. მორფოლოგიური თავისებურებანი;
4. ლექსიკური თავისებურებანი.

ცხადია, სპეციალისტებისათვის მნიშვნელოვანია ლექსიკონის სათაურში რომანოვის მიერ მითითებული ტერმინის “აბაზურის” საკითხი, რადგან ეს ტერმინი, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გარკვეული ისტორიული მომენტისათვის, კერძოდ, კავკასიაში რუსეთის ბატონობის პერიოდში ტერმინები “აფხაზური” და “აბაზური” ერთმანეთის სინონიმებად მიიჩნეოდა თურქული ენის ტრადიციისამებრ (ოფიციალურ თურქულ ენაში XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან თითქმის გაქრა ტერმინი აფხაზი და მას ჩაენაცვლა ეთნონიმი **აბაზა**, რომელსაც ჰქონდა როგორც ვიწრო (აფხაზი-აფსუა), ისე ფართო სემანტიკა და აღნიშნავდა არა მარტო აფხაზებსა და აბაზებს, არამედ ჩერქეზებსაც (ადილელ-ყაბარდოელებს)“ (თ.გვანცელაძე, გვ.172). სახელები “აფხაზი” და “აბაზა” თურქულ სამყაროსთან სამხედრო ინტერესებით დაკავშირებული რუსული ოფიცრობისთვისაც ერთმანეთის ტოლფას ტერმინებად განიხილებოდა. მეცნიერი იქვე დასძენს, რომ შესაძლებელია სხვაგვარი ახსნაც: თვით აფხაზები 200 წლის წინ საკუთარ თავს **აბაზა** სახელითაც აღნიშნავდნენ და ვ. რომანოვი ასახავს ამ ფაქტს.“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროფ. თეიმურაზ გვანცელაძეს დიდი შრომა აქვს გაწეული ლექსიკონის შემადგენელი ერთეულების ამოკითხვისა და ლინგვისტური ანალიზის მიმართულებით. ამ შრომის შედეგს საიმედოობას მატებს სწორედ ის ფაქტი, რომ მკვლევარი სრულყოფილად ფლობს არა მარტო აფხაზურ სალიტერატურო ენას, არამედ მის ყველა დიალექტს, იცნობს სხვადასხვა დროს ჩაწერილ დიალექტურ ტექსტებს (მათ შორის, მნიშვნელოვანი ნაწილი თავადაც აქვს ჩაწერილი) და საუკეთესოდ ამჩნევს ყველა ნიუანსს, რაც დროითი იერარქიით ან გეოგრაფიული დიალექტების საზღვრებით შეიძლება იყოს განპირობებული. სწორედ ამიტომაცაა საინტერესო, რომ ლექსიკონში მოცემული აფხაზური სიტყვები და

ფრაზები ბზიფურ დიალექტს ან მასთან მიახლოებულ მეტყველებას განეკუთვნება, და შესაბამისად, ამლექსიკონის მკითხველისათვის მიწოდებით თეიმურაზ გვანცელაძე აფხაზოლოგებს, და უპირველეს ყოვლისა, თავად აფხაზებს, მეცხრამეტე საუკუნის მეორეთწლეულის ბზიფურ დიალექტს აცნობს. ამ მასალის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტი, რომ მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლების შემდგომ ქ. სოხუმ-ყალესა და მისი მიმდებარე მხარის აფხაზი მცხოვრებლები რუსეთმა განდევნა ამ რეგიონიდან, რის გამოც ამ მიწაწყალზე ლექსიკონში დაფიქსირებული ფორმები დღეს უკვე აღარ არის წარმოდგენილი.

როდესაც ტექსტის დადგენის სიძნელეებზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ლექსიკონში აფხაზური სიტყვების გადმოსაცემად შემდგენელი იყენებს რუსული ანბანის (კირილიცას) თითქმის ყველა ასოს ყოველგვარი დამატებითი გრაფიკული ელემენტების (დიაკრიტიკული ნიშნების, სატრანსკრიფციო სიმბოლოების...) გარეშე, რაც, ბუნებრივია, იწვევს მრავალ უზუსტობას აფხაზური ენობრივი მასალის გადმოცემაში, მით უმეტეს, რომ აფხაზური ენა და მისი ბზიფური დიალექტი შეიცავს რუსული ენის ფონემების რაოდენობაზე ორჯერ მეტ ფონემას. შეცდომებს იწვევს ისიც, რომ ავტორის ყური აშკარად არ იყო შეჩვეული აფხაზურ მეტყველებას და უჭირდა ამ ენის ფონემათა სწორად აღქმა“ (თ. გვანცელაძე, გვ. 173).

უნდა აღინიშნოს, რომ თ. გვანცელაძის გამოკვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს სწორედ ფონეტიკური ანალიზი შეადგენს, რადგან აქ არა მხოლოდ სალექსიკონო მონაცემთა დახასიათებაა წარმოდგენილი, არამედ მოცემულია აფხაზური ენის დიალექტების ღრმა კვლევა ამ კუთხით; ანალიზის დროს ავტორი განიხილავს იმ შეცდომებსაც, რომელსაც იბერიულ-კავკასიური მასალის კირილიცაზე ჩაწერა იწვევდა (და იწვევს) და აგრეთვე იმასაც, რომ რუსულენოვან მსმენელს“, რომელმაც არ იცის აფხაზური, არ ესმის“ უამრავი ბგერა (არის რაღაც სიმბოლურიც ამ ვერგაგონებაში“); მკვლევარი გამოწვლილვით ჩერდება ხმოვანთა და თანხმოვანთა რომანოვისეულ აღქმაზე, ცდილობს ახსნას ერთი და იმავე ფონემის ნაირგვარი ჩაწერის მიზეზები და შემოგვთავაზოს სოხუმ-ყალესა და მის მიმდებარე მხარეში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში XIX საუკუნის 20-იან წლებში გავრცელებული აფხაზური მეტყველების აღდგენილი ფონემატური სისტემა. აქვე შეძლებისდაგვარად დადგენილია აფხაზურ სიტყვათა ამოსავალი ვარიანტები, რომლებიც რეკონსტრუირებულია ბზიფური დიალექტის მონაცემთა გათვალისწინებით. გამოკვლევაში სალექსიკონო ფორმები საგანგებოდაა დახასიათებული **ზოგადაფხაზურ სპეციფიკურ თანხმოვან ფონემათა გადმოცემის თვალსაზრისით** – ზოგადაფხაზურის ლაბიალიზებულ,

პალატალიზებულ და ინტენსიურ თანხმოვანთა რიგები, ბზიფურ დიალექტში დამატებით წარმოდგენილი სისინ-შიშინა და სპეციფიკურ ველარულ თანხმოვანთა ჯგუფებიც, რომლებიც არ გვხვდება აბჟუურ დიალექტში, რომელთა შემჩნევა ლექსიკონის შემდგენლისათვის შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ რომელთა გათვალისწინება და ამოცნობა შეუძლია მაღალი რანგის სპეციალისტს, რომელიც მსმენელ-ჩამწერის შეცდომათა ბუნების სწორი ინტერპრეტატორია, ამ გზით კი მას შეუძლია ივარაუდოს (და დაამტკიცოს კიდევ თავისი ვარაუდის სისწორე) სწორი ფორმა მთელ რიგ შემთხვევაში.

ივარაუდება, რომ აფხაზთა მუჰაჯირობამდე (XIX საუკუნის 60-70-იან წლებამდე) სისინ-შიშინა ფონემათა ნაწილი მაინც უნდა არსებულებოდა ამჟამინდელ გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონებს შორის მდებარე ტერიტორიაზე, ანუ ახლანდელი სოხუმისა და გულრიფშის რაიონების მიწაზე მოსახლე აფხაზთა მეტყველებაშიც (ქ. ლომთათიძე, ხ. ბლაჟბა, ე. კილბა...), რასაც ადასტურებს ქ. ბათუმსა და მის მიმდებარე რამდენიმე სოფელში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მონაცემებიც, რაც XX საუკუნის 70-80-იან წლებში მონოგრაფიულად შეისწავლა ე. კილბამ. 2011 წელს კითვით პროფ. თ. გვანცელაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა (მუჰაჯირ აფხაზთა შთამომავალი აფხაზი მოსახლეობა ბათუმის შემოგარენში) ენობრივი სიტუაციისა და მეტყველების შესწავლა; სწორედ ამ კონტექსტში **ფასდაუდებელ დათარიღებულ დოკუმენტურ მასალას გვაწვდის ვლადიმერ რომანოვის ლექსიკონი, რომელიც ადასტურებს, რომ 1827 წელს ქ. სოხუმ-ყალეს მცხოვრებთა მეტყველებაში არსებობდა სისინ-შიშინა თანხმოვანთა ნაწილი მაინც.** ამ მონაცემების საფუძველზე მეცნიერი დაასკვნის, რომ სოხუმ-ყალეს მეტყველება ფონემატური სისტემის მიხედვით უეჭველად უფრო ახლოს იდგა ბზიფურ დიალექტთან, ვიდრე აბჟუურ კილოსთან. ჩვენი სტატიის ფორმატი საშუალებას არ გვაძლევს უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ ამ საკითხზე, თუმცა აუცილებლად უნდა გავიმეოროთ პროფ. თ. გვანცელაძის დასკვნა ამ ფონეტიკურ კვლევასთან დაკავშირებით: მიგვაჩნია, რომ **სოხუმ-ყალეს მცხოვრებთა მეტყველებაში ლაბიალიზებულ სისინ-შიშინა ფონემათა შერყევისა და შესაბამისი შიშინა თანხმოვნებით მათი ჩანაცვლების პროცესი ლექსიკონის შედგენის დროს უკვე დაწყებული იყო,** თუმცა ჯერ კიდევ დასტურდებოდა შესაბამის სიტყვაფორმათა ამოსავალი ვარიანტებიც. მეტიც, ეს პროცესი შეხება შიშინა ლაბიალიზებულ ფონემებსაც და გამოუწვევია ამ უკანასკნელთა “უკანონო“ ცვლა სისინ-შიშინა თანხმოვნებით...”

გ. რომანოვის ლექსიკონში წარმოდგენილი აფხაზური სიტყვებისა და შესიტყვებების ანალიზის დროს ავტორი ყურადღებას აქცევს იმას,

რომ სალექსიკონო ფორმები ხშირად წარმოდგენილია აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი ზოგადობის ა- პრეფიქსის გარეშე (თუმცა ხშირია ა- პრეფიქსიანი ვარიანტებიც). ასევე საინტერესოა მასდარების ნაცვლად ზმნური წარმოებების წარმოდგენა ბრძანებითი კილოს ფორმით. ავტორი ფართოდ მსჯელობს ზმნურ ფორმებზეც, და არა მხოლოდ როგორც ვიწროლინგვისტურ ფენომენზე, არამედ, როგორც აფხაზური ენის დიალექტური მგრძობიარობის ფიქსატორზე; იგი სოხუმ-ყალეს მეტყველებას მიიჩნევს გარდამავალ მოვლენად აბჟუურ და ბზიფურ დიალექტებს შორის ამ უკანასკნელისაკენ გადახრით, რასაც ადასტურებს ლექსიკონში წარმოდგენილი დინამიკურ ზმნათა ფინიტური წარმოების აწმყოს სუფიქსებიც. გამოკვლევაში ნათქვამია: **“...1827 წელს სოხუმ-ყალელთა მეტყველებაში ცხადად ჩანს ზმნურ დაბოლოებათა უნიფიკაციის ტენდენცია, რაც არ ახასიათებს არც ბზიფურ დიალექტს და არც აბჟუურ კილოს”**.

არანაკლებ საინტერესოა რომანოვის ხელნაწერის აფხაზური ნაწილის ლექსიკოლოგიური ანალიზიც. მეცნიერი აქაც აღდგენს მრავალ საინტერესო ენობრივ ფაქტს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ისეთი შემთხვევები, როცა რუსული სიტყვის აფხაზურ თარგმანი უზუსტოა, ან საერთოდ არაადეკვატურია. თითოეულ ასეთ მაგალითს მკვლევარი ზუსტ პასუხს უძებნის: ზოგჯერ ამგვარი შეცდომების მიზეზი თარჯიმნის მიერ რუსულის ცუდი ცოდნა ჩანს, ზოგჯერ თვით ავტორის მოუმზადებლობა აფხაზური სიტყვის სწორად აღსაქმელად და ა.შ....

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ლექსიკონი და პროფ. თ. გვანცელაძისეული თანდართული გამოკვლევა მკითხველს კიდევ მრავალ საკითხთან დაკავშირებით აწვდის ფასდაუდებელ ინფორმაციას, ჩვენ ამჯერად მხოლოდ უკვე აღნიშნულით უნდა შემოვიფარგლოთ. ერთს კი ხაზგასმით ვიტყვით:

ჩვენ წინაშეა გამოცემა, რომელიც არის ტექსტოლოგიურად დაზუსტებული, ისტორიულად დადგენილი და ლინგვისტური სიღრმით შესწავლილი. ასე მუშაობდნენ ჩვენი დიდი მასწავლებლები; ასე მუშაობდნენ ყველა დროის დიდი მეცნიერები. სასიამოვნოა, რომ ჩვენს დროშიც იპოვებინან ადამიანები, რომელთაც ასე მუშაობა შეუძლიათ.

მანანა ტაბიძე, სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ბელა შავხელიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

კრებული გამოსაცემად მომზადდა
საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის
ქართველოლოგიის ცენტრში

The journal was compiled at the Kartvelology Center of Saint
Andrew the First-Called Georgian University